საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№29 (72)
4 – 10 აგვისტო, 2010


# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

ლაშა ჩხარტიშვილი:
**სუბელიანი დევნილების მთავარი ჯალათია** 19

# სააკაშვილის შავი კვადრატი

ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან ერთი დაუწერელი წესი არსებობს: „Decet Imperatorem Stantem Mori“ (იმპერატორი სიკვდილს ფეხზე მდგომი ეგებება). მნიშვნელობა არ აქვს, კარგი მმართველია თუ ცუდი, მისი ლეგიტიმურობა იმ წუთასვე დგება ეჭვქვეშ, როგორც კი შეატყობენ, რომ შეშინდა...



2

## 08.08.08

გურამ ფირცხალავა:
**ამ საზოგადოების შემხედვარეს ხანდახან მგონია, რომ მთელი ჩვენი ისტორია სიყალბე და ტყუილია** 13

15 **სტალინის ძეგლის ცხედარს მთაწმინდიდან გადმოასვენებენ**

ირაკლი კაკაბაძე:
**თუ სააკაშვილი შავკანიანებს ბოდიშს არ მოუხდის, ჰააგის სასამართლოში ვუჩივლებთ** 6

მიშამ თავისი უზრდელობით ლამის მთელი მსოფლიო გადაგვკიდა 4

პრეზიდენტმა წაგებული ომის ჯავრი სამხედროებსა და დევნილებზე იყარა 8

აზერბაიჯანში უცხოელებისთვის მიწის მიყიდვა აკრძალულია 14

ბარბარეს ეკლესია თურქი ინვესტორის კაპრიზს შეეწირება 14

ნებიერა პრეზიდენტის ბიჭური ახირება 17

## ადამიანის უფლებები უუფლებობის ზონაში




29 ივლისს მოსკოვში, საინფორმაციო სააგენტო „რია-ნოვოსტის“ ოფისში მოეწყო არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ მიერ ორგანიზებული მრგვალი მაგიდა თემაზე „ადამიანის უფლებები საქართველოში“ 10

4 — 10 აგვისტო, 2010 წელი. №29 (72)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## გამოძახილები



**მიხეილ სააკაშვილი,**
**საქართველოს პრეზიდენტი:**

მომავალი იანვრიდან მთელ მსოფლიოში საქართველოს რეკლამირება დაიწყება. რეკლამა იქნება იმაზე, რომ საქართველო ევროპაში ერთადერთი ადგილია, სადაც შეგიძლია ზღვაში იცურაო, ერთ საათში კი თხილამურებით ისრიალო.

*„პირველი“*



**ნინო ბურჯანაძე,**
**პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე:**

ძალიან დიდ პატივს ვცემ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმენებს და მათ თანაშემწეებსაც, მაგრამ რა განსაკუთრებული მოვლენაა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის თანამშრომლების ჩამოსვლა საქართველოში?!

*„ალია“*



**თინა ხიდაშელი,**
**„რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი:**

ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, პრემიერ-მინისტრი სააკაშვილი იქნება თუ არა. თუ სააკაშვილი პოლიტიკურად ისევ ხელისუფლებაში რჩება, მისი გუნდი თუ ისევ იგებს შემდეგ არჩევნებს და თუ ქართველი ხალხი მას ამის უფლებას აძლევს, რატომ არ უნდა იყოს პრემიერ-მინისტრი?!

*„ალია“*



**უჩა ნანუაშვილი,**
**„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი:**

ხელისუფლება ელის, რომ შემოდგომაზე დაიწყება საპროტესტო აქციები და, როგორც კი აქციები დაიწყება, ისინი გამოაცხადებენ რეზერვში გაწვევას. 27-დან 45 წლამდე ასაკის მოქალაქეები საზოგადოების ყველაზე აქტიური ნაწილია. რა მნიშვნელობა აქვს, 45 დღე იქნები რეზერვში და ამ გზით მოახდენენ შენს იზოლირებას მიმდინარე პროცესებისგან თუ ადმინისტრაციულ პატიმრობას მოგისჯიან?

*„ასავალ-დასავალი“*



**შალვა ხაჭაპურიძე,**
**პოლიტიკური პარტია „ჩვენი საქართველოს“ ლიდერი:**

28 ივლისს სააკაშვილმა თავდაცვის სამინისტროში გამაოგნებელი განცხადებები გააკეთა. ეს იყო პირდაპირ საომარი რიტორიკა, რომ თურმე ყველა სოფელი უნდა შეიარაღდეს და თავდაცვისთვის მოემზადოს. ისე, კარგი იქნება, თუ სოფლებში მოსახლეობას იარაღს დაურიგებენ. მერე საით შეტრიალდება ეს იარაღი, სააკაშვილი ძალიან მალე დაინახავს!

*„ასავალ-დასავალი“*



**ემზარ კვიციანი,**
**საქართველოს პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული კოდორის ხეობაში:**

უკვე 5 წელია, საქართველო აღარ არსებობს! დიახ, რაც სააკაშვილმა ნიღაბი ჩამოიხსნა, იმის მერე საქართველო აღარ არსებობს! საქართველო დღეს ქართველებისთვის სამშობლო კი არა, ოფისიც აღარ არის! სააკაშვილმა სამშობლო დაგვაკარგვინა, მაგრამ ეტყობა, ამის ღირსები ვართ, რადგან ამ კაცს ვითმენთ!

*„ასავალ-დასავალი“*



**სოსო შატბერაშვილი,**
**ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:**

ერთი მინისტრი სტრიპტიზ ბარის მოცეკვავეა, მეორე მინისტრი — ძაღლების ყოფილი მომვლელი, მესამე მინისტრი გიტარას უჩხაკუნებდა და „დარია თუ ავდარია, მიშა მაგარია“ — ხმის ჩახლეჩამდე მღეროდა. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მეჯინიბეა. ეს საკადრო „მიღწევები“ ახალი ამბავი არ არის.

*„ახალი თაობა“*

# სააკაშვილის შავი კვადრატი

**2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ ორი წელი გავიდა. ძნელია ისეთი მეტაფორის მოძებნა, რომელიც ერთ ჩარჩოში მოაქცევდა იმ პროცესებს, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში განვითარდა. ქვეყანა დაემსგავსა ადამიანს, რომელიც კატასტროფაში მოჰყვა, კიდურები დაკარგა და გადაადგილებაც აღარ შეუძლია. წარმოუდგენელია, ასეთი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პიროვნების მიღწევების შეფასებას იმავე კრიტრიუმებით მივუდგეთ, როგორითაც ჯან-ღონით სავსე სპორტსმენის რეკორდებს ვაფასებთ. აგვისტოს ომმა ქვეყანა ხერხემალში გადატეხა და მისი ყოფა ინვალიდის ცხოვრებისთვის დამახასიათებელი შინაარსით შეავსო.**

**DECET IMPERATOREM STANTEM MORI**

**იმპერატორი სიკვდილს ფეხზე მდგომი ეგებება**

## ოცნებების სასაკლაო

**ომის შემდგომი პერიოდის შეფასება ემოციების გარეშე რთულია, თუმცა ფაქტების მშრალი ჩამონათვალიც კი ძალიან მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს. სააკაშვილის ხელისუფლებამ დაკარგა კონტროლი ახალგორის რაიონსა და კოდორის ხეობაზე, ქართულ ანკლავებზე ცხინვალის რეგიონში; დაიღუპა ასობით ადამიანი, საქართველოს უამრავი მოქალაქე (ზუსტი რიცხვი დადგენილი დღესაც არ არის) იძულებული გახდა, მშობლიური კერა მიეტოვებინა; განადგურდა უამრავი სახლი, ხშირ შემთხვევაში — მთელი სოფლებიც კი.**

ამ კატასტროფას, მეორე, ნაკლებად ხილული მხარე ჰქონდა: თუ ადრე საზოგადოება ქვეყნის გამთლიანებას უახლოეს პერსპექტივას უკავშირებდა, მას შემდეგ, რაც რუსეთმა სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა აღიარა და იქ ჯარები განალაგა, ამ მიზნის მიღწევა თითქმის შეუძლებლად წარმოჩინდა. **საქართველოს გაერთიანების იდეითა და იმედით ერი 15 წლის განმავლობაში სულდგმულობდა** და სწორედ ამ იდეისადმი აპელირებამ განაპირობა სააკაშვილის ხელისუფლების პოპულარობა მისი აღზევების წლებში, იმედების მსხვრევამ კი აგვისტოს ტრაგედია კიდევ უფრო საგრძნობი გახადა. 2008 წლიდან დეპრესია და დაბნეულობა ქართული საზოგადოების მუდმივ თანამგზავრებად იქცა, სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო მას შემდეგ, რაც თითქოსდა ხილული ორიენტირი მისი თვალთახედვიდან დაიკარგა.

არის კიდევ ერთი ფსიქოლოგიური ასპექტი: ნათელი გახდა, რომ ქვეყანას უსაფრთხოების არანაირი გარანტია არ გააჩნია და მის საშველად არავინ მოვა, ხოლო საქართველოს სამხედრო რესურსი, რუსულთან შედარებით, განუზომლად მცირეა და მოულოდნელი საფრთხე შეიძლება ნებისმიერ წუთს ნებისმიერ მოქალაქეს დაემუქროს; **მოსახლეობაში დაუცველობის შეგრძნება გაძლიერდა, რომელსაც ხელისუფლება რაღაც სადისტური მოწადინებით აღვივებდა „იმიტირებული ქრონიკით“ და ისტერიული განცხადებებით ომის განახლების შესაძლებლობის შესახებ.** ეკონომიკურ სიდუხჭირესთან ერთად უსაფრთხო გარემოში მოხვედრის სურვილმა ბევრ ადამიანს საქართველოს დატოვებისკენ უბიძგა: **გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მონაცემებით, 2009 წელს საქართველოდან განვითარებულ ქვეყნებში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა 102%-ით გაიზარდა, რაც მსოფლიოს მასშტაბით აბსოლუტური რეკორდი გახდა.** ცხადია, ეს მხოლოდ აისბერგის ზედა ნაწილია, არალეგალების საერთო რაოდენობა აღრიცხვას, უბრალოდ, არ ექვემდებარება.

გასული ორი წლის განმავლობაში საზოგადოების დიდი ნაწილისთვის უამრავი მითი დაიმსხვრა: ჯერ ომის დროს აღმოჩნდა, რომ ვაშინგტონი ყოვლისშემძლე ნამდვილად არ არის, შემდეგ შიდაპოლიტიკური კრიზისი პიკზე ცხადი გახდა, რომ მის გეოპოლიტიკურ ინტერესებში შეიძლება სულაც არ შედიოდეს საქართველოში სამართლიანი და დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა და ბოლოს **„გადატვირთვამ“ აჩვენა, რომ არანაირი „წითელი ხაზები“ ევრაზიის რუკაზე აღარ არსებობს — ყოფილ საბჭოეთში რუსეთის გავლენის სწრაფი ზრდა დაიწყო. ამასთანავე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ჩუმად გარდაიცვალა მითი საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში სწრაფი** (ან თუნდაც ნელი) **გაწევრების შესახებ.**

თუმცა გლობალური საკითხებით ყველა როდი ინტერესდება და განსაკუთრებით მტკივნეული, შესაძლოა, სხვა მითთან დამშვიდობება აღმოჩნდა: **ხელისუფლების მილიტარისტული ქადილისა და იარაღის ჟღარუნის შემდეგ, ჩვენ სულ რამდენიმე დღეში ვიგრძენით, რომ საქართველო, სამხედრო თვალსაზრისით, ძალიან სუსტი ქვეყანაა.**

ომის წინ ქვეყანა თავდაცვაზე მშპ-ს 8 პროცენტს ხარჯავდა, რაც თანამედროვე მსოფლიოსთვის უპრეცედენტო მაჩვენებელია. ეს ხარჯები ეკონომიკისთვის ისეთივე როლს ასრულებდა, როგორსაც მოცურავისთვის — კისერზე ჩამოკიდებული ლოდი. ახალი ტექნიკა და შეირაღება აღლუმებზე ძალიან შთამბეჭდავად გამოიყურებოდა და საკმაოდ ბევრ ადამიანს გაუჩნდა ირაციონალური რწმენა იმისა, რომ საქართველო სამხედრო ძლიერების მწვერვალზე დგას; მეტიც, საზოგადოების ეს ნაწილი თვლიდა, რომ კონფლიქტების გადაწყვეტის საუკეთესო მეთოდი შეიარაღებული ძალების სასწრაფო გამოყენებაა. ყოველივე ეს ძალიან ცუდად დასრულდა და სხვანაირად, ალბათ, ვერც დასრულდებოდა.

...ჯიპები მიქროდნენ წითელი ხიდისკენ ისეთი სისწრაფით, როგორიც მიხაელ შუმახერისთვისაც შესაშური იქნებოდა; ხელისუფლების ოდესღაც გოროზი წარმომადგენლები გენერალ ბორისოვის (თუ შამანოვის? თუ ორივეს ერთად?) მძღოლების როლში შედიოდნენ, მთავარსარდალი კი... არა, რა თქმა უნდა, შიში ოხერია და ნებისმიერ ადამიანს შეიძლება დაეუფლოს, მაგრამ **ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან ერთი დაუწერელი წესი არსებობს: „Decet Imperatorem Stantem Mori“ (იმპერატორი სიკვდილს ფეხზე მდგომი ეგებება). მნიშვნელობა არ აქვს, კარგი მმართველია თუ ცუდი, მისი ლეგიტიმურობა იმ წუთასვე დგება ეჭვქვეშ, როგორც კი შეატყობენ, რომ შეშინდა** (აქ, ცხადია, საუბარი ფორმალურ იურიდიულ ლეგიტიმურობას არ ეხება). ალბათ, გადამეტებულ შეფასებაში არ ▶



**მნიშვნელობა არ აქვს, კარგი მმართველია თუ ცუდი, მისი ლეგიტიმურობა იმ წუთასვე დგება ეჭვქვეშ, როგორც კი შეატყობენ, რომ შეშინდა... სააკაშვილის ქცევამ აგვისტოს ომის დროს ერი შოკში ჩააგდო!**

◀ ჩაგვეთვლება, თუ ვიტყვით, რომ **სააკაშვილის ქცევამ აგვისტოს ომის დროს ერი შოკში ჩააგდო.**

საპროტესტო ტალღის აგორება გარდაუვალი იყო. წაგებულ ომს იმ მომენტისთვის უკვე საკმარისზე მეტად გაღვივებული პოლიტიკური კრიზისი ერწყმოდა; საზოგადოება შექმნილი რთული მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდა. 2009 წლის გაზაფხულზე თბილისში მრავალათასიანი აქციები დაიწყო.

## გაყიდული რევოლუცია

**დღევანდელი გადასახედიდან ის გულუბრყვილო რწმენა, რომლითაც საპროტესტო ელექტორატი მაშინ ოპოზიციის ლიდერებს მიენდო, ლოგიკას მოკლებული ჩანს. განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციისა და შესაძლებლობების მქონე პარტიების ჭრელმა კოალიციამ წარმატების მიღწევა ვერ მოახერხა.** იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამოვლინდებოდნენ და გაირიყებოდნენ ის ლიდერები, რომლებიც აქციების დროს შეგნებულ საბოტაჟს ეწეოდნენ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ დარჩენილები ეფექტური გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას შეძლებდნენ, ინტერპარტიული კოორდინაციის მექანიზმი ძალიან მოუქნელი იყო, თამამი ინიციატივები თითქოსდა ჭაობში იძირებოდა.

**რატომ თვლიდნენ, რომ სააკაშვილი აუცილებლად წავიდოდა? შესაძლოა, იმიტომ, რომ მიზეზი, რომლის გამო „ნაციონალური მოძრაობა“ შეიძლება ხელისუფლებაში დარჩეს, უბრალოდ, „არ იკითხებოდა“; ნათლად ჩანდა, რომ უახლოეს პერსპექტივაში ის ვერც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას მოახერხებს, ვერც — ნატოს კარზე მიკაკუნებას და ვერც — რუსეთთან დიალოგის გამართვას; ამას, ცხადია, ხელისუფლებაშიც გრძნობდნენ და ცდილობდნენ წინა პლანზე სხვა თემები წამოეწიათ.**

2009 წელს პარლამენტში საპროგრამო სიტყვით გამოსვლისას, მიხეილ სააკაშვილმა მთავარ პრიორიტეტად ეკონომიკური აღმშენებლობა გამოაცხადა. ის წელი ეკონომიკისთვის 4%-იანი ვარდნით დასრულდა. საერთოდ, განხილულ პერიოდში ეკონომიკური მაჩვენებლები ოპტიმიზმის საბაბს არ იძლეოდა: საგარეო ვალი განუხრელად იზრდებოდა, სავაჭრო ბალანსი სამმილიარდიან მინუსში რჩებოდა, ინვესტიციების ნაკადი და პრივატიზაციის ტემპი მცირდებოდა, რასაც დროდადრო თავად პრემიერ-მინისტრი გილაური აღიარებდა. ამგვარად, **არც ერთი მიმართულებით არ ჩანდა წარმატებული პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა, ასეთ ვითარებაში კი ნებისმიერი ნორმალური (და ზომიერად არანორმალური) პოლიტიკური ძალა ხელისუფლებიდან მიდის.**

თუმცა მალევე რამდენიმე გარემოება გამოიკვეთა: **ა) სააკაშვილის გუნდი ხელისუფლებიდან წასვლას ცოცხალი თავით არ აპირებს; ბ) მისი ხელისუფლებაში დარჩენის მთავარ მოტივს ხელისუფლების შენარჩუნება წარმოადგენს** (სულელურად კი ჟღერს, მაგრამ რეალურად საქმე ამ ჩაკეტილ წრესთან გვაქვს); **გ) ის მაქსიმალურად ცდილობს, არ გააკეთოს არაფერი ისეთი, რასაც მისი (შედარებით) სტაბილური მდგომარეობისთვის საშიში რეაქცია მოჰყვება, შესაბამისად, ის მოკლებულია შესაძლებლობას, ნებისმიერ სფეროში თამამი და ეფექტური პოლიტიკა გაატაროს. მკვეთრ ნაბიჯებს 2008 წლის შემდეგ ის მეტწილად სიმბოლურ სივრცეში დგამს: ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი ძეგლებთან ბრძოლაა.**

2009 წლის გაზაფხულზე საქართველოში ხელისუფლების შეცვლის ყველა ობიექტური წინაპირობა არსებობდა, გარდა ერთისა: **ვერც ერთმა ოპოზიციურმა პარტიამ ვერ გამონახა საკუთარ თავში საკმარისი ძალა, გადაებიჯებინა თამაშის იმ წესებისთვის, რომლებიც ხელისუფლებამ და მისმა ამერიკელმა პარტნიორებმა შესთავაზეს. ზოგმა კი, უბრალოდ, ცდუნებას ვერ გაუძლო და ქუჩაში მდგომი ხალხი ბანალურად გაყიდა.** მოხდა ოპოზიციური სპექტრის ლუსტრაცია და ამაში, შესაძლოა, დადებითი მომენტიც იყო, საპროტესტო ელექტორატის მნიშვნელოვანი ნაწილი, ასე თუ ისე, გაერკვა, ვისთან შეიძლება საქმის დაჭერა და ვისთან — არა. თუ რა დასკვნები გამოიტანა საზოგადოებამ ამ მტკივნეული, მაგრამ, ალბათ, მაინც აუცილებელი ეტაპიდან, სექტემბერ-ოქტომბერში ვნახავთ.

## ღყალღალებულის ხავსი

**აგვისტოს ომის შემდეგ სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებებიც მოხდა: თუ ადრე მიხეილ სააკაშვილი თითქმის ყველგან სასურველი სტუმარი იყო, ახალ რეალობაში ხელისუფლების ლობისტები მისი შეხვედრების ორგანიზებას მრავალთვიან, ხშირად უშედეგო ძალისხმევას ახმარდნენ.** სიტყვამ „იზოლაცია“ ქართულ პოლიტიკურ ლექსიკონში მყარი ადგილი დაიმკვიდრა; წარმატება-წარუმატებლობის კრიტერიუმად კი რატომღაც სააკაშვილის უცხო ქვეყნის ლიდერებთან შეხვედრისა და ხელის ჩამორთმევის ფაქტი იქცა. მთავარი კი სხვა რამ არის: **შეუძლია თუ არა საქართველოს, ნაყოფიერად ითანამშრომლოს სხვა სახელმწიფოებთან?** იარაღის ემბარგო ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია: ფორმალურად ის არ არსებობს, თუმცა „Jane‘s Defence“-სთან საუბარში ქართველი მაღალჩინოსნები დაუფარავად აცხადებდნენ, რომ შეიარაღების შეძენა საქართველოსთვის, პრაქტიკულად, შეუძლებელი გახდა. როდესაც გასულ კვირას მიხეილ სააკაშვილი თავდაცვის სამინისტროში იმის შესახებ საუბრობდა, რომ იარაღი საკმარისზე მეტია და მისი შეძენა საჭირო აღარ არის, ის შესაძლოა ამ არასახარბიელო ფაქტის ლამაზად შეფუთვას ცდილობდა. **პრობლემა შეიარაღებით, რასაკვირველია, არ შემოიფარგლება; ზოგადად კი, ბოლო წლებში შეიქმნა საკმაოდ მყარი შთაბეჭდილება, რომ უცხო ქვეყნების მეთაურები ცდილობენ, სააკაშვილისგან თავი მაქსიმალურად შორს დაიჭირონ.**

საქართველოს ხელისუფლებამ ორი მნიშვნელოვანი მოკავშირე დაკარგა, ჯერ უკრაინელებმა საპრეზიდენტო სასახლიდან ვიქტორ იუშჩენკო გამოაბუნძულეს, საქართველოს ხელისუფლების (სიმართლე რომ ვთქვათ, ისტერიული) მცდელობა — უკრაინულ არჩევნებში ჩარეულიყო სამარცხვინო შედეგით დასრულდა. შემდეგ კი ავიაკატასტროფაში პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი დაიღუპა და მთელ ევრაზიაში სააკაშვილს არც ერთი თანამოაზრე არ დარჩა, თუ, რა თქმა უნდა, ისეთი ზესახელმწიფოს პრეზიდენტს არ ჩავთვლით, როგორიც ესტონეთია. **საერთო ფონი დაამძიმა „ტალიავინის კომისიის“ დასკვნის გამოქვეყნებამ, რომელშიც საქართველოს ხელისუფლების ქმედებებს მისთვის არცთუ სასურველი შეფასება მიეცა.** იყო სხვა ფაქტორები: რეგიონის მიმართ აშშ-ის ინტერესის შესუსტება, ცვლილებები თურქეთის პოლიტიკაში; მოკლედ, ნელ-ნელა ნათელი გახდა, რომ ვაშინგტონის „ჩაუძირავი ავიამზიდი“ საქართველოსგან არ გამოვა. ამის შემდეგ **სააკაშვილის ხელისუფლების რეპერტუარში ახალი ნოტები გაჩნდა:**

მზადყოფნა მოლაპარაკებებისთვის რუსეთთან წინაპირობების გარეშე, თეირანთან და მინსკთან დაახლოების მცდელობა და ა.შ. რამდენად სერიოზულად აღიქვამენ ამას აღნიშნული სახელმწიფოების მეთაურები, ძნელი სათქმელია, რეალური შედეგები ჯერჯერობით არ ჩანს.

მთავარი, რის დამტკიცებასაც სააკაშვილი შინ და გარეთ ცდილობდა, ის იყო, რომ მას ქვეყნის შიგნით კვლავინდებურად სერიოზული გავლენა გააჩნია და ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. ამ მიზნის მისაღწევად ხელისუფლება ყველა მეთოდს იყენებდა: იქნებოდა ეს უპრეცედენტო მანიპულირება არჩევნების დროს, ბედნიერი გლეხების როლში გურული მსახიობების გამოყვანა, საკუთარი ძლიერების დემონსტრირება ემოციური რიტორიკით და პოლიციის აღლუმის (ისევ აღლუმები...) მოწყობით და ა.შ. **თუმცა ის, რომ თანამედროვე საქართველოში წარმოსახვითი და რეალური ერთმანეთისგან ძალიან შორს დგას, საყოველთაოდ ცნობილი და აგვისტოს ომით დადასტურებული ფაქტია.**

რა თქმა უნდა, ოპოზიცია სუსტია, მაგრამ, გარეგნული ეფექტების მიუხედავად, ძალზე სუსტია ხელისუფლებაც. მისი მდგომარეობა კვლავინდებურად არამდგრადია; წინ კი, როგორც ჩანს, საკმაოდ ცხელი შემოდგომა გველის.

**დიმიტრი მონიავა**

## მოკლედ



## მესტიიდან ანაკლიამდე, ანუ თხილამურებით ზღვაში

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ჯერ ანაკლიის ახალი პლაჟი მოინახულა, მერე კი ვერტმფრენით მესტიაში გადაფრინდა და ბავშვთა შორის სამთო-სათხილამურო ტურნირზე დასწრება და თხილამურებით სრიალიც მოასწრო.** ამ ყველაფრის შემდეგ, ცხადია, კიდევ ერთხელ წარმოგვიდგინა საქართველოს ერთადერთობის დამადასტურებელი არგუმენტები და აგვიხსნა, რომ საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა ევროპაში, სადაც შესაძლებელია ცურვა ტროპიკულ პლაჟზე და ამასთანავე, სრიალი თხილამურებით. „მიმდინარეობს ანაკლია-მესტიის გზის მშენებლობა და ამ მშენებლობის დასრულების შემდეგ ანაკლიიდან მესტიაში ჩასვლა 2 საათში იქნება შესაძლებელი. იანვრიდან ჩვენ ვიწყებთ რეკლამას მსოფლიოში საქართველოს შესახებ, რომ საქართველო არის ერთადერთი ადგილი ევროპაში, სადაც შეგიძლია იცურაო ტროპიკულ პლაჟზე — ანაკლიაში და, ასევე, შეგიძლია ორ საათში თხილამურებზე ისრიალო“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. მესტიიდან თხილამურებით პირდაპირ ზღვაში ჩასრიალების თაობაზე პრეზიდენტს ამჯერად არაფერი უთქვამს.



## პრეზიდენტებთან შეხვედრის შანსი სააკაშვილისთვის

**რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილი აუცილებლად უნდა გაემგზავროს კოლუმბიაში ქვეყნის პირველი პირის ინაუგურაციაზე, ვინაიდან ეს მას სხვა პრეზიდენტებთან ურთიერთობების შესაძლებლობას მისცემს.** მისივე თქმით, წასვლა იმის გამოცაა სასურველი, რომ ლათინური ამერიკა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი პარტნიორია სეპარატისტული რესპუბლიკების არაღიარების საკითხში. „ინაუგურაციაზე მიწვეული არიან პრეზიდენტები არა მარტო ლათინური ამერიკიდან, არამედ სხვა ქვეყნებიდანაც, ამიტომ პატარა ქვეყნებმა ასეთ შესაძლებლობაზე უარი არ უნდა თქვან“, — განაცხადა იაკობაშვილმა. უმალ დაეთანხმა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე, რადგან მიიჩნევს, რომ ეს მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნებსა და რეგიონებს შორის ურთიერთობების განმტკიცების მიმართულებით. პრეზიდენტმაც მინისტრებს იმედი არ გაუცრუა და კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში 7 აგვისტოს ახლადარჩეული პრეზიდენტის ხუან მანუელ სანტოს კალდერონის ინაუგურაციაზე გამგზავრება გადაწყვიტა.

## გაციტირებული



**ელიზბარ ჯაველიძე, აკადემიკოსი:**

ეგენი არიან ოპოზიციონერები? არც ალასანიაზე მაქვს საუბარი, იმთავითვე ვაცხადებდი, რომ ეგ არის დავალებით ჩამოსული, მაგას კონტაქტი აქვს „ცერეუსთან“ და ეგ არის სააკაშვილის ორეული. ალასანიას ყოველ ნაბიჯს განაგებს „ცერეუს“ ყველა ის განყოფილება, რომელიც საქართველოს ამერიკის საელჩოში ზის.

*„ქრონიკა“*



**პაატა ზაქარეიშვილი, ექსპერტი:**

მთავრობას ფული არა აქვს. ისეა ამაზე სააკაშვილი გამწარებული, რომ მთავრობის წევრებსაც შეურაცხყოფას აყენებს, თავს ველარ იკავებს. ფული სჭირდება, რომ ხელისუფლებაში იყოს. სხვა არაფერი აინტერესებს — არც აფხაზეთი, არც ცხინვალი, არც დემოკრატია.

*„სარკე“*



**ირაკლი წერეთელი, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე:**

ერი, რომელსაც შეუძლია ათ წელიწადზე მეტ ხანს ხელისუფლებაში ერთ კაცს უყუროს, ერი კი არა, ნახირია. მე მინდა, ჩემს ერს ვუყურებდე როგორც ღირსეულს და არა, როგორც მონების და ლაჩრების ხროვას.

*„სარკე“*



**მარიამ ცაცანაშვილი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი:**

შემოდგომაზე ან პრეზიდენტი მოიშორებს მთავრობას, ან მთავრობა მოიცილებს პრეზიდენტს. პარლამენტი არაფერს არ წარმოადგენს.

*„ქრონიკა“*



**მანანა ნიკოლაიშვილი, „განათლების ლიგის“ პრეზიდენტი, ექსპერტი:**

მშობლებმა, რომლებისთვისაც საკუთარი შვილების მომავალი სულ ერთი არ არის, ხმა უნდა ამოიღონ, თორემ უახლოეს მომავალში მათ შვილებს ეყოლებათ უვიცი და არასრული უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლები.

*„ქრონიკა“*



**მაია კერესელიძე, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამედიცინო კლასიფიკატორების შემუშავების და დანერგვის სამსახურის უფროსი:**

2009 წელს სულ გარდაიცვალა 46625 ადამიანი, გულის და სისხლის მიმოქცევის დაავადებებით გარდაცვლილთა რიცხვმა 25725 შეადგინა.

*„თბილისელები“*



**ნოდარ კაპანაძე, ექსპერტი:**

ქვეყნები, რომლებსაც არა აქვთ ისეთი ხანგრძლივი ისტორია, როგორიც ჩვენ, ყველაფერს აკეთებენ, რომ ისტორია შეიქმნან. ბაგრატის ტაძარი კი ისტორიაა და თან, დიდი. ამიტომაც მისი ბეტონით და 28-მილიმეტრიანი პროფილირებული არმატურით დამახინჯებას ისევ დაკონსერვება სჯობს. თუ მაინცდამაინც აღდგენა გინდა, ზუსტად იმავე ტექნოლოგიით უნდა აღადგინო, როგორითაც თავის დროზე ააშენეს.

*„კვირის პალიტრა“*



**კახა კუკავა, კონსერვატორი:**

მესტიაში ხდება თანხების აკუმულირება, რომ ვითომ ტურისტული ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა უნდა დაიწყოს. ჯერჯერობით ტურისტულ ინფრასტრუქტურას არაფერი ეტყობა, მაგრამ ჭელიძისა და კვიციანის ჯიბეებს ძალიან მსუყედ შეეტყო.

*„სარკე“*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## გამოხმაურებანი



**ნოდარ ნათაძე, სახალხო ფრონტის თავმჯდომარე:**

ხელისუფლებამ შუბლში ტყვია უნდა იკრას.

*„ახალი თაობა“*



**ნესტან კირთაძე, ლეიბორისტული პარტიის წევრი:**

პარლამენტი დღეს არის აბსოლუტურად ცერემონიალური და ფასადური ხასიათის, ის არის 150 ხელისუფლების ერთგული ქვეშევრდომის დასაქმების ადგილი, თავისივე აპარატით.

*„ახალი თაობა“*



**ნიკა ლალიაშვილი, „ქრისტიან-დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი:**

2012 წლამდე დარჩენილი პერიოდი საქართველოში უძრაობის ხანის კლასიკური ნიმუში იქნება, რომელსაც მმართველი ელიტა პერსონალური ბიუჯეტების გასასქელებლად გამოიყენებს.

*„პირველი“*



**თეიმურაზ შაშიაშვილი, „თეთრი მოძრაობის“ (თეთრები) ლიდერი:**

დადასტურებულია, რომ ბერეზოვსკის ძალიან დიდი ფული აქვს ტელეარხ „პირველ კავკასიურში“ ჩაყრილი ... არიან თვითმხილველები, რომლებმაც ბერეზოვსკი სამი დღის წინათ სიღნაღში ნახეს. ძალიან კი მალავდნენ და ჩქმალავდნენ, მაგრამ სიღნაღში იცნეს. მერე წაიყვანეს მახინჯაურში.

*„ქრონიკა“*



**ნონა გაფრინდაშვილი, მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში:**

— ჩემით დაწყდებული, ყველას ბრალია ის, რაც დღეს საქართველოში ხდება. თავიდან, როცა ძალადობრივი აქტების განხორციელება დაიწყეს, მაშინ მე ხმა ამოვიღე? უნივერსიტეტში პროფესორები პატრულმა რომ არ შეუშვა, შენობაში დარჩენილებს კი გარეთ არ უშვებდნენ, იქ მივედი? რატომ არ უნდა მივსულიყავი მე ან სხვებიც?

*„ქრონიკა“*



**სოსო ჯაჭვლიანი, მსახიობი და რეჟისორი:**

— შე კაი ადამიანო, თუ მონათმფლობელობა გინდა, მაშინ გამოაცხადე, გიშლის ვინმე? ამათ რომ მართლა გამოაცხადონ, დღეიდან საქართველოში მონათმფლობელობააო, ხმას არავინ ამოიღებს...

*„ქრონიკა“*

# თავისი უზრდელობით ლამის მთელი მსოფლიო გადაგვკიდა

**აპრილში ამერიკაში თითქმის ერთი თვის უსაქმო ხეტიალის შემდეგ ჩვენი ქვეყნის ჯერ კიდევ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შინ გაცოფებული დაბრუნდა – არც პრეზიდენტმა ობამამ და არც სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა მასთან შეხვედრა არ ისურვეს! არადა, ისეთი ქვეყნის (სადაც ვიცე-პრეზიდენტიც კი არ არსებობს, რათა ის დროებით შეცვალოს) პრეზიდენტი უცხოეთში მთელი თვე უსაქმოდ დადიოდეს, ნამდვილად გინესის რეკორდების წიგნისთვისაა ზედგამოჭრილი.**



სააკაშვილმა ჩამოსვლის მეორე დღესვე მოიწვია საპარლამეტო უმრავლესობა, შემდეგ კი კვლავ გადაიკარგა. როგორც მისი აპარატის დაბნეულმა წევრებმა გვითხრეს, **მგონი**, ლათინური ამერიკის მინიატურულ სახელმწიფო კოსტა-რიკაში გაემგზავრაო. ოღონდ ეს ვარაუდის დონეზე ითქვა, ვინაიდან სააკაშვილი თავის საოცნებო თვითმფრინავში რომ ჯდება, თვითონ არ იცის, საით გაემგზავრება. რატომ მაინცდამაინც კოსტა-რიკაში? იქ თურმე ლამაზი და ვერა ქობალიაზე ბევრად უფროსი და კიდევ ბევრად უფრო განათლებული ქალბატონი აურჩევიათ პრეზიდენტადო! არ ვიცი, კოსტა-რიკას პრეზიდენტს რომელ სამინისტროს შესთავაზებდა საქართველოში? თუ ქალბატონმა ვერონიკამ კანადაში პურის ცხობა და სტრიპტიზი მიატოვა, იმ ლათინოს პრეზიდენტს რატომ არ ეკადრება, მიატოვოს თავისი პატარა ქვეყანა და, სააკაშვილის თქმით, მსოფლიოში ლამის ყველაზე მძლავრი, დემოკრატიული და არაკორუფციული ქვეყანა – სააკაშვილის საქართველო ამჯობინოს (აქ, სამწუხაროდ, გამახსენდა ცხონებული გურამ შარაძის სიტყვები „მე სააკაშვილის საქართველოში ვერ ვიცხოვრებ!“ და აუსრულეს კიდეც სურვილი...)? სამაგიეროდ, კიდევ ბევრი ვერონიკა გვყავს საქართველოშიც და მის გარეთაც, რომლებიც სააკაშვილს ყველა სურვილს დაუკმაყოფილებენ.

**მაგრამ დავუბრუნდეთ სააკაშვილის ამერიკიდან სამარცხვინო დაბრუნებას – თავის საპარლამენტო უმრავლესობას მან, არც მეტი და არც ნაკლები, რასისტული განცხადებით მიმართა: „შავმა კაცმა მიგვატოვაო!“.**

ეს ამბავი, ცხადია, მისმა ერთმა დეპუტატმა გამოიტანა ავლაბრის სასახლიდან (რომელსაც უცხოელებმა კორუფციის სიმბოლო შეარქვეს) და გაზეთებს აცნობა. ასე რომ, პასუხს მე ნუ მომთხოვთ და, ნაცებო, თქვენს რიგებში ეძებეთ მოღალატე.

რას იზამთ, მიშა ადვილად გვიბრაზდება ხოლმე, ამჯერად წამყვან გაზეთებს უწოდა „ბინძური“, მაგრამ, როგორც მახსოვს, იგი თითქოს გაზეთებს არ კითხულობდა, ხოლო ქართულ პრესას ლამის უსუსურს უწოდებდა. მაგრამ ამჯერად ყველას და ყველაფერს გაუბრაზდა, თავისი მინისტრები ყვარლის წყალსაცავთან ლამის დაუნებად გამოიყვანა. მაგრამ ეს არახალია და მინისტრებმაც თავიანთ თავს დააბრალონ, ყოველ შემთხვევაში, იმათმა მაინც, რომლებიც თავს სააკაშვილის დაუნებად არა გრძნობენ.

**2004 წელს მიშა როგორც კი პრეზიდენტი გახდა, პირველი ოფიციალური ვიზიტით 10 იანვარს თავის დიდი ხნის იდეალს – რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს ეწვია. მიშა საშინლად ნერვიულობდა ამ შეხვედრის წინ** (საკუთარი დაკვირვებით გეუბნებით), **მაგრამ თავისი არაორგანიზებულობის გამო მან პუტინთან შეხვედრაზე ოცი (!) წუთით დააგვიანა, რაც ყველა პრეზიდენტისთვის შეურაცხყოფად ითვლება! თავის გასამართლებლად ათეისტმა მიშამ ქართულ აუდიტორიას ცხელი ტყუილი გამოუცხო – ქართულ ეკლესიაში ვლოცულობდი** (რაზე? პუტინის ღიმილზე? — რ.კ.) **და იმიტომ დავაგვიანეო** (იქ ის არავის უნახავს)**! არადა, ვინ-ვინ, მაგრამ პუტინმა რა, არ იცოდა, რომ მიშა მოსკოვის ძვირფასი სასტუმროს საცურაო აუზში ნებივრობდა** და მას, პუტინს აცდევინებდა? პუტინმა შემდეგ, რასაკვირველია, ეს ოცი წუთი მას მძიმედ გადაუხადა, თუნდაც პეტერბურგის სამიტის დროს, როცა მრავალი საათი აცდევინა და შუაღამის შემდეგ მიიღო. პუტინმა ისიც თქვა, რომ სააკაშვილი პირველ შეხვედრაზე რაღაც სერიოზულს შემპირდა და არ გააკეთაო. ასე, მან პირველად გაიგო, რომ საქართველოს პრეზიდენტი არა მარტო არაორგანიზებული ადამიანია, არამედ პირველი ნომერი გადამგდებიც, რაც საქართველოში ყველამ ვიცით! ე.ი. სააკაშვილის სიტყვას აბსოლუტურად არავითარი ფასი არ აქვს.

პეტერბურგის სამიტის შემდეგ სააკაშვილმა დაინახა, რომ მისი „კუმირი“, პუტინი მას არავითარ პატივს არ სცემს. ამიტომ მან სხვა ვერაფერი ვერ მოიფიქრა და **საჯაროდ, მისი ტანმორჩილობის გამო, „ლილიპუტინი“ უწოდა** მას და თან თვითონვე ბევრი იცინა – ეს რა კვიმატი ენა მაქვსო! ამით რომ პუტინის სახით მოსისხლე მტერი შეიძინა, რომელიც მას ადრე თუ გვიან აუცილებლად სამარცხვინოდ მოუღებს ბოლოს, ვერ გათვალა. საპარლამენტო მოსმენაზე დავითაიას ყალბ დეკორაციულ კომისიასთან **მან კვლავ მოიტყუა — „თქვენ მოგისმენიათ, მე ასეთი რამე მეთქვასო?“ მაგრამ ერთი სახელმწიფოს მეთაურის მიერ მეორე სახელმწიფოს მეთაურის შეურაცხყოფის ეს უნიკალური ისტორია დაგვრჩა და ამას ვერ წავშლით!** თუმცა ჯერ სად ვყოფილვართ თურმე.

პუტინთან დაკავშირებული ისტორია რომ დავამთავროთ, მართალია, მან თქვა, რომ სააკაშვილს **„კვერცხებით“** (მან სხვა სიტყვა იხმარა) ჩამოკიდებდა, რაც უხეში რუსული გამოთქმაა და სულაც ▶

## მოკლედ



### ოკუპირებული სპორტი

**„ვერა ქობალიას სპორტის აკადემიის შენობა კანადის პურის საცხობი და სტრიპტიზ კლუბი ჰგონია“, — განაცხადა ყოფილი სპორტის აკადემიის წარმომადგენელთა უფლებების დაცვის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა ირაკლი დოლაბერიძემ,** რომელიც მიიჩნევს, რომ დროა, ქართული სპორტის დეოკუპაცია განხორციელდეს იმ ხელისუფლებისაგან, რომელსაც „სპორტული საზოგადოება მაშინ ახსენდება, როდესაც უცხოეთიდან სახელოვან სპორტსმენებს აეროპორტში ხვდებიან და მიღებული მედლებით ამაყობენ“. გული არც ოკუპანტ ხელისუფლებას აჩუყებია და არც ვერა ქობალიას. ამ უკანასკნელს უფრო მნიშვნელოვანი საქმეებიც თავზე საყრელად აქვს, მაგალითად, ახლა მეთორმეტე კლასელებიდან „ერთდღიანი“ მინისტრის არჩევითაა დაკავებული.



### თბილისს წყალი წაიღებს

**წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის მონაცემებით, თბილისის წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა დინებაა, ტერიტორიაზე თაბაშირის შემცველი გრუნტია, რომელიც ადვილად იხსნება წყალში, შედეგად წყლის მარილიანობა იმატებს და გაჟონვა იწყება. ამიტომ, თბილისის ზღვის გარშემო მდებარე სახლებს როდის გამოეცლება საძირკველი, არავინ იცის.** ამ საფრთხის შესახებ ჯერ კიდევ სამი წლის წინათ იცოდნენ და წყალსაცავიც მაშინვე პატიოსნად შეიტანეს აღსადგენ სადგურთა რიცხვში, მაგრამ არაფერი გაკეთებულა. თბილისის მერია 2008 წლიდანაა გაფრთხილებული, რომ წყალსაცავის გარშემო მდებარე თემქის, მუხიანის, ვარკეთილისა და ვაზისუბნის დასახლებებში საცხოვრებელი ბინების მდგომარეობა სახიფათოა.




### საგადასახადო ცხოვრებას გვირთულებს

**საგადასახადო კოდექსში ცვლილებების მზადების დაუსრულებელი პროცესი გრძელდება. ვადა იწურება, ახალი კოდექსი 2011 წლის 1 იანვრიდან უნდა ამოქმედდეს, თუმცა სულსწრაფმა მთავრობამ ვერც მოითმინა და მის ზოგიერთ მუხლს წინასწარ უყარა პარლამენტში კენჭი. სწორედ ამის გამო ზოგიერთი ცვლილება 1 აგვისტოდან შევიდა ძალაში.** პროექტის უკანასკნელი ვერსიის მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელფასებს გრანტებიდან გასცემენ, 2011 წლიდან ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის სახით 20%-ს გადაიხდიან. დღემდე ისინი შეღავათიანი პირობებით სარგებლობდნენ და მათი გადასახადი მხოლოდ 12%-ს შეადგენდა. მართალია, მთავრობა აცხადებდა, რომ 2011 წლის იანვრიდან ეს გადასახადი მხოლოდ 18%-მდე გაიზრდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მთავრობის ერთადერთი შეუსრულებელი პირობა არაა. ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, პრესა, უმაღლესი სასწავლებლები და სამედიცინო დაწესებულებები კვლავ ისარგებლებენ შეღავათიანი პირობებით.

ძველი პრინციპით, მაგრამ გაზრდილი განაკვეთით დაიბეგრება კერძო ქონების გაყიდვით მიღებული შემოსავალი. თუ პირი საკუთარ მფლობელობაში არსებულ სახლს ან ავტომანქანას მისი შეძენიდან ორი წლის გასვლამდე ყიდის, გადამყიდველად ითვლება და ბიუჯეტს მიღებული შემოსავლის 20% უნდა გადაუხადოს. აქამდე მოქმედი კოდექსით, ეს გადასახადი მხოლოდ 2% იყო. ზემოხსენებული ორი წლის გასვლის შემდეგ, მფლობელი საკუთრების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლიდან არაფერს არ გადაიხდის.

1 აგვისტოდან გაორმაგდა აქციზის ფასი სპირტიან სასმელებზე და ერთი ლიტრისათვის 3-5 ლარი დაწესდა. ღვინო, ისევე, როგორც ეს აქამდე იყო, მომავალშიც არ საჭიროებს აქციზს.

ახალი აქციზი დაწესდა მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორთათვის. მათ ბრუნვის 10% ბიუჯეტს უნდა უხადონ. საოცარია, მაგრამ მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორებს ეს სიახლე არ გაუპროტესტებიათ და კოდექსის განხილვისას რაიმე შენიშვნები არ წარუდგენიათ.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

პირდაპირ არ გულისხმობს ნათქვამს, უბრალოდ, ქართულად ასევე უხეშად ითარგმნება — **„ყოფას ვუტირებ“.** მაგრამ სააკაშვილმა ეს პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო და უცხოელებთან ყველა ინტერვიუში ცრემლნარევი ხმით სულ ამას იმეორებს, ნახეთ, პუტინი რას მიპირებსო. თუმცა მაშინ პუტინმა იგი მეორე დღესვე მთელი მსოფლიოს წინაშე და, უწინარეს ყოვლისა, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის წინაშე შეარცხვინა გორში. ეს კადრები ყველას აქვს ნანახი, მათ შორის — სააკაშვილის ზომბებსაც, მაგრამ მათ ჭკუას ვინ ეკითხება. **კუშნერმა კი, რომელსაც მიშასავით ჯავშანჟილეტიც კი არ ეცვა, გაქცეულ სააკაშვილს შეუთვალა — მე გორში ვარ და სტალინის სახლ-მუზეუმი მინდა დავათვალიეროო!**

საერთოდ უზრდელი პრეზიდენტები ჩვენ აქამდე მხოლოდ აფრიკაში გვენახა; მაგალითად, უგანდის პრეზიდენტი იდი ამინი რას ამბობდა ბრიტანეთის დედოფალზე, ვერ გავიმეორებ; უარესი იყო ცენტრალური აფრიკის კანიბალი „იმპერატორი“ ბოკასა და ა.შ. **მაგრამ ისინი შავკანიანები იყვნენ, რომლებიც, სააკაშვილის აზრით, „ველურებია“.**

კი, ბატონო, იდი ამინმა და ბოკასამ როგორ დაამთავრეს, პოლიტიკაში განათლებულმა სპეციალისტებმა იციან (არა მგონია, სააკაშვილი მათ რიცხვში იყოს!).

მაგრამ მსოფლიოს ნომერი პირველი ზემძლავრი სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამას რა ვუყოთ – ნუთუ სააკაშვილის აზრით ისიც „ველურია“?! კი, ბატონო მიშა, არ მიგიღო, შენთვის ხელის ჩამორთმევის რცხვენია, ისევე, როგორც ევროპის სახელმწიფოების პრაქტიკულად ყველა ლიდერს, რომელთათვისაც ლამის კეთროვნის დონეზე ხარ, მაგრამ ამერიკის ფულის გარეშე სად იქნებოდა საქართველო და თუნდაც შენი სამარცხვინო რეჟიმი? ყველაზე ცუდი უმადურობაა, მაგრამ ყველაზე ამაზრზენი და აგრესიული — ჩვეულებრივად ბატონის ხელიდან გამოკვებილი ლაქიები, რომელთაც მცნება — მადლიერება არც ჰქონიათ და არც ექნებათ!

დავუბრუნდეთ ჩვენს უბადრუკ სიტუაციას, როდესაც სააკაშვილი ერთი კვირის წინათ სამხედროების წინაშე გვაფრთხილებდა უახლოეს ხანებში გარდაუვალი ომის თაობაზე – კი მაგრამ, ვისთან? რუსებს რაც უნდოდათ (სამხედრო ბაზები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მიშამ უკვე აჩუქა), ისედაც აქვთ, მეტი აქ აღარაფერი სჭირდებათ, ე.ი. ახალი ომი მათთან გამორიცხულია, და თან მიშას პროვოკაციებზე ისინი ნამდვილად არ მგონია, რომ წამოეგონ. **უფრო მეტიც, მიშა, საქართველოს ეს დაჩმორებული და დამცირებული პრეზიდენტი, რუსებს აწყობთ, მან, რომელმაც დევნილებს ისეთი სამარცხვინო ცხოვრება შეუქნა, რომ, ცხადია, სურს საქართველოს რუკაზე არც აფხაზეთი და არც სამხრეთ ოსეთი არ არსებობდეს. რაში აწყობს რუსეთს ახალი ომი?** როგორც ცნობილი რუსი პოლიტოლოგი პაველ შერემეტი ამ დღეებში წერდა, ახალი ომის შედეგად სააკაშვილის ადგილზე ბურჯანაძე მოვა ხელისუფლებაში, რომელიც აშკარაა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს, და ამიტომ სააკაშვილი რატომ შევცვალოთო? კომენტარები აქ ზედმეტია.

ანუ ვისთან უნდა ვიომოთ კიდევ? ჩინეთი ან არგენტინა შორს არის, გვრჩება ერთადერთი ქვეყანა – ირანი, სადაც უახლოეს ხანში შეიძლება ომი დაიწყოს. ირანის პრეზიდენტი ახმადინეჯადი უკვე იმდენჯერ დაემუქრა ისრაელს, რომ მიწის ზედაპირისგან აღგვიდა, რომ ეს პატარა, მაგრამ ამაყი სახელმწიფო, დიდი ხნის წინათ უპასუხებდა, რომ არა ამერიკის თხოვნა – თუ თქვენ ომს დაიწყებთ, ჩვენც ჩაგვითრევთო. მაგრამ ისრაელის მოთმინებასაც, ალბათ, აქვს საზღვარი. აცალოს ირანს, ვიდრე ის ატომურ ბომბებს შექმნის და მას, ისრაელს დაარტყამს? სხვათაშორის, ისრაელმა ოციოდე წლის წინათ ანალოგიური პრევენციული ოპერაცია უკვე ჩაატარა – ერაყში სადამ ჰუსეინი ატომური ბომბის შექმნაზე ჩალიჩობდა და ერთ დღეს ისრაელის ავიაციამ ის ობიექტები მიწასთან გაასწორა, ხოლო მსოფლიომ ტაში დაუკრა. დღეს ეს ირანში გაცილებით უფრო ძნელი იქნება. მაგრამ ამერიკული „TIME“-ის ბოლო ნომერში ვკითხულობთ, რომ ასეთი ომი გარდაუვალია და ის, ალბათ, უახლოეს ხანში იქნება.

**ვისთან ერთად ვართ ჩვენ ირანთან დაკავშირებით? სულ ცოტა ხნის წინათ ეს კითხვა სასაცილო და აბსურდული იქნებოდა, მით უმეტეს, რომ ობამას ინაუგურაციამდე ცხრა დღით ადრე, ჟურნალისტების გარეშე, პრესისთვის საიდუმლოდ, ბუშის ადმინისტრაციამ ობამას კიდევ ერთი თავის ტკივილი დაუტოვა, თითქოს რაც დაუტოვა მსოფლიოს, საკმარისი არ ყოფილიყოს** (ავღანეთი, ერაყი, ირანი, მსოფლიო ეკონომიკური და ფინანსური კრიზისები და ა.შ.). **კონდოლიზა რაისმა ვაშინგტონში საიდუმლოდ მოაწერა ხელი დოკუმენტს საქართველოს „სტრატეგიულ პარტნიორად“ გამოცხადების შესახებ, რაც ამერიკულმა პრესამ მხოლოდ საქართველოსგან შეიტყო. მას, კონდოლიზა რაისს უფლება დე იურე კი ჰქონდა, მაგრამ დე ფაქტო ამას ამერიკაში ინაუგურაციის წინ არავინ აკეთებს!** ხოლო ამერიკულ პრესას დაუმალეს, რომ, უბრალოდ, ამ აქტისადმი დაცინვა არ მიეღოთ. თუმცა აქ მარტო დაცინვა არ იყო საჭირო.

ასე რომ, ვისთან ვიქნებით ჩვენ ამერიკა-ირანის ომის შემთხვევაში? **ამერიკიდან დაბრუნებულმა დაბოღილმა სააკაშვილმა, ვიდრე პრეზიდენტ ობამას „ზანგს, ანუ ველურს“ უწოდებდა, გამოაცხადა, რომ ირანის პრეზიდენტ ახმადინეჯადს** (ამერიკელების აზრით, „ამერიკის ნომერ პირველ მტერსა და ტერორისტს“) **საქართველოში ეპატიჟება და თან ახლა, აგვისტოში!**

და თან სპარსელებს, რომელთაც, კარგა ხანია, არც ერთ ქვეყანაში არ უშვებენ სომხეთის გარდა, ჩვენთან უვიზო რეჟიმი ექნებათ! **„ესეც თქვენ, ამერიკელებოო“, — ბრძანა სააკაშვილმა, ვიდრე ობამას პირდაპირ ლანძღვაზე გადავიდოდა.**

მაგრამ ღიად რჩება კითხვა — **ამერიკა-ირანის გარდაუვალი ომის შემთხვევაში, ჩვენ, ქართველებს, ვინც ასე უტვინოდ დავისვით ფსიქიურად ავადმყოფი კაცი პრეზიდენტად, ვის მხარეზე მოგვიწევს ომი?** ადრე ეს ნათელი იყო — ჩვენ ამერიკელებს მხოლოდ პლაცდარმად ვჭირდებოდით ირანზე დასარტყმელად. ირანს კი იმდენი რაკეტები აქვს, თუ ისრაელს არა, ჩვენ, ამერიკის ლაქიას მაინც დაგვცხოს! მაგრამ თუ ამერიკაზე დაბოღმილი სააკაშვილი ირანს დაუძმაკაცდება? ამერიკა, რომელიც აქ მყუდროდ ზის ყველგან, ყველა სამინისტროში, რას იზამს? ამაზე ფიქრიც კი მიჭირს.

და მივდივართ იქეთკენ, რითაც დავიწყეთ — **სააკაშვილმა თავისი არაპრეზიდენტული უზრდელობით ლამის ყველა წამყვანი მსოფლიო ლიდერი გადაგვკიდა — გაიხსენეთ თუნდაც მისი გამონათქვამები ანგელა მერკელსა და ნიკოლა სარკოზიზე.** ფეისბუკში თავისუფლების (სოროსის) ინსტიტუტის ხელმძღვანელები უკვე ობამაზე ათავსებენ კარიკატურებს, როგორც რუსეთის აგენტზე (ალბათ, ფულს აღარ იღებენ ამერიკიდან!). კი მაგრამ, რა ყოფილა ეს „გაზპრომი“, რომ მთელი მსოფლიოს ლიდერები მისი აგენტები ყოფილან? კი, ბატონო, **მე თანახმა ვარ, მიწოდოთ „გაზპრომის“ აგენტი** (რატომღაც არც ფულს და არც გაზს არ მაძლევენ) **მაშინ, როცა ჩვენი ყველაზე სასიქადულო და მსოფლიოს ყველა დროის უდიდესი საოპერო მომღერალი პაატა ბურჭულაძე ერთი საქველმოქმედო კონცერტისთვის „ერის მოღალატედ“ გამოაცხადეს! ანდა დღეს კახი კალაძეზე უფრო დიდი სპორტსმენი სად გვყავს საზღვარგარეთ? მას ერთი კარგი ფრაზა საგაზეთო ინტერვიუში საქართველოს ხელისუფლებამ „თავზე დაახია“!** თუმცა მათ იმის შეეშინდათ, რომ ეს ფანტასტიკურად პოპულარული კაცი სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ პოლიტიკაში არ მოსულიყო. ასე რომ, **რასთან გვაქვს საქმე, თუ არა ხელისუფლების ძირითადი ბირთვის ავადმყოფ ფსიქიკასთან და პარანოიდულ შიშთან ყველა წარმატებული ადამიანის მიმართ?**

არსებობს XVIII საუკუნის უდიდესი გერმანელი ფილოსოფოსის — ჰეგელის მიერ აღმოჩენილი დიალექტიკის კანონი (რომელიც შემდეგ ძალიან დამახინჯებული მარქსისტული ვერსიის სახით ისწავლებოდა საბჭოთა უმაღლესებში), რა კანონითაც **რაოდენობრივი ყოველთვის გადადის თვისობრივში,** ანუ, ამ კანონით, **მიშას სისტემატური ლანძღვა-გინება მასვე დაუბრუნდება** რაღაც მომენტში და ეს მომენტი, მისი ბოლო განცხადებებიდან გამომდინარე, საბედნიეროდ, არც თუ ისე შორსაა.

**რამაზ კლიმიაშვილი**

## მოკლედ



### საგადასახადო აფრთხობს ინვესტორებს

**საფრანგეთის ელჩმა ერიკ ფურნიემ ორიოდე დღის წინათ განაცხადა, რომ „უცხოელი ინვესტორები სკეპტიკურად არიან განწყობილნი, ვინაიდან არ ესმით საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლების მათდამი მოკირკიტე დამოკიდებულება“.** მისივე თქმით, სოფლის მეურნეობა საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს კოზირად რჩება, მაგრამ ამ სფეროში უცხოელი ინვესტორების დასაბრუნებლად მხოლოდ საგადასახადოს „გამოსწორებაც“ არ იკმარებს — დამატებით საჭიროა იმავე საგადასახადოს მიერ წარმოებულ პროცედურებში, ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღებისას და ფულადი სახსრების წარმომავლობის საკითხებში გამჭვირვალეობის დანერგვა. რაც შეეხება ინვესტირების სხვა პერსპექტიულ სფეროებს, ფურნიეს აზრით, ფიტო-სანიტარული კონტროლის ნორმების დაცვის გარეშე საქართველოში ტურისტებს უსაფრთხოების გარანტია ვერ ექნებათ.



### პენტაგონის „ავღანური არქივი“

**აშშ-ში ინფორმაციის აქამდე არნახული გაჟონვის შედეგად, მსოფლიოს წამყვანმა გაზეთებმა დაბეჭდეს მასალათა მთელი სერია, რომელშიც ამერიკელი სამხედროები ავღანეთის ომის დღემდე უცნობ ფაქტებს ახმაურებენ. მეორეს მხრივ, საიდუმლო ინფორმაციის შემცველი ათასობით დოკუმენტი ამგვარი მასალების გამოქვეყნებაზე სპეციალიზებულ ვებ-გვერდ wikileaks-ზე განთავსდა.**

სკანდალი ასეთი მასშტაბური არ იქნებოდა, საიდუმლო მასალებში კოალიციური ძალების მიერ ავღანეთში ომის წაგების გარდაუვალი პერსპექტივები რომ არ ყოფილიყო ასახული. გაცხადდა ისიც, რომ სამხედროები ათასობით მშვიდობიან მოქალაქეს კლავენ, თალიბების მხრიდან თავდასხმები ბევრად უფრო ხშირია, ვიდრე ამას ოფიციალური ინფორმაციით ასახავენ. მასალები ათი ათასობით გვერდს მოიცავს და 2004-დან 2009 წლამდე პერიოდს ასახავს. მათში სხვა ყველაფერთან ერთად დეტალურადაა ასახული მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვისა და თალიბანის ლიდერთა განადგურების ეპიზოდები.

საავტორო სვეტი



# როდესაც დარეკავს ზარი

**28 ივლისს მიხეილ სააკაშვილი თავდაცვის სამინისტროს სტუმრობდა. ამ ჯერზე მთავარსარდლის ჰალსტუხში ორი ფერი იყო შეზავებული: შემოდგომის შებინდების ფერს, რომელიც, პიერ კარდენის თქმის არ იყოს, ირიბ მეტაფიზიკურ მინიშნებებს შეიცავდა, დამფრთხალი კალმახის ფერი ერწყმოდა; რაზეც ჯორჯო არმანი, ალბათ, იტყოდა... თუმცა, არა, ჯორჯო არაფერს იტყოდა, უბრალოდ, ზოგადი ალტაცებიდან გამომდინარე, ხელებს ზეცისკენ აღაპყრობდა.**

ვერაფერს ვიზამთ: **როდესაც მიხეილ სააკაშვილი სამხედრო-პატრიოტულ თემებზე იწყებს საუბარს, ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც მეხსიერება არ ღალატობს, მყისვე ჰალსტუხი ახსენდება** და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ სააკაშვილი თავად არ გააცნობიერებს, რომ მისი კომპეტენცია და განვლილი საბრძოლო გზა, რბილად რომ ვთქვათ, ნაკლებად აძლევს შესაძლებლობას, ამბიციურად იმსჯელოს თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე; ეს „მისი თემა“, ალბათ, მაინც არ არის და არც არასოდეს გახდება. ამისთვის სხვა, შესაბამისი გამოცდილებისა და გამბედაობის ადამიანები არსებობენ.

**შეიძლება საუბარი ამინდზე, ბალეტსა და ბადმინტონზე** (შემთხვევითი ჩამონათვალია, უბრალოდ, არ ვიცი, რომელ სფეროშია კომპეტენტური), **სამხედრო საქმე კი... აღარ გავაგრძელებ, რადგან ყველას კარგად ახსოვს, რა მოხდა მაშინ, როდესაც მიხეილ სააკაშვილი ამ საქმით დაკავდა.**

წესისამებრ, მხიარულ ნოტაზე გაგრძელება მინდოდა, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ამის გაკეთება არ შემიძლია. იმის გახსენება, რაც სააკაშვილის ხელისუფლებამ ორი წლის წინათ ქვეყანას დამართა, ცოტა სხვა განწყობას უკავშირდება. მინდა გიამბოთ ერთი ისტორია, რომელიც 2008-ში მოხდა; არანაირი გეოპოლიტიკა და დიპლომატია, ტანკები და ბომბდამშენები, უბრალოდ, ერთი რეპლიკა, რომელმაც ჩემზე ძალიან სერიოზულად იმოქმედა.

**იმ დღეებში, როდესაც დევნილების უზარმაზარი ნაკადი თბილისს მოაწყდა, ხელისუფლება, ფაქტობრივად, პარალიზებული იყო. ამ ადამიანების უზრუნველყოფა კვებითა და აუცილებელი ნივთებით სერიოზულ პრობლემად იქცა.** რამდენიმე (ყველაზე მძიმე) დღის განმავლობაში დევნილები, რომელთა დიდი ნაწილი სხვადასხვა სასწავლებლების შენობებში განთავსდნენ, იქ მომუშავე პედაგოგების, მოხალისეების, სასულიერო პირებისა და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების ზრუნვის იმედად დარჩნენ. ლეიბებსა და მედიკამენტებს თავი რომ დავანებოთ (არადა, როგორ დაანებებ, როდესაც ადამიანები იატაკზე წვანან, ერთი გოგო საცაა მშობიარობას დაიწყებს, ხოლო მეზობელ ოთახში კამეჩივით ძლიერ მამაკაცს ფსიქიური აშლილობა დაეწყო და ყველაფერს ამსხვრევს), ამდენი ადამიანის სურსათით უზრუნველყოფა მეტად რთულია. ბევრი რამ უბანში გროვდებოდა, რაღაც-რაღაცების შოვნა სხვადასხვა ორგანიზაციებში მოხერხდა, თუმცა, ვიდრე მომარაგება მეტ-ნაკლებად სტაბილური გახდებოდა, ვითარება საკმაოდ მძიმე იყო. იმას, რომ საჭმელი მზადაა, შენობის სხვადასხვა სართულებზე განთავსებულ დევნილებს ზარი ამცნობდა; ჩვეულებრივი ზარი, რომელსაც სასწავლებლებში იყენებენ.

**ის ბიჭი 7-8 (მაქსიმუმ 9) წლის იქნებოდა; იგი გაუბედავად მიუახლოვდა ოთახს, სადაც იმპროვიზებული სამზარეულო იყო გაშლილი, მერე უკან დაიხია, შემდეგ ისევ წინ წამოვიდა, ბოლოს ძალა მოიკრიბა და იკითხა: „ზარი მალე იქნება?“,**

ამის თქმის შემდეგ მყისვე გაწითლდა და თავი ჩაღუნა, თითქოს რაღაც დააშავა. ამ ბავშვს ძალიან შიოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რაღაც შინაგანი წინაღობა შესაძლებლობას არ აძლევდა, ეთქვა **„მაჭამეთ რამე“** ან, უბრალოდ, **„მშია“** და, როგორც ჩანს, **ხანგრძლივი, მწარე ფიქრის შემდეგ კითხვას სხვა, უფრო მოხდენილი ფორმა მოუძებნა.**

ოთახში მყოფ ბევრ ადამიანს თვალზე ცრემლი მოადგა. ტელევიზორი, რომელსაც ხმა ჩაწეული ჰქონდა, აჩვენებდა, თუ როგორ მოაბიჯებენ თბილისში ჩამოსული „ახალგაზრდა დემოკრატიების“ პრეზიდენტები ხალიჩაზე, რომელიც ისეთი წითელი იყო, თითქოს სისხლით გაჟღენთილიყო.

**რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ იმ ბიჭისგან ძალიან კარგი კაცი დადგება; არა ღირსებააყრილი და ნამუსგარეცხილი „ახალი ტიპის ქართველი“, არამედ ნამდვილი ვაჟკაცი, რომელიც ქვეყანასაც უპატრონებს და შვილებსაც ისე გაზრდის, რომ მათი ნამოქმედარის არასოდეს შერცხვება. საქართველო კი, მიუხედავად იმისა, უნდა ეს ვინმეს თუ არა, ნამდვილად მარად იცოცხლებს.**

**დიმიტრი მონიავა**

4 — 10 აგვისტო, 2010 წელი. №29 (72)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ირაკლი კაკაბაძე: თუ სააკაშვილი შავკანიანებს ბოდიშს არ მოუხდის, ჰააგის სასამართლოში ვუჩივლებთ

**ამასწინათ „ადამიანის უფლებათა ცენტრმა“ პრესკონფერენცია მოაწყო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის რასისტული და მილიტარისტული განცხადებების თაობაზე. თავდაცვის სამინისტროს სატელევიზიო არხ „საქართველოზე“ სისტემატიურად გადიოდა სარეკლამო რგოლი სამხედრო-სარეზერვო სამსახურის შესახებ, სადაც დადებით კონტექსტში, როგორც დიდი ავტორიტეტის ციტატა, გამოყენებული იყო ფაშიზმის მამამთავრის, ადოლფ ჰიტლერის გამონათქვამი: „ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიგნოთ, რომ დაკარგულ ტერიტორიებს ვერასდროს დავიბრუნებთ ვერც ფორმალურად ქცეული ლოცვითა და ვერც ერთა ლიგის იმედზე ყოფნით, არამედ — მხოლოდ იარაღის ძალით“.**



საააკაშვილის მილიტარისტული პოლიტიკაც თავისთავად რასისტული და ფაშისტურია, რადგან ჩვენი უმცირესობების — აფხაზებისა და ოსების მიმართ ასეთი ძალადობის ხერხებს იყენებს.

**„ადამიანის უფლებათა სახლის“ წარმომადგენლების აზრით, მილიტარისტული გამონათქვამების პარალელურად ბოლო დროს პრეზიდენტ სააკაშვილის არაკორექტულ განცხადებებში რაზისმის ნიშნებიც შეინიშნება. კერძოდ, 27 ივლისს, ფინანსთა სამინისტროს მაღალჩინოსნებთან საუბრისას, საბაჟოზე ჩანთების გახსნის მავნე ტრადიციების განხილვის დროს, სააკაშვილმა იკითხა: „ჩვენ ზანგები ვართ თუ რატომ ვიქცევით ველურებივით, ამიხსენით?!“**

**პრესკონფერენციის გამართვის ერთ-ერთი ინიციატორი ამერიკიდან ახლახან დაბრუნებული ირაკლი კაკაბაძეა. გადავწყვიტეთ, ამ თემასთან დაკავშირებით მასთან უფრო დეტალურად გვესაუბრა.**

**— ბატონო ირაკლი, პრეზიდენტმა 27 ივლისს განცხადებაში საკმაოდ არაკორექტული ფრაზა წარმოთქვა: „ზანგები ვართ, ველურებივით რომ ვიქცევით?“ — რა დგას, თქვენი აზრით, ამ ფრაზის უკან და იყო თუ არა ეს შეგნებულად ნათქვამი?**

— სააკაშვილის ამ განცხადების მიღმა ღია და დაუფარავი რასიზმი დგას. ესაა შავკანიანების პირდაპირი დამცირება. სიტყვა „ზანგი“ შეურაცხმყოფელი მიმართვაა და მასზე უფრო უარესი, სიტყვა ველური რომ იხმარო. ვიმედოვნებ, რომ მას ეს წამოცდა, მაგრამ ეს არაა პირველი შემთხვევა. **საქართველოს მთავრობა ხშირად აკეთებს რასისტულ, ფაშისტურ და მილიტარისტულ განცხადებებს.** ერთ-ერთი მათგანი იყო ჰიტლერის გამონათქვამის გაშვება 2008 წლის ივლისში ტელევიზია „საქართველოს“ ეთერში. განცხადება გამართლებული იქნა თავდაცვის სამინისტროს ჩინოსნების მიერ.

თუნდაც ლევან რამიშვილის ბლოგი რომ ავიღოთ. იგი ამ მთავრობის ერთ-ერთი იდეოლოგია. რამიშვილის ბლოგზე ბარაკ ობამას შესახებ ისეთ კარიკატურებსა და განცხადებებს ნახავთ, რომელიც აშკარა ფაშიზმსა და რასიზმს შეიცავს. **სააკაშვილის მილიტარისტული პოლიტიკაც თავისთავად რასისტული და ფაშისტურია, რადგან ჩვენი უმცირესობების — აფხაზებისა და ოსების მიმართ ასეთი ძალადობის ხერხებს იყენებს.** უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს სახელმწიფო პოლიტიკაა და არა შეცდომა. **მიშა სააკაშვილმა ბოდიში უნდა მოიხადოს საკუთარი გამონათქვამების გამო და პოლიტიკა 180 გრადუსით შეცვალოს. სამხედრო-პოლიტიკური სახელმწიფოდან ნორმალურ ცივილიზებულ დემოკრატიულ რეჟიმზე უნდა გადავიდეს.**

**— პრეზიდენტი სააკაშვილი თავის ერთ-ერთ ყველაზე სტრატეგიულ მოკავშირედ ამერიკას მიიჩნევს. მისი პრეზიდენტი კი ფერადკანიანია. ამდენად, შეიძლება ყურადღება არ მიაქციო სააკაშვილის, თუნდაც უნებლიეთ წარმოთქმულ, ამ ფრაზას?**

— სახელმწიფო მოხელემ, მითუმეტეს პრეზიდენტმა თავისი სათქმელი გონებაში კარგად უნდა აწონ-დაწონოს, სისულელის წამოროშვა, თუნდაც უნებლიეთ, სწორედ რომ სრული სერიოზულობით აღიქმება, როცა მას პრეზიდენტი ამბობს. საქართველოს მტერი უნდა იყო, ასეთი განცხადებები რომ გააკეთო. ამაზე სააკაშვილმა ბოდიში უნდა მოიხადოს, და საერთოდ, ყველა იმ განცხადებაზეც, რომელიც ფაშისტურ, ეთნონაციონალისტურ პოლიტიკას ემსახურება. ამან საქართველოში ბოლო დროს უამრავი ნეოფაშისტური ჯგუფი გააჩინა. პასუხისმგებელი ყველაფერ ამაზე მხოლოდ ეს მთავრობაა.

**— როგორ ფიქრობთ, მოიხდის სააკაშვილი ბოდიშს და თუ არა, რა მოხდება მაშინ?**

— ჩვენ მანამდე არ გავჩერდებით, სანამ პრეზიდენტი ბოდიშს არ მოიხდის. თორემ ჰააგის სასამართლოში ვუჩივლებთ. **ასეთ განცხადებებს არც ერთ ცივილიზებულ სახელმწიფოში არ აკეთებენ არც პრეზიდენტი და არც პარლამენტის წევრები და, თუ ვინმე აკეთებს, ხშირ შემთხვევაში, დიდი სკანდალით ტოვებს თანამდებობას.** თქვენთვის, ალბათ, ცნობილი ფაქტია, როდესაც ბერლუსკონს ბარაკ ობამაზე წამოსცდა გარუჯულიაო. ამის გამო მას უდიდესი წინააღმდეგობა შეხვდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს რასიზმის გამოვლინება არ იყო. **სიტყვა „ზანგი“, ბოლო 40 წელია, არ იხმარება პოლიტიკურ დისკუსიებში. ამ სიტყვის ხმარება ბარბაროსობა და მთლიანად შავკანიანი ხალხის შეურაცხყოფაა.** სიტყვა „გარუჯვაზე“ ევროპის ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა პოლიტიკოსმა ბოდიში მოიხადა, სააკაშვილი კი აქამდე დუმს.

**— რაც შეეხება მილიტარისტულ პოლიტიკას. ჭირდება თუ არა ქვეყანას ამდენი სამხედრო სამსახურმოხდილი ადამიანი?**

— ვფიქრობ, რომ არა. ამასთან დაკავშირებით ჩვენ უკვე გაგვიჩნდა პროტესტი და მალე სერიოზულად მივხედავთ ამ საკითხს. ამ დღეებში ვაპირებთ აქციის გამართვას, რომელიც მიმართული იქნება მილიტარიზმის წინააღმდეგ. მოვითხოვთ, რომ კონსტიტუციაში შეიტანონ ცვლილება სამხედრო სამსახურისა და რეზერვის ალტერნატივაზე. ადამიანებს უნდა ჰქონდეთ იმის საშუალება, ჯარში საკუთარი სურვილით წავიდნენ. ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ასე ხდება. კამპანიას საქართველოს მილიტარიზაციის წინააღმდეგ უახლოეს მომავალში დავიწყებთ და ამაში ჩართული იქნებიან არა მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციები, არამედ ცნობილი ადამიანები — მწერლები, პოეტები, საზოგადო მოღვაწეები.

**— თქვენი აზრით, რატომ უთმობს ხელისუფლება ამხელა ყურადღებას და თანხებს თავდაცვის სფეროს?**

**— როდესაც ჯარში იწვევ ყველას, ბუნებრივია, რომ ომს აპირებ. 2004 წლიდან სააკაშვილმა ისტერიულად დაიწყო ხალხის რეზერვში გაწვევა და 2008-ში მოხდა დანაშაულებრივი ომი, რომელმაც ძალიან დაგვაზარალა.** სააკაშვილმა ომი წააგო, დაკარგა ტერიტორიების დიდი ნაწილი, დაიხოცა და გაუბედურდა ამდენი ადამიანი. ადამიანებმა ხელმეორედ დაკარგეს საკუთარი სახლები და უსახლკაროდ და უიმედოდ დარჩნენ. **სააკაშვილის ისტერიულმა რეზერვისტულმა პოლიტიკამ რაც გამოიწვია ვნახეთ და ახლა ახლიდან აპირებს კიდევ ამის გაკეთებას.** ეს იქნება ძალიან დიდი დადანაშაული, რადგან ამ ნაბიჯმა შესაძლოა გამოიწვიოს ინტერვენცია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

სააკაშვილის პოლიტიკას მე მხატვრული ფილმის „რეკორდის“ სიუჟეტს ვადარებ — შემაგინე და გესვრიო. პუტინი არის ის, რომელმაც ქვა უნდა ისროლოს და სააკაშვილი — ვინც აგინებს. ერთხელ ისე შეაგინა, უკვე ესროლა. ახლა კიდევ ცდილობს მეორედაც ასროლინოს და შემოიყვანოს მთელი რუსის ჯარი თბილისში. **ჩვენ თუ გვინდა რომ თავი დავიცვათ ოკუპაციისგან, სახელმწიფომ მილიტარიზმზე უარი უნდა თქვას.** ჩვენი მთავარი ძალა უნდა იყოს დემოკრატია და თანასწორუფლებიანობა.

**— ბოლო დროს საქართველოს ყველა პოლიტიკის შეცვლას და ქვეყნის გამთლიანებას დემოკრატიული გზით ურჩევს.**

— ამერიკამ სააკაშვილს სამხედრო თანამშრომლობა შეუწყვიტა. იგი საქართველოს ბევრად უფრო მეტ ფულს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის აძლევს. აუცილებელია, სწორედ ამ გზით წავიდეს საქართველო. **6 წლის განმალობაში ტოტალიტარულმა რეჟიმმა იმ მდგომარეობამდე მოგვიყვანა, რა მდგომარეობაშიც დღეს ვართ. გაჭირვებულ ადამიანთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. ასევე გაიზარდა ნაპრალი მდიდრებსა და ღარიბებს შორის.** არის ერთი მუჭა მდიდრები, ბენდუქიძის, გურგენიძის, ამ მთავრობის მეგობრების სახით. ყველა დანარჩენი ღარიბ-ღატაკია. ეს გამოიწვია მიშას მილიტარისტულმა პოლიტიკამ და სწორედ ეს პოლიტიკაა შესაცვლელი.



ესაუბრა
**თეო ტაბატაძე**

## მოკლედ



### ესეც სააკაშვილს დაბრალდა

**იმის გამო, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა და მთავრობის წევრებმა ვერ მოიცალეს, ფოთში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ოფიციალური გახსნა გადაიდო.** როგორი დასაჯერებელია, რომ სააკაშვილმა თავისი საყვარელი საქმიანობისათვის დრო ვერ გამონახა, თავად განსაჯეთ. კულუარული ინფორმაციით კი, პრეზენტაციის გადადების რეალური მიზეზი კომპანიების სიმცირე გახდა. შეგახსენებთ, 2008 წელს კომპანია „რაკ ალ ჰაიმათ ინვესტმენტსა“ და სახელმწიფოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ფოთის ნავსადგურსა და მიმდებარე ტერიტორიაზე 300 ჰექტარი მიწის ფართობი იქ თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის პირობით 99 წლიანი სარგებლობით კომპანია „რაკ-ჯორჯიას“ გადაეცა.





### დამოუკიდებლობა ნაურულად

**„კოსოვოს დამოუკიდებლობა ალბანელ ნარკომაფიოზებსა და პრემიერ ტაჩის 250 მილიონი დაუჯდათ. ანალოგიური თანხის გამოყოფა შეუძლიათ ჩვენს სომეხ ოლიგარქებსაც, რომლებიც ალბანელებზე არანაკლები პატრიოტები არიან“.** ეს განცხადება რუსეთის გეოპოლიტიკური აკადემიის პრეზიდიუმის წევრ არაიქ სარქისიანს ეკუთვნის და მასში „პატრიოტობა“ მთიანი ყარაბაღის აღიარებისთვის სოლიდური თანხის გადახდას ნიშნავს. 250 მილიონის პოტენციური ადრესატი ნაურუა — სახელმწიფო, რომელმაც თავის დროზე აფხაზეთისა და ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობებიც აღიარა. სომეხი ოლიგარქები, როგორც ზოგიერთი მათგანი აცხადებს, ამ ბიზნეს-წინადადებით ნაურუს, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში მიმართავენ.



### როგორი უნდა იყოს პრეზიდენტი

**„სწორედ ბაქრაძეა ის პოლიტიკური პირი, რომელიც რეალურად დამაბალანსებელი ფიგურა იქნება, რომელსაც სხვადასხვა მხარე ენდობა, რომელიც არ იქნება დესტაბილიზაციის გამომწვევი წყარო და არ ექნება კონსტიტუციაზე გადაბიჯების მცდელობები“.** ასე დაასაბუთა ექსპერტმა რამაზ საყვარელიძემ, რომ ახალი საკონსტიტუციო პროექტით ჩამოყალიბებულ საპრეზიდენტო პოსტზე საუკეთესო კანდიდატი ბაქრაძეა. კიდევ კარგი, ახალი პროექტი ყალიბდება, თორემ ძველში, როგორც ჩანს, ეწერა, რომ პრეზიდენტი უნდობლობასა და დესტაბილიზაციას უნდა იწვევდეს და კონსტიტუციის გადაბიჯებას თუ ვერ მოახერხებს, უნდა ეცადოს მაინც.



### მკვლელობებს ნაფიცმსაჯულები განიხილავენ

**1 ოქტომბრიდან სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს — განზრახ მკვლელობას — თბილისის მასშტაბით ნაფიცმსაჯულები განიხილავენ და გადაწყვეტილებას სასამართლო მათი ვერდიქტის საფუძველზე მიიღებს.** ნაფიცმსაჯულების ვერდიქტი ერთხმად უნდა იქნეს მიღებული. თუ ეს ვერ მოხერხდა, ნაფიცმსაჯულებს უფლება ექნებათ, ორი დამატებითი თათბირი გამართონ, მაგრამ, თუ ვერდიქტზე მაინც ვერ შეთანხმდებიან, საქმე ნაფიცმსაჯულთა სხვა შემადგენლობას გადაეცემა. ვერდიქტს ერთხმად თუ ვერც ამ შემთხვევაში მიიღებენ, განსასჯელის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დგება.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ბიძია თომას მიშა



**ერთხელ კაკო ასათიანმა კონდოლიზა რაისის შესახებ ქართული კინოს კლასიკიდან იხმარა ფრაზა (ოდნავ გადაკეთებული): ეს შავი ქალი ვინ არისო. ატეხა ამაზე მთელმა ხელისუფლებამ და მისმა „ჯიბის მედიამ“ ისტერიკა — ასეთი დისკრიმინაციული და რასისტული გამოთქმის გამოყენება როგორ გაბედა ოპოზიციის წარმომადგენელმაო. გამოხდა ხანი და, რასიზმი ასე უნდაო, იფიქრა სააკაშვილმა და მთელ აფრო-ამერიკულ რასას, არც მეტი, არც ნაკლები, პირდაპირ თავზე უქნა. პასუხი — არანაირი.**

შადრევან I-ის საჯარო გამოსვლები რომ ოაზისია კვალიფიკაციის ამაღლების მსურველი ფსიქიატრებისა თუ ფსიქოთერაპევტებისთვის, დიდი ხანია, ცნობილია. მთელ მსოფლიოში პირველ პირებს ე. წ. სპიჩრაიტერები ემსახურებიან, რომლებიც მნიშვნელოვანი საჯარო გამოსვლების ტექსტებს წინასწარ უწერენ თავიანთ პატრონებს. საქართველოში რომელი სფეროა მოწესრიგებული, ეს სფერო რომ იყოს?! **ის ფაქტი, რომ ლამის ყოველ მეორე საჯარო გამოსვლაში სააკაშვილი კლოუნს თუ ფსიქიატრიული კლინიკიდან გამოქცეულს ემსგავსება, როგორც ჩანს, არავის აწუხებს საზოგადოების ძალიან მცირე ნაწილის გარდა. თავად სააკაშვილსა და მის უახლოეს გარემოცვას რომ არ აწუხებს, ეს ხომ ცხადზე უცხადესია.**

აქ საუბარი არ არის მხოლოდ ექსპრომტად გაკეთებულ განცხადებებსა თუ პასაჟებზე. გასაგებია, რომ არც ერთი სპიჩრაიტერი არ დაუწერდა მიხეილ აღმაშფოთებელს ასეთ ბოდვას: „აგერაა ბუჩქები, ბატონოო“. ეს ფრაზა მისმა ქვეცნობიერმა გვისაჩუქრა და მშვენივრად გაგვიშიფრა, თუ რა ხდება მიშიკოს ფსიქიკაში. მაგრამ საშინელი კაზუსებით გაჯერებულია სააკაშვილის გამოსვლები მნიშვნელოვან საერთაშორისო ფორუმებზე თუ სატელევიზიო გამოსვლები პირდაპირ ეთერში, რომლებსაც მტერი და მოყვარე ერთად უყურებს. დედამისს მაინც არ შეუძლია უთხრას, რომ პირდაპირი ეთერის დროს ღობეყორეს არ მოედოს? თუ მასაც აღარ უჯერებს უკვე?

**ევროპის საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე გამოსვლისას სააკაშვილმა უტიფრად განაცხადა – საქართველო და თურქეთი ისტორიული მეგობრები და პარტნიორები არიანო** (ხომ არ მოგაგონდათ ჯორჯ ბუში, ტოკიოში რომ დააბრეხვა, ბოლო საუკუნე-ნახევარია, აშშ და იაპონია განუყოფელი მეგობრები არიანო. გეგონება, ჰიროსიმასა და ნაგასაკის ატომურ ბომბებს კოკოითი და ბაგაფში უშენდნენ). **ამის გაგონებაზე თურქეთის დელეგაციის წევრებმაც კი სირცხვილით თავი დახარეს და გაწითლდნენ.** თანაც ეს სწორედ იმ მომენტში მოხდა, როცა ტელეკამერები მათკენ იყო მიბრუნებული. ვინ იდიოტმა დაუწერა სააკაშვილს ეს ფრაზა? მაგრამ, ვისაც გინდა დაეწერა, თვითონ არ უნდა ყოფნოდა ჭკუა, რომ ამის დამწერისთვის ფურცელი თავზე გადაეხია? თუმცა ვისთვის უნდა გადაეხია — საკუთარი თავისთვის?

მნიშვნელოვანი საჯარო გამოსვლა პირდაპირ ეთერში – პრეზიდენტის ყოველწლიური ანგარიში პარლამენტს. ყველა წესისა და კანონის მიხედვით, ასეთი გამოსვლის ტექსტი წინასწარ უნდა იწერებოდეს. კარგი, დავუშვათ, „გამყრელიძემ გააჩმახა“ უკვე დებატების შემდგომ იყო წამოროშილი და ამის წინასწარ მომზადება რთული იყო, მაგრამ **ძირითად ტექსტში მიხეილ განათლებულმა ნიკოლოზ ბარათაშვილი და გრიგოლ ორბელიანი რომ ერთმანეთში აურია, ესეც ექსპრომტი იყო?**

გასაგებია, რომ მიხეილ სააკაშვილი არის უწიგნური და როშავს იმას, რაც თავში მოუვარდება, სულაც არ აღელვებს, ეს მართალია თუ ტყუილი. მთავარია, რომ ეს ბოდვები მის წარმოდგენასა და ფსიქიკაში არსებულ მდგომარეობას ესადაგება და თავად მიაჩნია, რომ სიმართლეს ამბობს. **უნდა დაამტკიცოს, რომ ქართველები მაგრები ვართ? იტყვის, რომ „იმდენად მაგრები ვართ, პომპეუსმაც კი ვერ აიღო თბილისიო“** (გადაბრუნდა სტრაბონი საფლავში...), **რაღაცის მისაღწევად დიდი წვალებაა საჭირო? – ა, ბატონო, „მოსემ ებრაელები უდაბნოში 25 წელი ატარა“** (რა მნიშვნელობა აქვს, 40 თუ 25, მთავარია, რომ ატარა), **დუშეთში მოსწავლეთა წინაშე გამოსვლისას** (რაც პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა, რა თქმა უნდა) **ამცნო – ეს სასკოლო ავტობუსები, რომლებიც ახლა თქვენ გადმოგეცემათ, ჩვენ შევისყიდეთ... უფასოდო!** დალოცვილო, აქამდე მაგას „წავართვით“ ერქვა, მაგრამ შენმა ქვეცნობიერმა „იყივლა“ და გათქმევინა ის, რაც რეალურად იყო, ანუ ამ ავტობუსებში ფული კი არ გადაგიხდია, ვიღაცას „აახიე“ და, კიდევ კარგი, რომ სიმართლე, შენდა უნებურად, წამოგცდა მაინც...

**ერთხელ ლევან ბერძენიშვილმა ვინმე მათიას იორშზე საუბრისას თქვა, უნგრელი ებრაელიაო. რა იყო ამაში ცუდი, მართალი გითხრათ, ვერ გავიგე, მაგრამ საპარლამენტო უმრავლესობას კონვულსიები რომ დაემართა და ტანსაცმელი შემოიხია, კარგად მახსოვს, ეს რა შოვინისტური გამოსვლა იყოო. განსაკუთრებით მიხო მაჭავარიანის გამოსვლა დამამახსოვრდა.**

**გადის წელიწად-ნახევარი და, რაც ამერიკას სჭირდა ბიძია თომას ქოხის მშენებლობის პერიოდიდან მოყოლებული ლამის დღევანდელობამდე, სააკაშვილმა ეს ყველაფერი განასახიერა – სახელმწიფო სტრუქტურაში (ეკონომიკის სამინისტროში) ტელეკამერების წინაშე ზანგები და ველურები ერთმანეთს შეადარა და... არაფერი!**

გასაგებია, რომ სააკაშვილს ყველაფერი ეპატიება და, შესაძლოა, იმაზეც კი არავინ მოსთხოვოს პასუხი, საჯარო გამოსვლისას ბარაკ ობამას სულ რომ დედა აგინოს და ზედ ჰილარი კლინტონიც მიაყოლოს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, იტყვის ვინმე ადამიანურად თუ არა, **ვინ არის ეს დაწყევლილ ვარსკვლავზე დაბადებული და რა დამსახურების გამო ეპატიება რასიზმიც, ქსენოფობიაც, ლამის მესამე მსოფლიო ომის დაწყებაც, საკუთარი მთავრობის ბორდელად გადაქცევაც და, ვინ მოთვლის, კიდევ რა აღარ?**

სავარაუდოდ, სწორედ ამაში უნდა იყოს ჩადებული პასუხი შეკითხვაზე: ჰყავს თუ არა სააკაშვილს სპიჩრაიტერი? არ ჰყავს და არც უნდა ჰყავდეს, რადგან **სპიჩრაიტერი იმისთვის არსებობს, რომ ადამიანი მნიშვნელოვანი საჯარო გამოსვლების დროს ნორმალურად მეტყველებდეს, არც თავი გაიხადოს სამასხროდ და არც ქვეყანა შეარცხვინოს. სააკაშვილის შემთხვევაში კი, ამის საჭიროება, როგორც ჩანს, არ არსებობს. უნდა — თავი აიგდოს, უნდა — მთელი დუნია, რა მნიშვნელობა აქვს?! ის მაინც საქართველოს პრეზიდენტად დარჩება.** საქართველო კი უკვე ისეა შერცხვენილი, ახალი შოთა რუსთაველი და გიორგი ბრწყინვალე თუ გვიშველიან, ისიც, თუ ერთად მოგვევლინებიან.

**სალვადორ დვალი**

## გაბრაზებული



**თენგიზ სიგუა,**
**საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი:**

სააკაშვილი არის გაუწონასწორებელი პიროვნება. თუ რასაც ლაპარაკობს, ის გააკეთა, მართლა, როგორც პუტინმა თქვა, ერთი ორგანოთი ხეზე იქნება ჩამოსაკიდებელი... ოღონდ ეს, პუტინმა კი არა, ქართველმა ხალხმა უნდა გააკეთოს.

*„ქრონიკა“*



**დავით ზურაბიშვილი,**
**რესპუბლიკური პარტიის წევრი:**

დღეს სააკაშვილი ფლობს შეუზღუდავ ძალაუფლებას. ის აკეთებს იმას, რაც მოესურვება, საბიუჯეტო სახსრებს განაგებს, როგორც საკუთარ ქონებას და არანაირ ანგარიშს არ უწევს მისი მორჩილი პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებსაც. ეს არის ტიპური ავტორიტარი მმართველი, რომელიც, მართალია, ხმამაღლა არ ამბობს, სახელმწიფო ეს მე ვარო, მაგრამ სრულიად დარწმუნებულია, რომ ეს ასეა... რომ შეეძლოს, ის აუცილებლად მიიღებდა ისეთივე კანონს, რომელიც ყაზახეთში მოქმედებს და სიცოცხლის ბოლომდე დაიკანონებდა პრეზიდენტობას.

*„ლიბერალი“*



**თამარ ხიდაშელი,**
**ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე, საკონსტიტუციო ცვლილებების კომისიის წევრი:**

საკონსტიტუციო კომისიაში, ფაქტობრივად, ყველა მაღალი თანამდებობის პირი შედის, თავიანთი მოადგილეებით; ასევე ექსპერტები, რომლებიც სახელისუფლო წრეების მიერ დაინიშნენ. იმ პროექტში, რომელიც მიღებულია, პრაქტიკულად ჩაიდო ყველაფერი, რისი დათმობა და რაზე წამოსვლაც ხელისუფლებას შეეძლო, ამიტომ ეჭვი მეპარება, რომ ამ მოდელში რაიმე შეიცვალოს. პარლამენტმა განხილვების შემდეგ პროექტი ხმათა 2/3-ით უნდა დაამტკიცოს. ხელისუფლებას საჭირო უმრავლესობა ამ პარლამენტში ჰყავს.

*„ლიბერალი“*



**ბადრი ბიწაძე,**
**სასაზღვრო პოლიციის ყოფილი ხელმძღვანელი:**

სააკაშვილმა ვანო მერაბიშვილს მისცა მთელი ძალაუფლება და დღეს ყველაფრის განმკარგავი და ფაქტობრივი პრეზიდენტი არის ვანო. სააკაშვილს უკვე აღარაფრის შეცვლა არ შეუძლია. როგორც ვანო გადაწყვეტს, ყველაფერი ისე იქნება.

ომის დროს პარლამენტის სპიკერმა და ვიცე-სპიკერმა საქართველო დატოვეს. ლაგოდეხთან, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არის სპორტული კომპლექსი და იქ იყვნენ. მინისტრები ერთმანეთს ასწრებდნენ სადახლოსა და წითელ ხიდზე. 11 აგვისტოს სააკაშვილი მარტო დარჩა თავის კაბინეტში. გვერდით არავინ ჰყავდა და მისი მაშინდელი შიში კარგად აისახა მოდელირებულ „ქრონიკაში“, რომელიც „იმედმა“ გაუშვა.

*„კვირის პალიტრა“*

## მოკლედ



### კიდევ 50 მილიონს ვსესხულობთ

**ვინაიდან კრიზისი მოულოდნელად დაგვატყდა თავს და მომზადება ვერ მოვასწარით, მოვემზადებით კრიზისის შემდგომი ეკონომიკური ზრდისათვის. ოღონდ ამისათვის უკვე არსებული კოლოსალური ვალების კიდევ 50 მილიონით გაზრდა დაგვჭირდება.** მსოფლიო ბანკი მზადაა, კვლავაც გამოგვიწოდოს დახმარების ხელი, რათა ჩვენი მთავრობა „ორგანიზებულად მოახდინოს გადასვლა კრიზისის შედეგების შემარბილებელი ღონისძიებებიდან ეკონომიკის აღდგენის პროცესის დაჩქარებასა და კრიზისის შემდგომი ეკონომიკური ზრდისთვის ქვეყნის მომზადებაზე“. ამისათვის 20-წლიანი კრედიტის სახით 40 მილიონ აშშ დოლარს მოგვცემენ. ბოძებული 10 მილიონი კი 27 წელიწადში უნდა გადავიხადოთ.



### მალაზონია ალაპარაკდა

**„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი დავით გამყრელიძე უახლოეს მომავალში ლონდონში წავა და ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილს აცნობებს, რომ მალე შესაძლოა ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ საქმე აღიძრას და ძებნა გამოცხადდეს.** ხელისუფლების ჩხარტიშვილით დაინტერესების მიზეზად „სოკარ ენერჯი ჯორჯიაში“ მის 24%-იანი წილს ასახელებენ. ოფიციალური ინფორმაციით, შს სამინისტრომ მას „ენერჯი ინვესტის“ ხელმძღვანელის — გენო მალაზონიას ჩვენების საფუძველზე მიადგა. მალაზონია, რომელსაც სახელმწიფოსთვის დიდი ოდენობის თანხის დაფარვაში ედება ბრალი, ჩხარტიშვილთან წლების განმავლობაში თანამშრომლობდა, ახლა კი მასთან ერთად ჩვენებაში კიდევ რამდენიმე ცნობილი პირი მოიხსენია.



### შსს-ში გადატრიალება მზადდებოდა

**გასულ კვირას გერმანულმა გაზეთმა ავსტრიელ სამართალდამცველთა მასალებზე დაყრდნობით გამოაქვეყნა მასალა, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება მზადდებოდა და ამ საქმეში კრიმინალებს შსს-ს მაღალჩინოსნები ეხმარებოდნენ.** „მე ვერ წარმომიდგენია შსს-ში მაღალჩინოსანი, რომელსაც ხელისუფლების გადატრიალება ექნება განზრახული“, — აღშფოთდა თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე. მიუხედავად ამისა, მოსალოდნელი ხმაურიანი დაკავებები მისი წარმოდგენების სფეროს, როგორც ჩანს, დიდად არ სცილდება და ამ მხრივ მხოლოდ „არ ანონსირდება“-თი შემოიფარგლა.



### უგულავას კარ-ფანჯარა

**თბილისის მერ გიგი უგულავას წინასაარჩევნო კამპანიისას სხვადასხვა პროფესიების ათვისება-შეთავსების პროცესი იმდენად მოეწონა, რომ არჩევნებიდან კარგა ხნის შემდეგაც ვერ ივიწყებს ამ გართობას.** ოღონდ ახლა პურს აღარ აცხობს, მრავალფეროვნებისთვის ორიოდე დღის წინათ მეტალოპლასმასის კარ-ფანჯრის მწარმოებელ საწარმო „კავკასიას“ ეწვია და საწარმოს თანამშრომლებთან ერთად იშრომა. ვინაა ის ბედნიერი, სახლს მერის ნახელავი კარ-ფანჯრით რომ დაამშვენებს, უცნობია, თავად უგულავა გულწრფელადაა დარწმუნებული, რომ, თუ მცირე საწარმოებს თავის დაუღალავ მარჯვენას წააშველებს, საქართველოში მცირე ბიზნესის აყვავებასა და ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას წინ ველარაფერი აღუდგება.

4 — 10 აგვისტო, 2010 წელი. №29 (72)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# პრეზიდენტმა წაგებული ომის ჯავრი სამხედროებსა და დევნილებზე იყარა

**2010 წლის 7 აგვისტოს 2008 წლის სისხლიანი აგვისტოს მეორე წლისთავია. საქართველო ომის შედეგებს დღემდე იმკის, უფრო ზუსტად კი, საქართველოს მოსახლეობა, რადგან ომმა სწორედ რომ მოსახლეობა დააზარალა და არა — სახელმწიფო მაღალჩინოსნები.**



საქართველოს დაახლოებით 277 ათასი დევნილი ჰყავს. დევნილების რაოდენობამ ამ ნიშნულს სწორედ აგვისტოს ომის შემდეგ მიაღწია. **ომს მოყოლილ ეკონომიკურ და, შესაბამისად, საბანკო კრიზისზე, განადგურებულ ინფრასტრუქტურასა და უმუშევრობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ქვეყანამ ასობით სამოქალაქო თუ სამხედრო პირი დაკარგა. ის ადამიანები კი, ვისი სიცოცხლეც ომს გადაურჩა და დევნილად იქცნენ, ხელისუფლების მიერ უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.** ნიშანდობლივია, რომ სწორედ ახლა, ომის მეორე წლისთავზე დევნილები, რომლებიც ახლახან იძულებით გამოასახლებინა აფხაზეთიდან დევნილმა მინისტრმა ვერა ქობალიამ სამართალდამცავებს, აქციებს მართავენ. სუბელიანი, კი რომელიც, სააკაშვილს რომ დავესესხოთ, ხორცკომბინატში მშვენივრად გრძნობს თავს და წონაშიც კარგად იმატებს, დევნილებს თბილისიდან გაურკვეველი მიმართულებით გზავნის — ზოგს ზუგდიდის რაიონის სოფელ ოქტომბერში, ზოგს კი — ვინ იცის, სად...

**ცოტა ხნის წინათ დევნილები გამოასახლეს თბილისში, ათონელის ქუჩაზე მდებარე ყოფილი პოლიციის შენობიდანაც და ავტობუსებით გაუყენეს სოფელ ოქტომბრის გზას, სადაც მათ ამორტიზებული შენობები დახვდათ. ამის შესახებ ჩვენ გასულ ნომრებში ვწერდით. ხელისუფლებამ დევნილები, ორი წლის შემდეგ კვლავ დევნილებად აქცია, პოლიციის ძალით დროებითი საცხოვრებლებიდან აყარა და უსახლკაროდ დატოვა.**

აგვისტოს ომიდან ორი წლის შემდეგ გმირთა მოედანზე ომში დაღუპულ მეომართა მემორიალი გვაქვს. საქართველოს პრეზიდენტმა მისი გახსნა ამავე ტერიტორიაზე ახალი გზის გახსნას დაამთხვია და პომპეზური პრეზენტაცია მოაწყო. მემორიალზე, რომელზეც, ომში დაღუპულ მეომართა გვარებია ამოტვიფრული, მილიონები დაიხარჯა. სახელმწიფოს ძეგლებისა და შენობებისთვის ფული არ ენანება, **თუმცა როგორ ზრუნავს და როგორ მოექცა იგი ომში დაზარალებულ ჯარისკაცებს, უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ერთ-ერთია, პირველი ქვეითი ბრიგადის ჯავშსატანკო ბატალიონის მსროლელი, ნიკა ამირაჯიბი. იგი 8 აგვისტოს, ცხინვალში, ჭურვის აფეთქების შედეგად დაზარალდა. ექიმებმა ტვინის შერყევის, ტვინის დახურული ტრავმისა და კონტუზიის დიაგნოზი დაუსვეს. ამირაჯიბს გარკვეული პერიოდი მეტყველების უნარიც დაკარგული ჰქონდა. თავდაცვის სამინისტრომ, ჩათვალა რა იგი სამხედრო სამსახურისთვის უვარგისად, ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე დაითხოვა. Mმეტიც, სახელმწიფომ არც მკურნალობის ხარჯების დაფარვა მიიჩნია საჭიროდ.**

ასეთი მრავალი შემთხვევის გახსენება შეიძლება, თუმცა არსებობს უფრო მძიმე ფაქტებიც.

**ომის შემდგომ პერიოდში მასობრივად დაიწყო სამხედრო მოსამსახურეების დევნა. სამართალდამცავები რეზერვისტებს დაერივნენ და მათი უმრავლესობა დეზერტირობის ბრალდებით გაასამართლეს.** მოგეხსენებათ, ორკვირიანი სავალდებულო რეზერვგავლილ ადამიანს, ძნელია, მოსთხოვო ომს გაუძლოს. **ხელისუფლებამ, თავისი შეცდომა რეზერვისტების პროექტთან დაკავშირებით, რომელზეც მილიონები დაიხარჯა, მხოლოდ ახლა აღიარა.** რეზერვი გააუქმა და მის ახალ პროექტზე მუშაობს. თუმცა ამ ადამიანებისგან, გირაოს სახით ამოღებული თანხებით, თავის დროზე კარგად იხეირა, რადგან **თავისუფლება რეზერვისტების დიდ ნაწილს 5000 ლარი დაუჯდა.** დეზერტირებად ჩაითვალნენ ის სამხედრო მოსამსახურეებიც, რომლებმაც ომის დროს ან ომის შემდეგ მიმოფანტულებმა გამოძახებისას დისლოკაციის ადგილას მისვლა დააგვიანეს. **ბევრი მათგანიც დეზერტირობისთვის ციხეებში გამოამწყვდიეს. მოკლედ სააკაშვილმა წაგებული ომის ჯავრი ისედაც რთულ მდგომარეობაში ჩავარდნილ სამხედრო მოსამსახურეებზე იყარა.**

**ომის შემდგომ პერიოდში მასობრივად დაიწყო სამხედრო მოსამსახურეების დევნა. სამართალდამცავები რეზერვისტებს დაერივნენ და მათი უმრავლესობა დეზერტირობის ბრალდებით გაასამართლეს.**

**ხელისუფლების სისასტიკემ შეიწირა ომიდან დაბრუნებული 30 წლის ნადიმ ცეცხლაძის სიცოცხლე. იგი ომს კი გადაურჩა, მაგრამ ტრაგიკულად გარდაიცვალა ქართულ ციხეში.** ოჯახის წევრების განცხადებით, მეჯვრისხევში მცხოვრები ნადიმ ცეცხლაძე ბათუმის სამხედრო ბატალიონში ერთი წელი მსახურობდა, ცხინვალში კი ძმასთან ერთად იბრძოდა. 2008 წლის სექტემბერში ცეცხლაძის მეუღლე, საკეისრო კვეთისთვის საავადმყოფოში დააწვინეს, რის გამოც ცეცხლაძემ ბატალიონის უფროსს რამდენიმე დღით გათავისუფლება სთხოვა, უარის მიღების შემდეგ კი ბატალიონი დატოვა და პარალელურად თბილისში ან გორში გადმოსვლაზე დაიწყო ზრუნვა, რადგან მას ავადმყოფი მამა ჰყავდა, ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდა მის მეუღლესაც, ოჯახს კი, ფინანსური მდგომარობის გამო, ხშირად ვერ ნახულობდა. **ცეცხლაძე კონტრაქტის დარღვევაში დაადანაშაულეს და 6-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ოჯახმა მის გასათავისუფლებლად 5000 ლარიანი გირაო გადაიხადა, მაგრამ ცეცხლაძე არც პატიმრობიდან გაუთავისუფლებიათ და არც თანხა დაუბრუნებიათ. იგი 17 მარტს ციხიდან გამოასვენეს.**

ციხის სამკურნალო დაწესებულების ექიმების თქმით, მას ტუბერკულოზი ჰქონდა. ოჯახის წევრები და ადამიანის უფლებათა დამცველები კი აცხადებდნენ, რომ შეუძლებელია ცეცხლაძეს ტუბერკულოზი ჰქონოდა, თანაც მძიმე ფორმებში, რადგან 11 თებერვალს იგი მამამ მოინახულა და ცეცხლაძეს ჯანმრთელობის პრობლემებზე არაფერი უთქვამს, არც გარეგნულად ეტყობოდა რამე, მეორე დღეს კი უგონო მდგომარეობაში ციხის საავადმყოფოში ტუბერკულოზის დიაგნოზით გადაიყვანეს. ცეცხლაძე ციხის საავადმყოფოში უმძიმეს პირობებში იმყოფებოდა, იგი სველ საწოლში იწვა, არ ჰქონდა მედიკამენტები, სხეულზე აღენიშნებოდა წყლულები, რომელიც ექიმებმა ნაწოლებად მონათლეს.

**ომის დასრულებიდან რამდენიმე დღეში, 16 აგვისტოს სამართალდამცავებმა დაცხრილეს ჯარისკაცი როინ შავაძე. შავაძის მკვლელობა დღემდე ბურუსითაა მოცული.** „სხეულის მრავლობითი ცეცხლნასროლი ჭრილობები, შინაგანი ორგანოების: გულის, ფილტვების, ღვიძლის, ნაწლავების დაზიანებები, მარცხენა მხარის, მარცხენა ბარძაყის და მარცხენა მტევნის თითების მოტეხილობა, მრავლობითი სისხლნაჟღენთები, რომლებიც განვითარებულია ბლაგვი ზედაპირის მქონე საგნის (საგნების) მოქმედებით. დაზიანებები სიცოცხლისდროინდელია“. ეს ექსპერტიზიის დასკვნაში გაკეთებული ჩანაწერია, რომელიც თავდაყირა აყენებს სამართალდამცავების ვერსიას, თითქოსდა შავაძე ნარკოტიკული დანაშაულისთვის აიყვანეს, თბილისში გადმოყვანისას კი მან შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია სპეცრაზმელებს, რის გამოც იძულებულნი გახდნენ, ლიკვიდაცია მოეხდინათ. თანაც საგულისხმოა, რომ შავაძეს წინიდან აქვს ნასროლი და არა — ზურგიდან, როგორც გაქცეულის შემთხვევაში უნდა ყოფილიყო.

**შეიარაღებული ძალებიდან 300 ადამიანი გაათავისუფლეს ყოველგვარი საფუძვლის გარეშე. ჯარში მათ ნაცვლად ყოფილ პოლიციელებს იღებენ, იმათ, ვინც მერაბიშვილს არ გამოადგა... ჯარის გაპოლიციელება და მიზანმიმართული ნგრევა მიმდინარეობს.**



**როინ შავაძე 16 აგვისტოს ბათუმში დააკავეს, რამდენიმე საათში კი მისი ცხედარი ქაქუთთან ახლოს იპოვეს სხეულზე 28 ნატყვიარით. სამართალდამცავებისგან განსხვავებულ ვერსიაზე საუბრობდნენ შავაძის ოჯახის წევრები. გავრცელებული ინფორმაციით, შავაძის მკვლელობა მის სამსახურებრივ საქმიანობას უკავშირდება.** შავაძე თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის ნაწილში მსახურობდა. შესაბამისად, ვარაუდი, რომ მან ცხინვალის ომის დროს ხელისუფლებისთვის არასასურველი ინფორმაცია მოიპოვა ან ასეთი ფაქტის მოწმე გახდა და, როგორც არასასურველი მოწმე, თავიდან მოიშორეს, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. მითუმეტეს, რომ **შავაძის მკვლელობის საქმის გამოძიება დღემდე ბურუსითაა მოცული და შავაძის ადვოკატსა და ოჯახის წევრებს პროკურატურასთან უამრავი საფუძვლიანი პრეტენზია აქვთ.**

**ცოტა ხნის წინათ რუსეთს სთხოვა თავშესაფარი აგვისტოს ომის მონაწილემ, სერჟანტმა, ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანმა დავით დავითაშვილმა, რომელსაც თავდაცვის სამინისტრო საცხოვრებელ სახლს ედავება და სამი მცირეწლოვანი შვილით გამოსახლებას უპირებს.** გარდა ამისა, იგი შეიარაღებული ძალებიდანაც გაათავისუფლეს. როგორც დავითაშვილის მეუღლე — გალინა ოზიაშვილი აცხადებს, თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი შენობებიდან გამოსახლება კიდევ რამდენიმე ოჯახს ემუქრება. **შეიარაღებული ძალებიდან 300 ადამიანი გაათავისუფლეს ყოველგვარი საფუძვლის გარეშე. ჯარში მათ ნაცვლად ყოფილ პოლიციელებს იღებენ, იმათ, ვინც მერაბიშვილს არ გამოადგა... ჯარის გაპოლიციელება და მიზანმიმართული ნგრევა მიმდინარეობს.** მისი თქმით, დეზერტირი მთავრობა გენეტიკურად ვერ იტანს ვერც ერთ ნაომარ ჯარისკაცს.

ასე მოექცა საქართველოს ხელისუფლება ნაომარ თუ ომგადატანილ საქართველოს მოქალაქეებს და ეს პროცესი, სამწუხაროდ, ალბათ, არ დასრულებულა, რადგან 2008 წლის აგვისტოს ტრაგედია, მხოლოდ რამდენიმედღიანი სისხლისღვრით არ დასრულებულა და, ჯაჭვური პრინციპით, ქართული მოსახლეობის არაერთი უბედურება მომავალშიც გარდაუვალია.

**სოფო გელაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ეს სამხედრო მოსამსახურეები 2008 წლის აგვისტოს, ქვეყნის მთავარსარდლის ბრძანების შესაბამისად, ცხინვალისკენ დაიძრნენ იმ იმედით, რომ უკან გამარჯვებულები და ცოცხლები დაბრუნდებოდნენ. მოლოდინი არ გამართლდა... არ არსებობს ოფიციალური და არაოფიციალური სიმართლე. სიმართლე ერთია — 2008 წლის 8 აგვისტოს ომი ჩვენ დავიწყეთ. ამას ადასტურებს ტალიავინის დასკვნაც და უამრავი სხვა მტკიცებულებაც. სამწუხაროდ, ამ უპასუხისმგებლო დანაშაულებრივი საქციელის გამო მსხვერპლი გაიღო მოსახლეობამ, რომელიც დევნილად იქცა, მსხვერპლი გაიღო საქართველომ როგორც სახელმწიფომ. დიახ, ამ დანაშაულის შედეგად ქვეყანამ სერიოზული მსხვერპლი გაიღო მათ შორის დაღუპული სამხედროების სახით. რაც შეეხება დამნაშავეებს, ჯერჯერობით ისინი თავს არხეინად გრძნობენ და ერთადერთი სიმართლის დამალვას ათასგვარი „ოფიციალური ვერსიით" ცდილობენ. თუმცა ეს ოფიციალური ვერსიაც, რომელსაც, წესით, მწარე სიმართლე უნდა დაემალა, შემზარავია.


ერეკლე კულოშვილი


გელა მებაღიშვილი


სერგო მელია

# ომში დაღუპულ სამხედროთა სახელობითი სია:

1. **თეიმურაზ თამაზის ძე ქიტაძე,** კაპიტან-ლეიტენანტი, სამხედრო-საზღვაო ძალები;
2. **ზვიად რევაზის ძე დათუაშვილი,** კაპრალი, სამხედრო-საზღვაო ძალები;
3. **თემურ გოგის ძე ფიჩხაია,** კაპრალი, სამხედრო-საზღვაო ძალები;
4. **გიორგი ნუგზარის ძე ღვინჯილია,** კაპრალი, სამხედრო-საზღვაო ძალები;
5. **ზვიად ზურაბის ძე ბარბაქაძე,** კაპრალი, სამხედრო-საზღვაო ძალები;
6. **ალბერტ უშანგის ძე ბალხამაშვილი,** კაპიტანი, სამხედრო-საჰაერო ძალები;
7. **ნოდარ ეფრემის ძე დევნოზაშვილი,** სერჟანტი, სამხედრო-საჰაერო ძალები;
8. **გიორგი ჯიმშერის ძე ნანუაშვილი,** ავიაციის უმცროსი სერჟანტი, სამხედრო-საჰაერო ძალები;
9. **ბადრი გიორგის ძე ბასილაძე,** კაპრალი, სამხედრო-საჰაერო ძალები;
10. **სამსონ ფრიდონის ძე გურჩიანი,** ვადიანი სამხედრო მოსამსახურე, სამხედრო-საჰაერო ძალები;
11. **შალვა გურამის ძე ტრაპაიძე,** კაპრალი, I ქვეითი ბრიგადა;
12. **ვიტალი ილიას ძე თაყაიძე,** კაპრალი, I ქვეითი ბრიგადა;
13. **მამუკა გოჩას ძე ბეკურაშვილი,** კაპრალი, I ქვეითი ბრიგადა;
14. **შოთა ოლეგის ძე ხურციძე,** ლეიტენანტი, I ქვეითი ბრიგადა;
15. **ასლან ჯემალის ძე შანიძე,** კაპრალი, I ქვეითი ბრიგადა;
16. **თამაზ ედუარდის ძე ნიკიტინი,** კაპრალი, II ქვეითი ბრიგადა;
17. **მამია თამაზის ძე ფანცულიძე,** უმცროსი სერჟანტი, II ქვეითი ბრიგადა;
18. **ლევან ოთარის ძე თეფანია,** კაპრალი, II ქვეითი ბრიგადა;
19. **ედნარ დურსუნის ძე დიასამიძე,** უმცროსი სერჟანტი, II ქვეითი ბრიგადა;
20. **დიმიტრი ოთარის ძე ჯაილოვა,** კაპრალი, II ქვეითი ბრიგადა;
21. **თემურ ტარიელის ძე ბოკუჩავა,** კაპრალი, II ქვეითი ბრიგადა;
22. **მამუკა ნუგზარის ძე სამაკაშვილი,** კაპრალი, II ქვეითი ბრიგადა;
23. **ამირან ნოდარის ძე შაინიძე,** კაპრალი, II ქვეითი ბრიგადა;
24. **მალხაზ ილიას ძე აბაშიძე,** კაპრალი, II ქვეითი ბრიგადა;
25. **ზურაბ გივის ძე ბალაშვილი,** კაპრალი, II ქვეითი ბრიგადა;
26. **მიხეილ დავითის ძე დვალიშვილი,** კაპრალი, II ქვეითი ბრიგადა;
27. **თეიმურაზ ბეჟანის ძე ბერიძე,** კაპრალი, II ქვეითი ბრიგადა;
28. **ილია ვაჟას ძე შეყლაშვილი,** კაპრალი, II ქვეითი ბრიგადა;
29. **ფრიდონ გიორგის ძე თურმანიძე,** უმცროსი სერჟანტი, II ქვეითი ბრიგადა;
30. **ვაჟა ნოდარის ძე შაინიძე,** სერჟანტი, II ქვეითი ბრიგადა;
31. **ანზორ ვახტანგის ძე გელდიაშვილი,** უმცროსი სერჟანტი, II ქვეითი ბრიგადა;
32. **ლევან რეზოს ძე კოხრეიძე,** უმცროსი სერჟანტი, II ქვეითი ბრიგადა;
33. **ალექსანდრე ვალოდიას ძე ონიანი,** უმცროსი სერჟანტი, II ქვეითი ბრიგადა;
34. **რუსლან ვილორიკის ძე წულაძე,** კაპრალი, II ქვეითი ბრიგადა;
35. **ნიკოლოზ ჯონდოს ძე ფორჩხიძე,** კაპრალი, II ქვეითი ბრიგადა;
36. **შმაგი როლანდის ძე კუპატაძე,** კაპრალი, II ქვეითი ბრიგადა;
37. **ზვიად სერგოს ძე კაცაძე,** კაპრალი, II ქვეითი ბრიგადა;
38. **ილია ივანეს ძე გაბუნია,** უმცროსი სერჟანტი, II ქვეითი ბრიგადა;
39. **ირაკლი ვაჟას ძე ჯანელიძე,** კაპრალი, II ქვეითი ბრიგადა;
40. **მარლენ ტარიელის ძე ბარამია,** კაპრალი, II ქვეითი ბრიგადა;
41. **ლევან თამაზის ძე მელქაძე,** სერჟანტი, II ქვეითი ბრიგადა;
42. **ლერი თენგიზის ძე ლაგურაშვილი,** კაპიტანი, II ქვეითი ბრიგადა;
43. **ლევან ოლეგის ძე მანძულაშვილი,** კაპრალი, II ქვეითი ბრიგადა;
44. **ემზარ შუქრის ძე წილოსანი,** კაპრალი, II ქვეითი ბრიგადა;
45. **ფელიქს მიტუშას ძე კაკაურიძე,** ავიაციის უმცროსი სერჟანტი, II ქვეითი ბრიგადა;
46. **რომან ლევანის ძე ზოიძე,** კაპრალი, II ქვეითი ბრიგადა;
47. **კახა აკაკის ძე კოშაძე, კაპრალი,** II ქვეითი ბრიგადა;
48. **ვალერი სულიკოს ძე გოგნაძე,** უმცროსი სერჟანტი, II ქვეითი ბრიგადა;
49. **ზურაბ ავთანდილის ძე ეფაძე,** უმცროსი სერჟანტი, III ქვეითი ბრიგადა;
50. **გიორგი ზაურის ძე ტატუაშვილი,** კაპრალი, III ქვეითი ბრიგადა;
51. **ალექსანდრე პავლეს ძე ზაზაშვილი,** კაპრალი, III ქვეითი ბრიგადა;
52. **მალხაზ თამაზის ძე გიგუაშვილი,** კაპრალი, III ქვეითი ბრიგადა;
53. **ავთანდილ იოსების ძე ქამაშიძე,** კაპრალი, III ქვეითი ბრიგადა;
54. **კობა რევაზის ძე ხარჩილავა,** კაპრალი, III ქვეითი ბრიგადა;
55. **არტემ გურამის ძე ბალახაშვილი,** კაპრალი, III ქვეითი ბრიგადა;
56. **მერაბ მურმანის ძე თუთისანი,** უმცროსი სერჟანტი, III ქვეითი ბრიგადა;
57. **ვალერი რეზოს ძე ციცქიშვილი,** კაპრალი, III ქვეითი ბრიგადა;
58. **გიგა ტიტეს ძე გოგორიშვილი,** კაპრალი, III ქვეითი ბრიგადა;
59. **ვასილ იურის ძე სმირნოვი,** უმცროსი სერჟანტი, III ქვეითი ბრიგადა;
60. **პაატა ჯეირანის ძე კოპალიანი,** უმცროსი სერჟანტი, III ქვეითი ბრიგადა;
61. **ფრიდონ ავთანდილის ძე ბრეგაძე,** უმცრისი სერჟანტი, III ქვეითი ბრიგადა;
62. **მერაბ ტარიელის ძე ახობაძე,** უფროსი ლეიტენანტი, IV ქვეითი ბრიგადა;
63. **კობა იურის ძე სერგია, კაპიტანი,** IV ქვეითი ბრიგადა;
64. **გიორგი ოთარის ძე კირაკოზაშვილი,** კაპიტანი, IV ქვეითი ბრიგადა;
65. **შალვა ზაურის ძე დოლიძე,** მაიორი, IV ქვეითი ბრიგადა;
66. **ფილიპე ჰამლეტის ძე მგალობლიშვილი,** სერჟანტი, IV ქვეითი ბრიგადა;
67. **ილია გიორგის ძე ბაბუციძე,** უფროსი ლეიტენანტი, IV ქვეითი ბრიგადა;
68. **გიორგი გენადის ძე ნადარეიშვილი,** უფროსი ლეიტენანტი, IV ქვეითი ბრიგადა;
69. **ილია მერაბის ძე ბარდაველიძე,** ლეიტენანტი, IV ქვეითი ბრიგადა;
70. **ლევან ცაგოს ძე დევდარიანი,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
71. **ირაკლი ომარის ძე ბაზაძე,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
72. **ზაურ ჯუმბერის ძე თენეიშვილი,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
73. **ავედიკ ვახტანგის ძე ლომიძე,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
74. **ნიკა გაბრიელის ძე ყალაბეგიშვილი,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
75. **დავით დაზმერის ძე ჯიქია,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
76. **საბა შამილის ძე დადვანი,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
77. **მურთაზ გურამის ძე ირემაძე,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
78. **ვახტანგ ბადრის ძე გზირიშვილი,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
79. **დავით რობერტის ძე დვალიშვილი,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
80. **ონისე ლევანის ძე დოიჯაშვილი,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
81. **რაულ ასლანის ძე მჟავანაძე,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
82. **დევი ჯონდოს ძე ჩადუნელი,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
83. **გოგიტა ნუგზარის ძე ქარჩავა,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
84. **ზაურ მურმანის ძე მახარაშვილი,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
85. **კობა ამირანის ძე წურწუმია,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
86. **გიორგი გენადის ძე ჯავახიშვილი,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
87. **სოსო თენგიზის ძე ღვინიაშვილი,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
88. **გიორგი მიხეილის ძე ბერიკაშვილი,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
89. **ვლადიმერ უშანგის ძე დავითაშვილი,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
90. **ლევან შუქურის ძე იოსებიძე,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
91. **რეზო გიორგის ძე ახალკაცი,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
92. **ზურაბ გიორგის ძე აბრამიშვილი,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
93. **ზაზა თენგიზის ძე ფერაძე,** უფროსი სერჟანტი, IV ქვეითი ბრიგადა;
94. **უშანგი ომარის ძე სოფრომაძე,** უმცროსი სერჟAნტი, I ქვეითი ბრიგადა;
95. **გელა გივის ძე ჭედია, მაიაორი,** V ბრიგადა;
96. **მერაბ თამაზის ძე ჭელიძე,** სამედიცინო სამსახურის სერჟანტი, V ქვეითი ბრიგადა;
97. **გიორგი თენგიზის ძე ღვინიაშვილი,** კაპრალი, V ქვეითი ბრიგადა;
98. **ამირან გურამის ძე მამალაძე,** კაპრალი, V ქვეითი ბრიგადა;
99. **ჯიმშერ იაშას ძე ტოროშელიძე,** კაპრალი, საინჟინრო ბრიგადა;
100. **გიორგი პაატას ძე მურადაშვილი,** კაპრალი, საინჟინრო ბრიგადა;
101. **ზაზა ბეგლარის ძე ახალკაცი,** სერჟანტი, საინჟინრო ბრიგადა;
102. **დავით ვალიკოს ძე ელიზბარაშვილი,** პოლკოვნიკი, საინჟინრო ბრიგადა;
103. **არჩილ ვახტანგის ძე ბერიანიძე,** უფროსი სერჟანტი, ცალკეული ჯავშსატანკო ბატალიონი;
104. **გიორგი ნოდარის ძე ბადრიაშვილი,** სერჟანტი, ცალკეული ჯავშსატანკო ბატალიონი;
105. **თამაზ არდიკოს ძე მელიქიძე,** უფროსი სერჟანტი, ცალკეული ჯავშსატანკო ბატალიონი;
106. **ივანე მალხაზის ძე კვალიაშვილი,** კაპრალი, ცალკეული ჯავშსატანკო ბატალიონი;
107. **ვასილ გივის ძე განჯელაშვილი,** კაპრალი, ცალკეული ჯავშსატანკო ბატალიონი;
108. **გიორგი ირაკლის ძე რომელაშვილი,** კაპრალი, ცალკეული ჯავშსატანკო ბატალიონი;
109. **ზაზა ზაურის ძე დოთიაშვილი,** კაპრალი, ცალკეული ჯავშსატანკო ბატალიონი;
110. **ჯიმშერ ელგუჯას ძე კურდღელაშვილი,** კაპრალი, ცალკეული ჯავშსატანკო ბატალიონი;
111. **გიორგი ვალერის ძე მამუკაშვილი,** კაპრალი, ცალკეული ჯავშსატანკო ბატალიონი;
112. **ზაქარია იოსების ძე კვირიკაშვილი,** კაპრალი, ცალკეული ჯავშსატანკო ბატალიონი;
113. **ელგუჯა ნოდარის ძე ინაური,** სერჟანტი, ცალკეული ჯავშსატანკო ბატალიონი;
114. **ზურაბ თამაზის ძე ურიგაშვილი,** კაპრალი, ცალკეული ჯავშსატანკო ბატალიონი;
115. **იოსებ გურამის ძე მეხატურიშვილი,** კაპრალი, ცალკეული ჯავშსატანკო ბატალიონი;
116. **მზეჭაბუკ ტარიელის ძე მიჩიტაშვილი,** კაპრალი, ცალკეული ჯავშსატანკო ბატალიონი;
117. **რამაზ გურამის ძე ერაშვილი,** კაპრალი, ცალკეული ჯავშსატანკო ბატალიონი;
118. **გიზო გულივერის ძე წულაია,** კაპრალი, ცალკეული ჯავშსატანკო ბატალიონი;
119. **ივანე ნუგზარის ძე ელიკაშვილი,** კაპრალი, ცალკეული ჯავშსატანკო ბატალიონი;
120. **გოგიტა გურამის ძე მაკრახელიძე,** უფროსი სერჟანტი, ცალკეული ჯავშსატანკო ბატალიონი;
121. **ოთარ პაატას ძე ქარელი,** კაპრალი, ცალკეული ჯავშსატანკო ბატალიონი;
122. **მიხეილ ქიშვარდის ძე ცერცვაძე,** სერჟანტი, ცალკეული ჯავშსატანკო ბატალიონი;
123. **გიორგი დავითის ძე შანიძე,** კაპრალი, ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონი;
124. **ომარ ლეოს ძე ასლანიძე,** უმცროსი სერჟანტი, ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონი;
125. **კახაბერ გიორგის ძე თავგორაშვილი,** სერჟანტი, სპეციალური ოპერაციების დაჯგუფება;
126. **ამირან ავთანდილის ძე რაზმაძე,** ს. პირი, ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი;
127. **დათა ბესიკის ძე ხურცილავა,** რეზერვისტი, ეროვნული გვარდია;
128. **გოგა ტარიელის ძე ჭითანავა,** რეზერვისტი, ეროვნული გვარდია;
129. **ოთარ ბახვას ძე კიკალეიშვილი,** რეზერვისტი, ეროვნული გვარდია;
130. **შალვა ემზარის ძე გაბუნია,** რეზერვისტი, ეროვნული გვარდია;
131. **გოგა რევაზის ძე ბერიაია,** რეზერვისტი, ეროვნული გვარდია;
132. **მიხეილ ბესიკის ძე იოსავა,** რეზერვისტი, ეროვნული გვარდია;
133. **ლევან მძლავრის ძე ჭოჭუა,** რეზერვისტი, ეროვნული გვარდია;
134. **ირაკლი ოთარის ძე მორბედაძე,** რეზერვისტი, ეროვნული გვარდია;
135. **ზაზა სავლეს ძე ბოჭოიძე,** რეზერვისტი, ეროვნული გვარდია;
136. **დავით ბუხუტის ძე ბლიაძე,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
137. **ტარიელ მიხეილის ძე ქამაშაძე,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
138. **რეზო გელას ძე მამისაშვილი,** ლეიტენანტი, IV ქვეითი ბრიგადა;
139. **გიორგი ზაზას ძე წიქარაშვილი,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
140. **თენგიზ შოთას ძე ჭაღალიძე,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
141. **ზაზა თენგიზის ძე გლუნჩაძე,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
142. **ერეკლე მიხეილის ძე ყულოშვილი,** კაპიტანი, IV ქვეითი ბრიგადა;
143. **ალექსანდრე დიმიტრის ძე თანდარაშვილი,** კაპიტანი IV ქვეითი ბრიგადა;
144. **სერგეი კონსტანტინეს ძე გოროზია,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
145. **ლევან ავთანდილის ძე მიდელაშვილი,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
146. **ზურაბ თემურის ძე ბეგიაშვილი,** სამედიცინო სამსახურის უმცროსი ლეიტენანტი, IV ქვეითი ბრიგადა;
147. **გიორგი ზაურის ძე ანწუხელიძე,** უმცროსი სერჟანტი IV ქვეითი ბრიგადა;
148. **გიორგი შირინის ძე ქათამაძე,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
149. **სერგო თამაზის ძე მელია,** უფროსი ლეიტენანტი, IV ქვეითი ბრიგადა;
150. **გელა მიხეილის ძე მებაღიშვილი,** უმცროსი სერჟანტი, IV ქვეითი ბრიგადა;
151. **იოსებ მიხეილის ძე ბეჟუაშვილი,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
152. **ზურაბ სერგოს ძე ნაჭყებია,** უფროსი სერჟანტი, IV ქვეითი ბრიგადა;
153. **კახაბერ ირაკლის ძე ხუბულური,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
154. **რომან გრიგორის ძე უგრეხელიძე,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
155. **ოლეგ სერგოს ძე ჭონიშვილი,** კაპრალი, ცალკეული ჯავშატანკო ბატალიონი;
156. **გელა მურაზის ძე რომელაშვილი,** კაპრალი, ცალკეული ჯავშსატანკო ბატალიონი;
157. **ბადრი ოთარის ძე ბერნაძე,** კაპრალი, I ქვეითი ბრიგადა;
158. **გიორგი თეიმურაზის ძე ჯოჯუა,** კაპიტანი, IV ქვეითი ბრიგადა;
159. **გოჩა გურამის ძე დანელია,** უმცროსი სერჟანტი, IV ქვეითი ბრიგადა;
160. **ალექსი გიორგის ძე ნატროშვილი,** უფროსი ლეიტენანტი, IV ქვეითი ბრიგადა;
161. **შმაგი ამირანის ძე ხაიკაშვილი,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
162. **გელა ვაჟას ძე თიგიშვილი,** უფროსი სერჟანტი, IV ქვეითი ბრიგადა;

## საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაკარგული სამხედრო მოსამსახურეების სახელობითი სია:

1. **რეზო გოჩას ძე ალავერდაშვილი,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
2. **ზურაბ გიორგის ძე ტურაშვილი,** სერჟანტი, IV ქვეითი ბრიგადა;
3. **შმაგი გუგულის ძე ნოზაძე,** კაპრალი, IV ქვეითი ბრიგადა;
4. **გიორგი მურაზის ძე რომელაშვილი,** ლეიტენანტი, ცალკეული ჯავშსატანკო ბატალიონი;
5. **ზაზა თამაზის ძე ბირთველიშვილი,** კაპრალი, ცალკეული ჯავშსატანკო ბატალიონი;
6. **ოთარ დიმიტრის ძე სუხიტაშვილი,** კაპრალი, ცალკეული ჯავშსატანკო ბატალიონი;
7. **ვეფხია გიგუშას ძე ჯიშკარიანი,** კაპიტანი, II ქვეითი ბრიგადა;
8. **პაატა იაშას ძე ქარდავა, კაპიტანი,** ს/დ დეპარტამენტი, I ოპერატიული სამმართველოს თანამშრომელი;

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ადამიანის უფლებები

**29 ივლისს მოსკოვში, საინფორმაციო სააგენტო „რია-ნოვისტის“ ოფისში მოეწყო მრგვალი მაგიდა თემაზე „ადამიანის უფლებები საქართველოში“, რომლის ფარგლებშიც გაიმართა საქართველოში ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დარღვევის ამსახველი დოკუმენტური კრებულის „უუფლებობის ზონა“ რუსულენოვანი გამოცემის პრეზენტაცია. მკითხველს აქვე შევახსენებთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ მიერ შედგენილი კრებული სამენოვანია (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოცემულ წიგნს საზოგადოება უკვე იცნობს). იგი ამ თემით დაინტერესებულ მკითხველს ადამიანის უფლებათა დაცვის დღეს — 10 დეკემბერს წარუდგინეს გამომცემლებმა; ინგლისურენოვანი ვარიანტის პრეზენტაცია წლეულს, 25-26 მაისს ბრიუსელში გაიმართა, ამჯერად კი რუსულენოვან კრებულში თავმოყრილი მასალები გახდა ფართო ინტერესის საგანი.**

მრგვალი მაგიდის მონაწილეებს, ასევე, გადაეცათ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ სპეციალური რუსულენოვანი გამოცემა, რომელშიც თავმოყრილია ადამიანის უფლებათა დარღვევის მრავალი ფაქტი და ამ ფაქტების პროფესიული ანალიზი, ცნობილ უფლებადამცველთა შეფასებები.

მრგვალი მაგიდის მსვლელობისას, რომელიც ორ საათზე მეტხანს გრძელდებოდა, ავტორიტეტულმა ქართველმა და რუსმა უფლებადამცველებმა არამარტო საქართველოში უკვე ჩადენილ უამრავ დარღვევაზე გაამახვილეს ყურადღება, არამედ იმ კონკრეტულ ღონისძიებებზეც იმსჯელეს, რომელთა დასახვა და განხორციელება მნიშვნელოვნად შეზღუდავს ხელისუფალთა ტოტალიტარულ მისწრაფებებს.

„ისტორიული მემკვიდრეობის“ მიერ ორგანიზებულ მრგვალ მაგიდას დიდი ინტერესით გამოეხმაურნენ ავტორიტეტული მოსკოველი უფლებადამცველები — მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის ხელმძღვანელი **ლუდმილა ალექსეევა**, საზოგადოება „მემორიალის“ ხელმძღვანელი **სერგეი კოვალიოვი**, ამავე საზოგადოების წევრი **ვალენტინ გეფტორი**, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა უფლებების დაცვის საზოგადოების ხელმძღვანელი **ერნსტ ჩორნი**, ჟურნალისტთა უფლებების დაცვის საზოგადოება „გლასნოსტის“ ხელმძღვანელი **ალექსეი სიმონოვი**. ისინი აქტიურად ჩაერთნენ დისკუსიაში, რომელშიც საქართველოს მხრიდან მონაწილეობდნენ „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარე **ტარიელ გაგნიძე**, არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის“ ხელმძღვანელი **ნანა კაკაბაძე**, ამავე ორგანიზაციის აღმასრულებელი მდივანი, ადვოკატი **გელა ნიკოლაიშვილი**, ევრაზიის ინსტიტუტის დირექტორი **გულბაათ რცხილაძე**, გლობალიზაციის პრობლემების ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე **ვიქტორ ცაავა**, ჟურნალისტი, პუბლიცისტი **არნო ხიდირბეგიშვილი**, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორის მოადგილე **ბონდო მძინარაშვილი**.

მრგვალ მაგიდას უძღვებოდა „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარე **ტარიელ გაგნიძე**.

გთავაზობთ მოსკოვური დისკუსიის მცირე, საგაზეთო ვარიანტს. ვრცლად ამ შეხვედრის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ საიტზე www.geworld.net, ხოლო ვიდეოვერსიას გაეცნობით „რია-ნოვოსტის“ საიტზე www.rian.ru



ტარიელ გაგნიძე

**ტარიელ გაგნიძე:**

— უპირველეს ყოვლისა, ყველას მადლობას მოგახსენებთ ჩვენს ღონისძიებაში მონაწილეობისათვის. ცალკე მინდა მადლობა ვუთხრა მოწვეულ სტუმრებს, რომლებმაც ის ყურადღების ღირსად მიიჩნიეს. წინასწარ მინდა აღვნიშნო კიდევ ერთი გარემოება. ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობა“ უკვე წელიწად-ნახევარია ფუნქციონირებს. დარეგისტრირებული ვართ და ვმუშაობთ თბილისში. 2009 წელს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ორჯერ დაგვარბიეს. ამიტომ მინდა მადლობა ვუთხრა თბილისელ სტუმრებს მათი გამბედაობისათვის, იმისათვის, რომ არ შეეშინდათ ჩვენს დღევანდელ ღონისძიებაში მონაწილეობისა.

## 2003 წლის შემდეგ ჩატარებული ყველა არჩევნები ტოტალურად გაყალბდა. ამგვარად მოახდინეს ხელისუფლების უზურპაცია ქვეყანაში.

ახლა ნება მიბოძეთ, მთავარ თემაზე გადავიდე. ადამიანის უფლებები დემოკრატიული სახელმწიფოსა და დემოკრატიული საზოგადოების არსებობის უმნიშვნელოვანესი პირობაა. 2003 წლის ნოემბერში საქართველოს ხელისუფლებაში, სწორედ რევოლუციის ტალღაზე და ადამიანის უფლებების დაცვის ლოზუნგით ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი მოვიდნენ. პრეზიდენტად გამოცხადების შემდეგ, მას ძალზე მკვეთრად გამოეხატა ხასიათის ზოგიერთი თვისება, სახელდობრ, მისი ორპირობა. ერთი სახე — გულღია და მოცინარი, გათვალისწინებულია დასავლეთისთვის, რომელიც მას ხელისუფლებაში მოსვლაში დაეხმარა და აქამდე ბევრ რამეში მხარს უჭერს. მეორე, მისი, როგორც პოლიტიკოსისა და ადამიანის ჭეშმარიტი სახე შიდა მოხმარებისთვისაა გათვალისწინებული. სწორედ ეს სახეა გამოსახული ჩვენ მიერ მომზადებული კრებულის გარეკანზე „უუფლებობის ზონა“, რომელიც ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს ასახავს.

აღსანიშნავია, რომ მიხეილ სააკაშვილმა ძალიან ნერვიული რეაგირება მოახდინა ამ წიგნის გამოცემაზე. წიგნის პრეზენტაცია 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს ჩატარდა, ხოლო 19 დეკემბრის დილას ჩვენი ოფისი, ტირაჟის მოსპობის მიზნით, დაარბიეს. საბედნიეროდ, ბოროტმოქმედთა ზრახვა მარცხით დასრულდა, რადგან ჩვენ ელექტრონული ვერსია შემოგვრჩა, ხოლო ტირაჟის მეორე ნაწილი სხვა ადგილას გვქონდა შენახული. ამასთან, მათ ჩვენი დაშინება და მუშაობისთვის ხელის შეშლა სურდათ, რაც, ასევე, ვერ მოახერხეს.

ამას მოწმობს ჩვენი დღევანდელი მრგვალი მაგიდაც. აქ ესწრებიან საქართველოსა და რუსეთის წარმომადგენლები, რომლებიც პროფესიონალურად შეისწავლიან ადამიანის უფლებების მდგომარეობას როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო დონეზე.

რაც შეეხება ადამიანის უფლებების დაცვას საქართველოში, 2003 წლის ნოემბრის შემდეგ ამგვარი რეალობა გვაქვს: ჩვენთან, ფაქტობრივად, ერთპარტიული პარლამენტია, რაც უკვე თავისთავად მეტყველებს ქვეყანაში დემოკრატიისა და არჩევნების დემოკრატიულობის ხარისხზე. რეალურად არ არსებობს დამოუკიდებელი სამართალწარმოებისა და სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების ინსტიტუტი. პროკურორთა თვითნებობა კანონმდებლობითაა განმტკიცებული. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეიცავს ნორმებს, რომლებიც საშუალებას აძლევს ხელისუფლებას, თავისი შეხედულებისამებრ დააკავოს ესა თუ ის ადამიანი, ხოლო ამის სასამართლო კონტროლი მორიგე პროცედურებამდეა დაყვანილი. და რაც მთავარია, სასამართლოს კანონით ეკრძალება წაყენებული ბრალდების საფუძვლიანობისა და დასაბუთების შემოწმება ადამიანის დაპატიმრების დროს.

**სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემდეგ ქვეყანაში გაჩნდნენ პოლიტპატიმრები და პოლიტიკური ნიშნით დევნილი პირები. პოლიტპატიმართა რაოდენობა 60-მდეა, ხოლო პოლიტიკურ დევნილთა სტატუსი რამდენიმე ათეულმა ადამიანმა მიიღო.**

სააკაშვილამდე ათამდე თავისუფალი ტელეარხი მაუწყებლობდა. მისი გაპრეზიდენტების შემდეგ მათი ნაწილი დაიხურა, ხოლო ნაწილმა ხელისუფლების ოფიციალური თვალსაზრისის პროპაგანდა დაიწყო. ასე რომ, დღეს ლაპარაკიც ზედმეტია დამოუკიდებელ ტელევიზიაზე.

შეიქმნა ახალი პოლიციური სისტემა, რომელსაც გარკვეული დადებითი მომენტები ახასიათებს, რისი უგულებელყოფაც ძნელია, მაგრამ, არსებითად, ის წარმოადგენს პოლიტიკურ პოლიციას, რომლის მთავარი დანიშნულება ქართველი საზოგადოებისგან მთავრობის დაცვაა.

ხელისუფლებამ „კანონიერ ქურდებს“ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა, მაგრამ ეს ომი წარმოებდა და წარმოებს არა როგორც მანკიერ ინსტიტუტთან ბრძოლა. საქმე ისააა, რომ „კანონიერ ქურდებს“ ისინი საზოგადოებაზე გარკვეული გავლენის ბერკეტების მქონე კონკურენტებად განიხილავენ.

**საერთოდ, საქართველოს ხელისუფლება ულმობლად ებრძვის ავტორიტეტის ნებისმიერ გამოვლინებას როგორც პერსონალურ, ასევე ორგანიზაციის დონეზე. მნიშვნელობა არ აქვს, ეს პიროვნება სპორტსმენია, მეცნიერი თუ სხვა ვინმე — ხელისუფლებისთვის მთავარ ორიენტირს ამ კაცის ავტორიტეტი და მაშასადამე, საზოგადოებაზე მისი გარკვეული გავლენა წარმოადგენს.**

საზოგადოების მაქსიმალური კონტროლისთვის შეიქმნა ე. წ. სიკვდილის ბრიგადები, რომლებმაც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში დღისითმზისით საჯაროდ დახვრიტეს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, ძირითადად, თბილისში 100-მდე კაცი. ეს რაც ცნობილია. სამწუხაროდ, ეს ციფრი გაცილებით დიდია.

ჩვეულებრივ ამბად იქცა კერძო საკუთრების ხელყოფა და, როგორც წესი, ეს ხელისუფალთა მერკანტილური მიზნებისთვის ხდება. თვალსაჩინოა ბიზნესისა და ბიზნესმენების ტერორი.

**ყველასთვის ცნობილია, რომ საქართველოში, შიდა კონფლიქტების გამო გვყავს დევნილები და დროებით გადაადგილებული პირები. სააკაშვილის მმართველობის ხანაში ეს რიცხვი 100.000 კაცით გაიზარდა. აღარ ვლაპარაკობ იმ გაჭირვებაზე, რომელშიც ისინი ცხოვრობენ.**

ასევე მნიშვნელოვანია, რომ 2003 წლის შემდეგ ჩატარებული ყველა არჩევნები ტოტალურად გაყალბდა. ამგვარად მოახდინეს ხელისუფლების უზურპაცია ქვეყანაში. ამის შესახებ არაერთხელ ითქვა და დაიწერა ჩვენს ქვეყანაში და ეს ყველაფერი ასახულია სხვადასხვა უფლებათა დამცველი ორგანიზაციის მოხსენებებში, ისეთებისა, როგორიცაა „Human Rights Watch,“ „Freedom House,“ „Transparense International Georgia,“ „Репортеры без границ“, „Международная федерация по правам человека“ და სხვა. ჩვენს კრებულში ჩემი ნათქვამის დამადასტურებელი ფაქტების მხოლოდ მცირე ნაწილია წარმოდგენილი.

აქ ესწრება ყოველკვირეული გამოცემა „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორის მოადგილე ბონდო მძინარაშვილი. შეგიძლიათ გაეცნოთ ამ გამოცემის რუსულენოვან სპეცგამოშვებას, რომელიც მთლიანად საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობას ეძღვნება. აღსანიშნავია, რომ ჩვენს ორგანიზაციასთან ერთად, დაარბიეს ამ გამოცემის რედაქციაც, რომელიც ჩვენი პარტნიორია ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

აქვე ესწრებიან ნანა კაკაბაძე და გელა ნიკოლეიშვილი, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციის — „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“ ხელმძღვანელები არიან. მათ წარმოგვიდგინეს ფოტოსურათები და ვიდეორგოლი, რომლებიც ნათლად ადასტურებენ იმას, რაზეც დღეს ვსაუბრობთ. ვიდეორგოლი 2004 წელს მართლმადიდებლური ეკლესიის დარბევისა და ამ ეკლესიის წინამძღვრის — მამა ბასილ მკალავიშვილის დაკავებისა და მისი მრევლის ცემის შესახებ. თუმცა ეს ფილმი განსაკუთრებით აღსანიშნავი იმითაა, რომ მასში იხილავთ იმჟამინდელი საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებს: მაშინდელ თავდაცვის მინისტრ ოქრუაშვილს, სახელმწიფო უშიშროების მინისტრ ადეიშვილს, რომელიც ახლა იუსტიციის მინისტრი და გენპროკურორია, და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაშინდელ დირექტორსა და ამჟამინდელ თავდაცვის მინისტრ ბაჩო ახალაიას, იმხანად პრეზიდენტის დაცვის უფროს თათუხაშვილს. ისინი პირადად მონაწილეობდნენ მოხუცების, ქალებისა და ბავშვების ცემაში. ამას საკუთარი თვალით იხილავთ.

ახლა კი ამის თაობაზე სიტყვას ჩვენს სტუმრებს გადავცემ.

**ნანა კაკაბაძე:**

— მე წარმოვადგენ არასამთავრობო ორგანიზაციას „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის,“ რომელიც დააფუძნეს ადამიანებმა, რომლებიც საბჭოთა პერიოდში თავიანთი პოლიტიკური შეხედულებებისათვის ციხეში ისხდნენ. ბუნებრივია, რომ ჩვენი საზრუნავი პოლიტპატიმრები არიან, მაგრამ უმთავრესი პრობლემით დავიწყებ — იმით, რომ **არსებობდა იმის მოლოდინი, რომ ხელისუფლებაში მოსული ახალგაზრდები ნამდვილ დემოკრატიას დაამყარებდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი პირიქით მოხდა.** შევარდნაძის დროს საქართველოში საჯაროობა სუფევდა, არსებობდა თავისუფალი პრესა და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც მთავრობის გაკონტროლება შეეძლოთ. იმ დროის ერთადერთ პრობლემას წარმოადგენდა კორუფცია და ის გარემოება, რომ ხელისუფლება ნაკლებად უგდებდა ყურს არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციებს.

**რევოლუციის შემდეგ ყველაფერი მკვეთრად შეიცვალა.** დავიწყებ პოლიტპატიმრებიდან და მხოლოდ ციფრებს მოვიყვან. საბჭოთა პერიოდის საქართველოში სას- ▶



საქართველო
გსურთ, გაგვიზიარით თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# უუფლებობის ზონაში


ნანა კაკაბაძე

**არსებობდა იმის მოლოდინი, რომ ხელისუფლებაში მოსული ახალგაზრდები ნამდვილ დემოკრატიას დაამყარებდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი პირიქით მოხდა.**

◀ ჯელაღსრულების დაწესებულებები გათვლილი იყო მაქსიმუმ 10.000 კაცზე, ციხეებში იჯდა 7-7,5 ათასი პატიმარი **(მაშინ საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 5,5 მლნ. ადამიანს შეადგენდა. — რედ.).** პოსტსაბჭოთა პერიოდში, გამსახურდიასა და შემდგომ შევარდნაძის მმართველობის ხანაში 5-7 ათასი პატიმარი გვყავდა. დღეს მათი რაოდენობა 30.000-ს აღწევს **(ეს მაშინ, როცა ქვეყნის მოსახლეობა დაახლოებით 3 მილიონი ადამიანია. — რედ.).**

**საბჭოთა პერიოდში, 1970-დან 1980 წლამდე საქართველოში თავისი პოლიტიკური შეხედულებებისათვის საპატიმროებში იჯდა 10-15 კაცი. 2003 წლისათვის კი პოლიტპატიმრები საერთოდ არ გვყავდა. რევოლუციის შემდეგ დღემდე არასამთავრობო ორგანიზაციებისგან შემდგარმა ჩვენმა კომისიამ შეისწავლა 70-მდე საქმე და ყველა მათგანი პოლიტიკურად აღიარა.** ასევე, მოვიწვიეთ რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია ამ 70 საქმიდან 8-ის შესასწავლად. რვავე საქმე პოლიტიკურად მიიჩნიეს. მაგალითად, აქ დამსწრე ჩვენმა მეგობრებმა და კოლეგებმა ოლეგ ორლოვმა და ერნსტ ჩორნიმ პოლიტპატიმარ ვახანიას საქმე შეისწავლეს და ამის თაობაზე რამდენიმე სიტყვას იტყვიან. ასე რომ, პოლიტპატიმრები საქრთველოში ძალიან სერიოზული პრობლემაა. ამიტომაც ჩვენმა ორგანიზაციამ და ჩვენმა მეგობრებმა რუსეთში საჭიროდ მიიჩნიეს ამ საკითხზე კონფერენციის გამართვა.

**სერგეი კოვალიოვი:**

— პოლიტპატიმართა საკითხი, რა თქმა უნდა, ძალზე მნიშვნელოვანია, თუმცა მინდა ერთ საჩოთირო საკითხზე გესაუბროთ — ჩემს და არა მხოლოდ ჩემს დამოკიდებულებაზე 2008 წლის აგვისტოს ომის მიმართ. დასავლეთში ფიქრობენ, რომ საბრალო დემოკრატი სააკაშვილი მთელი ძალ-ღონით ებრძვის რუსეთის ზეწოლას. და უცებ რუსი უფლებადამცველები რუსეთის ხელისუფლების ჭაპანში ებმებიან! ეს ასე არაა...

ახლა რაც შეეხება ვახანიას საქმეს... უნდა ითქვას, რომ ვახანიას პოლიტიკური შეხედულებები ჩვენთვის და, სავარაუდოდ, სააკაშვილისთვისაც ერთობ უცხოა, მაგრამ ამის გამო კაცის გასამართლება არ შეიძლება! ამის გამო ადამიანს იარაღი არ უნდა ჩაუდო და ვითომდა ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლის სრულიად უაზრო ბრალდებები წაუყენო.

ვახანია მოსკოვში თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილას ბრუნდებოდა, მაგრამ აეროპორტში ორივე პასპორტი — ქართულიცა და რუსულიც (მას ორმაგი მოქალაქეობა აქვს) ჩამოართვეს და რეისიდან მოხსნეს. უთხრეს, რომ რუსეთის ჯაშუშობაში ედებოდა ბრალი, რაც მან კატეგორიულად უარყო. მაშინ საქართველოს სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა შესთავაზეს... შემდეგ კი უბრძანეს, ზუგდიდში დაბრუნებულიყო და გადაწყვეტილებას დალოდებოდა. რომელ გადაწყვეტილებას? რის შესახებ? ვისგან? რამდენიმე თვე გავიდა და ეს გადაწყვეტილება გაჩხრეკაში გამოიხატა. ხშირად დავსწრებივარ ჩხრეკას, მაგრამ არც ერთხელ, მძიმე დროშიც კი, არ


სერგეი კოვალიოვი

მახსოვს, რომ ადამიანები, რომლებიც იმ მომენტში სახლში იმყოფებოდნენ, პირქვე დაეწვინოთ იატაკზე. ეტყობა, ასე უფრო მოსახერხებელია ჩხრეკისას კანონის დაცვა.

ამას მოჰყვა მოწმეებთან დაკავშირებული საზიზღარი ისტორია. ბუნებრივია, ლეიბის ქვეშ იარაღი — ავტომატები და ყუმბარები აღმოაჩინეს და მოწმეების წინაშე მათი დემონსტრირება მოახდინეს. აი, იარაღის ამოღების დემონსტრირება კი არ მოუხდენიათ. ბუნებრივია, მათაც არ მოისურვეს ხელის მოწერა ოქმზე, სადაც აღწერილი იყო გამოძიების ისეთი მოქმედებანი, რომლებიც მათ არ უნახავთ და რომლებსაც შედეგად იარაღის აღმოჩენა მოჰყვა. მაშინ ოქმზე უცებ გაჩნდა ხელმოწერები. ჩატარდა ექსპერტიზა და ექსპერტმა დაასკვნა, რომ ხელმოწერები მოწმეებისა არ იყო. თუმცა სასამართლომ ეს დასკვნები არასაკმარისად ცნო და არ დაეჭვებულა, რომ იარაღი აღმოჩენილი კი არა, ჩადებული იყო. ერთ-ერთი მოწმე პირდაპირ სასამართლო დარბაზში დააპატიმრეს, გაასამართლეს და ცრუმოწმეობისათვის პირობითი სასჯელიც შეუფარდეს.

ახლა რამდენიმე ზოგად შენიშვნას გამოვთქვამ. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და დასავლეთის პოლიტიკურ ბომონდში ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ საშინელ პირობებში მყოფი პატარა ქვეყანა, თავისი მცირერიცხოვანი, მაგრამ ამაყი ხალხით, ნამდვილ ლიბერალურ დემოკრატიას აშენებს, წარმატებებს აღწევს ეკონომიკისა და სახელმწიფოს დემოკრატიზაციის სფეროებშიც.

ყველა აქ მყოფს ამ თემებზე მსჯელობისა და თვალის დევნების საკმაო გამოცილება გვაქვს. **დიახ, შესაძლოა, საქართველოში (ამის დემონსტრირება თვალწინ მოგვიხდინეს) საგზაო მოძრაობისა და შეძენილი მანქანების რეგისტრაციის დარეგულირების სფეროებში სერიოზული წარმატებებია მიღწეული, მაგრამ განა ეს დემოკრატიაა? ეს ადმინისტრაციული მიღწევებია. ქვეყანაში, სადაც სისხლის სამართლის საქმეები პოლიტიკური მოტივითაა ფალსიფიცირებული, დემოკრატია არასოდეს იქნება! არავინ მოითხოვს, რომ სააკაშვილი დაჩოქილი ინანიებდეს. პოლიტიკა, სამწუხაროდ, ძალზე რთულ პირობებში ვითარდება და ამასთან შეგუება გვიწევს. მაგრამ, თუ ადამიანებს პოლიტიკური მოტივით ციხეში სვამ და სისხლის სამართლის საქმეებს მიაწერ, შეგიძლია სამუდამოდ ჯვარი დაუსვა ყველაზე კეთილშობილურ დემოკრატიულ ზრახვებსაც კი.** ანდა უარი თქვა ამაზე, სხვა არჩევანის არარსებობის გამო, როგორც ეს ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძემ მოიმოქმედა. ჩვენ ხომ პირველად არ ჩავსულვართ საქართველოში და უწინაც გვქონია კონტაქტები წინამორბედ პრეზიდენტთან; გვახსოვს, როგორ ეკიდებოდა ამგვარ პრობლემებს. იგი არ ინანიებდა თავისი სამართალდამცავი ორგანოების ულამაზო ქმედებათა გამო, მაგრამ მათ აღკვეთდა. ახლა კი რას ვხედავთ? ამასაც არავინ ცდილობს...

**ქვეყანაში, სადაც სისხლის სამართლის საქმეები პოლიტიკური მოტივითაა ფალსიფიცირებული, დემოკრატია არასოდეს იქნება!**

**ლუდმილა ალექსეევა:**

— ძალიან სამწუხაროა იმის მოსმენა, რაც დღეს საქართველოში დემოკრატიასთან დაკავშირებით ხდება. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ამას ჩვენზე ყვებით. ამიტომაც ერთობლივად უნდა ვიმოქმედოთ. ვფიქრობ, იგივე ხდება მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეშიც... **ვფიქრობ, დღემდე ჩვენი საბჭოთა წარსულის საზღაურს ვიხდით. ამა თუ იმ სახით ის მაინც მოქმედებს, მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, ევროპას დავეწიოთ.** ყველა უნდა გავერთიანდეთ, ისევე, როგორც ვახანიას საქმის გამო. პოლიტპატიმართა საკითხზე კონფერენციის გამართვის იდეაც არსებობს. აუცილებელია პოლიტპატიმართა საქმეებთან დაკავშირებით კომიტეტის შექმნაც...

საჭიროა, რომ ჩვენი მრგვალი მაგიდიდან მესიჯი მთელი პოსტსაბჭოთა სივრცის უფლებათა დამცველებს მიუვიდეთ.


ლუდმილა ალექსეევა

**ძალიან სამწუხაროა იმის მოსმენა, რაც დღეს საქართველოში დემოკრატიასთან დაკავშირებით ხდება.**

**არნო ხიდირბეგიშვილი:**

— ჩემი გვარი წარმოდგება სიტყვისგან „ხიდი" და მე მის გამართლებას ვცდილობ. ვინც ჩემს პუბლიკაციებს იცნობს, იცის, რომ ჩემს პრიორიტეტს მუდამ წარმოადგენდა და ახლაც წარმოადგენს საქართველო-რუსეთის ურთიერთობები, ჩვენი ხალხების მეგობრობა და რუსული ენა, როგორც ამის ფუნდამენტი. ამიტომ ვილაპარაკებ საქართველოს 700.000 მოქალაქის უფლების გლობალურ დარღვევაზე, რაც ძმათამკვლელი ომების მიზეზად იქცა, რომლებშიც ათასობით კაცი დაიღუპა, ხოლო ასი ათასობით თავის სამშობლოში ლტოლვილად იქცა. და ამაში დამნაშავეა ყველა — საქართველოს ხელისუფლებაც, თავისი აქტიური მოქმედებით, და რუსი ჩინოვნიკებიც, თავიანთი აქტიური უმოქმედობით. ამაში მდგომარეობს იმ უფლებათა დარღვევების განსხვავება, რომლებზეც მე ვილაპარაკებ, ზემოთ ნათქვამისგან. **მხედველობაში მაქვს საქართველოში რუსული ენის კლინიკური სიკვდილი, რის შედეგადაც დაირღვა ქვეყნის მოსახლეობის ერთი მეოთხედის, იმ ე. წ. ნაციონალური უმცირესობების უფლებები, რომლებიც არასაკმარისად ან სავსებით ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას, სამაგიეროდ, ფლობენ რუსულს, რომელიც მცირე ხნის წინათ ყოფილი საბჭოთა კავშირის 15-ვე რესპუბლიკაში ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ენას წარმოადგენდა.**

**რა სამწუხაროც უნდა იყოს, რუსული ენის არეალი საქართველოში მკვეთრად შემცირდა. რუსული ენა მიზანმიმართულად იდევნება ყოველდღიური ცხოვრებიდან.** ორი მესამედით შემცირდა რუსული სკოლების რაოდენობა, სახელმწიფო უნივერსიტეტში აღარ არსებობს უძველესი ტრადიციების მქონე რუსული ენის კათედრა და რუსული სექტორი ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. აღარ არსებობს თბილისში პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტიც. განა ეს განათლების უფლების დარღვევა არ არის?

2008 წლის აგვისტოს შემდეგ ჩვენთან დაბლოკილია თითქმის ყველა რუსული არხი, საინფორმაციო პროგრამებით. არ არსებობს რუსულ ენაზე სუბტიტრების პრაქტიკაც კი. კინოთეატრებში ყველა რუსული ფილმი ქართული თარგმანით გადის. საკაბელო ტელევიზია და ინტერნეტი ჯერ კიდევ დაუშვებელი ფუფუნებაა საქართველოს ბევრი მცხოვრებისთვის, განსაკუთრებით, ნაციონალური უმცირესობებისათვის, რომელთა შორისაც უმუშევრობის დონე გაცილებით მაღალია, ვიდრე ავტოქტონურ მოსახლეობაში. მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ბედნიერად მიიჩნევენ თავს, თუ მომვლელებად, მრეცხავებად ანდა დარაჯებად მოეწყობიან, რადგან მოთხოვნა გაცილებით მაღალია შეთავაზებაზე. განა ეს შრომის უფლების დარღვევა არ არის?..

თუმცა ყველაზე საშინელი მაინც ისაა, რომ დღეს მაღაზიაში, ქუჩაში ან კაფეში რუსულად დალაპარაკებისას შესაძლოა შეურაცხყოფაც კი მოგაყენონ. ხოლო იმისათვის, რომ სამართალდამცავთა ხელში არ მოხვდნენ, ადამიანებს ყველა უსამართლობის ატანა მდუმარედ უწევთ. სულერთია, მათ რუსულად ნათქვამს მაინც ვერავინ გაიგებს. **რუსულენოვანი მოსახლეობის არსებობა შეიძლება აღიარო ანდა არ აღიარო, მაგრამ ის მაინც არსებობს. სწორედაც რომ არსებობს და ქვეყნის პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სახელმწიფოს მართვაში არ მონაწილეობს.** ეს ყველაფერი ხელისუფლების მხრიდან არასათანადო ყურადღების, ქართველ საზოგადოებასთან კონტაქტისა და მათთან გასაგებ ენაზე ურთიერთობის არქონის შედეგია.

დღეს, 21-ე საუკუნეში, საქართველოს რუსულენოვანი მოსახლეობა რატომ უნდა იმყოფებოდეს ვაკუუმში? ქვეყანაში მომხდარი მოვლენების შესახებ რატომ უნდა იღებდნენ ინფორმაციას ინტერპრეტირებული სახით, როგორც ეს პოლიტიკურ კონიუნქტურას ნებავს? რა არის ეს, თუ არა მათი მოქალაქეობრივი უფლებების დისკრიმინაცია? იქნებ აქ იმალება ერთი სახელმწიფოს მცხოვრებთა ერთმანეთისგან სეგრეგაციის ნოყიერი ნიადაგი — ქართველებისა აფხაზებისაგან, ოსებისაგან, ბერძნებისგან, რუსებისა და აზერბაიჯანელებისგან? რა ცოდვების გამო მოუწყეს მათ პოლიტიკოსებმა მეორე ბაბილონი? პასუხი ცნობილია: **2003 წელს ვაშინგტონის საოლქო კომიტეტის გენმდივანმა დაამტკიცა გეგმა, რომლის მიხედვითაც მთავარი დარტყმა სწორედ რუსული ენისთვის უნდა მიეყენებინათ საქართველოში, რაც წარმატებით განახორციელა კიდეც ჩვენმა ხელისუფლებამ სოროსის ფონდისა და მისი პარტნიორის — აშშ-ის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მხარდაჭერით, რომელსაც მაკკეინი ხელმძღვანელობს.** ამიტომ განათლების პირველ მინისტრად „ვარდისფერი" რევოლუციის შემდეგ სოროსის ფონდის საქართველოს ფილიალის დირექტორი კახა ლომაია დაინიშნა, ხოლო ამჟამინდელი მინისტრი საქართველოში აშშ-ის რესპუბლიკური ინსტიტუტის მისიის დირექტორი შაშკინია, რომელსაც აშშ-ში საქართველოს დემოკრატიზაციის მინისტრი შეარქვეს. სხვათაშორის, მან ახლახან განაცხადა, რომ მითი რუსეთ-საქართველოს მეგობრობის შესახებ ბოლოსდაბოლოს გაქარწყლდა. როგორ მოგწონთ ასეთი დემოკრატი?

უნდა ითქვას, რომ რეფორმატორები წარმატებით გაუმკლავდნენ თავიანთ ამოცანას. საქართველო სასწრაფოდ უნდა ჩამოეშორებინათ რუსეთისთვის და დასავლეთზე ორიენტირებულად ექციათ, მოეწამლათ ჩვენი საზოგადოება რუსოფობიით და ჩვენი შვილები ანტირუსული სულისკვეთებით აღეზარდათ, რათა ქართველ, აფხაზ და ოს ბავშვებს მოწიფულობაში საერთო — რუსული ენა არ ჰქონოდათ და არ შეეტყოთ, რომ და-ძმები არიან, რათა დასავლეთის წყალობისათვის არ ემჯობინებინათ ძმობა და მეგობრობა და არ მოეთხოვათ პასუხი ამჟამინდელი ხელისუფლებისათვის...


არნო ხიდირბეგიშვილი

**ტარიელ გაგნიძე:**

— მინდა, დავამატო შემდეგი. შეიძლება სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება გქონდეს საქართველოს ხელისუფლებისადმი, განსხვავებული დამოკიდებულება გაგაჩნდეს რუსეთის ხელისუფლებისადმი, მაგრამ **ორი ხალხის, ამ შემთხვევაში, რუსებისა და ქართველების ერთმანეთისთვის მტრად გადაკიდების უფლება არავის აქვს, მით უფრო, თავისი ლონიუნქტურული პოლიტიკური შეხედულებებიდან გამომდინარე, როგორც ამას სააკაშვილი აკეთებს პირწავარდნილი ანტირუსული პროპაგანდით.** ▶

**იმისათვის, რომ სამართალდამცავთა ხელში არ მოხვდნენ, ადამიანებს ყველა უსამართლობის ატანა მდუმარედ უწევთ. სულერთია, მათ რუსულად ნათქვამს მაინც ვერავინ გაიგებს.**

4 — 10 აგვისტო, 2010 წელი. №29 (72)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ადამიანის უფლებები უუფლებობის ზონაში

◀ ისეთი შთაბეჭდილება რომ არ შეიქმნას, თითქოსდა საქართველოში მარტო პოლიტიკური უფლებები ირღვევა, მინდა, გელა ნიკოლეიშვილს ვთხოვო, პატიმართა უფლებებისა და კერძო საკუთრების უზრუნველყოფის მდგომარეობაზე მოგვითხროს. საქართველოსთვის ესეც ძალზე მტკივნეული საკითხია.


გელა ნიკოლეიშვილი

იარაღის გამოყენებაა საჭირო, უნდა გამოვიყენოთ. არავითარი პირობითი სასჯელი! ყველანი ციხეში! ნულოვანი ტოლერანტობა!" მან უკვე დაადასტურა, რომ პირადად გასცა აფრასიძეების ოჯახის ლიკვიდაციის ბრძანება. **ალბათ, ჯერ არ გადაუწყვეტია, რომ, ჩვენ, ჟურნალისტები ციხეში უნდა ჩაგვსვას, ამიტომ ჩვენი რედაქცია ორჯერ დაარბიეს. მას რომ ეს გადაეწყვიტა, აღასრულებდა კიდეც.**

საქართველოს ტოტალიტარულ სახელმწიფოდ გადაქცევის საშიშროებაზე უკვე ყველა ალაპარაკდა. 2003 წლამდე ქვეყანაში რამდენიმე დამოუკიდებელი ტელეარხი იყო. ახლა მთელი რიგი არხები და გაზეთები დაიხურა. თანაც, ისინი თავად მფლობელებმა დახურეს. ყველასათვის ცნობილია ტელეარხ „იმედთან" დაკავშირებული სიტუაცია. ის არხი, დღეს რომ მთელ მსოფლიოში მაუწყებლობს, ის „იმედი" არაა! ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ საქართვე-

ლიტიკური თავშესაფარი ჯერ არავისთვის მიუციათ შვეიცარიაში.

**ალექსეი სიმონოვი:**

— ძალიან მიკვირს, რომ სახელმწიფოში, სადაც ხელისუფლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ასეთ „ყურადღებას" აქცევს, ამგვარი პრობლემები წარმოიშვა.


ალექსეი სიმონოვი

დება. განა აზერბაიჯანში, სომხეთსა და სამხრეთ ოსეთში ყველაფერი იდეალურადაა? ახლახან ცნობილი გახდა, რომ შერიგების პროცესის ერთ-ერთ წევრს ცხინვალში მისივე კოლეგებმა სცემეს. ამას წინათ საქართველოში დააკავეს იმ თურქი მესხების ლიდერი, რომელთა ნაწილიც ამერიკაში გადასახლდა, ნაწილი კი საქართველომ მიიღო. დიდ ხნის წინათ უნდა გვეფიქრა იმაზე, სისტემურად და კოორდინირებულად როგორ მივდგომოდით ამ საქმეებს. ბევრი რამ, რაც ამ სფეროში გაკეთდა, რეალობაში არ მუშაობს. **სამართალდამცავი ორგანოები კოორდინირებულად მოქმედებენ, როცა საქმე ექსტრადიციასა და არა მარტო რეალურ, არამედ ცრუ ტერორიზმთან ბრძოლას ეხება. რა უნდა მოვიმოქმედოთ ქსელური პროექტების სარეალიზაციოდ ძალისხმევის გასაერთიანებლად? სამწუხაროდ, ამ საქმისადმი სერიოზული მიდგომა არ არსებობს.** ამიტომ მოდი,


გულბაათ რცხილაძე

ბოდა — ვიღაცას დიდი ქრთამის აღება უნდოდა. შემდეგ შეგვპირდა, რომ ყველაფერს გაარკვევდა. ეს გარკვევა იმაში გამოიხატა, რომ ვახანიას 4-დან სამ წელიწად-ნახევარი მიუსაჯეს იმ საქმის გამო, რომელთან დაკავშირებითაც მისი გასამართლება საერთოდ არ შეიძლებოდა...

**სერგეი კოვალიოვი:**

— მგონია, რომ საქართველოში დამყარებულ „წესრიგს" აქტიურად უჭერენ მხარს დასავლეთის ქვეყნები. ვფიქრობ, ეს ეჭვი რეალურია. **ალბათ, არსებობენ ისეთი ძალები, რომლებიც დაინტერესებულნი**

## ქართველი საზოგადოება დღეს დათრგუნვილი და დაშინებულია და გარკვეულწილად — მოსყიდულიც.

**თა დამცველებმა რეალური სურათი დაინახონ.** ამ რეჟიმს არაფერი დემოკრატიული და ლიბერალური არ სცხია. საქართველოში უხეშად ირღვევა ადამიანთა უფლებები და ეს დემოკრატიის ფასადს მიღმა ხდება.

**არიან „დემოკრატიის შუქურად" თქვენი ქვეყნის წარმოჩენაში, მაგრამ ეს არა პოლიტიკური გათვლების, არამედ მათი შეცდომის შედეგია.** ძალიან მიჭირს ჯორჯ სოროსის ბნელ ძალად წარმოდგენა, რომელიც ვინმეს სამართლებრივი თვითნებობისკენ უბიძგებს...

## პატიმრებისადმი ასეთი დამოკიდებულება ისტორიას არ ახსოვს. ფიზიკური დასჯა, თანაც უმიზეზოდ, ყოველდღიურ ნორმად იქცა.

## მინდა, სიხარულით აღვნიშნო, რომ, მიუხედავად ქართული ენის არცოდნისა, თბილისში თავი უცხოდ ერთხელაც არ მიგრძვნია.


ერნსტ ჩორნი

**ვიქტორ ცაავა:**

— ჩვენი წიგნის „უუფლებობის ზონა" გამოცემის მიზანი დღევანდელი ხელისუფლების ორსახოვნების წარმოჩენაა. **ერთის მხრივ, ეს პროდასავლური მთავრობაა, რომელიც ნეგატიურ მოვლენებს ებრძვის, მაგრამ სინამდვილეში ეს მხოლოდ გარეშე თვალისთვის კეთდება;** გვსურდა, გვეჩვენებინა, რომ ჩვენს ქვეყანაში ადამიანთა უფლებები ირღვევა.

**დისკუსიის დასასრულს მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა უპასუხეს ჟურნალისტთა შეკითხვებს.**

**გელა ნიკოლეიშვილი:**

— ბუნებრივია, დღეს საქართველოში არა მარტო პოლიტიკური პატიმრები, არამედ უკანონო პატიმრებიც გვყავს, რომლებიც ასეთივე მეთოდებით დააკავეს. საქმე ისაა, რომ ეკონომიკურ და ფინანსურ ინტერესებთან დაკავშირებით, **სამთავრობო სტრუქტურები ბიზნესმენებს აიძულებენ, ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინონ ხელისუფლებას, განსაკუთრებით, არჩევნების წინ. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება გისოსებს მიღმა ამოჰყონ თავი და ბიზნესიც დაკარგონ.**

რა ხდება საპატიმროებში? პატიმრებისადმი ასეთ დამოკიდებულება ისტორიას არ ახსოვს. ფიზიკური დასჯა, თანაც უმიზეზოდ, ყოველდღიურ ნორმად იქცა. ციხეში ადამიანის ღირსებისშემლახავი მოპყრობა ჩვეულებრივი ამბავია. რა თქმა უნდა, ყოველი დანაშაული დასჯადი უნდა იყოს, მაგრამ როგორია სასჯელის ვადები? ჩვენთან ამ ვადებმა 30-დან 40 წლამდე მიაღწია. 25-30-40-წლიანი ვადები სასამართლო პრაქტიკის ნორმად იქცა.

რაც შეეხება სასამართლოებს, **დიახ, ჩვენი მოსამართლეები ქრთამს არ იღებენ, მაგრამ სასამართლოში პოლიტიკური კორუფცია არსებობს.** მათ იციან, რომ განაჩენი პროკურორის თანხმობით უნდა გამოიტანონ, სხვაგვარად, სამსახურს დაკარგავენ ან გისოსებს მიღმა აღმოჩნდებიან. **ასე რომ, ჯერ კიდევ საკითხავია, რა ჯობია — პოლიტიკური თუ ჩვეულებრივი კორუფცია.** მათ უკვე სატელეფონო მითითებებიც აღარ სჭირდებათ. მითითებებს პროკურორებისგან იღებენ და უსიტყვოდ ასრულებენ.

**ბონდო მძინარაშვილი:**

— პრეზიდენტ სააკაშვილის სიტყვებით დავიწყებ, რათა თავად დარწმუნდეთ, თუ რა სიტუაციაა საქართველოში სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით: „იქ, სადაც


ბონდო მძინარაშვილი

როცა ვლადიმერ ვახანიას საქმეს ვეცნობოდი, პირველ რიგში, სწორედ ამან გამაოცა...

რაც შეეხება პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთიანი აქციის ჩატარებას, ერთ სისტემაში გაერთიანება უაღრესად მნიშვნელოვნად და საჭიროდ მიმაჩნია, თუმცა გრანტის მოპოვება საკმაოდ რთული იქნება. ამიტომ ამ ღონისძიების გამართვის ტექნოლოგიაზე უნდა ვიფიქროთ. მინდა, სიხარულით აღვნიშნო, რომ, მიუხედავად ქართული ენის არცოდნისა, თბილისში თავი უცხოდ ერთხელაც არ მიგრძვნია.

შემოდგომაზე შევიკრიბოთ და მოვიფიქროთ, როგორ გავცდეთ ვიწრო მიდგომის ჩარჩოებს და დავსახოთ რეგულარული მუშაობის გეგმები.

**ტარიელ გაგნიძე:**

— საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანისგან განსხვავებით, ერთი თავისებურება ახასიათებს: **საქართველოსა და სააკაშვილს მთელი დასავლეთი და ამერიკა დემოკრატიული გარდაქმნების მაგალითად მიიჩნევენ.** საქმე იქამდე მივიდა, რომ ბუში სააკაშვილს ამერიკაში ეპატიჟებოდა სხვა განვითარებადი ქვეყნების ხელმძღვანელთათვის იმის სასწავლებლად, თუ როგორ უნდა დანერგონ დემოკრატია თავისთან. ასეთ რამეს არც უკრაინასა და არც სომხეთთან დაკავშირებით ადგილი არ ჰქონია. ამ ქვეყნების პრეზიდენტები სააკაშვილივით „დემოკრატიის შუქურებად" არ გამოუცხადებიათ, რომელმაც ეს ინდულგენციასავით მიიღო და გაშმაგებით შეუდგა საქმეს. ასე რომ, **პასუხისმგებლობის ნაწილი სხვებსაც აკისრიათ სააკაშვილის წაქეზების გამო.**

**გულბაათ რცხილაძე:**

— სამწუხაროდ, დასავლეთში სააკაშვილს პოზიტიური იმიჯი აქვს. თუმცა ყველამ კარგად იცის, რას წარმოადგენს სააკაშვილიცა და მისი რეჟიმიც. იციან, რომ 5 იანვრის არჩევნები ტოტალურად გაყალბდა. ამას ბევრი რამ მოწმობს. **ქართველი საზოგადოება დღეს დათრგუნვილი და დაშინებულია და გარკვეულწილად, მოსყიდულიც. დღეს აქ იმისთვის არ ჩამოვსულვართ, რომ ცრემლები ვღვაროთ და ვიწუწუნოთ. გვინდა, რომ რუსმა უფლება-**

## თავდაპირველად თბილისში ჩასვლისას მოგვეჩვენა, რომ სიტუაცია იქ, ძირითადად, დემოკრატიული იყო.

**ერნსტ ჩორნი:**

**— თავდაპირველად კოლეგებთან ერთად შარშან, თბილისში ჩასვლისას, მოგვეჩვენა, რომ პრობლემა გაცილებით მარტივი იყო, რომ სიტუაცია იქ, ძირითადად, დემოკრატიული იყო.** ყველა ძალისხმევას მივმართეთ პრეზიდენტ სააკაშვილთან შესახვედრად, რაც გასული წლის დეკემბერში მოვახერხეთ კიდეც... როცა ვახანიას საქმეზე გადავედით და მოვუყევით, თუ როგორ შეთითხნეს ის, მან მოგვიგო, რომ აქ არავითარ პოლიტიკას არ ჰქონდა ადგილი და საქმე კორუფციას ეხე-


ვიქტორ ცაავა

## ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ საქართველოში მომავალის რწმენა დაიკარგოს.

ელოში მომავალის რწმენა დაიკარგოს. როგორც სერგეი კოვალიოვმა თქვა, საქართველოში დემოკრატიას ლეიბქვეშ ამოდებული ავტომატით აშენებენ. გაზეთის ამ სპეცნომერში შეგნებულად არ ვიხსენებთ ჩვენი რედაქციის დარბევებს. მიგვაჩნია, რომ ეს ფაქტები იმ სავალალო რეალობის გამოვლინებაა, რაზეც „საქართველო და მსოფლიო" რეგულარულად წერს.

**ნანა კაკაბაძე:**

— მინდა, გადმოგცეთ ინფორმაცია, რომელიც ჩემი კოლეგებისთვისაც კი უცნობია: **ცნობილმა ქართველმა ჟურნალისტმა ვახტანგ კომახიძემ, რომელმაც ოთხი თვის წინათ შვეიცარიაში პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა, გუშინ მიიღო იგი. ახლა ის უსაფრთხოდაა, მაგრამ იყო დრო, როცა მას და მის ოჯახს სერიოზული ანგარიშსწორებით ემუქრებოდნენ, რადგან ჟურნალისტურ გამოძიებას ეწეოდა.** ვახტანგმა შეძლო იმის დამტკიცება, რომ ხელისუფლება მართლაც ავიწროებდა. ასე მოკლე ვადაში პო-


ვალენტინ გეფტორი

## ერთის მხრივ, ეს მთავრობა ნეგატიურ მოვლენებს ებრძვის, მაგრამ ეს მხოლოდ გარეშე თვალისთვის კეთდება.

## პოლიტპატიმართა პრობლემები სასამართლოს დამოუკიდებლობას და პოლიტიკურ წყობას უკავშირდება.

**ვალენტინ გეფტორი:**

— პოლიტპატიმართა პრობლემები სასამართლოს დამოუკიდებლობას, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის პრობლემებსა და, საერთოდ, პოლიტიკურ წყობას უკავშირ-



საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## გურამ ფირცხალავა:

# ამ საზოგადოების შემხედვარეს ხანდახან მგონია, რომ მთელი ჩვენი ისტორია სიყალბე და ტყუილია

**30 მაისს, ადგილობრივი არჩევნებისა და ოპოზიციის მიერ ზაფხულის მკვდარ სეზონად გამოცხადების შემდეგ, ქვეყანაში პოლიტიკურმა პროცესებმა იმდენად მშვიდი ხასიათი მიიღო, გეგონება, მოსახლეობის, სულ ცოტა, ოთხმოც პროცენტს ხელისუფლება პირდაპირ გულზე ეხატება... მდუმარებამ მოიცვა ოპოზიციის ტრიბუნებიც, „ნაცები“ კი დროს უქმად არ კარგავენ და, სანამ „რადიკალთა“ აქტიურობის სეზონი დადგებოდეს, კანონსა თუ კონსტიტუციას ტანზე ჩოხასავით ირგებენ... რა ძალას ფლობს დღეს რეალურად საზოგადოება, რამდენად ადეკვატურია იგი ხელისუფლების მიმართ და უნდა ველოდეთ თუ არა მომავალში პოლიტიკურ პროცესთა გამწვავებას, ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიო“ მსახიობ გურამ ფირცხალავას ესაუბრა.**

## განა შეიძლება, ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლისა და გიორგი ბრწყინვალის შთამომავალი ამ ხელისუფლებას ეგუებოდეს?!

**— ბატონო გურამ, არ ვიცი, ამ კითხვით საუბრის დაწყება რამდენად ლოგიკურია, მაგრამ ბოლო დროს ოპოზიციისა თუ საზოგადოების უმოქმედობას რომ ვუყურებ, ჩემდა უნებურად, გოგა ხაინდრავას მიერ 26 მაისს მიტინგზე წარმოთქმული სიტყვები მახსენდება: „ჩასვრილი თბილისი“... არჩევნები გაგვიყალბეს, სიტყვის თავისუფლება წაგვართვეს, მიწები გაგვიყიდეს, ხალხი სიღატაკის ზღვარზეა; კიდევ რა უნდა დაგვემართოს, რომ საზოგადოება აღსდგეს და საბოლოოდ დამთავრდეს ის უმსგავსობა, რასაც სააკაშვილი და მისი გარემოცვა სჩადის?**

— სიმართლე გითხრათ, ამ ყველაფრის შემხედვარეს ხანდახან მგონია, რომ ჩვენი საზოგადოება უკიდურესად დაკნინდა, რადგან იმას, რასაც დღეს ჩვენ ვითმენთ, სხვა არც ერთი ღირსეული ერი და საზოგადოება ნამდვილად არ მოითმენდა.

ამასწინათ შვეიცარიაში ვიყავი და, იქაურობა რომ დავათვალიერე, შურით აღვივსე, მათ არც ნავთობი აქვთ, არც გაზი, მაგრამ ქვეყანა აყვავებულია, წინ მიდის და დღითიდღე ვითარდება. ვიფიქრე, თუ ამ ერს, ქვეყანას ეს შეუძლია, ჩვენ რა გვჭირს, ჩვენთვის რატომაა ნორმალური ცხოვრება შეუძლებელი-მეთქი?! მით უმეტეს, შვეიცარიაზე ნაკლები არც რესურსები გვაქვს და არც — ტერიტორია. საქმე ის არის, რომ მათ იციან სამშობლოს მოვლა. აი, ჩვენ კი, ნაცვლად იმისა, რომ ქვეყანას ვუფრთხილდებოდეთ, გულხელდაკრეფილი ვზივართ და მშვიდად, აუღელვებლად ვუყურებთ, როგორ გვემხობა სამშობლო თავზე.

საუკუნე-ნახევრის წინათ დიდმა ილიამ „გარეთ მხდალი, შინ ძლიერი“ უწოდა ქართველობას სწორედ ასეთი სისუსტის გამო, მაგრამ დღეს, როგორც ჩანს, საქმე გაცილებით უფრო დიდ პრობლემასთან გვაქვს, რადგან „გარეთაც“ სიმხდალეს ვიჩენთ და „შიგნითაც“... ეს, რა თქმა უნდა, ყველას არ ეხება. ლაპარაკი მაქვს საზოგადოების იმ ნაწილზე, რომელიც აბსოლუტურად ხელჩაქნეულია და ბოლომდე ეგუება ამ ხელისუფლების აღვირახსნილობას.

**— თქვენი აზრით, რამ განაპირობა ეს?**

— დღეს ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ საზოგადოება დაილალა, გატყდა და ა.შ. მე არ ვიცი, ამაში რა ლოგიკაა, მაგრამ ერთი რამის თქმა ნამდვილად შემიძლია, — როგორც საზოგადოების, ისე ოპოზიციის გარკვეული ნაწილის უმოქმედობას რომ ვუყურებ, ასე მგონია, რომ მთელი ჩვენი ისტორია, სადაც მოთხრობილია ჩვენს წინაპართა გმირობებზე, სიყალბე და ტყუილია. ღმერთმა მომიტევოს, მაგრამ, განა შეიძლება, ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლისა და გიორგი ბრწყინვალის შთამომავალი ამ ხელისუფლებას ეგუებოდეს?! განა შეიძლება, ღირსეული ერი და საზოგადოება ამდენ უმსგავსობასა და უკანონობას ითმენდეს?! არა, ბატონო, ამის შემძლე სხვა ერი დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება, ასეთები მხოლოდ ჩვენ ვართ და ეს არის ჩვენი უმთავრესი უბედურება.

**— ისე, იქნებ, ჯობდა, ამასწინათ შარდენის ქუჩაზე მოსეირნე ჰილარი კლინტონისთვის გვეთხოვა, თან წაეყვანა ეს ჩვენი ბედოვლათი პრეზიდენტი?**

— თან წაეყვანა, კარგია, მაგრამ ამერიკას თვითონაც საკმარისად ჰყავს პარაზიტები. გარდა ამისა, რა გვჭირს ჩვენ ჰილარი კლინტონის სახ-



ვეწარი, ხალხი რომ გვქვია და ერად რომ მოგვაქვს თავი, ჩვენ თვითონ არ უნდა შეგვეძლოს ჩვენი პრობლემების მოგვარება?!

**— ფაქტია, რომ დღეს საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ხელისუფლების შეცვლა შეუძლებლად მიაჩნია, სანამ ამერიკის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ამას არ მოისურვებს.**

— გეთანხმებით, საზოგადოების რაღაც ნაწილს მართლა ჰგონია, რომ ჩვენი ერთადერთი მხსნელი ამერიკაა. ესეც ჩვენს სისუსტესა და გულუბრყვილობაზე მეტყველებს. ...მახსოვს, ჩემს სტუდენტობაში რადიო „თავისუფლებას“ ვუსმენდით და იქ ისეთი ინფორმაციები გადაიცემოდა, ყველას გვეგონა, რომ ამერიკა ანგელოზების ქვეყანა იყო. დღეს რასაც ვხედავ, ანგელოზების კი არა, აღვირახსნილთა ქვეყანაა, საიდანაც სათავეს იღებს ყოველგვარი უბედურება, რაც დღესდღეობით მსოფლიოში ტრიალებს.

**...გახსოვთ, ალბათ, თავის დროზე, რონალდ რეიგანმა საბჭოთა კავშირს „ბოროტების იმპერია“ უწოდა და მაშინ ეს ფრაზა ხალხმაც აიტაცა. მითხარით ერთი, იმაზე დიდი ბოროტება, რაც ამერიკამ ვიეტნამში, ხიროსიმასა და ნაგასაკში გააკეთა, რომელიმე სახელმწიფოს ოდესმე გაუკეთებია კაცობრიობის ისტორიაში? ან რასაც დღეს აკეთებს ეს ქვეყანა ავღანეთსა და ერაყში, არსებობს ამაზე დიდი ბოროტება?! რა უნდა გვასწავლონ ჩვენ ამერიკელებმა?! დემოკრატია, დემოკრატიაო, რომ დაუჩემებიათ, რას ნიშნავს დემოკრატია? უცხო ქვეყანაში შეჭრა და ადამიანების ხოცვა-ჟლეტა თუ დემოკრატიაა, მაშინ ნომერ პირველი დემოკრატი სააკაშვილი ყოფილა, რომელმაც 2008 წლის აგვისტოში მძინარე ქალაქ ცხინვალს ჭურვები დაუშინა. მეტი რაღა გვინდა?..**

— აგერ 7 აგვისტოც კარს მოგვადგა, დარწმუნებული ვარ, ომის ორი წლისთავის აღსანიშნავად ჩვენი „ყოვლისშემძლე“ პეზიდენტი უამრავ ღონისძიებას გამართავს და, ალბათ, არც იმის თქმას მოერიდება, რომ ეს ომი, ჩვენი მხრიდან, გმირობის მაგალითი იყო.

— ვინც რაც უნდა თქვას და რამდენიც უნდა ამტკიცონ, რომ ჩვენ ომი არ წაგვიგია, ფაქტი ერთია — ეს იყო სამარცხვინოზე სამარცხვინო წაგება, რაზეც პასუხისმგებელი მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებაა. სააკაშვილს რომ ხალხის სიყვარული ჰქონოდა, ამ ომის შემდეგ უმალვე უნდა გადამდგარიყო, რადგან არ შეიძლება ქვეყნის სათავეში იდგეს პიროვნება, რომელმაც ომი ესოდენ სამარცხვინოდ წააგო...

**— მიკვირს ხოლმე, როცა ასეთ შეფასებებს ვისმენ. ომი ჩვენს სახელოვან მეფეებსაც არაერთხელ წაუგიათ ომი, მაგრამ არავის მათი დამხობა აზრადაც არ მოსვლია. პირიქით, ისტორიამ გმირებად შერაცხა ისინი.**

— იცით რა, წაგებაც არის და წაგებაც, აქ ლაპარაკია ღირსებაზე... ომი ნაპოლეონმაც წააგო, მაგრამ რატომღაც არ მახსენდება ისტორიიდან, რომ ბოლო ან რომელიმე ბრძოლაში ის კურდღელს დამსგავსებოდა...

გარდა ამისა, საკითხავია, იყო თუ არა ეს ომი გარდაუვალი; რა გააკეთა ჩვენმა ხელისუფლებამ, რომ საქმე შეიარაღებულ დაპირისპირებამდე არ მისულიყო. თუ სააკაშვილს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება სურდა, რა ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ იმას, რომ, მოვიდა თუ არა ხელისუფლებაში, ერგნეთის ბაზრობა დახურა. ცალკე რუსეთს კიდევ ლანძღვა-გინება დაუწყო და მეზობელი სახელმწიფო მტრად მოიკიდა.

...რა მივიღეთ შედეგად? — სამარცხვინოდ წაგებული ომი, ასი ათასობით დევნილი, დაკარგული ტერიტორიები და დაუძლურებული ქვეყანა. ამ ყველაფრის შემდეგ როგორ შეიძლება ისტორიაში დაიწეროს, რომ სააკაშვილმა აღაშენა საქართველო, თუმცა დარწმუნებული ვარ, ისეთებიც იქნებიან, რომლებიც ამის დაწერას არ თაკილობენ...

**— და მაინც, თქვენი აზრით, როგორ შევა სააკაშვილი ისტორიაში?**

— ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ასე დავწერდი: — კაცი, რომელმაც დაამონა ქართველი ხალხი; კაცი, რომელმაც დაანაწევრა საქართველო; კაცი, რომელმაც ბრძოლის ველზე მიატოვა თავისი არმია... აი, ეს არის სააკაშვილის მთელი მონაპოვარი, რითაც ის ამაყობს და თავს იწონებს მსოფლიოს წინაშე.

**— იწონებს და გასდის კიდეც.**

— გასდის იმიტომ, რომ ჩვენ ვაძლევთ ამის საშუალებას, თორემ ხალხი რომ თავის სიმაღლეზე იდგეს, მერწმუნეთ, იმის ნახევარსაც ვერ გაბედავდა, რასაც დღეს აკეთებს...

**— კი მაგრამ, რა უნდა ქნას ხალხმა, ოთხი თვე ქუჩაში ვიდექით და ვერაფერს მივაღწიეთ. მეტი რა უნდა გავაკეთოთ?**

— ოთხი თვე კი არა, ოთხი წელიც რომ ვიდგეთ და ვყვიროდეთ, დაგვანებე თავიო, სანამ ეს ყველაფერი ორგანიზებულად არ გაკეთდება, ვერაფერს მივაღწევთ. ამიტომ, არაერთხელ მითქვამს და კვლავ ვიმეორებ, დღეს ჩვენი ერთადერთი ხსნა და გამოსავალი ერთიანობაში, ერთმანეთის თანადგომაში.

სამწუხაროდ, დღემდე ჩვენმა საზოგადოებამ ეს ვერ შეძლო, მაგრამ მე მაინც ღვთის იმედი მაქვს... მინდა მჯეროდეს, რომ ადრე თუ გვიან ხალხიც აღსდგება და საბოლოოდ დამთავრდება ეს უზნეობა, აღვირახსნილობა, რაც დღითიდღე აუტანელი და გაუსაძლისი ხდება.

ესაუბრა
**ჯაბა ჭვანია**

## მოკლედ

### აფხაზეთმა საზღვარგარეთის პასპორტების გაცემა დაიწყო




**აფხაზეთმა საზღვარგარეთის პასპორტების გაცემა დაიწყო, რის შესახებაც იტარ-ტასი იუწყება. როგორც უწინ იტყობინებოდნენ, აფხაზეთისთვის საზღვარგარეთის პასპორტების დამზადება რუსეთმა ითავა.**

აფხაზეთის საპასპორტო-სავიზო სამსახურის უფროსის, ვალერი მალის განცხადებით, დოკუმენტი, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდებისთვისაა განკუთვნილი, რომლებიც საზღვარგარეთ, კერძოდ, რუსეთის ფედერაციაში სასწავლებლად ჩადიან. საზღვარგარეთის პასპორტი ასევე გამოადგებათ აფხაზეთის მცხოვრებლებს, რომელთათვისაც აუცილებელია უცხოეთში მკურნალობა. ამ დროისათვის საზღვარგარეთის პასპორტი უკვე 30 კაცმა მიიღო. პასპორტის მისაღებად აფხაზეთის მცხოვრებლებმა საჭირო დოკუმენტები ადგილობრივ საპასპორტო მაგიდას უნდა წარუდგინონ და ბლანკის საფასური (300 რუბლი) და სახელმწიფო ბეგარა (60 რუბლი) გადაიხადონ. შეგახსენებთ, რომ აფხაზეთს ჯერაც არ მიუღია ფართო საერთაშორისო აღიარება. ოფიციალურად მის სუვერენიტეტს მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა, კერძოდ კი რუსეთი, ნიკარაგუა, ვენესუელა და ნაურუ ცნობს.



### ლეიბორისტები მობილურ ოპერატორებს ემუქრებიან

**ლეიბორისტული პარტია ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიებს მობილური სატელეფონო საუბრების ტარიფის 7 თეთრით შემცირებისკენ მოუწოდებს.**

**ჯერ მხოლოდ მოუწოდებს, მაგრამ, მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მუქარაც მზად აქვთ — კომპანიების ოფისებთან და მათი მფლობელების სახლებთან პერმანენტულ საპროტესტო აქციებს ბოლო არ ექნებაო.** პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახა ძაგანიამ განმარტა, რომ პირველ აგვისტოს კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, მობილურ ოპერატორებზე ურთიერთჩართვის ტარიფი 7 თეთრით შემცირდა.

**„ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე, სატელეფონო საუბრების ტარიფიც 7 თეთრით უნდა შემცირებულიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ კომპანიებმა კიდევ უფრო ბევრი ფულის გაკეთება გადაწყვიტეს და ტარიფის შემცირებას არ აპირებენ“**, — ჩვეული აღშფოთებით განაცხადა მან და დასძინა, რომ „ბილაინს“, „მაგთისა“ და „ჯეოსელს“ მოთხოვნის შესასრულებლად სულ ერთი კვირა აქვთ.

არადა, ძაგანიამ მშვენივრად იცის, რომ აღნიშნულ კომპანიებს მსგავსი მუქარებით ვერ დააშინებს, აკი თავადვე აგვიხსნა, რომ ისინი ტარიფს ხელისუფლების იმედად არ ამცირებენ, რადგან „ბილაინის“ ერთ-ერთი მეწილე მიხეილ სააკაშვილის ოჯახია, ხოლო დანარჩენი ორი კომპანია — „ნაციონალური მოძრაობის“ მუდმივი დამფინანსებელი.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# აზერბაიჯანში უცხოელებისთვის მიწის მიყიდვა აკრძალულია

**„საქართველო და მსოფლიო“ უკვე წერდა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე შექმნილი პრობლემების თაობაზე, რომლებსაც ჩვენი ხელისუფლება უყურადღებოდ ტოვებს ან შეგნებულად ცდილობს, მიაჩუმათოს, მეზობელი ქვეყნის ხელისუფლების გულისწყრომა რომ არ გამოიწვიოს. თუმცა ბაქოს რეაქციაზე არაფრის თქმა არ შეიძლება, რადგან ჯერჯერობით ოფიციალურ თბილისს არანაირი ნაბიჯი არ გადაუდგამს ამ მიმართულებით („საქართველო და მსოფლიო“ №28, „საზღვარი ჩვენი სირცხვილისა“).**

საქმე საქართველოს ათობით ჰექტარი ტერიტორიების მიტაცებას, აზერბაიჯანელი მესაზღვრის მიერ სოფელ ერისიმედში ქართველი ბიჭის მკვლელობას, დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის სრული მოცულობით შემომტკიცების მივიწყებულ პრობლემას ეხება.

ვითომც არაფერი!

არადა, ისე ჩანს, რომ **მიხეილ სააკაშვილს ეს ყველაფერი აზერბაიჯანთან კონფედერაციული ურთიერთობის დამყარებისთვის აქვს შეწირული** — თავისი ღმერთების გულის მოსაგები მსხვერპლშეწირვისთვის.

კონფედერაციულ შეუღლებაზე ჭკუა რომ გვეკეტება, ეგებ ის გამოცდილება გადმოგვეღო, რომელიც მეზობლებს აქვთ და რომელიც, ვინძლო, ნამდვილად წაგვადგებოდა.

მიწის პრობლემაზეა ლაპარაკი, მისი ყიდვა-გაყიდვის პარამეტრებზე.

აზერბაიჯანში მიწა ის საქონელი არ არის, რომელიც უცხოელებს შეიძლება მიჰყიდო. **„უცხოელებს მიწის ყიდვის უფლება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ შეიძლება მიეცეთ“,** — ახლახან განაცხადა დამოუკიდებელმა ეკონომისტმა ვუსალ გასიმლიმ, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნის — მიწის გაყიდვის აუცილებლობის შესახებ კომენტირებისას.

**ტერიტორიული პრობლემები საქართველოში მოიკითხეთ! მაგრამ ქართული მიწა ისე თავისუფლად იყიდება, როგორც ევროპელების ნაცვამი მეორადი ტანსაცმელი თბილისის თითქმის ყველა უბანში.**

აზერბაიჯანელი ექსპერტების ერთი ნაწილი ასაბუთებს, რომ მიწების თავისუფალი გაყიდვა არსებულ ვითარებაში ქვეყნის უსაფრთხოებაზე უარყოფითად მოქმედებს.

იმოწმებენ ისრაელის სახელმწიფოს პრაქტიკას, სადაც სხვა ქვეყნის მოქალაქე ვერ იყიდის მიწას, საუკეთესო შემთხვევაში, იჯარით შეიძლება მისცენ. **ქვეყანა, რომელიც მუდმივ საომარ ვითარებაში იმყოფება, თვალის ჩინივით უნდა უფრთხილდებოდეს მშობლიურ მიწას.**

უბედურება ისაა, რომ ეკონომიკამორღვეული ქვეყანა სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებას ალებ-მიცემობის გზით ცდილობს, ყიდის ყველაფერს, მათ შორის, მიწას, რაზეც დგას არა მარტო სახელმწიფო, არამედ ნებისმიერი მისი მოქალაქე.

აზერბაიჯანელ ექსპერტთა სხვა ნაწილი, რომელიც მიწის „გასაქონლების“ მომხრეა, საქართველოს მაგალითს იმოწმებს, სადაც ნებისმიერ მიწათმფლობელს შეუძლია მიჰყიდოს მიწა უცხოელს და გამყიდველობას არავინ დააბრალებს. მაგრამ მათ პოზიციას დიდი გასავალი არ აქვს.

ზემოთ ნახსენებ ეკონომისტ გასიმლის მიხედვით, მიწის ნაკვეთის მოცულობა არც მცირდება, არც მატულობს. რჩება ისეთად, როგორიც არის. აქედან გამომდინარე, ხელუხლებლად მისი შენარჩუნებისთვის აუცილებელია მკაცრი სახელმწიფოებრივი კონტროლის დაწესება, რადგან აზერბაიჯანის ტერიტორიის ნაწილი ოკუპირებულია და საიდან მოგივლის გაიძვერა მოწინააღმდეგე, შეიძლება ვერც გათვალო.

მაგრამ უსაფრთხოების უზრუნველყოფა ერთი მხარეა. მეორე, ამის საწინააღმდეგო ნეგატიური მოვლენა, ინვესტიციების ნაკადის შემცირებაა, რადგან სადავო არ უნდა იყოს, რომ „სხვის“ მიწაზე ბიზნესის წარმოება უცხოელი ინვესტორისთვის გარკვეულ დისკომფორტთან არის დაკავშირებული, არაფერი რომ არ ვთქვათ მიწის გამოყენების რენტაბელობაზე.

**ეროვნული უსაფრთხოება თუ ეკონომიკური მიზანშეწონილობა? ამ პრობლემის გარშემო, რამდენიმე წელიწადია, მიმდინარეობს ცხარე დებატები.**

**აზერბაიჯანის ხელისუფლება კი ურყევად დგას თავის პოზიციაზე — არც მთავრობა, არც პარლამენტი არ აპირებს მიწის ყიდვის უფლება დართოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს. ასეთი კანონის ინიცირებაზე ხელი არავის წასცდენია.**

**არმაზ სანებლიძე**

# წითელი არმიის მებრძოლთა ძეგლები ისრაელის წმინდა მიწაზე

**წამიკითხავს, როგორ არ წამიკითხავს: „იდიოტიზმი კარგია, მაგრამ ცუდად ჟღერს და ამის ახსნა ძნელია“. აბსურდთან თამაში მეგონა — როგორ შეიძლება იდიოტიზმი კარგი იყოს?! ზოგადად ასეა. მაგრამ ჩვენი ხელისუფლების გადახრებს რომ ვუყურებ, უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ არც ისე აბსურდულია იდიოტიზმის სიკარგე, განსაკუთრებით მაშინ, როცა თავის მოგიჟიანება ძალაუფლების შენარჩუნებაში გეხმარება.**

ხელისუფლების ნებისმიერ იდიოტიზმზე „მასობრივი პიროვნების“ რეაქცია ეჭვის გაჩენით იწყება, ბოლომდე გაუთვითცნობიერებელი, მაგრამ მაინც ეჭვის გაჩენით: იქნებ, ასეა საჭირო?

ჩვეულებრივ ასეთ „ობივატელშჩინას“ საბჭოთა მენტალიტეტის „დაშლის პროცესის“ ხანგრძლივობით ხსნიან, ათწლეულების მანძილზე დანერგილი მასობრივი მორჩილების ფესვგამდგარი სინდრომის სწრაფად აღმოფხვრის შეუძლებლობით.

მოწამლულები ვართ.

მაგრამ ამერიკელებმა ბუშს კოვბოური პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობა რომ მისცეს, ესეც საბჭოთა მენტალიტეტის გავლენით მოხდა?!

ეჭვის ინკუბაციის პერიოდი საკმაოდ ხანგრძლივია საიმისოდ, რომ განმტკიცდეს საკუთარ თავში და, ამასთან, თავადვე გამოიცალოს საფუძველი „თვითლიკვიდაციის“ გზით. **როცა გარშემო ისეთი სიმშვიდეა, როგორც სასაფლაოზე ან პრეზიდენტის კალთებქვეშ, ეჭვის ჭუპრიდან პროტესტის შეურიგებლობა არ იბადება.**

**პაუზა კი ხელისუფლებაზე მუშაობს და ისიც, თავდაჯერებული, ხუთვარსკვლავიან შედევრებს ახალ და ახალ ვარსკვლავებს უმატებს.**

ავხსენი თუ ვერა, რატომ და ვისთვისაა იდიოტიზმი კარგი, არ ვიცი. სამაგიეროდ, შემიძლია ვივარაუდო, რომ ხელისუფლებას აშკარად ეტყობა სიმართლისადმი იდიოსინკროზიის განვითარების ნიშნები. იდიოსინკროზია ზოგიერთი საკვები პროდუქტის მიმართ ადამიანის ორგანიზმის მგრძნობიარობის ცვლილებაა: ზოგი გაუფცქვნელ ატამს ხელს ვერ ჰკიდებს, ზოგს გაზეთები აღიზიანებს, როგორც, მაგალითად, მიხეილ სააკაშვილს — „ალია“ და „ასავალ-დასავალი“. ამათ, დამატებით, — ისტორიული ძეგლები: თბილისში დავით აღმაშენებლის დიდებული ფიგურით დაწყებული, ქუთაისის დიდების მემორიალითა და გორში სტალინის მონუმენტური ქანდაკებით დამთავრებული.

პოცური პოზიცია ფაშიზმზე გამარჯვებული თაობის მიმართ, სინდისის სრული იმპოტენცია. ამათ სინდისზე ვლაპარაკობ.

ან, იქნებ, მემკვიდრეობითი დეზერტირობა, როცა არც დიდი ომის დროს წასულა გვარიდან ვინმე ფრონტის წინა ხაზზე, არც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში მიუღია ოჯახის წევრთაგან ვინმეს მონაწილეობა?

თუ სოლჟენიცინობას ჩემულობენ?

არც პატივისცემის ნატამალი ებრაელი ერის მიმართ, რომელსაც ჰიტლერიზმი სრულად აღგვიდა პირისაგან მიწისა, საბჭოთა არმია და ის ჩვენი თანამემამულეები რომ არა, რომლებმაც თავი გაწირეს ჰოლოკოსტის ინსპირატორების წინააღმდეგ ბრძოლაში.

**მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა-ნაციზმთან მებრძოლთა კავშირის მონაცემებით, საბჭოთა მებრძოლების, გამათავისუფლებელთა პატივისცემის ნიშნად ისრაელში აღმართულია 42 ძეგლი და მემორიალური სტელა.**

ყველაზე დიდი მონუმენტი ქალაქ არდაშია დადგმული, რვა ძეგლია ქალაქ აშდოდში. წითელი არმიის სარდლებისა და გენერლების ხსოვნას ეძღვნება ათობით სტელა ისრაელის სხვა ქალაქებში.

ხაიფაში, ხადერში, კარმიელში, ნეშერში, კირიატ-ბიალიკში, არიელსა და რამალაში გამარჯვების 13 მუზეუმი ფუნქციონირებს, ასევე — 30 „დიდების ოთახი“ სხვადასხვა ქალაქებში, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობა პატრონობს. ამასთან, ყველა ეს მცირე მუზეუმი სახელმწიფო სუბსიდირებას იღებს.

ისრაელი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 4 მილიონ შეკელს გამოყოფს მეორე მსოფლიო ომის გმირების უკვდავსაყოფად გამიზნული პროექტების დასაფინანსებლად. დამატებით 4 მილიონი შეკელი გამოყო სახელმწიფომ ქალაქ ლატრუნში მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა ხსოვნის მუზეუმის ასაგებად. ▶

# ბათუმის წმიდა ბარბარეს ეკლესია თურქი ინვესტორის კაპრიზს შეეწირება

**ბოლო დროს „ყველა ბედნიერება“ აჭარას ხვდა წილად. „ყველაფერმა საუკეთესომ“ აჭარაში დაიდო ბინა. იმის გარდა, რომ ხუთვარსკვლავიანი სასტუმროების „ცვენაა“ ჩვენს კურორტებზე, როგორც ცნობილი გახდა, მალე ამ ღირსშესანიშნაობებს ნუდისტური პლიაჟიც შეემატება. გავრცელებული ინფორმაციით, ამერიკული ტურისტული ბიუროს „ვასტე თრეველს“ 14 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის შეძენა უნდა, სადაც შემდგომ ნუდისტურ პლიაჟს მოაწყობს. მისი პროექტი ჯერ კიდევ 2008 წელს შემუშავდა. სავარაუდო ადგილსამყოფელებად ანაკლია და მწვანე კონცხი განიხილებოდა. მაგრამ აგვისტოს მოვლენებმა ამ პროექტის განხორციელებას ხელი შეუშალა.**



აჭარაში ნუდისტური პლიაჟის მოწყობაზე ინფორმაციას არ ფლობს აჭარის მთავრობის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ნინო ქობალია, რომელიც აჭარაში ტურიზმის მიმართულებას კურირებს და ამ მხარეს „ტურიზმის განვითარებაში ეხმარება“.

კარგია, აჭარას მსოფლიოს საუკეთესო ნუდისტურ პლაჟებს შორის საკუთარი სახელის დამკვიდრების პრეტენზია რომ აქვს. ისე, ამ ინოვაციური იდეის ავტორი დამანახა, ნეტავ, იდეის ხორცშესხმის ადგილას. მალე მონადირის მაღაზიებში დურბინდი, ალბათ, დეფიციტური საქონელი გახდება. ნორჩი ასტრონომების წრეებს კი შტურმით აიღებენ ტელესკოპის დაპატრონების მსურველები.

**რადგან ბათუმურ თემაზე ვსაუბრობთ, ერთ მნიშვნელოვან თემასაც შევეხები. მალე „შერატონმა“ შეიძლება წმიდა ბარბარეს ეკლესია შეიწიროს. იგი თურმე მარტო იმიტომ უნდა გადაიტანონ, რომ მთავრობის ერთ-ერთი საამაყო შენობა გაფართოვდეს.** ამაზე აჭარაში მოსახლეობა, უკვე ორი თვეა, საუბრობს.

2007 წლის 18 მაისს აჭარაში იგივე ბედი ეწია ფერიის მთაზე არსებულ წმიდა გაბრიელის სახელობის ეკლესიასაც; მაგრამ მისი დანგრევისთვის დღემდე არავინ დასჯილა. არადა, მოსახლეობაში მოარულ აზრს (ფერიის მთა ინვესტორს უნდა შეეძინა „აჭარის მთაწმინდის“ მოსაწყობად) დღეს უკვე ფრთები ესხმება — პროექტი ხორციელდება, ფაქტია.

**ამასთან დაკავშირებით პარტია „თავისუფლების“ წევრს — ლადო სადღობელაშვილს** ვესაუბრეთ, რომელიც სულ ახლახან დაბრუნდა ბათუმიდან.

**— რამდენად სერიოზულიად მიგაჩნია აჭარაში ნუდისტური პლიაჟის გაკეთება? მიიღებს ამას ქართული საზოგადოება? ბათუმელები რას ამბობენ ამასთან დაკავშირებით...**

— სავარაუდოდ, ეს სიახლე „შიზიკოს“ ახალი ახირებაა, დაახლოებით ისეთივე, როგორიცაა „ბათუმი—გეი პაემნების“ ადგილი. სხვათაშორის, ეს ორი ცხელ-ცხელი ინფორმაცია გავრცელდა ვერა ქობალიას დანიშვნის შემდგომ. ინფორმაცია მაქვს, რომ ეს ჩვენი მდგრადი განვითარების მინისტრის იდეებია.

რაც შეეხება თვით ნუდისტურ პლიაჟს, ასეთი ადგილი აჭარის ტერიტორიაზე არსებობდა. კერძოდ, მწვანე კონცხის მიდამოებში და ერთადერთი მისასვლელი ადგილი მასთან ზღვა იყო, ანუ ფეხით ვერ მიხვიდოდი. ეს ტერიტორია ყურეს ფორმისაა. საქმე ისაა, რომ 80-იანი წლების შემდგომ ეს ადგილი ყველასთვის ცნობილი გახდა და, ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნით, წესრიგიც დამყარდა. მოგეხსენებათ, აჭარლები ტრადიციული ხალხია და მათ მენტალიტეტში „ლიბერალისტული თავისუფლება“ არ ზის. დარწმუნებული ვარ, ნუდისტური, ანუ „დიკი“ პლიაჟის გაკეთება კიდევ ერთი ექსპერიმენტია. თუ ხალხი გაატარებს და ჩაყლაპავს ამ ამბავს, მაშინ დიდი ალბათობა არსებობს იმისა, რომ მალე აჭარის ტერიტორიაზე „დიკი“ პლიაჟი ვიხილოთ.

**ბათუმში ყოფნისას შევიტყვე ვებ-საიტის შესახებ. აქ მითითებულია ქალაქის გასართობი და დასასვენებელი ის ადგილები, სადაც მეგობრულად არიან განწყობილი პედე-** ▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**სულ ახლახან წმინდა მიწაზე კიდევ ერთი ძეგლის აგება გადაწყდა. ისრაელის პრემიერ-მინისტრის — ბენიამინ ნეთანიაჰუს კანცელარიამ აცნობა ქალაქ ნეთანიის** მერიას, რომ რუსეთის პრეზიდენტ მედვედევთან შეთანხმებით, **ამ ქალაქში აიგება სახელმწიფო მემორიალი ფაშიზმთან მებრძოლი წითელი არმიის მეომრების ხსოვნის უკვდავსაყოფად.**

მიაქციეთ ყურადღება — სახელმწიფო მემორიალზეა ლაპარაკი.

28 ივლისს ნეთანიის მუნიციპალიტეტმა მიიღო დიმიტრი მედვედევის დეპეშა, რომლითაც რუსეთის პრეზიდენტმა გამოხატა კმაყოფილება წმინდა მიწაზე გმირი მეომრების მორიგი ძეგლის აგებასთან დაკავშირებით.

**წლეულს, 16 თებერვალს მოსკოვში ვიზიტის დროს ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ მას დაგეგმილი აქვს ორმხრივი ურთიერთობის ოცწლისთავთან დაკავშირებით სპეციალური სახელმწიფო ძეგლის აგება ისრაელში.**

**ნიშანდობლივია, რომ ისრაელთან ურთიერთობის აღდგენა საბჭოთა კავშირის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის — ედუარდ შევარდნაძის სახელთანაა დაკავშირებული, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ათწლეულობით გაწელილი გაუცხოების დასაძლევად.**

მით უფრო გაუგებარი და კონტექსტიდან ამოვარდნილია, რომ მაინცდამაინც საქართველო აღმოჩნდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ხუთ რესპუბლიკას შორის ერთ-ერთი, სადაც წარმატებით დაანგრიეს, ააფეთქეს, მოხსნეს და გადამალეს ნაციზმზე გამარჯვებული მეომრების უკვდავსაყოფად აგებული ძეგლები.

**წმინდა მიწაზე აღმართავენ მემორიალებს, საქართველოში — ანგრევენ. ბარბაროსი აქტივისტები მთელ საქართველოში დაძრწიან სასწაულად გადარჩენილი ძეგლების შესახებ „ზემდგომი ინსტანციებისთვის“ ინფორმაციის მისაწოდებლად.**

პოცების ერთგულება პოცური პოლიტიკის.

ნასყიდი აქტივისტები!

მედვედევის წერილში, რომელიც მან ნეთანიაჰუს ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით გაუგზავნა, ხაზგასმულია: **„ჩვენი წმიდათაწმიდა ვალია მეორე მსოფლიო ომის ტრაგიკული მოვლენებისა და ჩვენი ხალხების გმირობის არდავიწყება, ხალხებისა, რომლებიც ერთმანეთის მხარდამხარ თავგანწირვით იბრძოდნენ წითელი არმიის რიგებში“.**

ჩვენს შინნახად ბარბაროსებსა და ძეგლებთან ვაჟკაცურად მებრძოლებს სურთ, რომ ქართველობა ამოშალონ ნაციზმთან მებრძოლი ერების სიიდან.

**ამერიკელებს ეამაყებათ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება, ეამაყებათ ფრანგებს, რუსები თავიანთი ისტორიის უდიდეს მოვლენად თვლიან, წმინდა მიწაზე ებრაელები ახალ მემორიალებს აგებენ.**

საქართველოს მესამე მოწვევის **პოცსაბჭოთა** ხელისუფლება 2003 წლის სახელმწიფო გადატრიალებაზე მორგებულ ახალ ისტორიას წერს და ახალ **პოცდამენტებს** სათავისოდ იმზადებს.

**არმაზ სანებლიძე**

---

**რასტების მიმართ. სხვათაშორის, ერთ-ერთი ასეთი ადგილია „შერატონიც“.**

მოკლედ, ასეთი ტენდენციაა: **გახდეს ბათუმი გარყვნილების დიდი ბუდე, სადაც ინვესტორების ზეწოლით ეკლესია მეორე პლანზე გადავა, გაიხსნება ნუდისტური პლიაჟი და ბათუმი გეი-ქალაქად გადაიქცევა. სწორედ ესაა ჩვენი ხელისუფლების იდეა, დაიკარგოს და განადგურდეს ყველაფერი ეროვნული და ღირსეული, აღორძინდეს სოდომი და გომორი აჭარის ტერიტორიაზე.** მიხეილ სააკაშვილი ბათუმში დაცვის გარეშე დადის და ბევრი აჭარელისგან მაქვს გაგონილი, რომ სამომავლოდ იქ დამკვიდრებასაც გეგმავს.

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბათუმის „შერატონის“ მეპატრონეებს, მისი გაფართოების მიზნით, წმიდა ბარბარეს ეკლესიის გადატანა მოუთხოვიათ. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს ინფორმაცია?**

— ნამდვილად ინფორმირებული ვარ, რომ აპირებენ წმიდა ბარბარეს ეკლესიის გადატანას „თურქი ინვესტორების მოთხოვნითა და ბულვარის გაფართოებისა და გალამაზების მიზნით“.

**ჩემთვის ცნობილია ის ფაქტიც, რომ იმდროინდელი (2009 წ.) ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მათე ტაკიძემ თანამდებობაც კი დატოვა პროტესტის ნიშნად, რადგან ეს პიროვნება უაღრესად მორწმუნე ადამიანი და თან ყმაწვილობაში წმიდა ბარბარეს ეკლესიის სტიქაროსანი იყო.**

როგორც ვიცი, ადგილობრივი ხელისუფლება ვერ ბედავს ეკლესიის წინამძღოლ მამა მარკოზთან მისვლას და ამაზე საუბარს. ჩემი აზრით, ხელისუფლება ვერ გაბედავს ამის გაკეთებას, რადგან იცის, რომ ეკლესიის სადარაჯოზე 200 და 300 ათასი ადამიანი კი არა, 3 მილიონი მართლმადიდებელი გამოვა და მიხეილ სააკაშვილს არ აცდება ჩაუშესკუს ბედი...

**დავით ბაციკაძე, კონსერვატიული პარტიის ლიდერი აჭარაში:**

— ამ ხელისუფლებას ეკლესიის გადატანის სურვილი რომ აქვს, არ მიკვირს. განსაკუთრებით, რაც ფერიის მთაზე ეკლესია დაანგრიეს, გამორიცხული არაფერია. შეიძლება ინვესტორს აწუხებს იმ ტერიტორიაზე ეკლესიის არსებობა, მაგრამ, არა მგონია, გაბედონ ამის გაკეთება, რადგან მოსახლეობა შეეწინააღმდეგება და ამის უფლებას არ მისცემს. მეეჭვება, მიზანს მიაღწიონ. როცა ფერიის მთაზე ეკლესია დაანგრიეს, მშენებარე იყო და დასახლებული ტერიტორიაც არ იყო ახლო-მახლო, ამიტომ მოსახლეობამ წინააღმდეგობაც ვერ გაუწია; ქალაქის ცენტრში, ასეთ თვალსაჩინო ადგილას ამის გაკეთება ცოტა გაუჭირდებათ. საერთოდ, ინვესტორს არ აქვს უფლება, მსგავსი რამ მოითხოვოს, სურვილიც კი არ უნდა გაუჩნდეს ამის. სურვილი ერთია და მეორე — რამდენად მორალურია ამის მოთხოვნა. ადამიანების გარყვნილებას საზღვარი არ აქვს. რაც შეეხება აჭარაში ნუდისტური პლიაჟის გახსნას, მე, როგორც მართლმადიდებელი, ამის წინააღმდეგი ვარ და ვფიქრობ, უმრავლესობა ჩემს აზრს იზიარებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**

---

# სტალინის დედის ცხედარს მთაწმინდიდან გადმოასვენებენ





**გორში, სტალინის ძეგლის ხმაურიანი აღების შემდეგ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ უახლოეს მომავალში სტალინის დედას, ეკატერინე (კეკე) გელაძე-ჯუღაშვილს მთაწმინდის პანთეონიდან გადმოასვენებენ.
ამ საკითხზე საუბრისას კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკა რურუამ სტალინის ცნობილი გამონათქვამის — „შვილი მამის საქციელზე პასუხს არ აგებს!“ — პერიფრაზსაც კი მიმართა და განაცხადა, რომ „კეკე ჯუღაშვილი უბრალო ქალი იყო და დიქტატორი შვილის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებაზე პასუხისმგებლობა არ ეკისრებაო“.**

**კეკე გელაძის ნეშტის მთაწმინდიდან გადმოსვენების ფაქტს უარყოფს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, თუმცა ეს არცაა გასაკვირი, როდის იყო პრესსამსახურის წარმომადგენელი სამინისტროს საწინააღმდეგო განცხადებებს ადასტურებდა?!**

**არაა გამორიცხული, საკითხი დღის წესრიგში მალე დადგეს. სტალინი — გორს, კეკე ჯუღაშვილი კი მთაწმინდას დატოვებს. დედაშვილის წინააღმდეგ, ერთი შეხედვით, არავინ გამოდის, თუმცა ქართულ საზოგადოებასა და პოლიტიკურ ელიტაში ჯუღაშვილების საქართველოსადმი დამსახურების გახსენება უჭირთ.**

**არ შეიძლება, სხვა საქმით რომ დაკავდეს ქვეყანა? ნუთუ სხვა — ამაზე აქტუალური საქმე დღეს არ გვაქვს? ამ ხალხს საფიქრალი შემოელია? უმჯობესი იქნებოდა, ცოცხლებისთვის მოეხმარათ ის ენერგია, რასაც ამდაგვარ „გმირულ“ საქმეებს ახმარენ. საინტერესოა, მაინცდამაინც ახლა რატომ მოინდომეს კეკეს საფლავის ადგილის გამოთავისუფლება? ვინმეს ხომ არ უმზადებენ იმ ადგილს? სააკაშვილი თუ მთაწმინდის პანთეონის „ნაცმოძრაობის“ სასაფლაოდ გადაკეთებას გეგმავს, ეჭვი მაქვს, მიცვალებულები ფეხს აიდგამენ და უხმოდ გაეცლებიან იქაურობას.**

**ელიზბარ ჯაველიძე, მწერალი, აკადემიკოსი:**

— ქალბატონი კეკეს გადმოსვენების ფაქტი რეალობას არაა მოკლებული. ხელისუფლებამ ძეგლებთან და საფლავებთან ბრძოლა დაიწყო. კარგი იქნებოდა, კეკე მთაწმინდაზე თავიდანვე არ დაეკრძალათ, მაგრამ მოგეხსენებათ, კომუნისტების პერიოდისთვის პირფერობა იყო დამახასიათებელი.

**ჯერ სტალინის ძეგლის მოხსნა და ახლა უკვე მისი დედის გადმოსვენებაზე ფიქრი დიდი სიბრიყვეა ხელისუფლების მხრიდან. ამ სიბრიყვეს კი გარე ძალები ასაზრდოებენ. ესაა მასონური ძალები, რომლებიც სტალინს პირველ მტრად მიიჩნევენ.** მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირის დროს სტალინმა ბევრი მასონი გაანადგურა. ამ ძალების სასიამოვნოდ მოქმედებენ ჩვენი ე.წ მასონუკები. მათ ვერაფერს მოვთხოვთ, რადგან ცხოველური ინსტიქტებით შეპყრობილი პატარა ეშმაკუნები არიან. ბოლო დროს უფრო და უფრო მომაგრა წელი ხელისუფლებამ და ანგარიშს აღარავის უწევს. **შეიძლება დღესაც უკიდიათ ილია ჭავჭავაძის სურათი, თუმცა ილიას მსოფლმხედველობას, მის აზრებს პატივს არ სცემენ.** ადამიანები უამრავი პრობლემისგან იტანჯებიან, ზოგიერთს სიცოცხლესაც კი უსწრაფებენ, ამას არაფრად აგდებენ და ასეთ წვრილმან რაღაცებს ამხელა ყურადღებას აქცევენ.

## ელიზბარ ჯაველიძე:
# ხელისუფლებამ ძეგლებთან და საფლავებთან ბრძოლა დაიწყო

**კახა ძაგანია, „ლეიბორისტული პარტია“:**

— ჩემი სუბიექტური აზრია, რომ სტალინის ძეგლის აღება და ახლა კეკეს გადასვენება პირდაპირ კავშირშია იმასთან, რომ სააკაშვილი იმ ავტორიტეტებს ებრძვის, რომლებიც მის პერსონას ბევრად აღემატებიან. ამის მაგალითია გორში სტალინის ძეგლის მოხსნა და გადამალვა, შემდეგი ნაბიჯი კი სტალინის დედის გადმოსვენება იქნება პანთეონიდან. **ხელისუფლება ისტორიული ბოლმით სავსე არ უნდა იყოს. ეს ჩვენი ისტორიაა, რომელსაც ვერასად გავექცევით და მის მაგალითებზე უნდა გავაგრძელოთ მომავლის აწყობა.**

სამწუხაროდ, სააკაშვილი ასე არ აკეთებს და ისტორიული ბოლმის კოლექციონერობითაა დაკავებული. ეს ქალბატონი კიდეც რომ გადმოასვენონ მთაწმინდის პანთეონიდან, ამით ვერაფერს შეცვლიან. **ხელისუფლება ცოცხალი ადამიანების სულების შეწუხებიდან გარდაცვლილებზე გადავიდა.** დაანებონ თავი გარდაცვლილების სულებს!

**გრიშა ონიანი, საზოგადოება „სტალინელის“ თავმჯდომარე:**

— არ გამიკვირდება, სტალინის ძეგლის აღების შემდეგ, კეკეს ცხედარიც რომ გადაასვენონ. ეს ხელისუფლება ყველაფრის მკადრებელია. მახსოვს გიგა ბოკერიას განცხადება ქალბატონი კეკეს გადმოსვენებასთან დაკავშირებით. იგი ამბობდა, რომ მორწმუნე ქალბატონის ცხედრის ხელის ხლება და მისი გადმოსვენება მიზანშეწონილად არ მიმაჩნიაო. არა მგონია, ამ განცხადების შემდეგ რაიმე რადიკალური გადაწყვეტილება მიიღონ ამ თემასთან დაკავშირებით. თუმცა არაფერია გამორიცხული. **სტალინის სახელი დავიწყებას არ ეძლევა. ხელისუფლება თავისი საქციელით უფრო და უფრო ახსენებს საზოგადოებას მას.** რაც შეეხება იმას, ვის ეკუთვნის ეს „არაჩვეულებრივი“ იდეა, მგონია, ეს არც პრეზიდენტის რეზიდენციაში და არც პარლამენტში უნდა იყოს მოფიქრებული. ალბათ, ყველა ხვდება, რომ **ეს მასონური ორგანიზაციების მიერ „მონაბერი ქარიშხალია“.**

მართალია, ცდილობენ სტალინის სახელის ამოძირკვას ჩვენი ცნობიერებიდან, მაგრამ ამას ვერ მოახერხებენ. სტალინის სახელი მანამ იქნება ცოცხალი, სანამ დედამიწა თავის ორბიტაზე იტრიალებს.

## გრიშა ონიანი:
# ეს მასონური ორგანიზაციების მიერ «მონაბერი ქარიშხალია»

**მანანა ნაჭყებია, „ახალი მემარჯვენეები“:**

— სტალინის ძეგლის აღება და მთაწმინდიდან კეკეს ნეშტის ჩამოსვენება ხელისუფლების მორიგ ახირებად მიმაჩნია. **ნუთუ ასეთი ძნელია, განსაზღვრო რა არის ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი** — სტალინის ძეგლთან და მისი ახლობლების ნეშტებთან ბრძოლა თუ ის გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგას ქვეყანა. **ხელისუფლება ცდილობს, ასეთი ქმედებებით მთელ მსოფლიოს დაანახოს, როგორ ებრძვის პიროვნების კულტს, სისასტიკეს, დიქტატურას, თუმცა იგივე ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის და თვითონ სააკაშვილისთვისაც არაა უცხო ავტოკრატიული მმართველობა.**

ცხადია, კეკეს მთაწმინდის პანთეონში დასაფლავება თავიდანვე არასწორი იყო, მაგრამ ამ ეტაპზე მისი გადმოსვენება, არა მგონია, რაიმეს მომცემი იყოს.

**ლილი მიროტაძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# თბილისი მოსკოვს სახელმძღვანელოებითა და მონუმენტებით უწევს წინააღმდეგობას

ასეა დასათაურებული **ტეფანი ფინდლის** სტატია, რომელსაც **Macleans.Ca** აქვეყნებს. სათაურიდანვე ჩანს, რომ რაღაც კარგად ვერ არის საქართველო-რუსეთის ურთიერთობის იმ პოლიტიკაში, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება განახორციელებს.

ტენდენციურიაო წერილი, მიკერძოებული, ვერ იტყვი. მაგრამ მინიშნებებია ადვილი გასაშიფრი: **კონფრონტაციის პოლიტიკა მხოლოდ უარყოფითი შედეგის მომტანია: ნეგატიურია უკვე ის, რაც მოვიმოქმედეთ და, თუ იმავე კალაპოტში დავრჩით, გაუმჯობესებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.**

ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი — 2008 წლის აგვისტოს ომი. „საქართველომ, — ნათქვამია პუბლიკაციაში, — სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალს ცეცხლი იმ იმედით გაუხსნა, რომ აჯანყებულ რეგიონზე კონტროლს აღადგენდა. რუსეთმა ამას ძალის მასშტაბური დემონსტრირებით უპასუხა. ომმა საქართველოსა და რუსეთის (მათ შორის სამხრეთ-ოსეთის) 850 მოქალაქის სიცოცხლე შეიწირა. **„ყველა დამარცხდა“, — წერს New York Times-ში გამოქვეყნებულ წერილში კონფლიქტის გარემოებების შემსწავლელი ევროკავშირის საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე ჰაიდი ტალიავინი“.**

მართალს ამბობს ქალბატონი თავმჯდომარე. მაგრამ ჩვენი ხელისუფლება სწორედ ამ სიმართლეს არიდებს თვალს: „სააკაშვილი განაგრძობს რუსეთისადმი არსებული შიშისა და ანტირუსული გრძნობების ექსპლუატაციას“. თავის ამ საერთო დასკვნას ავტორი იმ მაგალითების ჩამონათვალით ადასტურებს, რომლებიც საქართველოს ყველა მოქალაქისთვის ტკივილამდე ნაცნობი და განცდილია. ფაქტების რიგში პირველი იოსებ სტალინის ძეგლის დემონტაჟია გორის ცენტრში. ტეფანი ფინდლი ამ **ქანდაკებას ისტორიულს უწოდებს**, მაშასადამე, ისტორიულ ძეგლად აღიქვამს, რომლის იავარქმნა, საერთო-საკაცობრიო მორალიდან გამომდინარე, ბარბაროსობაა.



კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, საერთაშორისო საკითხების ექსპერტი ლინკოლნ მიტჩელი წერს:
**„ეს არის მთავრობა, რომელმაც ომი წააგო და ეკონომიკაში უძრაობა აქვს; პოპულარობას კი კონკრეტულად იმით ინარჩუნებს, რომ ქართულ ნაციონალიზმზე აკეთებს აპელირებას“.**

თავისი მიეზლო „იმედის“ ეთერში გასულ „სატირულ“ გადაცემას რუსული ინტერვენციის დაწყების თაობაზე, რომლის გამოც „ასობით ქართველი პანიკაში ჩავარდა და ქუჩაში გამოვარდა. ანალიტიკოსების ვარაუდით, **ამის უკან სააკაშვილი იდგა“.**

სააკაშვილის ფაქტორი ჩვენთვის აღმოჩენა არ არის. მაგრამ აქ საინტერესოა ის, რომ „იმედის“ ავანტიურისტულ გადაცემაში მის უეჭველ



ექსპერტი დიმიტრი გორენბურგი:
**«ვფიქრობ, ადამიანებს გაუხარდებათ, თუ სააკაშვილს ალტერნატივა გამოუჩნდება, თუმცა ოპოზიციის ლიდერებს ისინი არ ენდობიან».**

თანამონაწილეობაზე უცხოელი ექსპერტები ლაპარაკობენ, და ამ ფაქტის გამოც და საერთოდაც, ფრიად არასახარბიელოდ ახასიათებენ მასაც და მის მთავრობასაც. მათგან ერთ-ერთი, **კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, საერთაშორისო საკითხების ექსპერტი ლინკოლნ მიტჩელი წერს:**

**„ეს არის მთავრობა, რომელმაც ომი წააგო და ეკონომიკაში უძრაობა აქვს. პოპულარობას კი კონკრეტულად იმით ინარჩუნებს, რომ ქართულ ნაციონალიზმზე აკეთებს აპელირებას“.**

ისეთი ნაციონალიზმი, რომლის კულტივირება საქართველოში დღეს ხდება, გამორიცხული არ არის, ხვალ ნაციზმად ტრანსფორმირდეს. მით უფრო, იმ პირობებში, როცა ხელისუფლება ერთპიროვნულ დიქტატურას ამკვიდრებს, რომელსაც დიპლომატიურად მორიდებული **უცხოელი ექსპერტები კვაზიდემოკრატიას უწოდებენ,** თუმცა სარკაზმის გარკვეული დოზითაც კაზმავენ: **„რა თქმა უნდა, წინა რეჟიმთან შედარებით პროგრესი არის, თუმცა ეს მაინც კვაზიდემოკრატიაა და არა — ნამდვილი თავისუფლების შუქურა“, — ამტკიცებს სლავური კვლევების განვითარების ამერიკული ასოციაციის დირექტორი დიმიტრი გორენბურგი** და, აშშ ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის საქართველოში ახლახან ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, ასკვნის: **„ვფიქრობ, ადამიანებს გაუხარდებათ, თუ სააკაშვილს ალტერნატივა გამოუჩნდება, თუმცა ოპოზიციის ლიდერებს ისინი არ ენდობიან“.**

ვერ იტყვი, ლოგიკური დასკვნა არ არისო.

თუმცა ალოგიკურობაც არ გვაკლია: ახალი სასწავლო წლის დასაწყისში „ქართველ მოსწავლეებს რუსული ოკუპაციის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ ისტორიის ახალ სახელმძღვანელოებს დაურიგებენ... „სად არის ლოგიკა?“ — კითხულობს რუსეთის საინფორმაციო პოლიტიკის ხელმძღვანელი ვლადიმერ მედინოვი გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდასთვის“ მიცემულ ინტერვიუში — **„ნუთუ მიზანი ისეთი თაობის აღზრდაა, რომლისთვისაც რუსეთი მონსტრი იქნება?“**

კი, ესაა მიზანი და ასეთია ამათი ლოგიკა!

ხოლო სათაურის ორი შემადგენლის დაპირისპირების უაზრობა შექმნილი სიტუაციის ალოგიკურობის ადეკვატურია.

**ალოგიკურია არა მხოლოდ ორი, აბსოლუტურად განსხვავებული მოცემულობის ამორალური დაპირისპირება — პოლიტიკური მოწინააღმდეგესთან მოსწავლეთა დაპირისპირება, კონიუნქტურით ნაკარნახევი სახელმძღვანელოს მეშვეობით, არამედ ისეთი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებით, რომელიც უფრო და უფრო გვაშორებს სეპარატისტული რეგიონების უმწვავესი პრობლემის გადაწყვეტას.**

რადიო „თავისუფლება“ ეყრდნობა საერთაშორისო ორგანიზაცია **„ოქსფორდ ანალიტიკის“** სტატიას და იზიარებს ამ პუბლიკაციის დედააზრს, რომ **რუსეთის ჩარევის გარეშე საქართველოს ძალიან გაუჭირდება აღნიშნული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის წარმატებული განხორციელება, აფხაზებისა და ოსების დარწმუნება ამ გეგმის სიკეთეში.**

საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც დარწმუნებულები არ არიან, რომ საქართველოს მთავრობის მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები ბოლომდე გათვლილი და გააზრებული იქნება, არ ჩქარობენ ამ პროექტში ფულის ჩადებას.

რუსეთის ფაქტორის ამოქმედება, მიიჩნევენ საერთაშორისო ანალიტიკოსები, გადამწყვეტიც კი შეიძლება იყოს ურთიერთნდობის განწყობილების დამყარებაში. ამის შემდეგ საერთო პრობლემის მოგვარება შედარებით გაადვილდება.

MACLEANS.CA

# ხელისუფლებაში დარჩენამისჯილი

**ექსპერტები ბობოქრობენ, საქართველოსა თუ უცხოეთის პრესაში ჟურნალისტები მკვახე-მწარე სიტყვებსა და გამოთქმებს არ იშურებენ ავთანდილ დემეტრაშვილის კომისიის მიერ შემუშავებული ახალი კონსტიტუციის პროექტის მიმართ. დონდლო საზოგადოებრივ აზრს კი აღელვების არაფერი ეტყობა: ისეთივე მშვიდია, როგორც Radio Free Europe-Radio Liberty-ს მიერ გამოქვეყნებული წერილი „საქართველოს კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით პოლემიკა გრძელდება“.**

„აცე, ვირო, გაზაფხულზე იონჯა მოვა!“ — ასეთი დევიზი ამ „საერთო-სახალხო განხილვისთვის“ ზედგამოჭრილია.

ორიოდ შესწორებით.

**პირველი.** იონჯა კი არა, — კონსტიტუცია, ძირითადი კანონი, და არც — ამ ბოლო დღეებში პარლამენტის მიერ დამტკიცებული ავტომანქანის მართვის დიდად მნიშვნელოვანი ახალი წესები — ღვედით თუ ულვედოდ; ზედაც — ჯარიმის რაოდენობა.

**მეორე.** გაზაფხულზე კი არ მოვა, — ერთ თვეში: აგვისტოში მიიღებსო პარლამენტი წარდგენილ პროექტს, ირწმუნება **Radio Liberty** კონსტიტუციის ალტერნატიული პროექტის ავტორებზე დაყრდნობით. 24 აგვისტოს, პირველი პოსტსაბჭოთა კონსტიტუციის მეთხუთმეტე წლისთავს დაამთხვევენო.

**მესამე.** უცხელესი ზაფხულით გათანგული ელექტორატი ერთა ლიგის ახალ წესდებაზეც ყაბულს იქნება, მიუხედავად



იმისა, რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ოდესღაც არსებობის ფაქტი, მგონი, ისტორიკოსებსაც დავიწყებული აქვთ.

არც არავინ გვეკითხება.

მიიღებენ და შემდეგ, გინდა, ვენეციის კომისიის ექსპერტები ჩამოსულან თავიანთი შეხედულებების ჩვენთვის გასაცნობად, გინდა მთვარეულებს ჩამოუვლიათ ბუნიობა ღამეს.

მიიღებენ ახალ პროექტს და, ღამე და მთვარეულები კი არა, 2013 წელს, დღისით-მზისით, სააკაშვილის პრეზიდენტობის ვადის დამთავრებისთანავე ამოქმედებული კონსტიტუციის ძალით პატივცემული მიხეილი ახალი სუფრის თავში დაგვიჯდება პრემიერ-მინისტრის სტატუსით აღჭურვილი, ძალაუფლების იმ დიდი ნაწილით გამდიდრებული, რომელსაც მზითვად წაიღებს.

**მიიღებენ ახალ პროექტს და, ღამე და მთვარეულები კი არა, 2013 წელს, დღისით-მზისით, სააკაშვილის პრეზიდენტობის ვადის დამთავრებისთანავე ამოქმედებული კონსტიტუციის ძალით პატივცემული მიხეილი ახალი სუფრის თავში დაგვიჯდება**

თუ, რა თქმა უნდა, უარს არ იტყვის თვითონ. თორემ არც ხალხის აზრი, რომელიც (გამოკითხვის მიხედვით) ორ არათანაბარ ნაწილადაა გაყოფილი — 32 პროცენტი წინააღმდეგია მისი გაპრემიერების, 26 პროცენტი მომხრეა, არც ოპოზიციის მოთხოვნა (თემურ შაშიაშვილის „თეთრების“), საერთო-ეროვნულ რეფერენდუმზე გაიტანონ ახალი კონსტიტუციის პროექტი, ვერავითარ გავლენას ვერ იქონიებს გადაწყვეტილებაზე, რომელიც მიხეილ სააკაშვილს უკვე მიღებული აქვს — თვითონ და სათავისოდ: 3Vs7 wfhm dctz Hecb47 თუ რაღაც ამგვარი. ანუ, როგორც რუსული ყოველდღიური გამოცემა „კომერსანტი“ წერდა: **სააკაშვილმა „საკუთარ თავს ხელისუფლებაში დარჩენა მიუსაჯა“.**

Radio Free Europe
Radio Liberty

**ამოუწურავი თემაა ვერონიკა ქობალია. თითქოს საიდან სადაო, სად „ფერადი რევოლუციების“ მზის ჩასვენება საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში, სად ვერონიკა, მაგრამ, თურმე პირდაპირაა დაკავშირებული, და ვისაც არ გჯერათ, გაგვეტარეთ! გმადლობთ!**
**გაგვეტარეს და მივადექით ჯონ დეილის წერილს „ფერადი რევოლუციების“ უკუსვლა გრძელდება“, რომელსაც ISN ETH Zurich-ი აქვეყნებს.**

# ნებიერა პრეზიდენტის გიჟური ახირება

„ობამას ადმინისტრაციას, — ნათქვამია ამ პუბლიკაციაში, — მოუწია ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის მემკვიდრეობასთან გამკლავება, რომელმაც... ორი ომი წამოიწყო — ერთი ტერორიზმის წინააღმდეგ, მეორე კი — „დემოკრატიისთვის“ (იმ მცდარი წარმოდგენის გავლენით, რომ ამ ორი კამპანიისთვის მსოფლიოს ხალხები ამერიკელების ალტრუიზმს ტაშს დაუკრავდნენ, თუმცა ვაშინგტონს სინამდვილეში აშშ-ის გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები ამოძრავებდა). **თუკი შეიძლება პოსტსაბჭოთა სივრცეში ბუშის ჯიჰადის ჩაშლის მრავალთაგან ერთი ფაქტორის გამოყოფა, ეს ის ფაქტორი იქნება, რომელზეც ბილ კლინტონის წინასაარჩევნო შტაბის სტრატეგმა ჯეიმს კირვალმა თქვა: „სულელებო, ეს ხომ ეკონომიკაა!“.**

საქართველოს მასშტაბით ამ გლობალური პროცესის „მდგრადი განვითარების“ ლიანდაგზე დაყენება დაავალა მიხეილ სააკაშვილმა 15 წლის წინათ ოჯახთან ერთად კანადაში გადახვეწილ „კონკიას“, რომლის ბროლის ფეხსაცმელი ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადაზე იპოვა პრეზიდენტად წოდებულმა პრინცმა.

კონკია კი არა, „ერთგვარი რკინის ლედია“, — განაცხადა მამამისმა ოთარ ქობალიამ.

მთლად „ლედი“, შეიძლება მეტისმეტია, ლედუკი, კიდევ — ჰო! „რკინის ლედუკი“ — „სხვა მასალისგან ნაგები“, როგორც უწინდელ კომუნისტებზე იტყოდნენ. ორგანიზებული და ძლიერიაო, გვიდასტურებს, ვინმე გამვლელი კი არა, არამედ ისეთი ძლიერი ეკონომისტი, როგორიც ქობალიას კანადური საცხობის ბუღალტერი ალენ ბურგანია.

და შემდეგ ორივენი რეჩიტატივით დაგვაიმედებენ: **„...იგი წარმატებას მიაღწევს და საქართველოს რამეს გაუკეთებს და სიამაყის საფუძველს გააჩენს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ კანადაშიც, რადგან ის აქ გაიზარდა და განათლება აქ მიიღო“.**

**„მას აქვს ძალიან ძლიერი ნებისყოფა და შეუძლია საკუთარი იდეების გატანა“** (ა. ბურგანი).

რომელი იდეების, მაგალითად?

ბურგანი გვიპასუხებს, რომ ამგვარ იდეებს შორის იყო... ერთგვარი ბიოლოგიური პაკეტები, პარკებზეა ლაპარაკი, რომლებშიც დებდნენ ამათ გამომცხვარ პურსა და ნამცხვარს. „დღეს ამ ჩანთებს (რომლებიც პარკებია. — **ა.ს.**) ჩვენგან შეერთებული შტატების ათობით მაღაზია ყიდულობს“.

თქვენ კი ახალ იდეათა პაკეტები გეგონათ, ისეთი, როგორიცაა კანონპროექტების ერთობლიობა, პაკეტი. თანაც მრავლობით რიცხვში.

„ბიოლოგიური პაკეტები“ — „სულელებო, ეს ხომ ეკონომიკაა!“ (უკვე ციტირებული ჯეიმს კირვალი).

ეკონომიკაა, რომლის განვითარებისთვის ეყოფაო კი კვალიფიკაცია ვერონიკა ქობალიას? ეჭვობს **იან ბეილი Globeandmail.com-ში** გამოქვეყნებულ წერილში.

„მან ხელი უნდა შეუწყოს სტაბილურ და სწრაფ ეკონომიკურ ზრდას და ისეთი საკითხები უნდა გადაწყვიტოს, როგორიცაა პრივატიზაცია, ზოგადად — ეკონომიკის, კერძოდ კი — გადასახადების ლიბერალიზაცია“.

მინისტრი ვერონიკა არა მარტო „რკინის ლედი“ თუ „ლედუკია“, არამედ რომანტიკოსი ოპტიმისტი გახლავთ: მისი სამინისტროს ვებგვერდიდან გვარწმუნებს, რომ თუ მისი „საქმეების ჩამონათვალი (!) განხორციელდება, საქართველოში მშპ-ის სტაბილური ზრდა დაფიქსირდება. კერძო სექტორში სამუშაო ადგილები გაჩნდება და სიღარიბის დონე შემცირდება“. **(Globeandmail.com)**

რა არის საჭირო საამისოდ?

სწორია — მუშაობა, თანაც — ბევრი. „ჩვენ ბევრი უნდა ვიმუშაოთ იმისთვის, რომ ევროპული სინგაპური გავხდეთ. ჩვენ ამის მიღწევა მოკლე დროში შეგვიძლია“ (**ვ. ქობალია**).

სინგაპურიზაციამდე დარჩენილი „მოკლე დრო“, ალბათ, 2013 წელი იგულისხმება, სააკაშვილის პრეზიდენტობის მეორე ვადის ამოწურვის მიჯნა ან აქედან ათვლილი მისივე პრემიერობის ახალი ეპოქაა.

როდემდე?

მიშას ჰკითხეთ.

მამა ქობალია კი დარწმუნებულია, რომ შვილმა მინისტრმა „იცის, რომ მას ყველაფერი გამოუვა“.

იმდენი მამა გიცხონდა!

რადგან, **საფრანგეთის ელჩი საქართველოში ერიკ ფურნიე აცხადებს, რომ უცხოელი ინვესტორები, ვისზეც სააკაშვილი ლოცულობს, „სკეპტიკურად არიან განწყობილი, ვინაიდან არ ესმით საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლების მათდამი მოკირკიტე დამოკიდებულება“ („რეზონანსი“).**

„მოკირკიტე დამოკიდებულება“ რას უნდა ნიშნავდეს? — ვიკითხოთ გაოცებულებმა, რადგან ხომ ვიცით, რომ საქართველოში კორუფცია აღარ არსებობს, დამარცხებულია ერთხელ და სამუდამოდ და, არც გაიფიქროს მავანმა ჩინოვნიკმა, უცხოელ ინვესტორს ჩაუჯდეს წილში ან კირკიტ-კირკიტობით ფული გამოსძალოს, ევროში.

დიპლომატის აკვიატებული იდეაა იმის მოთხოვნა, რომ საინვესტიციო კლიმატის გასაუმჯობესებლად, ინვესტორების დასაბრუნებლად, კერძოდ, სოფლის მეურნეობაში, „საჭირო იქნება შრომის კოდექსის გაუმჯობესება, გამჭვირვალეობა ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღებისას“, თუნდაც იმიტომ, რომ ვილაცის ახირებით, ვთქვათ, იჯარით აღებული მიწის ნაკვეთი ან არ ჩამოგართვან, ან ხელმეორედ არ გადაგახდევინონ უწინდელზე უფრო მეტი თანხა მაშინ, როცა ქვეყნის ბიუჯეტს გაუჭირდება. ბიუჯეტის შევსება კი ყოველთვის ძნელია.

„ბიოლოგიური პაკეტების“ იდეების მეშვეობით ასეთ ჯებირებს დაძლევს ვითომ ენერგიამოზღვავებული ვერონიკა ქობალია?

კი გვიმტკიცებენ მისი ოჯახის წევრები, რომ **„ის მზად იყო, რაღაც მნიშვნელობისათვის“,** მაგრამ ეს „რაღაც მნიშვნელოვანი“ ჯერჯერობით სამინისტროდან და ტურიზმის დეპარტამენტიდან ერთ დღეს სამუშაოს გამცდენი თანამშრომლების გაყრაში გამოიხატა. **ეს ერთი.**

**მეორე,** გამოიხატა Varcouver Sun-ზე თავდასხმაში, რომელსაც „რუსული პროპაგანდის ნაწილი“ უწოდა თავად მინისტრმა, რადგან ამ გამოცემამ ამხილა ვერონიკას „პატარა ტყუილი“, თითქოს იგი ვანკუვერის Global TV-ში და CSC-ში პროდიუსერად მუშაობდა.

„Global TV“-ის ადამიანური რესურსების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა პეტრა მენერმა განაცხადა, რომ **ქობალიას გვარი კომპანიის ოფიციალურ დოკუმენტებში არ არის“...**

**მესამე:** „ქობალიას ელექტრონულ ბიოგრაფიაში ასევე ნათქვამია, რომ მან BCIT (ბრიტანული კოლუმბიის ტექნოლოგიების ინსტიტუტი) 2004 წელს დაამთავრა. **BCIT-ში არც ადასტურებენ და არც უარყოფენ, რომ ქობალია მათი კურსდამთავრებულია“ (კატია ჰოლოვეი, „ვანკუვერის საცხობიდან საქართველოს მთავრობაში“, The Vancouver Sun).**



**თუკი შეიძლება პოსტსაბჭოთა სივრცეში ბუშის ჯიჰადის ჩაშლის მრავალთაგან ერთი ფაქტორის გამოყოფა, ეს ის ფაქტორი იქნება, რომელზეც ბილ კლინტონის წინასაარჩევნო შტაბის სტრატეგმა ჯეიმს კირვალმა თქვა: «სულელებო, ეს ხომ ეკონომიკაა!».**

**„ეჰ, გოგონებო, ეს მართლაც არასერიოზულია! გინდათ, გახდეთ მინისტრი, ჯეიმს ბონდის გოგონები ოცნებობთ პოტენციურ დედოფლობაზე და უკან კვალის წაშლა გავიწყდებათ...“**

არ ახსოვთ, რადიატორთან რომ იჯდა შენგელაიასა და გაბრიაძის „არაჩვეულებრივი გამოფენის“ მეორეხარისხოვანი პერსონაჟივით.

ვალოდია ჯინჭარაძის კანადური ვარიანტია.

იძახე ვალოდია ჯინჭარაძე! ვერონიკა კი ამ „ჭორებს“ **რუსულ პროპაგანდას** (!) უწოდებს, რომელიც **საგანგებოდ შემუშავდა** (!), **რათა მას (!) საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში ხელი შეუშალონ.**

ის ხომ „მზად იყო რაღაც მნიშვნელოვანისთვის“.

ეტყობა, მაინც არ იყო მზად, რადგან ან მიხეილ სააკაშვილის შეთავაზებით, ან „საქართველოში ყველაფერი გადის“ პრინციპით ისე იყო აცეტებული და შემცდარი, რომ საკუთარი ბიოგრაფიის უშნოდ გამოჩხერილი კუდების დამალვა ვერ მოასწრო.

სწორედ ამას საყვედურობს მას და მის პარტნიორ მოცეკვავე ნიმფებს **ალექსანდრ ლევი** ფრანგული **„ლე მონდის“** 31 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში **„ქართველი მინისტრის გიჟური ღამეები“:**

**„ეჰ, გოგონებო, ეს მართლაც არასერიოზულია! გინდათ, გახდეთ მინისტრი, ჯეიმს ბონდის გოგონები ოცნებობთ პოტენციურ დედოფლობაზე და უკან კვალის წაშლა გავიწყდებათ...“**

როგორც ყველა დამოუკიდებელ ჟურნალისტს, ლევისაც თავისი ხედვა აქვს. უყურებს ეს კაცი ამ „გაბაზრებულ“ ფოტოს და ხედავს:

„ეს ზაფხულია, არა? ყოველ შემთხვევაში ბარის დახლზე, რომლის ფოტომაც ვებგვერდები მოიარა, ძალიან ცხელა. როგორც ფოტოდან ჩანს, დახლზე, გოგონების მანერებიდან გამომდინარე (ჟესტიკულაცია, თეთრი საცეკვაო ტრუსები...) ორი პროფესიონალი მოცეკვავეა და სამი ახალგაზრდა ქალბატონი, რომლებიც ლაღად ერთობიან. ერთ-ერთი ვერა ქობალიაა (მარჯვნიდან ბოლო), მეორე - მისი და ნინა (ცენტრში), მესამე კი მათი აზიური წარმომავლობის ამერიკელი მეგობარი. რუსული და ქართული პრესის ცნობით, ეს ფოტო ვანკუვერში შარშან თებერვალშია გადაღებული... ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, რომ იქ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ჩასული საქართველოს ფიცხი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც იმყოფებოდა. მოკლედ, ამ დროით თარიღდება მისი გატაცება ამ ახალგაზრდა ქალბატონით, რომელიც რამდენიმე კვირაში თბილისში ჩადის. სადაც ის თავდაპირველად არასამთავრობო ორგანიზაციას უდგება სათავეში, შემდეგ კი მისი მთავრობის მინისტრად ინიშნება“.

კერძო შემთხვევაა? კერძოა. მაგრამ ნახეთ, რა ცინიკურ განზოგადებაში გადადის:

**„დიდი ამბავი, სინამდვილეში ასეთი ველური გარდაქმნების ქვეყანაში ხშირია, როცა ძალიან ახალგაზრდა ვუნდერკინდები სწრაფად ხვდებიან სახელმწიფოს სათავეში“.**

საქართველოში დამკვიდრებული საკადრო პოლიტიკა ასე შეაფასა ფრანგულმა გაზეთმა. და ამ „ველური გარდაქმნების“ შემოქმედსაც წირვა გამოუყვანა:

**შესაძლოა, ეს დასავლეთის მეგობრისა და ამერიკის ნებიერა პრეზიდენტის ახირებაცაა, რომელიც პრინციპით იქცევა და გიჟურ ქმედებებს სჩადის ქვეყანასა და რეგიონში, სადაც სტაბილურობის გარდა ყველაფერია“.**



**P.S.** ყველაფერი ნათელია და გასაგები და შეიძლება წერტილის დასმა. მაგრამ არ გაჩერდა კატია ჰოლოვეი, „ვანკუვერ სანში“ გამოქვეყნებული მამხილებელი წერილის ავტორი, დააზუსტა ზოგიერთი დეტალი, თუმცა საერთო სურათი ოდნავადაც არ შეცვლილა:

„შემდგომი ძიების პროცესში The Sun-მა აღმოაჩინა, რომ ქობალია რამდენიმე წლის განმავლობაში ვანკუვერის Global ComedyFest-ისთვის (გლობალური კომედიური ფესტივალი) მუშაობდა. Global ComedyFest-ი დამოუკიდებელი ღონისძიებაა, სადაც Global TV მთავარი სპონსორია.

**„Global TV-მ იყიდა ღონისძიების სათაური“ — ამბობს ComedyFest-ის არტ-დირექტორი ვილ დევისი. „ცხადია, ჩვენ CanWest-ი (მედია ჰოლდინგი) არ გვაფინანსებს. ვერას არასდოს უმუშავია GLOBAL TV-სთვის, ის ჩვენთან მუშაობდა და ჩვენ კი ვართ ComedyFest“. (The Wancouver Sun, 31.07.2010).**

არ იცოდა ვერონიკა ქობალიამ სად მუშაობდა?

სამაგიეროდ, იცის, რომ მინისტრია და მისი წისქვილი სხვებისაზე უკეთ ფქვავს.

**შესაძლოა, ეს დასავლეთის მეგობრისა და ამერიკის ნებიერა პრეზიდენტის ახირებაცაა, რომელიც პრინციპით იქცევა და გიჟურ ქმედებებს სჩადის ქვეყანასა და რეგიონში, სადაც სტაბილურობის გარდა ყველაფერია“.**

მიმოხილვა მოამზადა **არმაზ სანებლიძემ**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# გიორგი ხოშტარია: სააკაშვილს უნდა, აიგოს ტაძარი და თვითონ დაჯდეს ბაგრატ III გამაერთიანებლად

**ბრაზილიაში მიმდინარე მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 34-ე სესია ბაგრატის ტაძრის რესტავრაციის წინააღმდეგ გამოვიდა. ბაგრატის ტაძარი იუნესკოს მსოფლიოს კულტურული ძეგლების სიაშია შეტანილი, როგორც „შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის დიდებული ნიმუში“, რომლის მიმდინარე რესტავრაცია ეწინააღმდეგება მინიჭებულ სტატუსს. ამიტომ მას გადააადგილებენ „საფრთხეში მყოფი ძეგლების სიაში“.**

**ლოგიკა ასეთია: საქართველოს ხელისუფლებამ უხეშად დაარღვია იუნესკოს მიერ დადგენილი კრიტერიუმები და რაღაც მოსაზრებებით, რომლებიც ეწინააღმდეგება პროფესიონალიზმის ჭეშმარიტ პრინციპებს, მიიღო გადაწყვეტილება, რომლის განხორციელებამ დააკნინა ბაგრატის ტაძრის დიდებული ნაგებობის შესაბამისად აღქმა მსოფლიო ელიტის მიერ.**

**„საქართველო და მსოფლიომ“ კომენტარი სთხოვა ცნობილ ქართველ მეცნიერს, ხელოვნებათმცოდნე გიორგი ხოშტარიას.**



— ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის სესიის მონაწილეთა რეაქცია. ამ პრობლემაზე ვლაპარაკობდი ერთი წლის წინათ ტელევიზიაშიც და პრესაშიც; მქონდა დებატები რადიოში რესტავრაციის მთავარ არქიტექტორთან ვანო გრემელაშვილთან.

იგი მიმტკიცებდა, რომ სავსებით შესაძლებელია ტაძრის პირველადი სახით აღდგენა. ჩემი პასუხი ასეთი იყო: თუ ეს მართლაც შესაძლებელია, რატომ არ აღადგენენ დანარჩენ მსოფლიოში ისეთ ისტორიულ ძეგლებს, როგორიცაა პართენონი, კოლიზეუმი, კარაკალას თერმები და ა.შ. თანაც, ვთქვათ, კოლიზეუმი და პართენონი თითქმის აბსოლუტური სიზუსტით შეიძლება გაიმეორონ. არ აღადგენენ კი იმიტომ, რომ იდენტურობა დაცული არ იქნება. ამის სახიერი მაგალითია ქაშვეთის ტაძარი თბილისში, რომელიც ზუსტი ასლია სამთავისის ძეგლის. ყველაფერი — პროპორციები, ორნამენტები ერთი ერთზეა გამეორებული, მაგრამ სამთავისი ცოცხალი ძეგლია, მისი თბილისური ანალოგი, აშკარად ჩანს, მშრალი ძეგლია, რადგან გამეორებაა.

**არაპროფესიონალისთვის ასეთი ნიუანსები შეიძლება ნაკლებად გასაგები იყოს — რას ერჩიან ქაშვეთსო, იფიქროს. მაგრამ ვინც იცნობს ორიგინალს და დაკვირვებული თვალი აქვს, გაარჩევს პრინციპულ სხვაობას ორიგინალსა და მის, თუნდაც ზუსტ, ასლს შორის.**

**პროექტის ავტორი იშველიებს ბაგრატის ტაძრის მსგავსებას ოშკსა და სხვა ტაძრებთან. მაგრამ ოშკი სულ სხვა ეტაპია და, თუნდაც სულ გვერდზე გქონდეს ამდაგვარი ძეგლი, გამეორება მაინც არ შეიძლება, რადგან ასეთ შემთხვევაში რამდენიმე სანტიმეტრით ცდომილებაც კი დაგვაცილებს ორიგინალს.**

**რესტავრაციის შემთხვევაში ბაგრატის ტაძრის კამარები და გუმბათი თავიდან არის ასაგები. ეს კი ზრდის ორიგინალთან დაშორების რისკს.**

**რაც შეეხება უკვე არსებულის გამაგრებას. ინგრევაო, იძახიან. მაგრამ, რაც ინგრევა, ზოგადად, მისი გამაგრება შესაძლებელია და საჭიროც არის.**

როცა ბლოკებით აგებენ დანგრეულ კედლებს და შემდეგ გარედან აპირკეთებენ ფსევდოსიძველის იმიტირების მიზნით, ეს ყოვლად დაუშვებელია. ხოლო კამარებისა და გუმბათის გადახურვა, პირდაპირ გეტყვით, დანაშაულია.

რესტავრაციის ავტორები ყველაზე ძლიერ არგუმენტად იშველიებენ საპატრიარქოს თანადგომას, რომელიც ბაგრატის ტაძარში ღვთისმსახურების აღდგენას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს.

**— ჩვენმა დელეგაციამ, რომელიც ბრაზილიაში წარმოდგენილია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელით — ნიკა ვაჩეიშვილით და იუნესკოში საქართველოს ელჩით — მამუკა კუდავათი, სესიის მონაწილეებს განუმარტა, რომ ბაგრატის ტაძარი საქართველოს ერთიანობის სიმბოლოა და მის აღდგენას მხარს უჭერს როგორც სახელმწიფო, ისე საქართველოს ეკლესია.**

**ეს ცოტას ნიშნავს?**

— არა, ცოტას არ ნიშნავს. პირიქით — გასაგებიცაა და განსახორციელებელიც. მაგრამ ამისთვის სულაც არ არის აუცილებელი რესტავრაციის პრინციპების უხეში დარღვევა, თანაც ძეგლის საზიანოდ მის არქიტექტურულ ქსოვილში უხეში ჩარევის გზით.

**— და არის გამოსავალი?**

— რა თქმა უნდა. სასურველთან ყველაზე უფრო მიახლოებული პროექტი — შუშით გადახურვა, რომლის ავტორი არქიტექტორი კახა ქორიძეა. მისი პროექტი უსაფუძვლოდ იქნა უგულებელყოფილი იმ ინსტანციების მიერ, რომლებსაც საქართველოში უნდა გადაეწყვიტა ბაგრატის ტაძრის ბედი და პერსპექტივა.

**— ამ პროექტის შესახებ „საქართველო და მსოფლიო“ ერთი წლის წინათ წერდა.**

— დიახ. მაგრამ ზედმეტი არ იქნება, თუ თქვენს მკითხველებს შევახსენებთ, რომ კახა ქორიძის პროექტით, ერთის მხრივ, შენარჩუნებული და გამაგრებული იქნება ის, რაც დიდებული ნანგრევების სახით არის შემორჩენილი და თავიდან აშენების მცდელობაც კი გამორიცხება, ანუ სრულად იქნება დაცული იუნესკოს მოთხოვნები; მეორეს მხრივ, აღდგება ტაძრის ფუნქციონალური დანიშნულება.

**— უარყოფის საფუძველი რა იყო, თქვენი აზრით?**

— მე აქ ვხედავ ცოტა პოლიტიკურ თვითნებობას. ეს არის პრეზიდენტის დაჟინებული სურვილი, რასაც ვერც ვაჩეიშვილი, ვერც სხვა ვინმე წინააღმდეგობას ვერ უწევს: აიგოს ტაძარი და თვითონ დაჯდეს ბაგრატ III გამაერთიანებლად. დამეთანხმეთ, რომ **არ შეიძლება პოლიტიკურ ამბიციებს შეეწიროს ასეთი დიდებული ძეგლი, საერთოდ, არანაირი ისტორიული ძეგლი. ბაგრატი ნამდვილად არის მსოფლიო საგანძური, უნიკალური, უმაღლესი მხატვრული ღირებულების. ის, რაც ახლა მის თავს ხდება, არის დანაშაული. ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ.**

**— რისი ბრალია, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ არად ჩააგდო იუნესკოს მოთხოვნები?**

— ეს არის თავხედობის ნიადაგზე საკუთარი ამბიციური სურვილების დაკმაყოფილება.

**— ხომ ელემენტარულია, რომ ასეთი თავნებობა სერიოზულად ვნებს საქართველოს ავტორიტეტს მსოფლიოს თვალში?**

— ძალიან! როგორც ბევრი რამ ჩვენი დღევანდელობიდან. დამეთანხმეთ, რომ ქოთანი მექოთნემ უნდა გააკეთოს. არ შეიძლება, რომ მექოთნეობა დაიბრალოს ამ ხელობაში საერთოდ გაურკვეველმა კაცმა. დაიბრალოს და თავისი გაიტანოს.

**როცა ქუთაისში დიდების მემორიალის აფეთქებასთან დაკავშირებით დისკუსია მიმდინარეობდა და მე ვთქვი, რომ რესტავრაცია გრემელაშვილის პროექტით დაუშვებელი იყო, სააკაშვილის ლაქიებმა, მათ სხვანაირად ვერ მოვიხსენიებ, განაცხადეს, რომ ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი, რაც უნდა, იმას გააკეთებს.**

ჩემი პასუხი იყო: **თვითმფრინავს მისცემთ წასაყვანად? გააკეთებინებთ, თუნდაც აპენდიციტის ოპერაციას, რახან პრეზიდენტია და არჩეულია?** კომპეტენციის გამიჯვნის ელემენტარული პრინციპი ირღვევა. შეიძლება „მაგარი“ ხარ რაღაც სხვა საქმეებში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უფლება გაქვს, გადაწყვიტო არქიტექტურის სპეციფიკური საკითხები...

**— და გაამართლო შენი მოქმედება იმ პასუხით, რომელსაც სპეციალურად შენთვის და სპეციალურად ტელეგადაღებისთვის შერჩეული ადამიანების ჯგუფისგან მიიღებ შენს შეკითხვაზე — ხომ კარგია, ბაგრატის ტაძრის რესტავრაციას რომ ვაკეთებთ?**

— ცუდიაო, ხომ არ ეტყოდნენ?! მაგრამ როდის იყო, რომ ვინმე სერიოზულად აღიქვამდა ასეთი „ბლიცგამოკითხვის“ ექსპერიმენტის შედეგებს?!

**ათეულ ათასობით ლარი რომ დაახარჯეს ჩელუსკინელების ხიდის ყურეში კლდეში შეჭრილ ვითომ პრომეთეს ძეგლს და შემდეგ გადაიტანეს ბორჯომში, ასეთი დამოკიდებულების შედეგია.**

იგივე შეიძლება ითქვას თავისუფლების მოედანზე აღმართულ სვეტზე დამაგრებულ მოოქროვილ დიდ ბიჟუტერიაზე, რომელსაც რატომღაც წმიდა გიორგის ქანდაკებად მიიჩნევენ.

**— ისევე „რატომღაც“, როგორც ავლაბრის რეზიდენციის გადმოსახედზე დაყენებულ მოძრავ რადარისებურ ნახევარსფეროებს თანამედროვე სკულპტურას უწოდებენ...**

— ეს არის უგემოვნობა და სხვა არაფერი. საქართველოში არ არსებობს პროფესიონალებისგან შემდგარი საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც ასეთ უმსგავსობათა შესახებ კომპეტენტურ აზრს იტყვის. ისინი კი, ვისაც ძირითადად უსმენს ასეთი საკითხების გადამწყვეტი უმაღლესი პირი, მისი მაამებლები არიან, და, ძალიანაც რომ უნდოდეს სააკაშვილს, ობიექტურ შეფასებას მათგან ვერ მიიღებს.

**მანქანაში მსხდომი პრეზიდენტი და ქალაქის მერი (ტელევიზიით ვნახე) ლაპარაკობდნენ, რომ ის სვეტი, რომელიც გმირთა მოედანზე აღმართეს ესტაკადის ცენტრში, შეკრავს სივრცეს.**

**ხომ აშკარაა, რომ ასეთი დასკვნა ვიღაცის მიერაა მიწოდებული! არაფერიც არ შეკრა! არის სიმახინჯე!** თანაც სვეტი, რომელზეც გაკეთებულ წარწერებს — ომში დაღუპულთა გვარებს, ვერ ამოიკითხავ, კარლსონი თუ არ ხარ, გაურკვეველი, უსახო მასალისგან არის გაკეთებული...

**— უკვე გამოყენებული იმ ფიცრების ნარჩენებისგან, რომლებითაც ესტაკადის ბეტონის ყალიბები იყო შეკრული...**

— და არავითარ ესთეტიკურ მოთხოვნას არ უპასუხებს.

**— სამაგიეროდ უცხოელი ავტორისაა.**

— ეგეც ჩვენი უბედურებაა, ვერ გავიგე, ვინ წყვეტს ასეთ საკითხებს. თუმცა ეჭვი მაქვს...

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. იუნესკოს ბრაზილიის კონფერენციის 34-ე სესიის თავმჯდომარემ ჟოაო ლუის და სილვა ფერეირამ ბაგრატის ტაძრის თემაზე მსჯელობისას მისი იმ სახით რესტავრაციას, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, უარყოფითი შეფასება მისცა და კატეგორიულად დაუშვებლად მიიჩნია.**

## მოკლედ



### პენტაგონი ირანზე თავდასხმისათვის მზადებას აღიარებს

**აშშ-მა პირველად აღიარა, რომ ირანზე შესაძლო თავდასხმისათვის გეგმა აქვს შემუშავებული. ამის თაობაზე აშშ-ის შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის ხელმძღვანელმა, ადმირალმა მაიკ მალენმა განაცხადა, რომ, თუ თეირანი დასავლეთთან კონფრონტაციას განაგრძობს, პენტაგონი საკითხის ძალისმიერი მოგვარების შესაძლებლობას არ გამორიცხავს.**

„ომი იყო და რჩება იმ შესაძლო ვარიანტებს შორის, რომელთაც პრეზიდენტი (ბარაკ ობამა) განიხილავს. იმედია, მისი გამოყენება არ მოგვიხდება, მაგრამ ამგვარი ვარიანტი არის და ის დეტალურადაა გაანალიზებული“, — განაცხადა მალენმა.



### რამდენის გადახდა მოგვიწევს

**2010 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, საქართველოს საგარეო ვალი 6 მილიარდ 389 მილიონ 775 ათასი ლარია. ქვეყნის მოსახლეობას პერიოდულად უჩნდება კითხვა, ხომ არ მოუწევს ამ თანხის დაფარვა თითოეულ მოქალაქეს საკუთარი ჯიბიდან?** თუ პირობითად დავუშვებთ, რომ საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა და ასაკისა, მისი წილი ვალის გადახდა დაეკისრა, მაშინ აღმოვაჩენთ, რომ 2010 წლის ბოლოსათვის სახელმწიფო საგარეო ვალი ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 1592 ლარი იქნება (საქსტატის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა 2010 წლისათვის 4 მილიონ 436 ათას 400 ადამიანია).

2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი კიდევ უფრო იზრდება და განისაზღვრება 7 მილიარდ 61 მილიონ 200 ათასი ლარით.

ეს თანხა თითქმის მილიარდ-ნახევრით მეტია შარშანდელ მაჩვენებელზე. როგორც წესი, სახელმწიფოს საგარეო ვალს განიხილავენ მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართებაში. საქართველოს მთავრობის გათვლების თანახმად, 2010 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი 19 მილიარდ 46 მილიონ 400 ათას ლარს შეადგენს.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ლაშა ჩხარტიშვილი:

# კობა სუბელიანი დევნილების მთავარი ჯალათია

**26 ივლისს გამომცემლობა „სამშობლოს" შენობიდან დევნილთა გამოძევების თაობაზე გვესაუბრება „კონსერვატიული პარტიის" წევრი ლაშა ჩხარტიშვილი.**



**— ბატონო ლაშა, თითქმის ორი კვირაა, რაც ჩვენი ბედოვლათი ხელისუფლების წყალობით უბინაოდ, ფაქტობრივად, ღია ცის ქვეშ დარჩენილი დევნილები ეკონომიკის სამინისტროსთან საპროტესტო აქციებს მართავენ. რა ხდება, რას ერჩიან ამ ადამიანებს?**

— საქმე ისაა, რომ დღეს ხელისუფლებას კორუფციული მადა ისე გაეხსნა, როგორც არასდროს. ეს მადა მას წინასაარჩევნო პერიოდში დროებით გაუნელდა, მაგრამ არჩევნები დამთავრდა და ახლა ისევ დაიწყეს ფიქრი ჯიბის გასქელებაზე.

როგორც ჩანს, მათ, უბრალოდ, ჩათვალეს, რომ ყველაზე ნაკლებად ორგანიზებული სოციალური ჯგუფი დევნილები არიან (ნაწილობრივ, ალბათ, ასეცაა) და საზოგადოების წინააღმდეგ ბრძოლა სწორედ მათზე შეტევით დაიწყეს; შემდეგი, დარწმუნებული ვარ, გარემოვაჭრეები იქნებიან, რასაც იგივე გიგი უგულავას მიერ ამასწინათ გაკეთებული განცხადებაც მოწმობს, თბილისში გარევაჭრობა უნდა აიკრძალოსო...

**— კი, მაგრამ რის მიღწევას ცდილობს ამით ხელისუფლება?**

— საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი ემსახურება იმ მიზანს, რომ მოხდეს ბიზნესის გამსხვილება, რათა ხელისუფლებამ მეტი მოგება ნახოს და ამასთან, უფრო ოსტატურად დამალოს ის კორუფციული გარიგებები, რომელთაც იგი ამა თუ იმ მეწარმესთან, ბიზნესმენთან აწარმოებს.

**კორუფციული სახსრების მოზიდვას ემსახურება გამომცემლობის შენობიდან დევნილების გამოსახლებაც, ვინაიდან ეს შენობა ხელისუფალთ გასაყიდად და ჯიბის გასასქელებლად სჭირდებათ.**

დღეს სააკაშვილი, უგულავა და ყველა ის მაღალჩინოსანი, რომელთა წყალობითაც დევნილები ხელმეორედ აღმოჩნდნენ დევნილობაში, ხშირად აცხადებენ, რომ თბილისში მცხოვრები ლტოლვილები თავს კარგად გრძნობენ და მათ სოფლად გადასახლება არ უნდათ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აქედანაც ნათლად ჩანს, თუ რა დამოკიდებულება აქვს ხელისუფლებას ამ, ისედაც გაუბედურებული ადამიანების მიმართ, რომელთა დაცინვაც და შეურაცხყოფაც პირადად სააკაშვილს, ყველა სიკეთესთან ერთად, უკვე ჩვევადაც ექცა.

**— გასაგებია, მაგრამ, იქნებ, მართლა სჯობდეს, რომ დევნილთა რაღაც ნაწილი მაინც სოფელში დასახლდეს?**

— მათ სოფელში ცხოვრება არ უნდათ არა იმიტომ, რომ თბილისში თავს კარგად გრძნობენ, არამედ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დღეს რეალურად, თბილისის გარდა, სამუშაოს პოვნა სადმე შეუძლებელია. გარდა ამისა, გაურკვეველია, მართლა სთავაზობენ თუ არა ამ ადამიანებს მიწის ნაკვეთებს, თუმცა, რომც შესთავაზონ, მოგეხსენებათ, ხვნა-თესვა იწყება ადრიან გაზაფხულზე და ამ შუა ზაფხულში სოფელში ვერავინ ვერაფერს გააკეთებს; აქედან გამომდინარე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ **აგვისტოში დევნილების სოფლად გადასახლება არის ბარბაროსობა და, ფაქტობრივად, ამ ოჯახების სიკვდილის საფრთხის წინაშე დაყენება, რაც ამ ავტორიტარულ ხელისუფლებას, როგორც ჩანს, საერთოდ არ ადარდებს...**





**— როგორ და რა ფორმით მოხდა დევნილების გამოსახლება გამომცემლობის შენობიდან? ხომ არ მიუმართავთ პოლიციელებს იმ ზომებისთვის, რასაც 2007 წლის 10 აგვისტოს იმავე შენობიდან რედაქციების გამოძევების დროს მიმართეს?**

— ყოველ შემთხვევაში, დიდი განსხვავება „ნაცმოძრაობის" ამ ორ ვანდალურ, მე ვიტყოდი, ბარბაროსულ ქმედებას შორის ნამდვილად არ ყოფილა. მე ეს ყოველივე საკუთარი თვალით ვნახე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ამ ხელისუფლებისგან ყველაფერია მოსალოდნელი...

**25 ივლისს, ღამის თორმეტი საათიდან, გამომცემლობის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე საპატრულო პოლიციის რამდენიმე ეკიპაჟი მორიგეობდა. ისინი, ალბათ, ოპერაციის დეტალებს აზუსტებდნენ და გეგმავდნენ, თუ როგორ შეეტიათ შენობისთვის, რომელიც მათ თვალში, როგორც ჩანს, რაიხსტაგად იყო წარმოდგენილი.**

**დილით, დაახლოებით შვიდის ოც წუთზე ორიათასზე მეტმა ე.წ. სამართალდამცავმა გამომცემლობის შენობა ალყაში მოაქცია. მე მაშინვე დავუკავშირდი ტელევიზიებს, მაგრამ, ვიდრე ისინი მოვიდოდნენ, პოლიცია შენობაში შეიჭრა და დაიწყეს დევნილების გამოძევება.**

თავის მხრივ, დევნილებმა ამ ბარბაროსობაზე პროტესტი ტაშის დაკვრით გამოხატეს და სცადეს ამით შეეგნებინებინათ ე.წ. სამართალდამცავთათვის, რომ მათი საქციელი სამარცხვინო იყო, მაგრამ მერაბიშვილის ჯალათებს, ბუნებრივია, ამაზე რეაქცია არ ჰქონიათ და რამდენიმე წუთში დაწყებული საქმე სისრულეში მოიყვანეს.

ოპერაციის ჩატარებაში ჩართულნი იყვნენ და უშუალოდ მონაწილეობდნენ მაღალჩინოსნებიც. მე, მაგალითად, შევნიშნე საპატრულო პოლიციის უფროსის მოადგილე ზურაბ ვახტანგიშვილი, კრიმინალური პოლიციის წარმომადგენელი გოგა ონიანი და სხვები. ოდნავ მოგვიანებით გამოჩნდა ავადსახსენებელი და ფრიად სამარცხვინო პიროვნება გიორგი გეგეჭკორიც, რომელიც, როგორც წესი, არ აკლდება ხოლმე არც ერთ მსგავს „სანახაობას".

**პოლიციელები სათითაოდ შევარდნენ ყველა ოთახში, დაიკავეს ყველა სადარბაზო; და მართალია, მათთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია, მაგრამ ამის მიუხედავად, ღრიალითა და შეურაცხყოფით აიძულეს დევნილები, დაეტოვებინათ შენობა.**

ეს იყო კიდევ ერთი ნათელი მაგალითი და დადასტურება იმისა, რომ ქვეყანას მართავს ავტორიტარული რეჟიმი, რომელიც ძალადობს საზოგადოებაზე და ამ ძალადობას იწყებს ყველაზე ნაკლებად ორგანიზებული, დაუცველი ფენებიდან.

**— რა მოხდებოდა, დევნილებს წინააღმდეგობა რომ გაეწიათ და შენობიდან არ გამოსულიყვნენ?**

— როცა ეს სპეცოპერაცია დაიგეგმა, ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, ისიც გაითვალისწინა, რომ შეიძლებოდა წინააღმდეგობაც ყოფილიყო, ამიტომ ერთ დევნილზე დაახლოებით ათი პოლიციელი მოდიოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ წინააღმდეგობის გაწევას, ფაქტობრივად, აზრი აღარ ჰქონდა.

მერაბიშვილის ჯალათები, დამეთანხმებით, ყველაფერზე არიან წამსვლელები; ამდენად, მათ რომ ვინმე არ დამორჩილებოდა, ყველა ზომას მიმართავდნენ, ფიზიკურ ზემოქმედებასაც არ მოერიდებოდნენ, რათა დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანათ.

რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, გარკვეული ფორმით, შეიძლებოდა პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა; მაგრამ, სამწუხაროდ, ყველამ ერთნაირად არ გააპროტესტა ის უმსგავსობა და ბარბაროსობა, რაც მათ თვალწინ ხდებოდა. მეტიც, **დაახლოებით ასამდე დევნილი აპირებდა შენობის გარშემო ცოცხალი ჯაჭვის გაკეთებას, მაგრამ დანარჩენები მათ არ შეუერთდნენ.**

ზოგი კი ბარგშეკრული ელოდებოდა პოლიციის მოსვლას, რათა, რაც შეიძლება სწრაფად გასცლოდა იქაურობას. ეს ყველაფერი სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ **დღეს ჩვენი საზოგადოების ყველა ფენაში სოლიდარობის სერიოზული პრობლემაა.** ამიტომ მივმართავ თითოეულ დევნილს, ნუ დაელოდებიან, როდის მოაკითხავენ ვანო მერაბიშვილის ჯალათები და გამოაძევებენ საკუთარი სახლებიდან. საჭიროა ერთად დგომა, ერთმანეთის მხარდაჭერა და ბრძოლა ერთიანი ძალებით იმ უკანონობის, უმსგავსობის წინააღმდეგ, რომელსაც ეს ხელისუფლება ყოველ ნაბიჯზე სჩადის საზოგადოების, განსაკუთრებით დევნილების წინააღმდეგ...

**— ამჟამად სად იმყოფებიან გამომცემლობის შენობიდან გამოსახლებული დევნილები? დააკმაყოფილეს თუ არა ისინი საცხოვრებელი ფართებით?**

— თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა არც ერთი ოჯახი საცხოვრებელი ფართით არ დაკმაყოფილებულა და დღეს ისინი, ფაქტობრივად, ღია ცის ქვეშ იმყოფებიან. ხელისუფლებამ ეს ადამიანები გაწირა, ვინაიდან არანაირი საარსებო წყარო, პირობები მათ რეალურად არ გააჩნიათ, გარდა ოცდარვალარიანი შემწეობისა, რაც, არა თუ იმ ბინის დასაქირავებლად, არამედ საკვებისთვისაც არ ჰყოფნით...

**— აგვისტოს ომის ორი წლისთავისთვის ქალბატონმა ქობალიამ ნამდვილად „შთამბეჭდავი" საჩუქარი გაუკეთა თავის მოძმე დევნილებს...**

— ამ ქალბატონს, მაგიდაზე ცეკვისა და ერთი ადგილის ოსტატურად ქნევის გარდა, ჩანს, ადამიანების გაუბედურებაც კარგად ეხერხება და შემდეგ ამ გაუბედურებული ადამიანების დავიწყებაც. მან საკუთარი სინდისი გაცვალა მინისტრის სავარძელზე და დღეს უკვე აღარ ახსოვს, რომ თვითონაც დევნილია.

იმავეს თქმა შეიძლება კობა სუბელიანზეც. ამ ადამიანს სახელისუფლო არხებმა დევნილებზე მზრუნველის იმიჯი შეუქმნეს, სინამდვილეში კი იგი დევნილების მთავარი ჯალათია. **სუბელიანი ყოველთვის გამოირჩეოდა უკიდურესი უხეშობითა და შეუბრალებლობით ლტოლვილების მიმართ,** თუმცა ნათქვამია: „თევზი თავიდან ყროლდებაო" და ყველა იმ უბედურების სათავე, რაც მისი უწყების მხრიდან დევნილებს თავს დაატყდა, ალბათ, მაინც პირადად მიხეილ სააკაშვილია.

ამ უკანასკნელმა რამდენიმე დღის წინათ მინისტრებთან შეხვედრის დროს მწვავედ გააკრიტიკა სუბელიანი და უსაყვედურა, შენი უწყება ცუდად მუშაობსო. ეს განცხადება თუ მიმართვა მაშინვე ცუდად მენიშნა, ვიფიქრე, იმიტომ ხომ არ საყვედურობს, რომ დევნილთა განსახლება დროულად ვერ უზრუნველყო-მეთქი. სამწუხაროდ, ჩემი ეჭვი გამართლდა, — ორი თუ სამი დღის შემდეგ დევნილები მართლაც კინწისკვრით გამოაძევეს გამომცემლობის შენობიდან და **ამ ოპერაციაში განსაკუთრებით ამაზრზენი საქციელით სწორედ სუბელიანის უწყების წარმომადგენლები გამოირჩეოდნენ.**

**— აგერ უკვე ორი კვირა სრულდება, რაც აქციებს მართავთ და რას მიაღწიეთ ან რას აპირებთ მომავალში?**

— არაერთხელ მითქვამს და კვლავ ვიმეორებ, ჩვენ არ დავიღლებით, ვიბრძოლებთ ბოლომდე და არავითარ შემთხვევაში ამ ტოტალიტარულ რეჟიმს არ შევეგუებით.

**დღეს საქართველო დაპყრობილი აქვს ბოროტ ძალას, რომლის სათავეშიც დგას მიხეილ სააკაშვილი. იგი დღითიდღე ემსგავსება თალიბებს, ტერორისტებს... განსხვავება მათ შორის მხოლოდ ის არის, რომ თალიბები ფანატიკური მორწმუნენი არიან, სააკაშვილი კი ფანატიკურად ურწმუნო ბარბაროსია, რომელსაც არავინ და არაფერი არ ადარდებს, გარდა საკუთარი კეთილდღეობისა.**

ფაქტი ერთია, **ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს, რომ თბილისი დევნილებისგან გაწმინდოს.** ამით ისინი ორ კურდღელს ერთდროულად დაიჭერენ: ერთის მხრივ, მოიზიდავენ კორუფციულ სახსრებს (იმ შენობების გაყიდვის ხარჯზე, რომლებშიც დევნილები ცხოვრობენ); მეორეს მხრივ, **ქალაქში ნაკლები იქნება ღარიბი მოსახლეობა, რომელიც, ბუნებრივია, უკმაყოფილოა ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით და რომელიც, როგორც წესი, ყოველთვის აქტიურია საპროტესტო გამოსვლების დროს.**

ეს არის დღეს ხელისუფლების უმთავრესი მიზანი და ამოცანა, მაგრამ, ვფიქრობ, მათი შეჩერება ჯერ კიდევ შეიძლება. მხოლოდ საჭიროა სოლიდარობა, ერთიანობა და ერთმანეთის მხარდაჭერა; და თუ ამას შევძლებთ, მერწმუნეთ, ამ ბარბაროსთა თარეში ხელისუფლებაში დიდხანს ნამდვილად არ გაგრძელდება.

ესაუბრა
ჯაბა ჟვანია

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## „Ту-95“-მა რეკორდი მოხსნა



**ორმა რუსულმა სტრატეგიულმა ბომბდამშენმა „Ту-95МС“-მა პატრულირების დროს ჰაერში 40 საათი დაჰყო. წინა რეკორდი ოთხი საათით ნაკლები იყო.** ფრენის დროს ბომბდამშენებმა ოთხჯერ მიიღეს საწვავი მფრინავი ტანკერების — „Ил-78“ და „Ту-95МС“-ისაგან (ნატოს კლასიფიკაციით ,,Bear); სიჩქარე 920 კმ/საათია, მას 12 ტონამდე (მათ შორის ბირთვული) ბომბების გადატანა შეუძლია, თუმცა მისი მთავარი იარაღი ფრთოსანი რაკეტები „X-55- ია.

## საჭიროა, მაგრამ ძვირია



**უკრაინის ხელისუფლება საბოლოო პასუხს ვერ აყალიბებს ბერლინის წინადადებასთან დაკავშირებით — შეიძინოს თუ არა ის ხომალდები, რომლებსაც გერმანელები, ეკონომიის მოსაზრებებიდან გამომდინარე, შეიარაღებიდან ხსნიან.** კიევს საკმაოდ ფართო არჩევანი აქვს: გერმანელები ექვსი 500-ტონიანი „U-206A პროექტის წყალქვეშა ნავების გარდა, უარს მოკლევადიან პერსპექტივაში 8 ფრეგატისა და 10 „Gepard-ის ტიპის სარაკეტო კატარღის შენარჩუნებაზე იტყვიან. კიევის საბოლოო გადაწყვეტილება ამ მაცდურ წინადადებასთან დაკავშირებით ცნობილი უახლოეს მომავალში გახდება.

## ფული, ბაბა, ფული!



**ერაყის აღდგენის ზედამხედველობის გენერალურმა ინსპექტორმა განაცხადა, რომ პენტაგონს არ შეუძლია აჩვენოს, თუ სად დაიხარჯა 8,7 მილიარდი 9 მილიარდი დოლარიდან, რომელსაც აშშ-ის თავდაცვის უწყება 2004-07 წლებში განკარგავდა.** ეს თანხები გამიზნული იყო პროექტებისთვის, რომელთა მიზანი ერაყში ნორმალური ცხოვრების აღდგენა იყო. რევიზორების დასკვნას პენტაგონმა სპეციალური კომენტარი დაურთო. მასში ნათქვამია, რომ „ფული, შესაძლოა, არ დაკარგულა; უბრალოდ, საბუღალტრო დოკუმენტაცია არქივში ჩააბარეს“, ხოლო დაკარგული თანხის გზა-კვალის ძიება „არქივების შესწავლისთვის მნიშვნელოვან ძალისხმევას“ მოითხოვს.

## არც ბრიტანელები აკლებენ

**ბრიტანეთის პარლამენტის სააუდიტორო კომისიამ უარი თქვა თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის დამტკიცებაზე, მას შემდეგ, რაც, „Guardian-ის ცნობით, თავდაცვის უწყებამ ვერ აჩვენა, სად გაიგზავნა გასულ წელს 6,3 მილიარდი ფუნტის ღირებულების აღჭურვილობა და შეიარაღება.**

## სერიოზული რამ კი ჩანს



**რუმინულმა კომპანიამ „Carfil-მა** ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნის **„AG-7S“ მოდიფიცირებული ვერსიის გამოშვება დაიწყო; მოდერნიზაცია დამიზნების სისტემას შეეხო.** ყუმბარმტყორცნის მეშვეობით შესაძლებელი იქნება არა მხოლოდ სტანდარტული „ПГ-7В“-სა და „ПГ-7ВМ-ის გაშვება, არამედ — ახალი ყუმბარებისაც: 40 მმ. და 60 მმ. „OG-7“-ის და 71 მმ. „PG-7EI“-ისა (მოქმედების სიშორე 1,5 კმ.; წონა 2,2 კგ.; სიგრძე 920 მმ.).

## პოლონელ ჯარისკაცებს ვერავინ იპოვის

**პოლონურმა კომპანიამ „Miranda“ ვროცლავის სამხედრო საინჟინრო ტექნიკის ინსტიტუტთან ერთად მულტისპექტრული შემნიღბავი ქსელის „Berberys“-ს ახალი ვარიანტი შექმნა.** მისი დანიშნულება სამხედრო ტექნიკის ხილვადობის შემცირებაა ვიზუალურ, სითბურ და რადიოსალოკაციო დიაპაზონებში. აღსანიშნავია, რომ „Miranda-ს მიერ შექმნილ ეკიპირებას ავღანეთში „ISAF-ის შემადგენლობაში შემავალი პოლონური კონტინგენტის სამხედროები იყენებენ; ინდივიდუალურ ეკიპირებას „Berberys Soldier“-ს, ჩამოთვლილი ფუნქციების გარდა, ჯარისკაცის სილუეტის დეფორმირება შეუძლია.

# უიღბლო ომის

**იმ შემთხვევაში, თუ სიმართლე აგვისტოს ომის შესახებ ერთ წინადადებაში იქნებოდა ჩასატევი, ის, ალბათ, შემდეგნაირად ჩამოყალიბდებოდა: ამ ომის დაწყება, უბრალოდ, არ შეიძლებოდა, თუმცა, რახან ომი მაინც დაიწყო, არ შეიძლებოდა მისი წარმართვა ისე, როგორც ის წარიმართა. „შეცდომა თუ დანაშაული?“ — ომის პრაქტიკულად ყველა ეპიზოდის ანალიზს ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის სწორედ ამ კითხვის დასმისკენ მივყავართ, რის გამოც ხელისუფლების მოქმედებას 2008 წლის აგვისტოში საზოგადოების დიდი ნაწილი აღიქვამს როგორც „შეცდომით ჩადენილ დანაშაულს“ ან კიდევ „დანაშაულებრივ შეცდომას“.**




აგვისტოს ომის დროს ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან არ გაკეთებულა არც ერთი (!) განცხადება, რომელიც კონფლიქტის ზონაში შექმნილ ვითარებას ადეკვატურად ასახავდა. მართალია, სამხედრო წარმატებების გაზვიადების სურვილი ნებისმიერი სახელმწიფოს მმართველებს ახასიათებს, თუმცა ამ შემთხვევაში სიცრუემ მართლაც რომ კლინიკურ მასშტაბებს მიაღწია; **ქვეყნის მოსახლეობას არწმუნებდნენ, რომ ცხინვალი კონტროლდება და ოპერაციები როკის გვირაბის მიმართულებით ვითარდება, ამ დროს კი კონფლიქტის ზონაში სრული ქაოსი სუფევდა, ქართული ქვედანაყოფები უკან იხევდნენ, ხოლო პანიკით მოცული მშვიდობიანი მოსახლეობა სწრაფად ტოვებდა კონფლიქტის ზონას.**

რამდენიმე ციტატა გაერთიანებული შტაბის იმჟამინდელი ხელმძღვანელის, ბრიგადის გენერლის ზაზა გოგავას პასუხებიდან საპარლამენტო კომისიის წევრების კითხვებზე: **„ჩვენ არ ველოდით იმას, რაც 9 აგვისტოს მოხდა, რაც 7-ში დაიწყო“, „სამხედრო, საგარეო დაზვერვისა და კონტრდაზვერვის დეპარტამენტებიდან შემოსული ინფორმაციის საფუძველზე ამ დონის აგრესიაზე არც ერთი ქმედება არ მიუთითებდა“, „დასაწყისში არ იგეგმებოდა ცხინვალზე შეტევა, ეს უკვე შემდეგ განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე მოხდა“.**

ამგვარად, შეირაღებული ძალები იწყებდნენ ოპერაციების ჩატარებას იმ გარემოების გაცნობიერების გარეშე, რომ მოწინააღმდეგედ არა მხოლოდ ოსური ფორმირებები და ჩრდილოკავკასიელი მოხალისეები, არამედ რუსეთის რეგულარული არმია ეყოლებათ. პრინციპში, ამ ფაქტით შეიძლება ამოიწუროს მარცხის მიზეზების ჩამოთვლა; ის საკმარისად წონადია იმისთვის, რომ მოვლენათა შემდგომი განვითარება ახსნას. სამხედრო-პოლიტიკური ელიტის არაადეკვატურობა ამ შემთხვევაში განცვიფრებას იწვევს: **რუსეთის ჩარევის ალბათობა ძალიან მაღალი რომ იყო, ამას ცხადყოფდა როგორც მისი ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებები, ისე მოსამზადებელი ღონისძიებები** (წვრთნები ჩრდილოეთ ოსეთში, სარკინიგზო ჯარების მიერ აფხაზეთში ლიანდაგის შეკეთება და ა.შ.). **იმის დაშვება, რომ გაერთიანებულმა შტაბმა მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანა, ერთობ არალოგიკური ჩანს, თუმცა, შესაძლოა, ამ შემთხვევაში სამხედრო ელიტა პოლიტიკური ხელმძღვანელობის გავლენის ქვეშ მოექცა, რომელიც არწმუნებდა, რომ რუსეთი კონფლიქტში არ ჩაერევა.** რამ განაპირობა საქართველოს ხელისუფლების ასეთი მიდგომა: თანდაყოლილმა არაადეკვატურობამ თუ სხვა, ძნელად გასაშიფრმა მოტივებმა, რომელთაც საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან საერთო არაფერი ჰქონდა? ამომწურავ პასუხს ამ კითხვაზე ათწლეულების შემდეგ თუ მივიღებთ.

**როდესაც ვუყურებთ ვიდეოფირს, რომელზეც აღბეჭდილია „ДУБОВАЯ РОЩА”-ში მიტოვებული 42-ე ბატალიონის ჯარისკაცების დაფლეთილი ცხედრები, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, შესაძლოა, მომხდარის მთავარი წინაპირობა გახდა საქართველოს ხელისუფლების დაუოკებელი სურვილი — ცხინვალში, სასწრაფო წესით, სააკაშვილის ტრიბუნა შეეტანა და იქ მისი საზეიმო ბრიფინგი მოეწყო.**

**მეორე საინტერესო გარემოება, რომელიც გოგავას პასუხებიდან გამომდინარეობს, ისაა, რომ ცხინვალზე შეტევა თურმე განვითარებული მოვლენებით ნაკარნახევი იმპროვიზაცია იყო.** საინტერესოა, რომელი მოვლენებით? თუ მე-3 და მე-4 ბრიგადების ქვედანაყოფების (ერთის მხრივ, სარაბუკისა და თლიაყანის სიმაღლეების; მეორეს მხრივ, ხეთაგუროვოსა და ძარის გზის გაკონტროლებით) წინსვლა საერთო მიმართულებით დიდი გუფთისკენ და წინსვლა ზნაურისკენ (43-ე ბატალიონი), აგრეთვე, მოქმედებები რაჭის მხრიდან, სამხედრო თვალსაზრისით, ლოგიკური ჩანდა, **ცხინვალის დაუყოვნებლივ დაკავების დაჟინებული მოწადინება ამ ლოგიკაში არ ჯდებოდა; მეტიც არ არსებობდა არანაირი „მოვლენა“, რომელიც ამ გადაწყვეტილების მიღებასა და ოპერაციის პრიორიტეტების ჩანაცვლებას განაპირობებდა;** ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ძალებს მთავარი მიმართულებიდან ხსნიდნენ და ცხინვალისკენ უშვებდნენ (42-ე ბატალიონის ტრაგედია სწორედ ამით დაიწყო).




**როდესაც ვუყურებთ ვიდეოფირს, რომელზეც აღბეჭდილია „Дубовая роща”-ში მიტოვებული 42-ე ბატალიონის ჯარისკაცების დაფლეთილი ცხედრები არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, შესაძლოა, მომხდარის მთავარი წინაპირობა გახდა საქართველოს ხელისუფლების დაუოკებელი სურვილი — ცხინვალში, სასწრაფო წესით, სააკაშვილის ტრიბუნა შეეტანა და იქ მისი საზეიმო ბრიფინგი მოეწყო.**

**რა ხდებოდა საერთოდ ცხინვალის მიმართულებაზე, რომელიც მეორეხარისხოვანიდან პრიორიტეტული გახდა? თუ გვერდზე გადავდებთ პროპაგანდის ზღაპრებს იმის შესახებ, რომ „ქართული ძალები სრულად აკონტროლებდნენ ცხინვალს“, ვნახავთ, რომ იქ მეტწილად ქაოსი სუფევდა.**

იმ შეტევას, რომელზეც თავდაცვის მაშინდელმა მინისტრმა **დავით კეზერაშვილმა** შემდგომ თქვა: **„50 წუთში დავიკავეთ ცხინვალი“** (იმაზე, რა დავიკავეთ სინამდვილეში, — ოდნავ ქვემოთ) წინ უძღვოდა პირველი შეტევა, რომელიც წარუმატებლად განვითარდა. ჯერ გვიან ღამით, ვიწრო პლაცდარმზე, ზემო ნიქოზთან 4-ათასიან, შსს-სა და თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფებისგან შემდგარ დაჯგუფებას მოუყარეს. ამ მასის დაწყობამ რამდენიმე საათი მოითხოვა და მადლობა ღმერთს, რომ დაბომბვა, რომლის ქვეშაც ის ამ დროს მოექცა არცთუ ძლიერი და ზუსტი გამოდგა. შემდეგ, გამთენიისას „შანჰაის“ მიმართულებით დაძრულები, ნაღმტყორცნების ძლიერი ცეცხლის ქვეშ მოექცნენ, სხვადასხვა ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობა და ტექნიკა ერთმანეთში აირია, მართვა და ურთიერთკავშირი უმეტესად დაიკარგა. მიღწეული წარმატება მინიმალური გამოდგა. **დილის 8 საათისთვის სარდლობისთვის ცხადი შეიქნა, რომ ასეთ ვითარებაში წინსვლის გაგრძელება შეუძლებე-** ▶

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# უპასუხო კითხვები

◀ **ლია და ისევ ზემო ნიქოზთან დაბრუნების ბრძანება გასცა. აქ შეზღუდულმა სივრცემ თავისი როლი ითამაშა, წარმოიქმნა საცობი, რომელშიც ტექნიკის დიდი რაოდენობა და გზააბნეული ჯარისკაცები მოხვდნენ.**


მორიგი დაბომბვის შემდეგ

ამ ეპიზოდის შემდეგ სარდლობამ რატომღაც გადაწყვიტა, მთავარი მიმართულებიდან დამატებითი ძალები მოეხსნა და მეოთხე ბრიგადის ქვედანაყოფების ნაწილი ძარის გზიდან ცხინვალის დასავლეთისკენ მოეტრიალებინა. **მეორე ჯერზე მოხერხდა ცხინვალის დაახლოებით 35-40%-ის დაკავება, თუმცა სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ოსური ფორმირებების წინააღმდეგობა ქალაქის შესასვლელში, ამ შემთხვევაში, მინიმალური იყო.** კი, ბატონო, შევედით, მერე სად მივდივართ? პრობლემაც სწორედ ის არის, რომ ამ კითხვამ უცებ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა. **ქვედანაყოფების დიდი ნაწილი საბრძოლო ამოცანების გარეშე დარჩა. შეზღუდულ სივრცეში დიდი მასის თავმოყრამ ისევ მართვისა და კოორდინაციის პრობლემა შექმნა, რომელიც ყოველ წუთს სულ უფრო რთულდებოდა.** საერთოდ, იმ დღეს შექმნილ რეალობას ბრძოლის მონაწილეები მოკლე გამონათქვამით: **„შედი-გამოდი, შედი-გამოდი“** აღწერენ და გაღიზიანებას ვერ მალავენ. შესაძლოა, სარდლობაა მოეხერხებინა კიდეც ამ სიტუაციის დალაგება და დაკავებული სივრცის შენარჩუნება, თუმცა აუცილებელი პაუზის მიცემას მისთვის არავინ აპირებდა. ცხინვალის თავზე რუსული მოიერიშეები გამოჩნდნენ.

იბომბება 42-ე ბატალიონი, რომელიც გამუდმებული გადაადგილებით გამოფიტულია და „Дубовая роща"-ში ისვენებს. იღუპება 20-ზე მეტი სამხედრო, ბევრი იჭრება; **პირადი შემადგენლობა შოკურ მდგომარეობაში ვარდება და იმ ტერიტორიიდან თავის დაღწევას ცდილობს, ხოლო დაღუპულებს და ტექნიკის ნაწილს ადგილზე ტოვებს.** ეს 14.00 საათისთვის ხდება, დაახლოებით ამ დროს იწყება ჯარების სასწრაფო გამოყვანა ცხინვალის დაკავებული რაიონებიდან; **15.00-სთვის რუსეთის მოტომსროლელთა 693-ე პოლკის არტილერია და 292-ე შერეული საარტილერიო პოლკის „გრადები“ ცეცხლს უხსნის ქართულ ქვედანაყოფებს, რაც დაბნეულობას კიდევ უფრო ზრდის.** ცხინვალის ცენტრში „ივიწყებენ“ და ქვეითთა მხარდაჭერის გარეშე ტოვებენ ტანკებს, რომლებსაც მოწინააღმდეგე ანადგურებს; **სულ 15 ერთეულამდე ჯავშანტექნიკა იკარგება, ზოგიერთ შენობებში რჩებიან ქართველ მებრძოლთა ჯგუფები, რომლებსაც ასევე „ივიწყებენ“. ქართველები ცხინვალის დიდ ნაწილს ტოვებენ.**

ამ მომენტისთვის დასავლეთ საქართველოდან მოხსნილი მე-2 ბრიგადა, რეალურად უკანასკნელი რეზერვი, ცხინვალის სიახლოვეს გამოჩნდა. წერილის ფორმატი არ იძლევა ყველა მიმართულებაზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების აღწერის საშუალებას, ამიტომ მხოლოდ იმ ფაქტის კონსტატაციით შემოვიფარგლოთ, რომ დიდი გუფთისა და როკის საერთო მიმართულებით მოქმედმა ძალებმა დასახული მიზნის მიღწევა მხოლოდ ნაწილობრივ რომ შეძლეს; **რუსეთიდან მომავალი კოლონებისთვის გზის გადაღობვა ვერ მოხერხდა, მათ მოძრაობას მხოლოდ არტილერია აფერხებდა, თუმცა, საბოლოო ჯამში, მათი შეჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც რუსული დაჯგუფების საარტილერიო კომპონენტი ყოველ წუთს ძლიერდებოდა, ხოლო რუსული ავიაცია ჰაერში ბატონობდა.** საღამოსთვის დიდი ლიახვის ხეობა უკვე დაცლილი იყო, აფხაზეთიდან მოდიოდა შემაშფოთებელი ინფორმაცია რუსული და აფხაზური სამხედროების სამზადისის შესახებ, თუმცა იმპროვიზაციები ცხინვალთან მაინც გრძელდებოდა.

**9 აგვისტოს დღის მეორე ნახევარში იწყება მესამე, ბოლო შეტევა ცხინვალზე; ამ დროს ქალაქში უკვე მოწინავე რუსულმა ჯგუფებმა შეაღწიეს. 21-ე, 41-ე ბატალიონებმა და ბათუმელმა საზღვაო ქვეითებმა წინსვლა სცადეს, თუმცა ძლიერი ცეცხლის ქვეშ მოექცნენ, ვერ გადალახეს რუსულ-ოსური ძალების წინააღმდეგობა და დანაკარგებით უკან დაიხიეს. ამ ბრძოლაში დაიღუპა 41-ე ბატალიონის მეთაური მაიორი შალვა დოლიძე.**

**10 აგვისტოს და, მითუმეტეს, მომდევნო დღეებში საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა განუხრელად კარგავდა კონტროლს სიტუაციაზე, ქვედანაყოფების მზადყოფნა საბრძოლო ამოცანების წარმატებული შესრულებისთვის არასაკმარისი იყო. მალევე სრულმა ქაოსმა და უიმედობამ დაისადგურა.**


რით მთავრდება ომი...

რაოდენ მწარეც უნდა იყოს სიმართლე, მისი თქმა მაინც მოგვიწევს: **ომი, რომელსაც „ხუთდღიანს“ ეძახიან, სამხედრო თვალსაზრისით, „ორდღიანი“ გამოდგა. 10 აგვისტოს და, მითუმეტეს, მომდევნო დღეებში საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა განუხრელად კარგავდა კონტროლს სიტუაციაზე, ქვედანაყოფების მზადყოფნა საბრძოლო ამოცანების წარმატებული შესრულებისთვის არასაკმარისი იყო. მალევე სრულმა ქაოსმა და უიმედობამ დაისადგურა.** ბოლოს კი ქვედანაყოფების გადარჩენა მხოლოდ იმაზე გახდა დამოკიდებული, გააღწევდნენ ისინი დროულად კონფლიქტის ზონიდან (მე-2 ბრიგადის საშტაბო ასეულის კოლონამ სამშვიდობოს გასვლა, სამწუხაროდ, ვერ მოახერხა) თუ არა. **10-11 აგვისტოს სპორადული შეტაკებების მიმდინარეობა ადასტურებს, რომ ამ დროისთვის ქართულმა მხარემ არა მხოლოდ ინიციატივა დაკარგა, არამედ ხელიდან მართვის სადავეებიც გაუშვა.**


დევნილების რეზერვაცია

შეცდომები მოწინააღმდეგესაც ჰქონდა (თუნდაც ხრულიოვის კოლონის ეპიზოდი გავიხსენოთ), თუმცა რუსულმა სამხედრო მანქანამ „ქაოსის ელემენტის“ დამორჩილება შეძლო. **მთავარი ამოცანა — როკის გვირაბის „ნემსის ყუნწში“ დიდი ძალების გატარება — რუსულმა არმიამ წარმატებით შეასრულა, დანარჩენი უკვე დროის საკითხი იყო და ექსტრაორდინალურ ძალისხმევას აღარ მოითხოვდა.**

შემდეგ იყო პანიკა, სწრაფი უკანდახევა, ტექნიკის დატოვება, კოდორისა და ქსნის ხეობების ჩაბარება და ხელისუფლების ფაქტობრივი კაპიტულაცია...

**მართალია, შეიძლებოდა ამ წერილში დასმული კითხვების შემოფარგვლა მხოლოდ ერთი, სამხედრო-პოლიტიკურ ჭრილში მდებარე საკითხით: რამ განაპირობა პრიორიტეტის გადატანა ცხინვალის დაკავებაზე და რატომ გამოდგა მოქმედება ამ მიმართულებით წარუმატებელი, თუმცა კატასტროფის გამომწვევი მიზეზები მხოლოდ ერთი ოპერაციის არასწორი დაგეგმვითა და განხორციელებით, ცხადია, ვერ შემოიფარგლება.**

თუ უმაღლესი ოფიცერი ხედავს, რომ პოლიტიკოსების დაკვეთის სამხედრო უზრუნველყოფა შეუძლებელია და მარცხს მოასწავებს, და ამაზე დაუყონებლივ, მკაფიოდ არ მიუთითებს, თუნდაც ეს ჯარიდან დათხოვნის ფასად დაუჯდეს, ალბათ, აჯობებს, მუნდირი გაიხადოს და კარადაში ჩამოკიდოს; კონფორმიზმი და სერვილური მიდგომა ამ შემთხვევაში დანაშაულის ტოლფასია. **სამხედრო ელიტის წარმომადგენელს, წესით, უნდა ესმოდეს, რომ რუკაზე გავლებული ხაზების მიღმა ასობით ახალგაზრდის სიცოცხლე დგას. თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რაიმე დამაკმაყოფილებელი პასუხი მივიღოთ, თუ, რა თქმა უნდა, „არ გვეგონა“-ს და „არ ველოდით“-ს არ ჩავთვლით.**

ცხადია, პრობლემები საშუალო და დაბალ რგოლშიც იყო. შეიარაღებული ძალების რაოდენობის სწრაფმა ზრდამ სააკაშვილის მმართველობის წლებში ისეთი ვითარება შექმნა, რომ ოფიცრის ფორმა ისეთმა პიროვნებებმაც ჩაიცვეს, რომელთაც ჯარში არაფერი ესაქმებოდათ. ისინი არაკომპეტენტურები იყვნენ, ზოგიერთ შემთხვევაში კი ტოვებდნენ პირად შემადგენლობას, მათ შორის სრულიად მოუმზადებელ რეზერვისტებს და გაურკვეველი მიმართულებით უჩინარდებოდნენ. **პასუხისმგებლობა ამაზე, ალბათ, იმ თანამდებობის პირებს ეკისრებათ, ვინც ეს ადამიანები, სათანადო სელექციის გარეშე, სამხედრო სამსახურში მიიღო.**

**თუმცა მაშინ, როდესაც მთავარსარდალი სამარცხვინოდ გარბის და იქცევა ისე, როგორც არც ერთი მთავარსარდალი საქართველოს ისტორიაში არ მოქცეულა, გასაკვირი არაა, რომ სხვა ადამიანებში თვითგადარჩენის ინსტინქტი მძლავრობს და საკუთარი თავის სასწრაფო გადარჩენისკენ უბიძგებს.**

**აგვისტოს ომი საქართველოს უახლოეს ისტორიაში ყველაზე მძიმე და მნიშვნელოვანი გაკვეთილი იყო.** დაგროვილი გამოცდილების გააზრებამ შეიძლება სახელმწიფო, საზოგადოება და შეიარაღებული ძალები უფრო ძლიერი გახადოს, წაგებული ბრძოლიდან მიღებული გამოცდილება ხომ ხშირ შემთხვევაში გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე მოგებულიდან, თუმცა ამ გამოცდილებასთან შეჭიდებას შინაგანი სიმტკიცე და შეცდომების აღიარების უნარი სჭირდება; **სამწუხაროდ, საზოგადოების ნაწილი აჰყვა ხელისუფლების მოწადინებას — 2008 წლის მოვლენების კრიტიკული გააზრება არ დაუშვას.**

რომ არა გენერალ გია ყარყარაშვილის ძალისხმევა, რომელმაც უამრავ ინფორმაციას თავი ერთად მოუყარა და გააანალიზა (რუსეთში გამოქვეყნებული ნაშრომებიდან, ალბათ, უნდა გამოვყოთ კრებული „Танки Августа") დღეს ორი წლის წინათ განვითარებული მოვლენების რეკონსტრუქცია ინფორმაციის ნაწყვეტებსა და ვარაუდებზე დაყრდნობით მოგვიწევდა, როგორც ისტორიკოსებს, რომლებიც შუა საუკუნეების ომების ისტორიას სწავლობენ.

**აგვისტოს ომის შემდეგ ბევრი ადამიანი მნიშვნელოვან საკითხებზე დაფიქრდა: როგორი საჰაერო თავდაცვა უნდა გვქონდეს; რამდენად სასარგებლოა ქვეყნისთვის კოლონიურ ომებზე ორიენტირებული მსუბუქი ქვეითების მომზადება ამერიკელთა ხედვებიდან გამომდინარე; როგორი რეზერვი გვჭირდება და ა.შ.**

თუმცა არსებობს სხვა ტიპის კითხვებიც: მოიცვა თუ არა საზოგადოება 2008 წლამდე მილიტარისტულმა ფსიქოზმა, რომელიც ეფუძნებოდა ყალბ მითს „ყველაზე ძლიერი პოსტსაბჭოთა არმიის შესახებ“ **(ამ მითის ფართო გავრცელებით პაველ ფელგენგაუერმა ისე მოხდენილად გადაიყვანა ჭკუიდან საქართველოს ხელისუფლება, რომ მისი მაღალი ოსტატობის, ალბათ, „გრუ“-ს გენერლებსაც შეშურდათ).**

არსებობს კიდევ ერთი კითხვა, რომელთან პირისპირ დარჩენა მხოლოდ ძლიერ ადამიანებს შეუძლიათ (სუსტები ყველაფერს რუსულ პროპაგანდას მიაწერენ ხოლმე): **რა სამხედრო აუცილებლობით იყო განპირობებული 7 აგვისტოს 23:50-ზე დაწყებული ცხინვალის მასირებული დაბომბვა? ამ დაბომბვის მიუხედავად, როგორც ზემოთ ვნახეთ, 8-ში გამთენიისას მოწინააღმდეგე მზად იყო ცხინვალის შესასვლელში ქართული ქვედანაყოფებისთვის სავსებით ადეკვატური წინააღმდეგობა გაეწია, ამ დაბომბვით უმეტესწილად მშვიდობიანი მოსახლეობა დაზარალდა.** მან რუსეთს მისცა წონადი არგუმენტი კონფლიქტში ჩარევისათვის, ხოლო შემდგომ — „ტალიავინის კომისიის“ დასკვნაში ის საბრძოლო მოქმედებების აქტიური ფაზის ათვლის წერტილად იქცა. **რა მიზეზები უნდა არსებობდეს იმისთვის, რომ ცხინვალში მყოფი საკუთარი ძმები და დები ასე გაიმეტო? რა უნდა ხდებოდეს იმ ადამიანის ფსიქიკაში, რომელიც მსგავს ბრძანებას გასცემს და რამდენად სუფთა იქნება იმ ადამიანების სინდისი, რომლებიც მის შესრულებას უზრუნველყოფს ისე, რომ ბრძანების გამცემს მოსალოდნელ შედეგებზე არ მიუთითებს?**

ალბათ, მხოლოდ ამომწურავ სიმართლეს აგვისტოს ომის შესახებ შეუძლია ქვეყანას მარცხისა და მისგან გამომდინარე სირცხვილის ლაქები ჩამორეცხოს. **ერმა უნდა იცოდეს, როგორ და რის გამო დაიღუპნენ ჩვენი ჯარისკაცები და ოფიცრები 2008 წლის აგვისტოში;** მათი თავდადების უკვდავყოფას, მეტწილად, სიცრუის მორევში ჩაძირული ქართული საზოგადოება, ალბათ, ვერ მოახერხებს, ამ მისიის შესრულებას სხვა წინაპირობები სჭირდება.

**გიორგი გიგიბერია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# «როცა სამშობლოსთვის კვდები, ბევრს ნიშნავს, მაგრამ, როცა ხედავ, რომ არაფრისთვის კვდები, ასეთი სიკვდილი უაზრობაა»

**ორი წლის წინათ, 2008 წლის 7 აგვისტოს, ყველა ქართველი შეშინებული, გაოგნებული და დათრგუნული იმეორებდა ერთ ფრაზას „ომი დაიწყო“. დღეს უკვე აღარავინ დავობს იმაზე, რომ ეს ომი დიდი ხნის წინათ იყო დაგეგმილი. მახსენდება ათასობით დაბნეული და შეშინებული ადამიანი, აცრემლებული ბავშვები, დედები, მეუღლეები და ახლობლები. არავინ დარჩენილა ისეთი, ვისი ახლობელიც არ იბრძოდა იმ ომში. ყველა თვალცრემლიანი იყო.**

## «თანამედროვე ისტორიაში აგვისტოს ომი ყველაზე დიდი შეცდომა იყო»

**ჩვენთვის მოულოდნელად ომში ჩართულნი აღმოვჩნდით, რომელიც თავიდანვე წაგებისთვის და ტკივილისთვის იყო განწირული. ვითომ საქართველოს გასამთლიანებლად დაწყებული ომის შედეგად დავკარგეთ ისედაც დანგრეული სამხედრო ინფრასტრუქტურა, მძიმე და მსუბუქი ჯავშანტექნიკა, „ქართული ფლოტის“ თითქმის ნახევარი, ზემო აფხაზეთი, ახალგორის რაიონი და ყველაზე მნიშვნელოვანი და სამწუხარო – რამდენიმე ასეული ქართველის სიცოცხლე. გაუბედურდა, უსახლკაროდ დარჩა ათასობით ადმიანი და კიდევ ერთხელ საკუთარი სახლებიდან, სოფლებიდან იქნენ გამოძევებულნი. რისთვის? ამ შეკითხვაზე პასუხი დღემდე არ გაუციათ აგისტოს ომის დამწყებთ.**

**როგორ აფასებენ დღევანდელი გადასახედიდან და რას ფიქრობენ აგვისტოს ომის შესახებ, ამაზე ომის მონაწილე რაზერვისტებს გავესაუბრეთ, იმ ბიჭებს, რომლებიც აბსოლუტურად მოუმზადებლად გაიწვიეს ომში, შემდეგ კი ბედის ანაბარად მიაგდეს და სიკვდილის პირისპირ შიშველი ხელებით დატოვეს...**

**რეზერვისტის დღიურიდან:** „გამოვრბივართ... გორი იბომბება. არ ვიცით, რა ვქნათ. ხელში მხოლოდ ავტომატები გვაქვს. სადღაც ისვრიან. თვითმფრინავი ჩამოაგდეს. დაბომბვა გრძელდება. ბაზა აღარ არსებობს. გადავრბივართ ქუჩაზე. ხეების ქვეშ ვიმალებით. ზოგი სადარბაზოებში შერბის. მეთაურები არ ჩანან. დაბომბვა წყდება. ქუჩაში გამორბიან ბავშვებით, ჩანთებით.

დამწვარი და დაცარიელებული სახლები... ყველაფერი ისეა, როგორც ისტორიის სახელმძღვანელოს ილუსტრაციებში. **ყველგან ხალხი გარბის. ნაწილი დემორალიზებულია. ბრძანებაა, „რეზერვისტები უკან გაუშვითო“. ზოგი თავისით გარბის. მისი უდიდებულესობა „კალაშნიკოვები“ ქუჩებში ყრია. გორის ქუჩებში ხალხი გარბის. ქალაქიდან იბარგებიან. „გაუშვით ოჯახი ქალაქიდან? — ხო, გავუშვი“. ყველა სასოწარკვეთილია. ომი მძვინვარებს.** ვზივართ რომელიღაც ეზოში. გავყურებთ ქუჩას. ჩვენი მეთაური გამოჩნდა და გვითხრა, „დაბომბვისას პადიეზდებში დაიმალეთო“. ხალხს ამოვეფაროთ? პოზიციებზე გაგვიყვანონ. რაციებიც არ აქვთ, არ ვიცი, როგორ ახორციელებენ კავშირს. **მესამედ მიჭირავს ავტომატი ხელში, რომელი ჩე გევარა მე ვარ, რომ ჩემით მივიღო გადაწყვეტილება და პარტიზანულად ვიბრძოლო. ვინმე მჭირდება, ვინც იმას მაინც მეტყვის, საით ვისროლო, მაგრამ ამ ბომბდამშენებს რას დავაკლებ ასეთი ავტომატით.**

ცოტა ხანში დავიძარით. მზე ჩადის, არ ვიცით, სად მივდივართ. **ცხინვალის გადასახვევთან ვჩერდებით. გვეუბნებიან, რომ ვისაც გვინდა, შეგვიძლია დავბრუნდეთ. არ ვიცი, რას ნიშნავს ჯარში ბრძანება: „როგორც გინდათ“.**

ვფიქრობ, რა ვქნა. **როცა გრჩება ბრძოლა მიზნისთვის, რომელსაც თუნდაც**



**როდესაც ოსურ სოფელში შევედით და პოზიციები გავამაგრეთ, ოსების შემოტევის შემდეგ, ჩვენი ერთადერთი რეგულარულის ოფიცერი პანიკაში ჩავარდა და უკანდახევის ბრძანება გასცა. ჩვენ 150 ვიყავით, ოსები კი, მაქსიმუმ, 50-60. მერე ჩემი ყურით გავიგონე, სარდლობასთან დარეკა და ჰკითხა, ამ ხალხს რა ვუყოო. მათ კი, „მაგათთვის გვცხელა ახლა, სადაც გინდათ, იქ წაიყვანეთო“.**

**მარტო შენ ხედავ, მზად ხარ, ყველაფერი გაიღო, მაგრამ, როცა ამას განწირულობის, უიმედობისა და უუნარობის განცდა ემატება, არჩევანი უნდა გააკეთო: ან უნდა მოკვდე არარსებული მიზნისთვის, ან უკან უნდა დაბრუნდე.**

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მეორე ვარიანტი ავირჩიე. პირველად მივიღე გადაწყვეტილება გონებით. ჩავაბარე ავტომატი და თბილისში ავტოსტოპით დავბრუნდი. მთელი გზა მეთანაღრებოდა გული, რომ იქ რაღაც ნაწილი ბიჭებისა მაინც დარჩნენ და მე ისინი დავტოვე. ამდენი ბიჭი დაიღუპა და მე ასე უვნებლად ვბრუნდებოდი თბილისში“.

**გრიგოლ შუშანია, აგვისტოს ომის მონაწილე, რეზერვისტი:**

— ჩემთვის ეს თემა მტკივნეულია. ყველანაირად წაგებული ერი ვართ. შედეგებიც სახეზეა — რა დღეში ვართ. ცრუ ინფორმაციებმაც თავის წვლილი შეიტანა ამ ომის წაგებაში. საინფორმაციო ომს ვგულისხმობ, როგორც რუსების მხრიდან, ისე ჩვენების მხრიდანაც. ძირითადად, ჭორები და დეზინფორმაციები ვრცელდებოდა.

**იმ დროს ჩვენი ომში გაწვევა ძალიან დიდი შეცდომა იყო ჩვენი მომზადების დონიდან გამომდინარე.**

ჩვენი მოვალეობა იყო გაწმენდილი ტერიტორიის დაცვა, მაგრამ პირიქით მოხდა და ომის ეპიცენტრში მოვხვდით. რვაში უკვე ვაზიანიდან გორში გადაგვიყვანეს და დაიწყო ქალაქის ინტენსიური დაბომბვაც. ფსიქოლოგიურად, რა თქმა უნდა, ძნელი იყო, დიდი სტრესი. **სულ სხვა რაღაც ყოფილა ომი... თავიდან მეგონა, მარტო ის იქნებოდა საფიქრალი, არ მოვმკვდარიყავი და სხვა მომეკლა, მაგრამ, იქ საკუთარ თავზე არავინ ფიქრობდა.** ყველაზე მძიმე ის მომენტი იყო, როცა მეგობრის დაღუპვა გავიგე. მარნეულის აეროდრომის დაბომბვისას დაიღუპა გიორგი ნანუაშვილი, რომელმაც დიდი კვალი და სიყვარული დატოვა მთელს სამეგობროში. მასთან ერთად სამი რეზერვისტი დაიღუპა. სხვა დანარჩენი კი, რაც ხდებოდა იმ დროს, როგორღაც გადავიტანეთ. თავის ხელში აყვანა მოვახერხე, პანიკაში არ ჩავვარდნილვარ, რადგანაც აზრი არ ჰქონდა ასეთ დროს პანიკას.

**ვალერი ნაცვლიშვილი, აგვისტოს ომის მონაწილე, რეზერვისტი:**

— ეს იყო ყოვლად დაუგეგმავი და წინასწარ წაგებული ომი, არავინ იცოდა, რა გაეკეთებინა. არანაირი წინასწარი გათვლა არ ჰქონდათ. რეზერვისტებს დაკავებული ტერიტორიების დაცვა გვევალებოდა, მაგრამ პირველი დღიდანვე ომის ეპიცენტრში აღმოვჩნდით. იქაც დავალების მომცემი არავინ გვყავდა.





ფაქტობრივად, ბედის ანაბარა ვიყავით. **ზოგიერთი მეტნაკლებად მომზადებული იყო, მაგრამ უმრავლესობამ ტყვიის ჩადებაც კი არ იცოდა ავტომატში. ერთკვირიანი მომზადებით ომში ვერაფერს გახდები. ასეთი ბიჭები საერთოდ არ უნდა გაეწვიათ ომში.** ჩვენ ირგვლივ ყველაფერი იბომბებოდა. ფაქტობრივად, შიშველი ხელებით ვიბრძოდით სიკვდილის წინააღმდეგ. ყოველ წუთს შეიძლებოდა თითოეული ჩვენგანი დაღუპულიყო და ბევრი დაიღუპა კიდეც. ძალიან მძიმე და რთული გადასატანი იყო ეს ყოველივე. მიმაჩნია, რომ **თანამედროვე ისტორიაში ჩვენი ყველაზე დიდი შეცდომა აგვისტოს ომი იყო.**

ყველა ჯარისკაცმა შინაგანად იცის, რომ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ომში მოუწიოს წასვლა და ამ აზრს ქვეცნობიერად შეგუებულია, მაგრამ იმ ომში, სადაც უამრავი უდანაშაულო და ძალიან ახალგაზრდა ბიჭები ტყუილუბრალოდ დაიღუპა, იმ ომში, სადაც ერთმა ადამიანმაც არ იცის თავის მოვალეობა — უაზრობაა ბრძოლა.

**გიორგი ბუცხრიკიძე, აგვისტოს ომის მონაწილე, რეზერვისტი:**

— ჩვენი ომში გაწვევა იგივე იყო, რაც სიკვდილისთვის დაუნანებლად გაწირვა. როცა გამოუცდელ რეზერვისტებს ომში იწვევ, ვიღაცას ხომ უნდა ჩააბარო ისინი? პროფესიონალები ხომ არ არიან, რომ თვითნებურად მიიღონ გადაწყვეტილებები. **სწორედ რომ უპატრონოდ და საკუთარი გადაწყვეტილებების ამარა აღმოვჩნდით.** ისინი, ვინც ჩვენი მეთაურები იყვნენ, თვითონ იყვნენ ძალიან დაბნეულები და ჩვენთვის რა მითითება უნდა მოეცათ? ბიჭები დაბომბეს, რამდენიმე დაიღუპა კიდეც, იმიტომ, რომ პატრონი არ ჰყავდათ. მახსოვს, **როდესაც ოსურ სოფელში შევედით და პოზიციები გავამაგრეთ, ოსების შემოტევის შემდეგ, ჩვენი ერთადერთი რეგულარულის ოფიცერი პანიკაში ჩავარდა და უკანდახევის ბრძანება გასცა.** ჩვენ 150 ვიყავით, ოსები კი, მაქსიმუმ, 50-60. მერე ჩემი ყურით გავიგონე, **სარდლობასთან დარეკა და ჰკითხა, ამ ხალხს რა ვუყოო. მათ კი, „მაგათთვის გვცხელა ახლა, სადაც გინდათ, იქ წაიყვანეთო“.** ჩვენ კი გვითხრეს, იარაღი, ტყვია-წამალი დატოვეთ და თავისუფლები ხართო. შუაღამისას 30 კაცი ფეხით წამოვედით გორიდან. შეიძლება ეს ჯარისკაცისთვის შეუფერებელი საქციელი იყოს, მაგრამ იმ ომში დარჩენას აზრი არ ჰქონდა. როცა სამშობლოსთვის კვდები, ეს ბევრს ნიშნავს, მაგრამ, როცა ხედავ, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება არაფრისთვის მოკვდე, მოკვდე ისე, რომ ამ შენი სიკვდილით შენს ქვეყანას არაფერი შეემატოს, ასეთი სიკვდილი უაზრობაა.

**თეო ტაბატაძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ფიდელ კასტრო: «მე ვერავინ მომკლავს!»



ჩილეში კასტროს ვიზიტისას 2 ტონა ასაფეთქებლით სავსე საბარგო ავტომანქანა დააყენეს, მაგრამ... საათის მექანიზმი დაიჟანგა, ხოლო ბომბი არ აფეთქდა

**„ჩემი მოკვლა არავის შეუძლია!“ — არაერთხელ განუცხადებია მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დაცულ პოლიტიკოსს ფიდელ კასტროს. მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ იგი კუბას მართავდა, აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) მიერ გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, კასტროს 600-ჯერ დაესხნენ თავს ან ამის მცდელობა ჰქონდათ. ცსს-მ 1986 წლამდე კუბის ლიდერის ფიზიკური განადგურების ოპერაციების მომზადებასა და განხორციელებაზე 120 მლნ დოლარზე მეტი დახარჯა, რის შემდეგაც ყველა აქციაზე უარი თქვა და მათი დაფინანსებაც შეწყვიტა.**



ვრცელდებოდა ხმები იმის შესახებ, რომ კუბის მმართველი სპეციალური თილისმით დაიარებოდა, რომელიც მას ყველა უბედურებისგან იცავდა და რომ, ბავშვობაში უძველესი რიტუალის დახმარებით ტყვიებისგან დასაცავად შეულოცეს. ასეა თუ ისე, **მტრებისა და სპეცსამსახურების მცდელობების მიუხედავად, იგი მუდამ საღსალამათი რჩებოდა.**

თავისუფლების კუნძულის მმართველი 1926 წლის 13 აგვისტოს დაიბადა, დაამთავრა ჰავანის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1947 წელს მონაწილეობდა კუნძულ ჰაიტიზე ტრუჰილიოს დიქტატურის დამხობის წარუმატებელ მცდელობაში. ყველა შეთქმული დააპატიმრეს, მხოლოდ კასტრომ შეძლო სრუტის გადალახვა და ჰავანაში დაბრუნება.

5 წლის შემდეგ, როცა კუბის ხელისუფლების სათავეში ბატისტა მოვიდა, კასტრო იატაქქვეშეთს შეეფარა და სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია შექმნა, რომელმაც საბრძოლო მომზადება მექსიკაში გაიარა. 1956 წლის 2 დეკემბერს არსებული რეჟიმის დასამხობად ისინი კუბის სანაპიროზე გადმოსხდნენ. რაზმის რიცხოვნობა დღითიდღე იზრდებოდა და პარტიზანთა განადგურება რეგულარულმა სამხედრო ნაწილებმაც ვერ შეძლეს. **ყველა დასახლებულ პუნქტში პოლიციამ მეამბოხეთა მოუხელთებელი მეთაურის პორტრეტები გამოჰკიდა და მის დამჭერს უზარმაზარ ფულად ჯილდოს დაჰპირდა. ამა თუ იმ ქალაქში დროდადრო გამოჩენილი კასტრო კი ზოგჯერ ამ ციფრს გვერდით ნულს მიუხატავდა, ხოლო თავის შეშფოთებულ მცველებს არხეინად მიუგებდა: „მე ვერავინ მომკლავს!“**

ერნესტო ჩე გევარას თქმით, პარტიზანულ რაზმში ბატისტას სპეციალურ აგენტებს აგზავნიდნენ, მაგრამ პირადი დაცვა და კონტრდაზვერვა მათ კომანდანტეს მოკვლის საშუალებას არ აძლევდა. 1959 წლის იანვარში, ორწლიანი პარტიზანული ომისა და რევოლუციური მღელვარების დაწყების შემდეგ, ლეგენდარული წვეროსნები („ბარბუდოსები“) ჰავანაში შევიდნენ. დიქტატორი ბატისტა კუნძულიდან გაიქცა და ადგილი მეამბოხეთა არმიის ხელმძღვანელს, 32 წლის ფიდელ კასტრო რუს დაუთმო.

აშშ-მა თავდაპირველად ცნო კუბის ახალი მთავრობა, რადგან მასში ვერავითარი საფრთხე ვერ დაინახა. მოკლე ხანში კი თავისუფლების კუნძულზე ამერიკული კომპანიების ქონების ნაციონალიზაცია დაიწყო: დაიხურა კაზინოები, საროსკიპოები და სხვა გასართობი დაწესებულებანი. **ძალიან მალე ბორდელების კუნძული თვითმფრინავებითა და რაკეტებით სავსე ჩაუძირავ ავიამზიდად გადაიქცა ზედ აშშ-ის ცხვირწინ. სწორედ მაშინ მოიქექეს თავი ამერიკელებმა და ფიდელის თავიდან მოსაშორებლად სასწრაფო ზომების მიღება დაიწყეს.**

ცსს-ში შემუშავდა გეგმა, რომლის მიხედვითაც კასტრო მის საყვარელს, გერმანელ მარიტა ლორენცს უნდა მოეკლა. ლორენცი ფეშენებელური საკრუიზე ლაინერ „ბერლინის“ კაპიტნის ქალიშვილი იყო. ჯერ კიდევ 1959 წლის თებერვალში ამ ხომალდმა ჰავანის სრუტეში ღუზა ჩაუშვა და ბორტზე წვერებიანი გვარდიელები ავიდნენ, რომელთა შორის ყველაზე წარმოსადეგი დოქტორი ფიდელ კასტრო იყო. ასე გაიცნო მარიტამ კუნძულის მმართველი. გუშინდელი სტუდენტი ოტელ „თავისუფალ ჰავანაში“ დააბინავეს, სადაც შეყვარებულები ერთმანეთს ხვდებოდნენ. ლორენცი სიამოვნებით ატარებდა ლეიტენანტის ფორმას — ეს წოდება მას კასტრომ მიანიჭა. ქალი მუდამ თან ახლდა კომანდანტეს მიღებებსა და მოლაპარაკებებზე. კუბელები მას კუნძულის პირველ ლედიდ მიიჩნევდნენ, თუმცა კასტროს სხვა სატრფოებიც მრავლად ჰყავდა და ეს მთელმა ქვეყანამ იცოდა.



ფიდელ კასტრო და მისი თაყვანისმცემლები

მალე მარიტა ავად გახდა. შემთხვევით ანდა ვისამე ავი განზრახვით, მან წამლის ნაცვლად ძლიერი ჰალუცინოგენი მიიღო. 1959 წლის ნოემბერში მას ვაჟი შეეძინა, მშობიარობის დროს კი უგონოდ იყო და სისხლის მოწამვლა დაეწყო. კასტრომ იგი სამკურნალოდ ნიუ იორკის საუკეთესო კლინიკაში გაგზავნა. სწორედ იქ დაიწყეს აშშ-ის სპცსამსახურებმა ქალის დამუშავება. მზვერავმა ფრენკ სტერჯისმა მარიტას თითქოსდა მკვდარი ახალშობილის ფოტო უჩვენა, უთხრა, რომ ფიდელმა იგი მიატოვა და ამასთან, პლანეტის ყველაზე დიდი დიქტატორის თავიდან მოსაშორებლად მათთან თანამშრომლობა შესთავაზა. ქალმა კატეგორიული უარით უპასუხა. მაშინ სტერჯისმა ზეწოლა მოახდინა დედამისზე და მანაც კუბის ბელადის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა და 11 მლნ დოლარის გადახდა მოსთხოვა. ერთ-ერთ ამერიკულ ჟურნალში დაიბეჭდა სტატია სათაურით: „როგორ გააუპატიურა ფიდელ კასტრომ ჩემი არასრულწლოვანი ქალიშვილი“. ამ წერილმა გავლენა იქონია მარიტაზეც, რომელსაც ომის შემდგომი გერმანია გაახსენდა, სადაც 7 წლისა გერმანელმა ჯარისკაცმა გააუპატიურა. ამას შვილის დაკარგვით გამოწვეული მწუხარებაც დაერთო და მოტყუებულ ქალს მამაკაცების მიმართ სიძულვილის კომპლექსი ჩამოუყალიბდა და კასტროს ყოფილი საყვარელი ამერიკელებს თანამშრომლობაზე დათანხმდა.

მარიტამ კასტროსთან მალულად დარეკვა მოახერხა და შეიტყო, რომ მისი ვაჟი ცოცხალი იყო, რის შემდეგაც ქალის მთავარ მიზანს კუნძულზე დაბრუნება და შვილის ნახვა წარმოადგენდა. 1959 წლის 4 დეკემბერს იგი ბოტულიზმის ტოქსინიანი ორი კაფსულით აღჭურვეს და კუბაში გაამგზავრეს. **როგორც კი მარიტამ ოტელის ნომრის კარი შეაღო და კასტროს ტანსაცმელი დაინახა, საწამლავიანი ამპულები უნიტაზში ჩაყარა — მას ჯერ კიდევ უყვარდა თავისი მამაკაცი. მალე ისიც მოვიდა, საწოლზე წამოწვა და პირდაპირ ჰკითხა: „ჩემს მოსაკლავად მოხვედი?“ მარიტამ თავი დაუქნია. მაშინ კასტრომ პისტოლეტი გაუწოდა. გარინდულმა ჯაშუშმა იარაღი გამოართვა, ჩახმახზე შეაყენა და უკან დაუბრუნა. მაშინ კუბის მმართველმა მტკიცედ წარმოთქვა: „მე ვერავინ მომკლავს!“**

მარიტასთან წარუმატებელი თანამშრომლობის შემდეგ აშშ-ის სპეცსამსახურებმა ოპერაცია „მანგუსტის“ გეგმა შეიმუშავეს, რომელიც კასტროს განადგურების 30-მდე სხვადასხვა ხერხს შეიცავდა. მაგალითად, მოწამლული სიგარების, კალიუმის ციანიდის, ცეცხლსასროლი იარაღის, მომენტალური მოქმედების საწამლავის შემცველი შპრიცი-ავტოკალმისა და ტროტილის მეშვეობით. ამავე დროს, სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელები თავისუფლების კუნძულის მეთაურის მოკვლას ჩიკაგოს მაფიის ხელითაც შეეცადნენ, მაგრამ ეს მცდელობაც მარცხით დასრულდა. ვერაფერი დააკლეს კომანდანტეს მაფიის სნაიპერებმაც.

1962 წლის აგვისტოში მოკლეს ჰოლივუდის ვარსკვლავი მერილინ მონრო. 1995 წელს კი მონროს ყოფილმა ქმარმა სლატზერმა საჯაროდ წამოაყენა ვერსია, რომლის მიხედვითაც მისი მეუღლე სწორედ იმიტომ მოკლეს, რომ თავისი საყვარლის, აშშ-ის პრეზიდენტის — ჯონ კენედისგან კასტროზე თავდასხმის გეგმების შესახებ იცოდა.

მიუხედავად ზედიზედ განცდილი მარცხისა, ამერიკის სპეცსამსახურები კუბის ბელადის ლიკვიდაციის გზების ძიებას განაგრძობდნენ. 1963 წლის ნოემბერში კუბელ მაღალჩინოსან როლანდო კუბელუს ამერიკელებმა საწამლავის შემცველი შპრიცი-ავტოკალამი და ფული გადასცეს. კუბელუმ ორივე გამოართვა, მაგრამ დავალება არ შეასრულა.

იმავე წელს ცსს-მ, რომელმაც ჩინებულად იცოდა, რომ კომანდანტეს წყალქვეშ ცურვა უყვარდა, ნიუიორკელ ადვოკატ დონოვანს, რომელიც მოლაპარაკებებზე მიემგზავრებოდა, ტუბერკულოზის ჩხირით დასნებოვნებული აკვალანგი და ჰიდროსკოპი გადასცეს. ადვოკატმა, რომელმაც არაფერი უწყოდა ცსს-ს განზრახვის შესახებ, ეს აღჭურვილობა სახელმწიფოს მეთაურისთვის ერთობ იაფფასიანად ჩათვალა და სხვა, უფრო ძვირად ღირებული შეიძინა.

1971 წელს, პრესკონფერენციის მიმდინარეობისას, ტელეკამერაში დამალული პისტოლეტის მეშვეობით სპეცრაზმელს კუბის მეთაური უნდა მოეკლა, მაგრამ თავდასხმამდე ორი საათით ადრე მწვავე აპენდიციტის შეტევა დაეწყო.

**ერთი წლის შემდეგ, ჩილეში კასტროს ვიზიტისას, იმ გზაზე, სადაც მის კორტეჟს უნდა ჩაევლო, 2 ტ ასაფეთქებელი ნივთიერებებით სავსე საბარგო ავტომანქანა დააყენეს, მაგრამ... საათის მექანიზმი დაიჟანგა, ხოლო ბომბი არ აფეთქდა.**

1978 წელს 2 მლნ დოლარად დაქირავებული კამიკაძე ტროტილიანი მსუბუქი თვითმფინავით — „სესნა“ კასტროს კაბინეტის ფანჯარას უნდა შეჯახებოდა. კამიკაძემ ფული აიღო და ისე მიიმალა, რომ მის კვალსაც ვერ მიაგნეს...



ფიდელ კასტრო და იური გაგარინი



ჩე გევარა და ფიდელ კასტრო

მოამზადა
**ნანა ჩარკვიანმა**

4 — 10 აგვისტო, 2010 წელი. №29 (72)
www.geworld.net
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ხალხის ბედნიერებისთვის მებრძოლი ფერდინანდ მარკოსი

**ფერდინანდ ედრალინ მარკოსი 1917 წლის 11 სექტემბერს დაიბადა ფილიპინების რესპუბლიკის ჩრდილოეთ ოლოკოსის პროვინციის სოფელ სარატში. მამამისი — დონ მარიანო მარკოსი მასწავლებელი, ადვოკატი და „პულიტიკო“ იყო პროვინციის მთავარ ქალაქ ლაოაგეში, შემდეგ კი მინდანაოს კუნძულზე მდებარე დავაოს პროვინციის გუბერნატორი გახდა; დედა — დონა ხოსეფა ედრალინი მდიდარი მემამულის ქალიშვილი იყო. მშობლების მიბაძვით, ფერდინანდი კათოლიკური ეკლესიის მტკიცე მრევლი გახლდათ, არასოდეს ეწეოდა, ალკოჰოლს ახლოს არ ეკარებოდა და პატივს სცემდა ფილიპინურ წეს-ჩვეულებებს.**


ფერდინანდ მარკოსი


კორასონ აკინოს კამპანია მარკოსის წინააღმდეგ


მარკოსები რეიგანთან ერთად

1939 წელს ფერდინანდ მარკოსმა ფილიპინების სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. ეს უნივერსიტეტი 20-იანი წლებიდან მემარცხენე შეხედულებების კერად მიიჩნეოდა. ერთ-ერთი ლიდერი მარკოსიც იყო, რომელიც სტუდენტურ დემონსტრაციებს მალაკანიანგუს საპრეზიდენტო სასახლისკენ მიუძღვებოდა, სადაც მეოთხედი საუკუნის შემდეგ დასახლდა კიდეც.

1946-1948 წლებში, ფილიპინების დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, მარკოსი პრეზიდენტ მანუელ როხასის ტექნიკური თანაშემწე იყო და სწორედ მაშინ ეზიარა დიდი პოლიტიკის საიდუმლოებებს. 27 წლის თადარიგის მაიორი მარკოსი უკვე ჩრდილოეთ ლუსონის სამოქალაქო ადმინისტრაციას ხელმძღვანელობდა. 1949 წელს ხმათა 70 პროცენტით იგი ფილიპინების კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში აირჩიეს, 1959 წელს კი — სენატში.

**1965 წლის ნოემბერში მარკოსმა თავის პარტიას თვალის დახამხამებაში უღალატა, ნაციონალისტური პარტიის კანდიდატი გახდა, საპრეზიდენტო არჩევნებში მეტოქე დ. მაკაპაგალი დაამარცხა და კონგრესისადმი პირველ მიმართვაში განაცხადა: „არავისი დახმარების იმედი არ უნდა გვქონდეს. მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დავეყრდნოთ, რათა ჩვენივე შრომით ავაღორძინოთ ეკონომიკა, გავუუმჯობესოთ ხალხს საცხოვრებელი პირობები და ქვეყნის შიგნით ნაციონალური კონსოლიდაციის პოლიტიკა გავატაროთ.“**

1969 წელს იგი მეორე ვადით აირჩიეს და მან განაცხადა, რომ უფრო რთული და სერიოზული პრობლემების გადაჭრას აპირებდა: **სიღარიბისა და სოციალური უთანასწორობის ლიკვიდაციასა და უძრაობის დაძლევას სოფლის მეურნეობაში.** ამავე დროს, პოლიტიკურ პარტიებთან და კონგრესთან ურთიერთობები გაუმწვავდა. მანილაში ძალადობისა და ორგანიზებული დანაშაულის ტალღა აზვირთდა, რის გამოც 1972 წლის 21 სექტემბერს მთელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე პრეზიდენტმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

1973 წლისთვის მარკოსმა საერთო ეკონომიკური უძრაობის დასაძლევად და გარდასაქმნელად ფართო პოლიტიკური და ადმინისტრაციული ბაზა შექმნა. ამავე დროს, „ახალი — თანაბარუფლებიანი საზოგადოების“ შექმნისა და დაბალშემოსავლიანი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად „ახალი სოციალური ორიენტაციის“ პროგრამის შესახებ გამოაცხადა, რაც მიწის რეფორმით, დასაქმების ზრდითა და ხელფასის მომატებით უნდა განხორციელებულიყო.

ფილიპინების პრეზიდენტი კარგად გაუმკლავდა შეიარაღებულ „კერძო არმიებსა“ და „პოლიტიკურ სარდლებს“ — ე. წ. პულიტიკოს, რომლებიც საზოგადოებაში ძალაუფლებით ვაჭრობდნენ, თუმცა მინდანაოსა და სულუს კუნძულებზე „შეიარაღებული კომუნისტური ამბოხის“ ჩახშობა და სეპარატისტული მოძრაობის ლოკალიზება მაინცდამაინც ვერ მოახერხა.


ფერდინანდი და იმელდა მარკოსები


კორასონ აკინო — ახალი პრეზიდენტი

**ხალხის „პოლიტიკური სიმწიფის“ მისაღწევად 1973 წელს მარკოსმა შემოიღო კონსტიტუცია (1898 წლიდან მოყოლებული ეს მესამე კონსტიტუციაა), აწყობდა უმაქნის რეფერენდუმებს, რომლებსაც სამხედროები მეთვალყურეობდნენ; ციხეში გაამწესა უამრავი ოპოზიციური მოღვაწე, ცნობილი ჟურნალისტი, მეცნიერი, მრეწველი და მათი ქონების ექსპროპრიაციაც მოახდინა; დანარჩენებმა, უბრალოდ, გაასწრეს...**

„ხალხის ბედნიერებისთვის“ მებრძოლი მარკოსი და მისი ოჯახის წევრები არც საკუთარ თავს ივიწყებდნენ. მათი „პირადი ეკონომიკა“ მრავალი აყვავებული სამრეწველო და მომსახურების სფეროს დაწესებულებისგან შედგებოდა, რომლებიც მათ ნათესავ-მეგობრებზე იყო გაფორმებული. ამერიკულმა ჟურნალმა „სან-ხოსე მერკური ნიუსმა“ 1985 წელს გამოქვეყნებული სტატიების სერიაში მარკოსების უზომოდ გამდიდრების მექანიზმი გამოააშკარავა, განსაკუთრებით იმ სფეროებში, რომლებიც აშშ-ს უკავშირდებოდა. თუმცა **გამოცემამ მაინც ვერ შეძლო დიქტატორის სიმდიდრის ყველა წყაროს დაზუსტება, რის გამოც მარკოსების ქონება დღემდე 5-10 მლრდ დოლარადაა შეფასებული.**

პრეზიდენტის „პირადი ეკონომიკის“ მორალურ-ეთიკური მხარის მიუხედავად, როგორც ჩანს, სამართლის თვალსაზრისით, მისი იდენტიფიცირება ხაზინის ქურდობასთან ან „ძარცვასთან“ ვერ მოხერხდა, რადგან **შვეიცარიელმა ბანკირებმა, აკინოს მთავრობის მოთხოვნის მიუხედავად, მარკოსების საიდუმლო ანგარიშები არ გაამჟღავნეს. თუმცა სპეციალურმა საპრეზიდენტო კომისიამ 1987 წლის აგვისტოში 35 საქმე აღძრა ყოფილი პრეზიდენტის, მისი მეუღლისა და მათი გარემოცვის 300 წევრზე, სახელმწიფოსთვის მიყენებული ფინანსური ზარალისთვის, რომელიც თურმე 90 მლრდ დოლარს შეადგენს.**

განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს ე. წ. მარკოსის ოქრო — 1000 ტონამდე ძვირფასი ლითონი, რომლის ადგილსამყოფელი მხოლოდ მან იცოდა. ამბობდნენ, რომ ეს მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონიის შეიარაღებული ძალების მიერ აზიის ქვეყნებში ნაძარცვი განძი იყო.

1977 წლიდან დიქტატორი სულ უფრო აშკარად იყენებდა ძალაუფლებას. მისი ვაჟი — ფერდინანდ-უმცროსი 20 წლისა ჩაუდგა სათავეში ილოკოსის ერთ-ერთ პროვინციას და თან აშშ-ის უნივერსიტეტში სწავლობდა; პრეზიდენტის ქალიშვილი — იმელდა-უმცროსი „ახალგაზრდების საბჭოს“ ხელმძღვანელობდა, ხოლო მეორე შვილი — ირენი მანილის სიმფონიურ ორკესტრს დირიჟორობდა; იმელდას ძმა ბენჯამინ რომულდესი ფილიპინების ელჩი იყო ჯერ კორეის სახალხო რესპუბლიკაში, შემდეგ კი — აშშ-ში.

საერთოდ, ფილიპინელები „კლანურობას“ არ კიცხავენ, მაგრამ, ეტყობა, მარკოსმა დაშვებულ ზღვარს გადააბიჯა. მაგალითად, **თავის მეგობარს — ფაბიან ვერს თანმიმდევრულად ნიშნავდა სხვადასხვა პოსტზე: პრეზიდენტის პირადი მძღოლიდან დაწყებული, ფილიპინების არმიის გენერალური შტაბის მეთაურით დასრულებული.**

მარკოსისა და მისი ოჯახის წევრების სახელები ენიჭებოდა ქუჩებს, სახლებს, კოლეჯებს, სასახლეებს, ხელოვნების ფესტივალებს. მარტო ფერდინანდისთვის ფუნქციონირებდა უმაღლესი სტანდარტების მიხედვით აღჭურვილი სპეციალური პოლიკლინიკა და ეს ხდებოდა ქვეყანაში, სადაც 8000 სულ მოსახლეზე ერთი ექიმი მოდიოდა. მხოლოდ პირველი ლედის — იმელდა მარკოსისთვის მუშაობდა უზარმაზარი ატელიე, რათა მისი მზარდი მოთხოვნები დაემაყოფილებინა. არც ერთი სახელმწიფოს მეთაური მასპინძელ ქვეყანას ისეთ სირთულეებს არ უქმნიდა, როგორსაც იმელდა მარკოსი თავისი მრავალრიცხოვანი ვიზიტებისას: მის სტუმრობას წინ უძღოდა მოსამსახურეების, კამერისტი ქალების, პარიკმახერების, მასაჟისტებისა და ექიმების მთელი „დესანტი“; მისი ტვირთი 200-300 ჩემოდნისგან შედგებოდა, რაც მასპინძლების პანიკას იწვევდა. იმელდას ძალიან უყვარდა საჩუქრებიც.

**მარკოსებს ქება-დიდებას აღუვლენდნენ საგანგებოდ ამისათვის დაქირავებული ჟურნალისტები, მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, მოქანდაკეები, არქიტექტორები. ფერდინანდ მარკოსის უზარმაზარი პორტრეტი ჩრდილოეთ ლუსონის მთებში, კლდეში იყო ამოკვეთილი.**

კრიზისი, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში მწიფდებოდა, 1983 წლის აგვისტოში, მარკოსის ძველი მეტოქის, ბ. აკინოს მკვლელობის შემდეგ დაიწყო. აკინოს ერთადერთ ადამიანად მიიჩნევდნენ, ვისაც მარკოსის რეჟიმისთვის ოპოზიციის დაპირისპირების უნარი შესწევდა. ამიტომ უმალ ეჭვი გაჩნდა, რომ მკვლელობაში დიქტატორის ხელი ერია.

ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები 1986 წლის თებერვალში კორასონ აკინოს — მოკლულის ქვრივის მხარდაჭერის ლოზუნგებით მიმდინარეობდა. **შეიქმნა მითი ძალაუფლებით გაუნებივრებელ და პოლიტიკურად უმწიკვლო დიასახლისზე, რომელმაც დიქტატორის გამოაშკარავება გადაწყვიტა.** არჩევნების შედეგები ორივე მხარემ შეაჯამა. თავდაპირველად გამარჯვებულად გამოაცხადეს მარკოსი, შემდეგ კი აკინო — მას მერე, რაც ამ უკანასკნელმა ხალხს მასობრივი პროტესტისკენ მოუწოდა და კათოლიკური ეკლესიისა და არმიის მხარდაჭერაც მოიპოვა. მარკოსები გაიქცნენ და თავი ჰაიტის კუნძულებს შეაფარეს.

აკინომ და ნაციონალური თავდაცვის მინისტრმა ფ. რამოსმა ფილიპინების არმიის წმენდა ჩაატარეს და „არასასურველი ელემენტები“ თავიდან მოიშორეს. პრეზიდენტმა მარკოსსა და მისი ოჯახის წევრებს სამშობლოში ჩასვლის ნება მაშინაც არ დართო, როცა ყოფილი დიქტატორის დედა, დონა ხოსეფა ედრალინ მარკოსი გარდაიცვალა. ამასთან დაკავშირებით ნაციონალური უსაფრთხოების საბჭოც კი შეიკრიბა.

1989 წლის 28 სექტემბერს ფილიპინებზე ჰავაის კუნძულებიდან ყოფილი პრეზიდენტის გარდაცვალების ცნობა მიიღეს, რომელსაც მანამდე ორი კვირით ადრე 72 წელი შეუსრულდა. 1989 წლის 15 ოქტომბერს ფერდინანდ მარკოსი ჰავაის კუნძულებზე დაასაფლავეს.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# COOL-კლუქს-კლანი — ამერიკის უკანასკნელი იმედი



**კუ-კლუქს-კლანს რატომღაც ტერორისტებად არ მიიჩნევდნენ, ხან ბანდიტებს უწოდებდნენ და ხანაც — ბოევიკებსა და პატრიოტულ ორგანიზაციებს. არადა, პირწავარდნილი ტერორისტები იყვნენ, თანაც ყველაზე შედეგიან ტერორისტულ დაჯგუფებას წარმოადგენდნენ XX საუკუნის ისტორიაში. დღეს ისინი დიდი ამბიციების მქონე კლოუნების ბრბოს ჰგვანან.**

## თეთრჩაჩიანი მკვლელები

ჩვეულებრივ, ცნობარებში წერენ, რომ კლანი ზანგებთან მებრძოლი საიდუმლო რასისტული ორგანიზაციაა. ახლა ვნახოთ, სინამდვილეში რას წარმოადგენდა კუ-კლუქს-კლანი.

ამერიკის სამხრეთ შტატების ტერიტორიაზე საიდუმლო ორგანიზაციები ჯერ კიდევ XIX საუკუნის 40-იან წლებში არსებობდა. ისინი ფედერალური არმიის ჯარისკაცებსა და ზანგების უფლებათა დამცველებს ხოცავდნენ. სამოქალაქო ომის დროს (1861-1865) ეს ორგანიზაციები ჩრდილოელებთან — „ცისფერი ლოჟები,“ „სამხრეთის შვილები,“ „სოციალური კავშირი“ — ბრძოლებში მონაწილეობდნენ. მათ შორის ყველაზე ცნობილი გახლდათ „ოქროს წრის რაინდები“; 60-იან წლებში ორგანიზაციაში 115 ათასი კაცი იყო გაწევრებული.

ომის შემდეგ შტატებში რეკონსტრუქცია მოხდა (1865-1877). გაღარიბებული ძლიერნი ამა ქვეყნისანი, ლატაკები და უბრალოდ უსაქმურები ერთობ უკმაყოფილო იყვნენ ყოფილი მონების გათავისუფლებით. ზოგჯერ მათი უკმაყოფილება გამართლებული იყო. იმხანად მართლაც რთული სიტუაცია იყო, რადგან მაროდიორები, რომელთა შორის მრავლად იყვნენ ყოფილი მონები, მთელ ქვეყანაში დათარეშობდნენ. ამიტომ ახალი რასისტული ორგანიზაციის წარმოქმნა ლოგიკურიც კი იყო.

**1865 წლის დეკემბერში ტენესის შტატის ქალაქ პიულასკში მოსამართლე ტომას ლი ჯონსმა და 6 სხვა პირმა (კონფედერაციის არმიის ყოფილმა ოფიცრებმა) კუ-კლუქს-კლანი შექმნეს.** თავდაპირველად შეთქმულებს სურდათ, თავიანთი დაჯგუფებისთვის „კუკლოსის რაინდები“ დაერქმიათ (კუკლოსი ბერძნულად წრეს ნიშნავს), მაგრამ ეს სახელწოდება ძალიან ჰგავდა ზემოხსენებულ „ოქროს წრის რაინდების“ სახელს, რის გამოც სხვა „დამფუძნებელმა,“ შოტლანდიელმა კაპიტანმა კენედიმ წინადადება წამოაყენა, სახელწოდებაში სიტყვა „კლანი“ შეეტანათ, რაც მის ისტორიულ სამშობლოში **გვარს, ახლო ნათესავების ჯგუფს** ნიშნავდა. ასე იშვა ახალი ორგანიზაციის სახელწოდება კუ-კლუქს-კლანი.

ამ მოვლენის აღსანიშნავად შეთქმულები თეთრ ზეწრებში გაეხვივნენ და ბინდისას მშობლიური ქალაქის ქუჩებში გამოჩნდნენ. ცრუმორწმუნე ზანგებმა ისინი დაღუპული კონფედერატების (ანუ სამხრეთელების) სულებად მიიჩნიეს და თავზარი დაეცათ. რაც შეეხება ეკიპირებას, ცხვირისა და თვალებისჭრილიანი თეთრი ნიღბები, გრძელი ჩაჩები და ბალახონები თითქმის მაშინვე შემოიღეს. აღჭურვილობის ნაწილი იყო სასტვენიც, რომლითაც განკარგულებები გაიცემოდა. კლანელები ღამღამობით ხის ჯვრებს წვავდნენ, რათა „ქრისტეს ცეცხლს სამყარო ბნელეთისგან გაეთავისუფლებინა“.

კუ-კლუქს-კლანმა მალე მოიპოვა პოპულარობა, განსაკუთრებით კონფედერატების არმიის ყოფილ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს, მტკიცე რასისტებს შორის. კლანის თავდაპირველი ბირთვი სულ ასამდე კაცისგან შედგებოდა, ხოლო 1868 წლისათვის მის გარშემო სამხრეთელების ყველა ტერორისტული ორგანიზაცია გაერთიანდა. კლანის სოციალური ბაზა ძალიან ფართო იყო — უღარიბესი გლეხებით დაწყებული, მდიდრებით დამთავრებული.

1967 წლის აპრილში კუ-კლუქს-კლანის ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა — ქალაქ ნეშვილში ორგანიზაციის პირველი, ლეგალური „კონგრესი“ გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ დელეგატები ტენესიდან, ალაბამადან და ჯორჯიიდან. კონფერენციაზე კუ-კლუქს-კლანის „წესდება“ და „კონსტიტუცია“ მიიღეს. **დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ კლანი ამერიკისა და თეთრი რასის გადასარჩენად შეიქმნა. ორგანიზაცია „უხილავ იმპერიად“ გამოცხადდა, რომელსაც „დიდი მაგი“ მართავდა. კლანის საბჭო „10 გენიოსისგან“ შედგებოდა, „იმპერიის“ მეთაური აბსოლუტურ ძალაუფლებას ფლობდა, მის ბრძანებებს დაუყოვნებლივ ასრულებდნენ.**

იმპერია „სამეფოებად“ იყოფოდა, სამეფოს „დიდი დრაკონი“ და „8 ჰიდრასგან“ შემდგარი შტაბი მართავდა. თავის მხრივ, „სამეფოები“ „დომენებად“ იყოფოდა, რომელთა სათავეშიც „დიდი ტიტანი“ და მისი თანაშემწე „ფურიები“ იდგნენ. „დომენები“ პროვინციებად იყოფოდა, „დიდი გიგანტებითა“ და „სახლის 4 მოჩვენებით“ სათავეში. არსებობდნენ სხვა თანამდებობის პირებიც — „დიდი ბერი“, „დიდი ციკლოპი“, „დიდი მოგვი“, „დიდი ხაზაინადარი“, „დიდი თურქი“, რომელიც კლანის რიგით წევრებს — „ვამპირებს“ მორიგი კრების შესახებ ატყობინებდა. მთელი ეს მაგია ჩვეულებრივი ნაბოდვარი იქნებოდა, კლანს ფული რომ არ ჰქონოდა და მისი წევრები ნამდვილ სერიულ მკვლელებად რომ არ ქცეულიყვნენ. კლანსმენები ფულს კონტრაბანდითა და ძარცვით შოულობდნენ, თუმცა მათი ძირითადი დაფინანსების წყარო დღემდე უცნობია.



ნათან ფორესტი — პირველი დიდი მაგი





კუ-კლუქს-კლანის წევრთა მარში ეშლენდში, 1920 წ.



ვილიამ ჯოზეფ სიმონსი

კუ-კლუქს-კლანის პირველი ლიდერი კონფედერატების არმიის მთავარსარდალი რობერტ ლი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ომით დაქანცულმა გენერალმა უგულებელყო „მაგებისა“ და „ფურიების“ შემოთავაზება. მაშინ „დიადებმა“ წინამძღვრად გენერალი ნათან ფორესტი აირჩიეს.

კლანმა ისეთი პოპულარობა მოიხვეჭა, რომ 1868 წელს მის წესდებაში ცვლილებები შეიტანეს. კლანის მოქმედების რაიონებს ახალი დაემატა: მერილენდი, მასაჩუსეტსი, კენტუკი. კლანი განსაკუთრებით გაფართოვდა ტენესიში, ალაბამაში, ჩრდილოეთ კაროლინასა და ლუიზიანაში. **ფორესტის მონაცემებით, ორგანიზაცია — 550 ათას კაცს, ხოლო სხვა ცნობებით — 2 მლნ კაცს აერთიანებდა. კლანი სხვადასხვა სახელწოდებით მოქმედებდა („თეთრი ძმები“, „შავი ჯვრის რაინდები“, „კონსტიტუციის მცველები“, „თეთრი კამელიის რაინდები“ და ა.შ.), რათა მის წევრებს სასამართლოზე არხეინად დაეფიცათ, რომ კუ-კლუქს-კლანის წევრები არ იყვნენ.**



კუ-კლუქს-კლანი მოქმედებაში

კუ-კლუქს-კლანის საიდუმლოებების გამჟღავნების მცდელობა სიკვდილით ისჯებოდა. კლანელები არასდროს იკრიბებოდნენ ერთსა და იმავე ადგილას, შეიმუშავეს პაროლები და ერთმანეთის ამომცნობი ნიშნები. კონსპირაციის მიზნით, შეხვედრებისა და ტერორისტული აქტების ჩატარებისას კლანსმენები თეთრ, შავ ან ზოლიან ბალახონებს იცვამდნენ და ცხვირ-პირისა და თვალის წითელჭრილიან ჩაჩებს იხურავდნენ, რომელსაც ხშირად რქებიც ჰქონდა მიმაგრებული. კლანის უმთავრეს საქმიანობას მკვლელობები და ტერაქტები წარმოადგენდა. ორგანიზაციის მრავალგანშტოებიანობის გამო „ვამპირები“ ამომწურავ ინფორმაციებს ფლობდნენ, რომლებზე დაყრდნობითაც კლავდნენ, ცეცხლს უკიდებდნენ, ძარცვავდნენ, სცემდნენ.

კლანსმენები მობილურ ჯგუფებად (10-12-კაციან ან ვითარების მიხედვით — 200-500-კაციან) დაყოფილი მოქმედებდნენ. შავკანიანებსა და მათ დამცველებს სასტიკად უსწორდებოდნენ — ხვრეტდნენ, ახეიბრებდნენ, ახრჩობდნენ, მსხვერპლის ჩონჩხს კი გზაჯვარედინზე გამოკიდებდნენ. მოგვიანებით, **კონგრესის კომისიის ოფიციალურ ფაქტებზე დაყრდნობით დადგინდა, რომ 1865-1870 წლებში კუ-კლუქს-კლანმა 15 ათასი მკვლელობა ჩაიდინა, ხოლო 1880 წლისთვის სამხრეთ შტატებში მსხვერპლთა რაოდენობამ 130 ათას კაცს მიაღწია.** ხოცავდნენ როგორც აშშ-ის რიგით მოქალაქეებს, ასევე პოლიტიკურ მოღვაწეებსაც. ფედერალური მთავრობა იძულებული შეიქნა, აქტიურად ჩარეულიყო კუ-კლუქს-კლანის საქმიანობაში და წარმატებასაც მიაღწია. „უხილავი იმპერიის“ აკრძალვას ხელი შეუწყო „დიდი მაგის“ — ფორესტის სიკვდილმა 1877 წლის ოქტომბერში (სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე მან „ვამპირები“ ყველა ფიცისგან გაათავისუფლა), ანუ სახმრეთის რეკონსტრუქციის პერიოდის დასასრულს კუ-კლუქს-კლანი გაუჩინარდა, მაგრამ... მცირე ხნით.

„უხილავი იმპერია“ პირველი მსოფლიო ომის დროს აღორძინდა და მის ახალ „მამად“ ვინმე უილიამს სიმონსი იქცა. 1915 წლის ოქტომბერში სიმონსის ადვოკატის — კლარკსონის ოფისში, ჯორჯიის შტატის საკანონმდებლო კრების სპიკერის — ბეილის თავმჯდომარეობით, ახალი კუ-კლუქს-კლანის „დამფუძნებელთა კრება“ გაიმართა, რომელსაც 36 კაცი ესწრებოდა. მათ შორის ორი „დიდი მაგის“ — ფორესტისდროინდელი „ვამპირი“ იყო. შეხვედრის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს პეტიციას, რომელშიც ჯორჯიის შტატის ხელისუფლებას ორგანიზაცია „კუ-კლუქს-კლანის რაინდების“, როგორც „პატრიოტული, საქველმოქმედო სოციალური ძმური ორდენის“ დაფუძნების ნებართვას სთხოვდნენ. 1915 წლის 4 დეკემბერს „უხილავმა იმპერიამ“ ლეგალურად არსებობისა და უწინდელი ატრიბუტების, რეგალიების, ტრადიციების დაბრუნების უფლება მოიპოვა. ორგანიზაციის ლიდერები ირწმუნებოდნენ, რომ მათი მოძრაობა ჭეშმარიტ პატრიტიზმზე დაფუძნებული „ასპროცენტიანი ამერიკანიზმი“ იყო.

**1924 წლისათვის კლანი 9 მლნ კაცს ითვლიდა და „ვამპირების“ რიცხვიც დღითიდღე იმატებდა. ეს მასობრივი სიგიჟე იყო. სოფლებსა და პატარა პროვინციულ დასახლებებში ლინჩის სასამართლოები სახალხო დღესასწაულებს დაემსგავსა — ხალხი ილხენდა და ქეიფობდა, ხოლო ცენტრალური მოედნების ბოძებზე ახალჩამომხრჩვალი ზანგები კონწიალებდნენ.**

კლანის კაპიტალი იზრდებოდა: 1920-1925 წლებში მარტო საწევრო შემოსავლებით მიღებულმა თანხამ 90 მლნ დოლარი, ანუ წელიწადში 15 მლნ დოლარი შეადგინა.

მეორე მსოფლიო ომის დროს ატლანტაში „უხილავმა იმპერიამ“ თვითდაშლის შესახებ გამოაცხადა.

მესამედ კლანი 1946 წელს იშვა, იმავე ატლანტაში. მისი ერთ-ერთი უკანასკნელი „მაგი“ სემუელ გრინი იყო, მაგრამ ერთიანი კლანი უკვე აღარ არსებობდა. 1940-იან წლებში ორგანიზაცია სულ 10 ათას კაცს ითვლიდა. 1949 წელს გრინი გარდაიცვალა და „იმპერიაც“ დაეცა...

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# ტნუსი

## დბანისხევი

**ფინეზაურის ხეობიდან ჩრდილოეთ მხარეს, კონკრეტულად კი ისტორიული დბანისხევის დედამდინარე მაშავერასა და მის სანახებს ვუბრუნდებით. სოფელ დიდი დმანისიდან დაბა დმანისისაკენ (ძვ. ბაშკიჩეთი) მიმავალი გზისა და მდინარის მარცხენა მხარეს მდებარეობს სოფელი ტნუსი, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზეც ამავე სახელწოდებით არის მონიშნული. ტოპონიმის წარმომავლობა დაუდგენელია.**



სოფლის ძველი ნაეკლესიები, VI-VII საუკუნეები

ტნუსში თურქმანულენოვანი მოსახლეობა კი ცხოვრობს, მაგრამ მათში უმეტესობას თარაქამები კი არა, მგონი თათრები წარმოადგენენ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი 19 წლის მეგზური, ფონიჭალელი ელდარ ალექპეროვი, რომელიც აქ ნათესავებთან ჩამოსულა, ასე გვიხსნის და დასძენს — ეგენი ჩვენთან შედარებით, უფრო გულჩახვეულნი არიანო. ელდარს ქართულიც ესმის და რუსულიც. როგორც ქალაქელი კაცი (აქაურებისთვის ფონიჭალაც თბილისია), ტნუსელ თანატოლებში ავტორიტეტით სარგებლობს და გულთბილი ყმაწვილი კაცია მართლაც. ის რომ არა, მდინარის გაღმა, ტყეში არსებული საყდრების მიგნება ძალიან გაგვიჭირდებოდა.

**ტნუსის სამი ეკლესიიდან ერთ-ერთს მისაგნები არაფერი სჭირს, იგი სოფლის სამხრეთ უბანში, მაშავერის მარცხენა სანაპიროს მოშიშვლებულ კლდეზე დგას. ამიტომ, ვერ ამიხსნია როგორ მოხდა, რომ აქაურობის მკვლევარებმა, ამ ეკლესიას ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციეს. იგივე დამართვნია მას, ვინც მოგვიანებით ძეგლთა პასპორტიზაციას ემსახურებოდა. არადა, ჩვენს წინაშეა ადრეშუასაუკუნეების (VI-VII სს) საკმაოდ მოზრდილი, დარბაზული, ცალნავიანი საყდარი, რომელსაც ჩრდილოეთის კედელი და სახურავ-საბურველი სრულიად მორღვეული აქვს.** ტაძარი ნაგებია მუქი რუხი ბაზალტის დიდი, გათლილი ლოდებით (აღმ. ფასადი და კონსტრუქციული ნაწილები) და რიყის მცირე, პირმოსწორებული, მაგრამ არაწესიერი მართკუთხა ფორმის ქვებით. აღმოსავლეთ ფასადს აშკარად ემჩნევა გადაწყობის კვალი, რადგან არსებული სარკმლის მომიჯნავედ კედელში ჩასმულია რომელიღაც სხვა სარკმლის თავსართი ქვა. ამჟამად ნასაყდრალს 3 სარკმელი აქვს: აღმოსავლეთის (იგი შიგნიდან უკანგორის V საუკუნის ეკლესიის იდენტურია), დასავლეთის (აღმოსავლეთ სარკმლის მსგავსი, ოღონდ სანახევროდ ამოქოლილი) და სამხრეთის, რომელიც ტაძრის ერთადერთი კარის თავზე, ოდნავ აღმოსავლეთითაა გაჭრილი და მართკუთხაა. სამხრეთი ფასადი ხელუხლებლად გამოიყურება, დასავლეთ ფასადს კი, აღმოსავლეთისა არ იყოს, შეკეთების კვალი ემჩნევა, რადგან სარკმლის გვერდით, რომელიღაც კონსტრუქციული ნაწილის შეკბილული და თლილი ლოდია ჩადგმული. ეკლესიის კამარას ორ ნაწილად ჰყოფდა და ამაგრებდა საკურთხევლის მხრისა და დარბაზის დასავლეთ მონაკვეთში არსებული წყვილი პილასტრის კაპიტელებიდან გადასული ორი თაღი. საკურთხევლის ნახევარწრიულ აფსიდში ნიშების კვალი არ შეინიშნება და ისიც ძნელი სავარაუდოა, ტაძარს ჩრდილოეთიდან რაიმე მინაშენი ჰქონოდა.

* * *

მაშავერის მარჯვენა სანაპიროზე გადავდივართ. პაპანაქება სიცხეა. ტნუსელი ჭაბუკები „პიკასოს ბიჭებივით“ ხტებიან წყალში — ზოგი კლდოვანი ნაპირიდან, ზოგიც — ხიდიდან. ჩვენს მეგზურს ვთავაზობთ, რომ ისიც გაგრილდეს, მაგრამ ალექპეროვი ტნუსელ ჭაბუკთა მარაქაში არ ერევა, თავი დარბაისლურად უჭირავს და ასეთივე ტონით გვეუბნება — ჩვენ მაგის დრო სად გვაქვს, ორი ეკლესია კიდევ დაგვრჩა გადასაღებიო.



თეკენების ქვედა ეკლესია, VIII საუკუნე

ხიდზე გადასულნი ჯერ სამხრეთ-აღმოსავლეთით მივეშურებით და მოზრდილ მთაზე გადავდივართ, მერე დასავლეთით ვუხვევთ და, ერთი ამდენი გზის გავლის შემდეგ, ეკლესიას მივადგებით. ამ ადგილს **„ტნუსის თეკენები“** ჰქვია. ეკლესია (5,9X4,5 მ) თავს დასცქერის ხეობას. მართალია, იგი ახალი აღდგენილია, მაგრამ არცერთი ძველი შტრიხი არ დაუკარგავს. რაკი ტაძარს სამხრეთ-დასავლეთიდან მივადექით, აღწერაც აქედან დავიწყოთ. იგი ნაგებია სოსანისფერი ქვიშაქვის წმიდად გათლილი თანაბარი ზომის, მოგრძო კვადრებით. თაროსებრი ლავგარდანით გარსშემოვლებული სახურავის დასავლეთ კეხში ქვის მცირე ჯვარია აღმართული. მის ქვევით, ფრონტონის წვერში, ჩასმულია გვიანი შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი ჩუქურთმიანი ქვა, რასაც გლუვლილვიან საპირე ქვაში გამოჭრილი სარკმელი მოყვება. დასავლეთ ფასადის უმეტესი ნაწილი უკავია ერთადერთი, დასავლეთ კარის გაფორმებას. პორტალი შექმნილია დიდი, დეკორატიული თაღედით, რომელიც უცნაური, ისრისპირის მსგავსი სამკაულების ორი მწკრივითაა გაფორმებული. კარი მის სიღრმეშია გაჭრილი. იგი გარედან არქიტრავულია, შიგნიდან — თაღოვანი. ბალავარზე არანაირი წარწერის კვალი არაა.

სამხრეთ ფასადის ზედა რეგისტრებში სამი ბარელიეფია: დასავლეთ კუთხეში ცხენოსანი წმინდა გიორგია გამოსახული, მის ქვემოთ კი ორი ლომი. **სარკმლიდან მარჯვნივ დედალ-მამალი ირემია გამოსახული: ხარი ფურს მისდევს. ამ სამი ბარელიეფიდან ქვემო ქართლის მკვლევარი ლევან მუსხელიშვილი უკანასკნელს გამოყოფს. იგი ამ ირმების სიუჟეტსა და ოშკის ტაძრის ირმების სიუჟეტში ზუსტ ანალოგიას ხედავს და ერთ მომენტში თეკენების ტაძრის ბარელიეფსაც კი აძლევს უპირატესობას.** და ეს მაშინ, როცა ტნუსის თეკენების ბარელიეფი XVII საუკუნისაა, ხოლო ოშკისა X საუკუნის. მეცნიერი აღნიშნავს, რომ თეკენების ამ ეკლესიის ყველა სხვა ბარელიეფი, რომელიც აღმოსავლეთ ფასადზეც გვხვდება, ირმების კომპოზიციასთან შედარებით, მდარე და პრიმიტიულია. იგი ვარაუდობს, რომ ირმების სიუჟეტის ავტორი სულ სხვა პიროვნებაა და არა ის, რომელსაც დანარჩენი ბარელიეფები შეუქმნია. იქნებ, ირმების კომპოზიციის ცხოველმყოფელი შთაბეჭდილების შედეგიცაა, რომ აღმოსავლეთ ფასადზე დამატებით გამოქანდაკებული ოთხი ლომის მიუხედავად, ხალხმა ტაძარს ლომის ეკლესია კი არ დაარქვა, არამედ **„შვლის ეკლესია“** (მოსახლეობამ, როგორც ირკვევა, ფურირემში დამფრთხალი შველი უფრო შეიცნო). რაკი აღმოსავლეთ ფასადზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე ვიტყვით, რომ მასზე, ოთხ ლომთან ერთად, არწივი და კიდევ ერთი ცხენოსანი წმინდა გიორგია გამოსახული. ჩრდილოეთის კედელი, რომელიც კანიონს გადაჰყურებს სრულიად სადა და უსარკმლოა. აღსანიშნავია ერთი გარემოება: „შვლის ეკლესია“ გამონაკლისია იმით, რომ მისი კუთხეები გარედან ლილვებით არის მომრგვალებული და ჩუქურთმად ერთმანეთზე მიყოლებული ნახევარწრეები დაუდის. XVIII თუ XIX საუკუნეში ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში დამოუკიდებელი სამრეკლო აუგიათ. ახლა, რაც შეეხება ტაძრის აგების თარიღს: საკურთხევლიდან ჩრდილოეთით, კედელში, ნიშის მსგავსად ჩასმულია პატარა სანათლავი, რომელზეც ადრე ეკლესიის აგების თარიღი — 1688 წელი ყოფილა აღნიშნული.

„შვლის ეკლესიიდან“ ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით ისევ მაშავერის ჭალებისკენ ვეშვებით. **დაახლოებით 600-700 მეტრში, მდელოზე, გაცილებით ძველი, მაღალი და დიდი ეკლესია (12,5X5,9 მ) დგას. მის მახლობლად ნასახლარებისა და გალავნის ფრაგმენტებია. ტაძარი აშენებულია კლდისა და რიყის ფლეთილი ქვის მწყობრი ხაზებით. კედელში ურევია ფირუზისფერი და მოყვითალო ქვებიც, ხოლო ყველა სარკმელი, უკლებლივ, წითელ ქვებშია გამოჭრილი.** ერთადერთი, დასავლეთ კარის ბალავრად და წირთხლებად კარგად გათლილი ლოდებია გამოყენებული. წირთხლებზე ძველებური პალმეტებია ამოჩუქურთმებული. ტაძარს ჩრდილოეთიდან მიშენებული აქვს თანადროული ეკვდერი (6,6X4,2), რომელშიც მთავარი დარბაზის ჩრდილოეთ კედელში გაჭრილი კარით შეიძლება მოხვედრა. ამჟამად ეკვდერს ჩრდილო-დასავლეთი მხარე და კამარა მორღვეული აქვს. როგორც ძირითადი, ისე ეკვდერის დარბაზის საკურთხევლის აფსიდები ნალისებრია. გარდა ამისა, მოგვიანებით ორივე დარბაზი შეულესავთ და მოუხატავთ. მთავარ დარბაზში ისეთი ჯაგნარია, რომ ჩრდილებში ვერაფერს გაარჩევ კედლებზე, ეკვდერში კი ფრესკათა აბრისები და ლაქები კარგად ჩანს. კარის წირთხლების ჩუქურთმებთან ერთად, ყურადღებას იპყრობს აღმოსავლეთ ფასადებზე გამომავალი სარკმლების საპირეები და თავსართი, რომლებადაც კიდევ უფრო ძველი დროის სტელათა ფრაგმენტებია გამოყენებული. ისინი თავიანთი ხასიათით საერთოს პოულობენ უკანგორის უძველეს სტელებთან და როგორც ლევან მუსხელიშვილი ამბობს ადრექრისტიანულ ეპოქას გვაგონებენ. ტაძარი ადრეშუასაუკუნეებისაა. ეკლესიიდან სოფლისაკენ შემოვლითი გზით, მაშავერის აყოლებით ვბრუნდებით. ტნუსელი ყმაწვილები ახლა უკვე ფეხბურთს თამაშობენ ბუნებრივ მინდორზე, ქარაფზე მდგარ ძველთაძველი ტაძრის ნანგრევს ჩრდილი დაგრძელებია. ხიდზე ნახირი გადადის. ჩვენც ამ ნახირს მივყვებით სოფელში, სადაც გერონტი კაჯილაშვილი გველოდება მანქანით.

მოგზაურობით კმაყოფილნი ვართ. ხვალ კიდევ სამი სოფელი — ბოსლები, შინდლარი და შახმარლო უნდა ვნახოთ...

**გელა ქოქიაშვილი**
**ავტორის ფოტოები**








თეკენების „შვლის ეკლესია“ და მისი მთავარი ბარელიეფი, 1688 წ.

# გენერალი სპირიდონ ჯავახიშვილი

**სპირიდონ ესტატეს ძე ჯავახიშვილი, პავლოგრადის ჰუსართა პოლკის მეთაური, 1812 წლის სამამულო ომში პოლკოვნიკის წოდებით მონაწილეობდა, მაგრამ 1813 წელს იგი უკვე გენერალ-მაიორად იხსენიება, ყოველ შემთხვევაში, 1813 წლის 16 დეკემბრის პატაკი ბარონ ვინცენგეროდესადმი ხელმოწერილია გენერალ-მაიორ სპირიდონ ჯავახიშვილის მიერ. მისდამი რწმუნებული პავლოგრადის ჰუსართა პოლკი დასავლეთის მესამე არმიის შემადგენლობაში შედიოდა.**
**ამ პოლკმა ბევრ ოპერაციაში ისახელა თავი, რომელთაგან მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ ისეთებზე, რომლებმაც სარდლობის მაღალი შეფასება დაიმსახურა.**

ომის დაწყებით სტადიაში სპირიდონ ჯავახიშვილის ნაწილს დაზვერვა ჰქონდა დავალებული. მას უნდა დაედგინა (მოწინააღმდეგესთან შებმის გარეშე) ბრესტიდან ფრანგების მოძრაობის მიმართულება, აეყვანა „მოენე“ და დაეზუსტებინა ბრესტისა და კობრინის დამცველი გარნიზონების შემადგენლობა და სიდიდე. **„წინადადება გეძლევათ,** — სწერდა გენერალი ტორმასოვი გრაფ კამენსკის, — **ამ წერილის მიღებისთანავე, დაავალოთ პავლოგრადის ჰუსართა პოლკის მეთაურს თავად ჟევახოვს, მისდამი რწმუნებული პოლკის ერთი ბატალიონით და კაზაკთა მთელი რაზმით (ილოვაიასკიდან მოსულთა ჩათვლით), რომელიც დაბანაკებულია რატნოში, ჩაატარონ ბრესტის გზაზე რეკოგნოსცირება, შეეცადონ აიყვანონ „მოენე“, რათა მოვიპოვოთ ზუსტი ცნობები მოწინააღმდეგესა და მის განზრახვებზე. ოღონდ, ამასთანავე, განუმარტეთ თავად ჟევახოვს, რომ რაც შეიძლება ფრთხილად იმოქმედოს იმისთვის, რომ არც ერთი ჩვენი მებრძოლი ტყვედ არ ჩავარდეს... მან უნდა კარგად გაიგოს, რომ იგზავნება მხოლოდ ვინმეს დასატყვევებლად და არა საბრძოლველად და ამიტომ თავისი მცირე რაზმით არ უნდა შეებას მტერს“.**

ამ მოწერილობის შესასრულებლად გრაფმა კამენსკიმ ჯავახიშვილი თავისი რაზმით, მართლაც, გაგზავნა დაზვერვაზე. მზვერავებმა შედარებით მცირე დროში მეტად მნიშვნელოვანი ცნობები შეაგროვეს ბრესტ-კობრინის რაიონში განლაგებული მოწინააღმდეგის შესახებ, **„თავად ჟევახოვის მეთაურობით კობრინისკენ გაგზავნილი რაზმის მიერ დადგენილია,** — უპატაკებდა ტორმასოვი იმპერატორს, — **რომ აქ დაბანაკებული გარნიზონი შედგება ოთხი ფეხოსანი პოლკისა და კავალერიის ნაწილისგან. ქალაქთან მიახლოებისას სადაზვერვო რაზმს ავსტრიელ ჰუსართა ოთხმა ესკადრონმა შეუტია, მაგრამ ამ შეტაკების დროს არაფერი მნიშვნელოვანი არ მომხდარა“.**

1812 წლის 31 ივლისი სამამულო ომის ისტორიაში შევიდა, როგორც გოროდეჩნიასთან უმძაფრესი ბრძოლების დღე. ეს ოპერაცია აღწერილია გენერალ-მაიორ ჩაპლიცის 6 აგვისტოს პატაკში გრაფ კამენსკისადმი. მოგვყავს ამ პატაკის ძირითადი ნაწილი. **„გასული თვის 30 რიცხვს ანტაპოლში ყოფნისას მივიღე მისი მაღალაღმატებულების მთავარსარდლის** (ტორმასოვის — რედ.) **განკარგულება, რომლითაც პავლოგრადის გუსართა პოლკი და ცხენოსანი არტილერია ექვსი ქვემეხის რიცხვით, მომდევნო დილის 8 საათზე უნდა გამოცხადებულიყო ძირითად ბანაკში. ამის შედეგად თავად ჟევახოვი ხსენებული პოლკითა და საარტილერიო ნაწილით იმავე ღამეს მივიდა გოროდეჩნიასთან. 31 ივლისის დილით, ბატონმა მთავარსარდალმა ინება, დაევალებინა თავად ჟევახოვისთვის თავისი პოლკითა და არტილერიით შერეშოვსკაიას გზაზე არსებული ხიდის დაკავება... თვალყური ედევნებინა პრუჟანის, ბრესტისა და შერეშოვსკაიას გზებისთვის, რათა მტერს არ მისცემოდა საშაულება ჩვენი არმიის მარცხენა ფლანგის შემოვლისა. დანიშნულ ადგილზე მისვლისას თავადმა ჟევახოვმა დაათვალიერა გარემო და სათანადო განკარგულებები გასცა. ნაშუადღევს 2 საათზე, მტრის რამდენიმე დიდი კოლონა შეეცადა, შემოევლო ჩვენი არმიის მარცხენა ფლანგისთვის. სწორედ ამ დროს თავადი ჟევახოვი პავლოგრადის ჰუსართა პოლკით და ცხენოსანი არტილერიის ექვსი ქვემეხით, რომლის უფროსი კაპიტანი ბრაკერი იყო, ჩორთით გაემართა მისკენ, გადაუჭრა გზა და მთელი ძალით შეებრძოლა. სწრაფი სვლით და ცხენოსანი არტილერიის მარჯვე მოქმედებით მან უკუაქცია მრავალრიცხოვანი მტერი, რის მოწმეც თავად ბატონი მთავარსარდალი გახლდათ. ამის შემდეგაც მან სამჯერ მოიგერია მოზღვავებული მტრის იერიშები. საღამომდე ებრძოდა იგი მტერს და ყოველგვარი იმედი ამოუწურა. პავლოგრადის პოლკისა და ცხენოსანთა ნახევარი ასეულის ამგვარმა გაბედულმა და ძლიერმა მოქმედებამ თავად ჟევახოვის მეთაურობით მეტად სასარგებლო შედეგი მოიტანა, რაც გამოიხატა იმაში, რომ, ჯერ ერთი, მოწინააღმდეგემ ვერ განახორციელა თავისი ჩანაფიქრი ჩვენი არმიის მარცხენა ფლანგზე, ვერ დაეუფლა გზებს, რომლებითაც ჩვენ ჯარებს უნდა ევლოთ, და მეორეც, მან ცოცხალი ძალის უზარმაზარი დანაკლისი განიცადა“.**

> **მიუხედავად დიდი მსხვერპლისა, სპირიდონ ჯავახიშვილის პოლკი ჩვეული მამაცობითა და თავგამოდებით იბრძოდა და ყოველნაირად ცდილობდა, მოეჭრა მოწინააღმდეგისათვის ხსნის ერთადერთი გზა.**

გოროდეჩნიასთან ბრძოლაში განსაკუთრებით გამოჩენილ ოფიცერთა სია გენერალმა ტორმასოვმა დასაჯილდოებლად წარადგინა. **გრაფაში „რისი ღირსია“ ჯავახიშვილის გვარის გასწვრივ ეწერა: „ოქროს ხმლისა, წარწერით „მამაცობისათვის“.** საბუთებიდან ჩანს, რომ სპირიდონ ჯავახიშვილს ეს ჯილდო მიუღია.

როგორც უკვე აღინიშნა, აგვისტომ მესამე არმიის სამოქმედო ფრონტზე შედარებით მშვიდად ჩაიარა. მოწინააღმდეგენი თავს არიდებდნენ დიდი მასშტაბის ოპერაციებს, თუმცა შეტაკებები, ზოგჯერ საკმაოდ ძლიერი, აქა-იქ მაინც ხვდებოდა. ასეთ შეტაკებას შეიძლება მივაკუთვნოთ სპირიდონ ჯავახიშვილის შებრძოლება მტერთან, რომელიც 19 აგვისტოს სოფელ ვიჟიესთან მოხდა. გენერალ ჩაპლიცის მოწმობით, **ჯავახიშვილი „მტკიცედ, გაბედულად ხელმძღვანელობდა კავალერიის წარმატებულ მოქმედებას და მტრის არტილერიის ძლიერი ცეცხლის მიუხედავად, მოწინააღმდეგეს არ მისცა წინ წასვლის საშუალება...“** სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია არავითარ ცნობას სპირიდონ ჯავახიშვილის მოღვაწეობის შესახებ 1812 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, გარდა იმისა, რომ 8 ოქტომბერს მან თავი ისახელა გენერალ კონოპკას ლიტვის კორპუსის განადგურებაში.

დადგა ნაპოლეონის არმიისთვის განსაკუთრებულად მძიმე ნოემბრის თვე. ყოველი მხრიდან დევნილი იმპერატორი თავის ხსნის და „დაწყევლილი“ რუსეთიდან გაქცევის საშუალებას ეძებდა. შერცხვენილი ბონაპარტე თავისი „უძლეველი არმიის“ ლანდით მდინარე ბერეზინას მიადგა მისი გადალახვის იმედით. მაგრამ აქ მას ჩიჩაგოვის დუნაის არმია ელოდებოდა. სავალალო მდგომარეობა შეიქმნა. რუსების მარწუხებიდან თავის დასაძვრენად საგანგებო რამ უნდა გაკეთებულიყო. **„მე ვგრძნობდი,** — ამბობდა შემდგომ ნაპოლეონი, — **რომ შველას მხოლოდ მდინარის უცაბედი გადალახვა მოგვიტანდა“.** ამაში იგი სავსებით მართალი იყო. მან ისიც იცოდა, რომ მდინარეს გადალახავდა, თუკი ჩიჩაგოვის მოტყუებას მოახერხებდა. ამ მიზნით ბორისოვის სამხრეთით (რომელიც ამ დროისთვის ისევ ფრანგების ხელში იყო) მან რამდენიმე ადგილას მდინარის გადალახვის იმიტაცია განახორციელა. ამას დაერთო ამ მხარეში მარშალ უდინოს შენაერთების მოსვლა, რომელმაც საბოლოოდ დაარწმუნა „სულელი ადმირალი“ (როგორც ნაპოლეონმა ჩიჩაგოვს დაარქვა), რომ ფრანგები სწორედ აქ შეეცდებიან მდინარის გადალახვას. ნაპოლეონის ხერხმა გასჭრა; ჩიჩაგოვმა **„თავისი მარჯვენა ფლანგი იგუმენისკენ წამოიყვანა, ჩვენ კი ვისარგებლეთ მისი ფუჭი მოძრაობებით, რათა ბორისოვის ზევით გადაგველახა მდინარე“,** — იგონებდა მოგვიანებით ბონაპარტე. ცრუ მანევრით ფრანგებმა ჩიჩაგოვის ყურადღება ბორისოვის სამხრეთით მიაპყრეს, თვითონ კი სასწრაფოდ ააგეს ორი ხიდი და ბერეზინა ამ ქალაქის ზემოთ, სოფელ სტუდიანკასთან გადალახეს.

მდინარეზე გადასვლა 14 ნოემბერს დაიწყო. ეს ამბავი ჩიჩაგოვმა მხოლოდ მეორე დღეს შეიტყო. რუსების ერთადერთი ნაწილი, რომელიც აქ აღმოჩნდა, იყო გენერალ ჩაპლიცის რაზმი, რომელმაც პირველმა შენიშნა, რომ ნაპოლეონს თავისი ჯარი „საღლაც მიჰყავს ბორისოვიდან“. **გენერალი ჩაპლიცი შეეცადა, ჩაეშალა მდინარეზე მტრის გადასვლა. მისი რაზმის შემადგენლობაში მოქმედებდა პავლოგრადის ჰუსართა პოლკი, რომელსაც წინანდებურად სპირიდონ ჯავახიშვილი მეთაურობდა. გაჩაღდა სისხლისმღვრელი ბრძოლა. რუსები და მათ შორის ჯავახიშვილის ჰუსარებიც თავგანწირულად ებრძოდნენ მრავალრიცხოვან მტერს. ჩაპლიცმა ასე შეაფასა ჯავახიშვილის და სხვა პოლკების მეთაურთა მოქმედება 14 ნოემბრის ბრძოლაში: „ისინი განსაკუთრებული მამაცობით უტევდნენ მტერს, რამდენიმეჯერ არიეს მისი რიგები და შეინარჩუნეს ყველა პუნქტი...“**

15 ნოემბერს ჩაპლიცის ნაწილი გაძლიერდა ორი ქვეითი პოლკით, პალენის ყოფილი ავანგარდიდან. ამავე დღეს ბრძოლის ადგილზე ჩიჩაგოვმაც მოიყვანა ჯარი. 16 ნოემბერს ბრძოლა უფრო გამძაფრდა. **მიუხედავად დიდი მსხვერპლისა, სპირიდონ ჯავახიშვილის პოლკი ჩვეული მამაცობითა და თავგამოდებით იბრძოდა და ყოველნაირად ცდილობდა მოეჭრა მოწინააღმდეგისათვის ხსნის ერთადერთი გზა.** გენერალი ჩაპლიცი აღნიშნავდა, რომ პოლკოვნიკებმა ჯავახიშვილმა და მასლოვმა **„განსაკუთრებული მამაცობითა და ვაჟკაცობით შეუტიეს მოწინააღმდეგის კავალერიას, გაანადგურეს და გააქციეს იგი, რითაც ქვეით ჯარებს მტრის სწრაფი დამარცხების საშუალება მისცეს“.**

მაგრამ ამ ცალკეულ წარმატებებს არ შეეძლო შეეცვალა მოვლენათა განვითარება. მთავარი ნაპოლეონმა გააკეთა: მან მოხერხებულად მოატყუა ჩიჩაგოვი, ეს „სულელი ადმირალი“ და ბერეზინას მარჯვენა ნაპირზე გადავიდა.

**გაქცეულ იმპერატორს ფეხდაფეხ მისდევდა რუსეთის არმია, რომლის შემადგენლობაში სპირიდონ ჯავახიშვილი იყო თავისი ჰუსარებით.** მათ სდიეს მოწინააღმდეგეს ბერეზინაან ნემანამდე. იმ გენერალთა და ოფიცერთა სიაში, რომელთაც თავი გამოიჩინეს ფრანგების დევნაში, ჯავახიშვილის შესახებ სწერია: **„...დევნის დროს მისდამი რწმუნებული პოლკით ყველგან აღწევდა. მოუსვენრად, ენერგიულად, მამაცად და ვაჟკაცურად ანადგურებდა მტერს. ამ პოლკოვნიკის მოღვაწეობა განსაკუთრებული პატივისცემის ღირსია“.**

1812 წლის 18 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე მიმდინარე საომარ მოქმედებებში მონაწილეობისთვის სპირიდონ ჯავახიშვილი დაჯილდოვდა წმ. გიორგის მესამე ხარისხის ორდენით.

**გენერალ-მაიორი სპირიდონ ესტატეს ძე ჯავახიშვილი გარდაიცვალა 1815 წელს, 47 წლის ასაკში.**




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.




გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეცხრე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.
ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ევროკავშირის უმდიდრესი ადამიანები



ევროპის მცხოვრებლებმა ევროკავშირის უმდიდრესი წარმომადგენლების რეიტინგი შეადგინეს. ევროკავშირის მთავრობებსა და სახელმწიფოთა მეთაურებს შორის უმდიდრესი აღმოჩნდა ირლანდიის პრემიერ-მინისტრი **ბრაიან კოუენი**, რომელსაც მთელი მსოფლიოს მდიდარ ხელმძღვანელებს შორის მეოთხე ადგილი უკავია. მხოლოდ შარშან ბრაიან კოუენმა 342.4 ათასი დოლარი გამოიმუშავა, რაც მნიშვნელოვნად აჭარბებს ბევრი ევროპელი პოლიტიკოსის ხელფასს.

სიაში მეორეა უამრავ სკანდალში გახვეული, საფრანგეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი **ნიკოლა სარკოზი**. მსოფლიო რეიტინგში მას მხოლოდ მეხუთე ადგილი ერგო. მისმა ყოველწლიურმა შემოსავალმა 319.8 ათასი დოლარი შეადგინა.





რეიტინგში მესამე ადგილზე ევროპელებმა ქალი — გერმანიის კანცლერი **ანგელა მერკელი** დაასახელეს, რომლის ყოველწლიური შემოსავალი 303.8 ათას დოლარს შეადგენს. მდიდარ პოლიტიკოსთა მსოფლიო რეიტინგში იგი მეცხრე ადგილზეა.

ევროპული ნუსხის მეოთხე პოზიციასა და მსოფლიო რეიტინგის მეათე ადგილზე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი **დევიდ კემერონი** აღმოჩნდა. მისმა ყოველწლიურმა შემოსავალმა 300.4 ათასი დოლარი შეადგინა.





მსოფლიოს ყველაზე მდიდარი პოლიტიკოსი სინგაპურის პრემიერ-მინისტრი **ლი სიან ლუნია**, რომლის შემოსავალიც მნიშვნელოვნად აჭარბებს ევროპელი კოლეგებისას. ყოველწლიურად ეს პოლიტიკოსი 2.75 მლნ დოლარს გამოიმუშავებს.

მსოფლიო რეიტინგში მეორე ადგილი ჰონკონგის სპეციალური ადმინისტრაციული რაიონის ხელმძღვანელ **დონალდ ცანგს** ერგო, რომლის წლიური ხელფასი 515.3 ათას დოლარს შეადგენს. მესამე ადგილზე, 400 ათასი დოლარის ყოველწლიური შემოსავლით, აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამაა.



# აშშ-ის უმდიდრესი პრეზიდენტები

აშშ-ის ისტორიაში ყველაზე მდიდარ პრეზიდენტად **ჯონ კენედი** მიიჩნევა. ამას მოწმობს ამერიკის 43 პრეზიდენტის მემკვიდრეობის, დანაზოგისა და უძრავი ქონების შეფასების საფუძველზე ჩატარებულ გამოკვლევათა შედეგები. მკვლევართა აზრით, კენედის ქონებამ თითქმის მილიარდი დოლარი შეადგინა.

**ჯორჯ ვაშინგტონი,** 525 მლნ დოლარით, რეიტინგის მეორე ადგილზე აღმოჩნდა.

მილიონერ-პრეზიდენტთა სიაში მოხვდნენ **თომას ჯეფერსონი** (212 მლნ დოლარი), **რუზველტი** (125 მლნ დოლარი), **ენდრიუ ჯექსონი** (119 მლნ დოლარი) და **ჯეიმს მედისონი** (101 მლნ დოლარი).

აშშ-ის ამჟამინდელი პრეზიდენტი **ბარაკ ობამა** თავის წინამორბედებს შესამჩნევად ჩამორჩება — მისი ქონება 5 მლნ დოლარადაა შეფასებული.



# ყველაზე გავლენიანი ვარსკვლავები




ჟურნალ „ფორბსის“ ვერსიით, ამერიკელი ტელეწამყვანი **ოპრა უინფრი** მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი ვარსკვლავია (შარშან ამ ტიტულს ანჯელინა ჯოლი ფლობდა, რომელიც მედიაში აშშ-ის პრეზიდენტზე მეტჯერ მოიხსენიებოდა). გასულ წელს შავკანიანმა შოუვუმენმა 315 მლნ დოლარი გამოიმუშავა — სხვა ყველა ვარსკვლავზე გაცილებით მეტი.



ყველაზე მდიდარი და გავლენიანი ვარსკვლავების რეიტინგში მეორე ადგილზე აღმოჩნდა **ბეიონსე** (87 მლნ დოლარი). მომღერალი მხოლოდ გასტროლებზე კი არ დადის, არამედ აქტიურადაა დაკავებული რეკლამაში და ავითარებს თავის დიზაინერულ ბრენდსაც.

მესამე პოზიცია დაიკავა რეჟისორმა **ჯეიმს კემერონმა,** რომელსაც ბლოკბასტერმა „ავატარმა“ 210 მლნ დოლარი მოუტანა.




პირველ ათეულში მოხვდა, ასევე, ეპატაჟური **ლედი გაგა**, რომელსაც ერთობ ხშირად მოიხსენიებენ ინტერნეტში. გასულ წელს პოპულარულმა შემსრულებელმა 62 მლნ დოლარი გამოიმუშავა და საზოგადოების ყურადღების ცენტრშიც მოექცა.





„ფორბსის“ მიერ დასახელებულ პირველ ათეულშია, ასევე, სპორტსმენი თაიგერ ვუდსი, 105 მლნ დოლარის წლიური შემოსავლით; **ბრიტნი სპირსი**, 62 მლნ დოლარით; კინოაკადემიის აზრით, წლის საუკეთესო მსახიობი **სანდრა ბალოკი**, რომლის წლიური შემოსავალი 56 მლნ დოლარს შეადგენს და რომელიც მოღალატე ქმარს დაშორდა; ჰოლივუდის ვარსკვლავი **ჯონი დეპი** (75 მლნ დოლარი) და უჭკნობი პოპდივა **მადონა** (58 მლნ დოლარი).



რეიტინგი შედგა პოპულარობისა და ფინანსური წარმატების მაჩვენებლების მიხედვით.

# ყველაზე მავნე პროდუქტები

დიეტოლოგებმა ყველაზე მავნე საკვები პროდუქტების ნუსხა შეადგინეს. სიის სათავეში საღეჭი კანფეტები მოხვდა. ისინი დიდი რაოდენობით შაქარს, ქიმიურ არომატიზატორებსა და საღებავებს შეიცავს;

მავნებელია სიმინდისა და კარტოფილის ჩიფსებიც, რადგან ესაა ნახშირწყლებისა და ცხიმების ნაზავი, რომელიც საღებავებისა და გემოს შემცვლელების ფენითაა დაფარული;

ჩამონათვალში მოხვდა ტკბილი გაზიანი სასმელები, რადგან შაქრის, ქიმიისა და გაზების ნაზავი ორგანიზმში მავნე ნივთიერების გავრცელების საუკეთესო საშუალებაა;

მავნეა შოკოლადის ბატონები ძალზე მაღალი კალორიულობის, საღებავების, არომატიზატორებისა და ქიმიური მრეწველობის პროდუქტების შემცველობის გამო;






ნუსხაში აღმოჩნდა სოსისიცა და ძეხვიც, რომლებიც ლორსა და ცხიმებს შეიცავს, ამასთან, ზოგიერთი მწარმოებელი ძეხვის დამზადებისას მასში დიდი რაოდენობით ტრანსგენურ პროდუქტებს ამატებს;

მავნებელია მაიონეზი, კეტჩუპი, ნაირგვარი სოუსი და საკმაზი, რადგან შეიცავს საღებავებს, გემოს შემცვლელებსა და კონსერვანტებს, რომლებიც ორგანიზმის მიკროფლორას არღვევს და სასარგებლო ბაქტერიებს ანადგურებს;

სიაშია სწრაფი მომზადების ვერმიშელიც, რომელიც ქიმიური წარმოებისაა;

არანაკლებ მავნებელია მარილი, რადგან აქვეითებს წნევას, არღვევს მარილის ბალანსს ორგანიზმში, აგროვებს ტოქსინებს.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ულამაზესი ციხესიმაგრეები

**შუა საუკუნეებში ციხესიმაგრეში შესვლა მხოლოდ დიდგვაროვნებსა და მსახურებს შეეძლოთ. დღეს მეფეთა სამფლობელოების უმეტესობა მუზეუმებადაა ქცეული და ტურისტებს მასპინძლობს.**



**შანონსო, საფრანგეთი.** შანონსო XVI საუკუნეში კატერინა ბრიკონეს ბრძანებით აიგო. ციხესიმაგრე მდინარე შერზეა გაშენებული და მას ხიდივით კვეთს. ციხესიმაგრის აღმოსავლეთით დიანა დე პუატიეს მიერ გაშენებული ბაღები მდებარეობს, ხოლო დასავლეთით განთავსებული ბაღები სახელგანთქმული ეკატერინე მედიჩის ბრძანებითაა გაშენებული.

ციხესიმაგრის ბინადართა შორის იყო ჰენრიხ II-ის სატრფო დიანა დე პუატიე, მეფის სიკვდილის შემდეგ კი ციხესიმაგრე ეკატერინე მედიჩიმ დაიკავა. შანონსოს სტუმრობდა მარია სტიუარტი, ხოლო ქალბატონი დიუპენი აქ ვოლტერსა და რუსოს მასპინძლობდა.



**ალგამბრას ციხესიმაგრე, ესპანეთი.** ევროპაში ის ერთ-ერთ უძველეს ნაგებობად მიიჩნევა — „წითელი ციხესიმაგრე“ (ასე ითარგმნება მისი სახელწოდება ესპანურიდან) IX საუკუნეში აიგო. XVIII საუკუნეში მიგდებული იყო, ნაპოლეონის ეპოქაში კი გრანადაში განთავსებული ჯარების ყაზარმად აქციეს. 1870 წელს ალგამბრა ნაციონალურ კუთვნილებად გამოაცხადეს და დაცვის ქვეშ აიყვანეს.



**თეთრი ყანჩის ციხესიმაგრე, იაპონია.** ჰიმეძის ციხესიმაგრე („თეთრი ყანჩა“) მთის წვერზე ნაშენები 83 ნაგებობისგან შედგება. ის კლასიკური იაპონური არქიტექტურის ეტალონია. თავიდან ის ციხესიმაგრე იყო, რომლის თავდაცვის ელემენტებიდან ყველაზე ცნობილი მთავარი ციტადელის დამცველი ბილიკების ლაბირინთია. მას პოტენციური თავდამსხმელები ჩიხში შეჰყავდა, სადაც შემდეგ დამხვდური ჰაერიდან უტევდა და ანადგურებდა.

**შენბრუნი, ავსტრია.** ჰაბსბურგების დინასტია ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გავლენიანი სამეფო გვარი იყო XVIII საუკუნეში. ამ გვარის წარმომადგენლებს ხელოვნებისადმი სიყვარული ახასიათებდათ, რის დასტურსაც ვენის შუაგულში მდებარე შენბრუნის ციხესიმაგრე წარმოადგენს.

შენბრუნი ბაღებსა დ აპარკებში ჩაფლულ არქიტექტურულ ანსამბლს წარმოადგენს. მისი ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა „რომის ნანგრევებია“, რომლის შექმნაც არქიტექტორებს ანტიკურმა არქიტექტურამ შთააგონა.





**ვარტბურგი, გერმანია.** სიტყვა „ვარტბურგი“ უფროსი თაობის წარმომადგენლებისთვის იმავე სახელწოდების ავტომანქანითაა ცნობილი, რომელსაც გდრ-ს არსებობის წლებში უშვებდნენ. არადა, თავისი სახელწოდება ავტომანქანამ სწორედ გერმანიის უძველესი ციხესიმაგრისგან მიიღო. ტიურინგიაში მდებარე ამ ციხესიმაგრემ, თავისი 938-წლიანი არსებობის მანძილზე უამრავ ისტორიულ მოვლენაში მიიღო მონაწილეობა და მარტინ ლუთერმაც ბიბლია გერმანულად სწორედ აქ თარგმნა.



**ჩაპულტეპეკი, მექსიკა.** ერთი შეხედვით, ჩრდილოეთ ამერიკა არ იწვევს სიტყვა „ციხესიმაგრის“ ასოციაციას. მიუხედავად ამისა, აქ საკმარისად ბევრია ისეთი ტიპის ნაგებობა, რომლებიც ჯერ კიდევ კონტინენტის დაპყრობამდე აშენდა. ჩრდილოეთ ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ციხესიმაგრე ჩაპულტეპეკი მექსიკის დედაქალაქს გადმოჰყურებს. თავდაპირველად ის სამეფო ოჯახის სახლი იყო, შემდეგ — ობსერვატორია და სამხედრო აკადემია, ახლა კი ისტორიული მუზეუმია.



**მეფე ლუდვიგის ციხესიმაგრე, გერმანია.** შუა საუკუნეების გერმანული არქიტექტურის კიდევ ერთი წარმომადგენელი — ბავარიული ციხესიმაგრე მთის წვერზე მდებარეობს და მისი სარკმელებიდან ისეთი ხედი იშლება, რომლის მაგვარსაც მსოფლიოს ვერც ერთი ციხესიმაგრიდან ვერ ნახავთ. თავდაპირველად ციხესიმაგრე **Neuschwanstein**, რაც „გედის ახალ ქვას“ ნიშნავს, ლუდვიგ II-ს რეზიდენციის როლს ასრულებდა, ახლა ის გერმანიის ერთ-ერთი უდიდესი ღირსშესანიშნაობა.

**ბომარისი, უელსი.** არქიტექტურული თვალსაზრისით, ბომარისი დიდი ბრიტანეთის საუკეთესო ციხესიმაგრედ მიიჩნევა. შესაძლოა ეს მისი წარმოშობით აიხსნებოდეს — ციხესიმაგრე ჩრდილოეთ უელსის დაპყრობისას მეფე დუარდ I-ის სპეციალური განკარგულებით აიგო.

ციხესიმაგრე ენგლზიში მდებარეობს, ხოლო მისი სახელწოდება ითარგმნება როგორც „მშვენიერი ჭაობი.“ ბომარისის მშენებლობა 1295 წელს დაიწყო და 35 წელი გრძელდებოდა.



**შამბორი, საფრანგეთი.** შამბორის ციხესიმაგრეში საფრანგეთის მონარქები ქალაქური აურზაურისა და სახელმწიფო საქმეებისგან ისვენებდნენ. დღეს შამბორი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ციხესიმაგრეა და შუა საუკუნეების ფრანგული და კლასიკური იტალიური არქიტექტურის შერწყმას წარმოადგენს.



**პრაღის ციხესიმაგრე, ჩეხეთი.** მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ციხესიმაგრეა. აქ ბოჰემიის სამეფო რეგალიები ინახება. ლეგენდის თანახმად, თუ ტახტს უზურპატორი დაიკავებდა, რეგალიები მას ერთი წლის განმავლობაში სიკვდილს მოუტანდა. უძველესი თქმულება მეორე მსოფლიო ომის დროს დადასტურდა — რეინჰარდ ჰეიდრიხი გვირგვინის დადგმიდან ზუსტად ერთ წელიწადში მოკლეს.

ჩეხეთის მეფეები და პრეზიდენტები ამ უზარმაზარ ციხესიმაგრეში IX საუკუნიდან ცხოვრობდნენ. ციხესიმაგრის ტერიტორიაზე არა მარტო რეზიდენცია, არამედ ეკლესიები, სასახლეები, კოშკები, საჯინიბოები და ბაღები მდებარეობს.



გსურთ, გამოვიყენოთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## კონტრაცეპტივები ფრანგი მტრედებისთვის




**საფრანგეთის ქალაქ ბრინიოლის მთავრობამ მტრედების გამრავლებასთან ბრძოლა დაიწყო. პოპულაციის უზომო ზრდის შესაჩერებლად ფრინველებს კვებავენ სიმინდის მარცვლით, რომელიც სპეციალურ ჩასახვის საწინააღმდეგო პრეპარატს შეიცავს.**

მტრედების ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებით უზრუნველყოფა მერიაში მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც მიხვდნენ, რომ არა მხოლოდ მტრედებს, არამედ მათ შესახებ ყოველი მხრიდან შემოსულ საჩივრებსაც ვეღარ უმკლავდებოდნენ. „ისინი არიან ყველგან, უშლიან ტურისტებს და ქალაქის მოსახლეობას, ჭამენ, სვამენ, უაზროდ დაეხეტებიან და მრავლდებიან“, — განაცხადეს ქალაქის ადმინისტრაციაში. მათი გათვლით, ქალაქის ყოველ 4 კვადრატულ კილომეტრზე საშუალოდ 400-600 მტრედი მოდის.

ახლა ქალაქის რამდენიმე ყველაზე მტრედმრავალ ადგილას კონტრაცეპტივებიანი სიმინდის თასები დადგეს, მანამდე, ცხადია, ჯანდაცვის სამინისტრომ და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გულდასმით შეარჩიეს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალება მტრედებისათვის და მათთვის ოპტიმალურ პრეპარატზე შეაჩერეს არჩევანი. გარდა ამისა, ეს კონტრაცეპტივი აბსოლუტურად უვნებელია ჯანმრთელობისათვის და დანიშნულებისამებრ არ მოქმედებს არც ერთი სხვა ფრინველის, ცხოველის ან ადამიანის მიერ მიღების შემთხვევაში.

## არც ერთი ვენეციელი — ვენეციაში



**ამერიკელი მეცნიერების მიერ ჩატარებული დნმ-ის კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ვენეციელი ადამიანი ბუნებაში არ არსებობს.**

მიუხედავად ხანგრძლივი და გულითადი ძებნისა, მეცნიერებმა ვერ აღმოაჩინეს დნმ-ის ვერც ერთი ფრაგმენტი, რომელიც მხოლოდ ვენეციელებისათვის იქნებოდა დამახასიათებელი. მეცნიერები თვლიან, რომ ამის მიზეზი ვენეციის ისტორიული როლია. ის ყოველთვის იყო დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურების აღრევის ცენტრი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ვენეციელების ორ მესამედს ევროპელთათვის დამახასიათებელი გენეტიკური კოდი აქვთ. კვლევა 2009 წლის ნოემბრიდან დაიწყო. მასში მონაწილეობდნენ მხოლოდ მამაკაცები და ისიც იმ პირობით, თუ მათი ბებია ან პაპა ვენეციაში იყო დაბადებული.

## მოგზაურობა პლასტიკატის ბოთლებით

**სან-ფრანცისკოდან სიდნეიმდე წყნარი ოკეანის გადასაცურად პლასტიკატის ბოთლებისაგან შეკრულ გემს 128 დღე დასჭირდა. ამ გემის მშენებლობისთვის კი თავის დროზე 12500 ბოთლი გამოიყენეს.**

ეს გენიალური იდეა ბრიტანელი ბანკირების ოჯახის შთამომავალს — დევიდ დე როტშილდს ეკუთვნის. გემის შექმნა მან ჯერ კიდევ 2006 წელს გადაწყვიტა, მას შემდეგ, რაც გაეროს მოხსენებაში წაიკითხა, რომ პლასტიკატის ბოთლები სერიოზულ საფრთხეს უქმნიან მსოფლიო ოკეანეს. ამით იმის დამტკიცება სურდა, რომ ნაგავი, მხოლოდ გარემოს დასაბინძურებლად კი არა, სასარგებლო საქმისთვისაც შეიძლება გამოიყენონ. გემს სახელად „პლასტიკი“ უწოდეს.

ბოთლები ერთმანეთზე ორგანული წებოს საშუალებითაა მიკრული. ანძის ფუნქციას ალუმინის მილი ასრულებს, ენერგიის წყარო მზის ელემენტები და ქარის წისქვილია. გემზე გაშენებულია მომცრო ზომის ბოსტანი მოგზაურობისას საკვების გამრავალფეროვნებისათვის.

ეკიპაჟი ექვსი ადამიანისაგან შედგებოდა და ცურვისას ისინი ერთ მომცრო ზომის კაიუტაში ცხოვრობდნენ. „პლასტიკის“ კაპიტანი გემის ერთადერთი ქალი ჯო როილი იყო. ამ მოგზაურობის შემდეგ გემი გადასამუშავებლად უნდა ჩაებარებინათ, მაგრამ ეს გადაწყვეტილება შეიცვალა და ახლა „პლასტიკი“ ავსტრალიის საზღვაო მუზეუმის ექსპონატი გახდება.

# ზესაიდუმლო ამერიკა

# უშიშროების ყველაზე ძვირადღირებული რაინდები

**ამერიკულ გამოცემებს შორის ყველაზე კეთილგანწყობილი და ხელისუფლების მიმართ მოწინებული დამოკიდებულებით გამორჩეულ გაზეთ „Washington Post“-ის ჟურნალისტების მიერ ჩატარებული ორწლიანი გამოძიების დასკვნა ასეთია: 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ნაციონალური უშიშროების სისტემა იმდენად გაიზარდა, რომ უკვე შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს, რამდენი ადამიანი მუშაობს მასში, რა ჯდება უსაფრთხოება და რამდენად ეფექტურად მუშაობს ეს მონსტრი. სისტემა ქმნის ჭარბ ინფორმაციას, რომლის გაანალიზების შეუძლებლობამაც უკვე გამოიწვია ადამიანთა მსხვერპლი. მეორეს მხრივ, კერძო ორგანიზაციები იმდენად მჭიდროდ არიან უშიშროების სისტემაში ჩაქსოვილნი, რომ სახელმწიფოს მათ გარეშე მუშაობა აღარ შეუძლია. რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, მათი მომსახურება ქვეყანას გაცილებით უფრო ძვირი უჯდება, ვიდრე თანამშრომელთა შტატში აყვანა. და ბოლოს, ამ კერძო „ზესაიდუმლო ამერიკას“ კრიზისი არ შეხებია, არავითარი უმუშევრობა — ის ზრდას განაგრძობს.**



ის, რომ აშშ-ის სპეცსამსახურები მსოფლიოში ყველაზე დატოტვილი სისტემაა და უამრავ თანამშრომელს მოიცავს, დიდი ხანია, ყველასათვის კარგადაა ცნობილი. მიუხედავად ამისა, **„Washington Post“-ის გამოძიებამდე ერთი დღით ადრე ვერც ერთი სპეციალისტი ვერ გიპასუხებდათ კითხვაზე, მაინც რამდენი სტრუქტურაა ამ სისტემაში. ახლა ეს პასუხი მთელმა მსოფლიომ იცის — აშშ-ის უშიშროება 1300-მდე სახელმწიფო და 2000-მდე კერძო ორგანიზაციის ხელთაა. ცნობილი გახდა ისიც, რომ დედამიწაზე უდიდესი სისტემის შიდა კოორდინაცია, კონტროლი და შესაბამისად, მუშაობის შედეგებიც მინიმალურია.**

**ამ საიდუმლო ორგანიზაციების უამრავი თანამშრომლის სამუშაო ფართით უზრუნველსაყოფად უკვე მოქმედი და მშენებარე ნაგებობების საერთო ფართი 22-ჯერ აღემატება აშშ-ის კონგრესისას და 3-ჯერ — პენტაგონისას.** რამდენი თანამშრომელია დასაქმებული აღნიშნულ სტრუქტურებში, ორწლიანი ჟურნალისტური გამოძიების შედეგადაც კი, რომელშიც 15 რეპორტიორი და ორი წამყვანი ანალიტიკოსი — დანა პრისტი და უილიამ არკინი იყო დაკავებული, დაახლოებითაც ვერ გაირკვა.

ვერც ის დადგინდა, თუ რამდენი დაიხარჯა და რამდენი იხარჯება ახლა. სამაგიეროდ, უკვე ცნობილია, რომ **ზესაიდუმლო ინფორმაცია ხელმისაწვდომია 850 ათასზე მეტი თანამშრომლისათვის (არადა, აქამდე ითვლებოდა, რომ აშშ-ის სადაზვერვო სისტემაში სულ 200 ათასი თანამშრომელია), რომელთა ცხოვრებაში სიცრუის დეტექტორები, ნარკოტიკული ტესტირებები, საიდუმლო გამოძიებები, ფსიქოლოგიური ტესტები და ასე შემდეგ ჩვეულებრივი მოვლენაა. კიდევ უამრავი სხვა მეთოდის გამოყენების შედეგად დანარჩენი ამერიკელებისათვის მათი ამოცნობა აბსოლუტურად შეუძლებელია. მათგან 260 ათასამდე პირი კერძო სპეცსამსახურის წარმომადგენელია.** არადა, ხომ ცნობილია, რომ ის, რაც იცის ორზე მეტმა, იცის ყველამ. ალბათ, ამის გამოა, რომ მიუხედავად არნახული მასშტაბებისა და დანახარჯებისა, 2001 წლის მოვლენების შემდეგ აშშ-ის სპეცსამსახურები ვერც ერთი განსაკუთრებული წარმატებით ვერ დაიკვეხნიან.

აშშ-ის სადაზვერვო სისტემაში დასაქმებულთა ერთი მესამედი სახელმწიფო მოხელე არაა. ესენი არიან კერძო სპეცსამსახურების თანამშრომლები, რომლებიც შპიონების გადაბირების, უცხოეთის ქვეყნების ხელისუფლებათა კონტროლის, უპილოტო თვითმფრინავების ფრენის უზრუნველყოფისა და სხვა საქმეებს ასრულებენ. ისინი შეუცვლელები გახდნენ სტრუქტურისათვის, რომელზეც აშშ-ის უშიშროებაა დაფუძნებული. **აშშ-ის ხელისუფლებამ შექმნა იმდენად დიდი, რთული და ძნელად სამართავი უშიშროების სისტემა, რომ დედამიწაზე არ მოიძებნება ადამიანი, რომელმაც იცის, ასრულებს თუ არა ის თავის უმთავრეს ფუნქციას.** სამაგიეროდ, გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ გადასახადების გადამხდელებს ეს სისტემა მხოლოდ შარშან 75 მილიარდი დოლარი დაუჯდათ.

როგორც შედარებით ახალ სტრუქტურას, შიდა უშიშროების სამინისტროს სულ რაღაც 230 ათასი თანამშრომელი ჰყავს. აშშ-ში ჩასული ნებისმიერი უცხოელი აეროპორტშივე შეხვდება, სულ მცირე, ერთ-ერთ მათგანს. სხვა უამრავ სამსახურთან ერთად, ამ უწყებას ექვემდებარება საიდუმლო სამსახური, რომელიც ამერიკის ხელისუფლებას — ბოროტმოქმედთაგან, ამერიკულ დოლარს კი გაყალბებისაგან იცავს.

**თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამსახურში 16,5 ათასი თანამშრომელია, გეოკოსმოსური დაზვერვის ეროვნულ სამმართველოში — 8,5 ათასი, ცსს-ში — დაახლოებით 30 ათასი. ამათგანაც მესამედი კერძო სტრუქტურის წარმომადგენელია. ნაციონალური უშიშროების უზრუნველყოფა აშშ-ში ყველაზე შემოსავლიან ბიზნესად იქცა. კერძო სტრუქტურები გამოცდილ სახელმწიფო მოხელეებს ხელფასების გაორმაგების, ბონუსებისა და ძვირადღირებული მანქანების დარიგების პერსპექტივას აგუებენ. მთელი რიგი უწყებები უკვე წუწუნებენ, რომ სახელმწიფოს ძალზე ძვირი უჯდება კერძო სექტორი, მაგრამ, ვინაიდან უიმისოდ სტრუქტურა მთლიანად დაიშლება, წამოყენებულ პირობებზე დათანხმება უწევს.**

> **აშშ-ის ხელისუფლებამ შექმნა იმდენად დიდი, რთული და ძნელად სამართავი უშიშროების სისტემა, რომ დედამიწაზე არ მოიძებნება ადამიანი, რომელმაც იცის, ასრულებს თუ არა ის თავის უმთავრეს ფუნქციას.**

მთელი რიგი ფირმები დაკავებულნი არიან ციფრული მაგისტრალების უზრუნველყოფით აშშ-ის სამართავ პუნქტებში ინფორმაციის რეალური დროის რეჟიმში გადაცემისათვის. მათემატიკოსებისათვის მსოფლიოში მთავარი დამსაქმებელი ეროვნული უშიშროების სააგენტოა. ის პირდაპირი გაგებით შეისრუტავს ყველა ახალ ტექნოლოგიას და აკონტროლებს ინფორმაციას პლანეტაზე. მისი ბიუჯეტი არავინ იცის, მაგრამ ცნობილია, რომ 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ, ის გაორმაგდა.

**ამ პარალელურ სამყაროში, რომელსაც სახელად ზესაიდუმლო ამერიკა ჰქვია, მარჯვენა ხელმა არ იცის, რას აკეთებს მარცხენა. ყველაზე დიდი აბსურდი ისაა, რომ სხვა უწყებების მუშაობის კოორდინირებაზე პასუხისმგებელ უწყებებს არ აქვთ კანონიერი უფლება, მათი მისამართით რაიმე ბრძანება გასცენ. ტოტალური დევნის, თვალთვალისა და დაკვირვების მონსტრს ვერ აკონტროლებს ვერც სახელმწიფო, ვერც საზოგადოება.** ამერიკული საზოგადოება, ისევე, როგორც თითქმის ნებისმიერი სხვა, უკვე დიდი ხანია, ჩამოშორებულია სახელმწიფოს მართვის ყველა მნიშვნელოვან მიმართულებას. **უშიშროების სისტემის გაკონტროლება არავის შეუძლია. არის უამრავი მაგალითი, როდესაც მსხვილი სადაზვერვო სამმართველოების ხელმძღვანელები თვეობით, ზოგჯერ კი წლობითაც, მხოლოდ იმას აკეთებდა, რაც თავად მოესურვებოდა და ამის შესახებ არავის არაფერი გაუგია მანამ, ვიდრე მათ დაუდევრობას მასშტაბური კატასტროფები არ მოჰყვა.**

11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ ათობით ამერიკელ გენერალს დაუნიშნეს სოლიდური პირადი დაცვა, რისი გამართლებაც რაიმე, თუნდაც წარმოუდგენელი, აუცილებლობითაც კი შეუძლებელი გახდა. სამწუხაროდ, აბსოლუტურად საფუძვლიანია დასკვნა, რომ მოქმედებდა, მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ავტოკრატიულ სახელმწიფო კაპიტალიზმთან დაახლოების პროცესი, რაც, პირველ რიგში, ამერიკას ეხება. **ამერიკას, სადაც სახელმწიფოს, ტრადიციულად, უმნიშვნელო როლი ენიჭებოდა და სადაც ტრადიციული ლიბერალიზმისადმი ურღვევი მიჯაჭვულობა არსებობდა. მოულოდნელად ამ სახელმწიფოში გაჩნდა უზარმაზარი, აბსოლუტურად არავის და არაფერს დაქვემდებარებული, ძალიან ძვირადღირებული უშიშროების აპარატი, რომელსაც თითსაც ვერავინ დააკარებს. ეს აპარატი ნამდვილ სიმსივნესავითაა და ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროზე ავრცელებს თავის მეტასტაზებს. მეორეს მხრივ, ქმნის ამერიკელთა კლასს, რომელსაც უდიდესი დაინტერესება აქვს, რომ სისტემა არსებობდეს და მუშაობდეს.**

ერთხელ ადამ სმიტმა თქვა, რომ ერის დაღუპვის მიზეზი თავად ამ ერშია დამალული. **11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ ამერიკული აკვიატებული აზრის — დემოკრატიის ძალადობრივი „ექსპორტის“ — განვითარების შესაბამისად, საკუთრივ მისი დემოკრატიის საფუძვლებმა შემაშფოთებელი სისწრაფით იწყო ლპობა.**

inosmi.ru

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# წაგების საფრთხე და ლინდონ ჯონსონის მომავალი ბარაკ ობამასთვის

**ამერიკის ომებთან დაკავშირებით, ძალზე ხშირად ახსენებენ სახელს, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას კარგს არაფერს უქადის. ეს ამერიკის 36-ე პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონია, რომელიც, ობამას მსგავსად, დემოკრატი და ენერგიული რეფორმატორი იყო, მაგრამ დამარცხდა, რადგან მისი პრეზიდენტობისას ამერიკის ჯარი საზღვარგარეთ ომობდა. მიუხედავად იმისა, რომ ჯონსონი თამამად შეუდგა იმ პრობლემების გადაჭრას, რომლებთან მიახლოებასაც კი ვერ ბედავდნენ სხვები, ვიეტნამმა გაანადგურა აბსოლუტურად ყველა შანსი იმისა, რომ ის, როგორც მმართველი, ოდესმე საუკუნის ერთ-ერთ გამოჩენილ პრეზიდენტად მოხსენიებულიყო. ის ომისდროინდელი პრეზიდენტი იყო და თავისი საგარეო პოლიტიკით მთლიანად გააუფერულა შიდა მიღწევები. მშვიდობის ნობელის ლაურეატი ობამა სულ მალე მის ბედს გაიზიარებს.**





## ამერიკელები და მისი მოკავშირეები იგებენ ბრძოლებს, მაგრამ აგებენ ომს

ერაყი არასდროს ყოფილა ვიეტნამი, ავღანეთი კი — ვერასდროს იქნება. შედარებისას კრიტიკოსებმა იჩქარეს და ისტორიული ფაქტები შეალამაზეს. **ვიეტნამის ომის პიკისას, ამ ქვეყანაში 543 000 ამერიკელი სამხედრო იყო, ეს ორნახევარჯერ მეტია ამერიკელი სამხედროების იმ რაოდენობაზე, რაც ახლაა ერაყსა და ავღანეთში ერთად. ვიეტნამის ომის დასრულებისას იქ დაღუპულ ამერიკელ სამხედროთა რაოდენობა 58 000-ს აჭარბებდა. 1968 წელს ყოველ კვირას ათასამდე მსხვერპლი იყო. კონფლიქტს სულ მცირე 3 მილიონი ვიეტნამელი და ნახევარ მილიონზე მეტი კამბოჯელი შეეწირა.**

მსგავსება სხვა რამეშია — ამერიკელი პრეზიდენტების პოლიტიკურ ქცევასა და განცხადებებში ამ კონფლიქტებისას. თავისი წინამორბედი ჯონსონისა და რიჩარდ ნიქსონის მსგავსად, ობამამ პირობა დადო, რომ ომი მალე დასრულდება და მათსავით განაცხადა, რომ ამერიკის მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში მართვის სადავეები ადგილობრივ ხელისუფლებებს უნდა დაუბრუნოს.

**ობამა აცხადებს, რომ 2011 წლის ბოლომდე სრულიად გამოიყვანს ერაყიდან ამერიკულ ჯარს, 2011 წლის ივლისში კი ჯარის გაყვანას დაიწყებს ავღანეთიდან. მსგავსი არაფერი მოხდება. ნოემბერში ავღანეთში კიდევ 30 000 სამხედრო გაიგზავნება და ამ ქვეყანაში ამერიკის კონტინგენტი 100 000-ს გადააჭარბებს. გამოდის, რომ ამ 30 000 ჯარისკაცს 9 თვეზე ნაკლები დრო ექნება იმისათვის, რომ რადიკალურად შეცვალოს ამჟამად არსებული მდგომარეობა. დღევანდელობის გათვალისწინებით, ეს განწირული წამოწყებაა.**

უკანასკნელი რამდენიმე კვირის მოვლენებმა დაამტკიცა, რომ ავღანეთში არც ერთი გამარჯვება არ ნიშნავს იმას, რომ კოალიციური ძალები მდგომარეობას აკონტროლებენ. **ამერიკელები და მისი მოკავშირეები იგებენ ბრძოლებს, მაგრამ აგებენ ომს. ახლა მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრს ამზადებენ თალიბების მშობლიურ კანდაგარზე გადამწყვეტი იერიშისათვის და ზებუნებრივი ნიჭი არაა საჭირო იმის მისახვედრად, რომ სულ მალე კანდაგარიდან ცუდი ამბების ნაკადი წამოვა. ეს ამბები კი კიდევ ერთხელ დაადასტურებს, რომ ამ ომში გამარჯვების მოპოვება შეუძლებელია.**

ავღანელთა უმეტესობა თავის კორუმპირებულ და არაკომპეტენტურ ხელისუფლებასთან მორიგდა და აღარაა დაინტერესებული ამერიკელებისა და მისი მოკავშირეების წარმატებებით. **ახლა ავღანელებს ყველაზე მეტად ის უნდათ, თუნდაც ხელისუფლებაში თალიბების მოსვლის სანაცვლოდ, მათი მიწიდან ყველა უცხოელი რომ გაქრეს.**

კოალიციური ძალების მიერ ტერიტორიის ხელში ჩაგდება ყოველთვის მოკლევადიანი გამარჯვება იყო. ავღანეთის ტერიტორიის უზარმაზარ ნაწილებს სხვადასხვა დაჯგუფებები, კლანები, თემის ლიდერები და საველე მეთაურები აკონტროლებენ. უცხოელები ყველა მათგანს, როგორც წესი, ერთ შეფუთვაში აგროვებენ და ერთიან იარლიყს **თალიბანი** აწებებენ. **სინამდვილეში ავღანური საზოგადოება რთული და ჩახლართული აბლაბუდაა, რომელიც სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური, გეოგრაფიული, კულტურული და თემური კუთვნილების ხალხთაგან შედგება. უცხოელებმა, ჯობს, არც იოცნებონ, რომ ოდესმე საკმარისად კარგად გაერკვევიან ამ აღრევაში. ადამიანი, რომელმაც არ იცის, ვინ ვისი სიძე და სიმამრია, რომელი თემის მეთაური რომელი პოლიციის უფროსს აძლევს ქრთამს და ასე შემდეგ, ავღანეთში ყოველთვის გადაუჭრელი პრობლემების წინაშე იდგება.**

ავღანეთში მოქმედების შესაძლო ვარიანტები ურთიერთსაწინააღმდეგო და ექსტრემალურია. და ძალზე რთულია წინასწარ განსაზღვრა, თუ რა შედეგი მოჰყვება ამა თუ იმ ვარიანტის არჩევას. ევროპელებს მთელი ჯარის სწრაფი გაყვანა სურთ, ჩვენს შემდეგ ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილაო. კანადას, ნიდერლანდებს, პოლონეთს, ავსტრალიასა და კიდევ ბევრ სხვას ან უკვე გაჰყავს ჯარი, ან სერიოზულ ეჭვქვეშ აყენებს ამ ომში საკუთარი მონაწილეობის აუცილებლობას. **კოალიცია იშლება და ობამას რთული არჩევანის გაკეთება მოუწევს: განაგრძოს ბრძოლა ამერიკულ-ბრიტანული გამაკოტრებელი ომის სახით ან დაასრულოს ის გამარჯვების გარეშე. განსაკუთრებული მიმზიდველობით არც პირველი ვარიანტი გამოირჩევა და არც — მეორე.**

ვიდრე ავღანეთში საერთაშორისო ძალების სარდალ სტენლი მაკარტნის უსახელოდ გადადგომას აიძულებდნენ, მან ერთი ბანალური ჭეშმარიტება თქვა: მთავარი ომის სწრაფად დამთავრება კი არა, მისი სწორად დამთავრებაა. თუ ობამა მართლაც მსოფლიო ლიდერია, როგორც მას პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩევისას უწოდებდნენ, მან ერთ მაგიდასთან მთელი მსოფლიოს ძალები უნდა შეკრიბოს უმნიშვნელოვანესი კონფერენციისათვის, რომელსაც ავღანეთი ერქმევა. ამ მაგიდასთან უნდა დასხდნენ რუსეთი, ჩინეთი, პაკისტანი, ირანი, რაიმე ფორმით — „თალიბანი“ და ზოგიერთი საველე მეთაური. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი გარანტირებული კატასტროფიდან გამოსავლის პოვნა.

**უამისოდ ავღანეთის მომავლის განსაზღვრა ძნელი არაა: ამერიკელები და მათი მოკავშირეები ჯერ ნელა, შემდეგ კი რაც შეიძლება სწრაფად გაიქცევიან გემიდან, რომელიც იძირება. დროთა განმავლობაში იქიდან გაეროც კი წავა თუნდაც თავისი თანამშრომლების გადასარჩენად. ქაოსში ჩაძირულ ქვეყანას მხსნელად თალიბები მოევლინებიან, ანუ ისტორიის სრული ციკლი დასრულდება და მთელი ძალისხმევა, ისევე, როგორც მთელი მსხვერპლი, აბსოლუტურად ფუჭად ჩაივლის. ავღანეთი 2001 წელს დაუბრუნდება.**

ფსონი ბევრად უფრო დიდია, ვიდრე მხოლოდ ერთი ქვეყნისა და მისი საზოგადოების სტაბილურობა. ავღანეთის კონფლიქტი, ისევე, როგორც ერაყისა, მთელ რეგიონსა და პოლიტიკური გავლენის სფეროებს უკავშირდება, ეს მსოფლიო ლიდერობისათვის ბრძოლის დამამთავრებელი ფაზაა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. **შესაძლოა, დადგეს დრო, როდესაც ისტორიკოსები იტყვიან, რომ 21-ე საუკუნის დასაწყისში ამერიკამ ერაყისა და ავღანეთის ბრძოლის ველებზე ზესახელმწიფოს სტატუსი წააგო და ის მთელ მსოფლიოში „რბილი ძალით“ მოქმედ ჩინეთს გადასცა. დღეს უკვე ბევრს მიაჩნია, რომ ეს ძალა აჭარბებს ამერიკისას. სავსებით შესაძლებელია, ბარაკ ობამა ისტორიაში შევიდეს როგორც პრეზიდენტი, რომელმაც მსოფლიოს ამერიკის მსოფლიო მმართველობის საბოლოო აღსასრულის შესახებ აუწყა.**

inosmi.ru

# ყველაზე ზარმაცი შტატი




**შრომითი სტატისტიკის ამერიკულმა ბიურომ აშშ-ის ყველაზე „ზარმაც“ შტატად ლუიზიანა აღიარა. რეიტინგში მეორე ადგილზე მისისიპი აღმოჩნდა, მესამეზე კი — არკანზასი.**

მკვლევარებმა დაითვალეს, ამა თუ იმ შტატის მცხოვრებლებს დღე-ღამეში რამდენ საათს რას აკეთებენ. გაირკვა, რომ ლუიზიანელები ყველაზე იშვიათად არიან დაკავებულნი სპორტის აქტიური სახეობებით. მათ ყოველდღიურად 8 საათი და 44 წუთი სძინავთ, 3 საათისა და 5 წუთის განმავლობაში ტელევიზორს უყურებენ, 54 წუთს ატარებენ სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში, აბსოლუტურ უსაქმურობას (რელაქსაცია) კი 29 წუთს უთმობენ. რაც შეეხება მუშაობას, ლუიზიანელები საამისოდ დღე-ღამეში მხოლოდ 2 საათისა და 41 წუთის განმავლობაში იცლიან ეს კი სხვა ყველა შტატის მაჩვენებელზე ნაკლებია.

საერთოდ აშშ-ში საშუალო მაჩვენებლები შემდეგნაირია: ძილი — 8 საათი და 35 წუთი, ტელევიზორის ყურება — 2 საათი და 38 წუთი, ახლობლებთან ურთიერთობა — 44 წუთი, უმოქმედობა — 18 წუთი და მუშაობა — 3 საათი და 23 წუთი. ყველაზე აქტიურ შტატში, ჩრდილო დაკოტაში სულ 8 საათი და 4 წუთი სძინავთ და ხუთ საათზე მეტს მუშაობენ.

# ყველაზე გრძელი სიმღერა



**ავსტრალიელმა მუსიკოსებმა დაწერეს სიმღერა, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე გრძელი სიმღერის ტიტულზე აქვს პრეტენზია. ის საქველმოქმედო სინგლის სახით გამოიცემა, თუმცა რეკორდი ჯერ ოფიციალურად მას არ ეკუთვნის.**

სიმღერის შექმნაში 168 ავტორი მონაწილეობდა და მათ შორის გარემოს დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის მინისტრი პიტერ გარეტიც აღმოჩნდა. მან სიმღერის ტექსტისთვის ორი სტრიქონი დაწერა; თარგმანში ეს სიტყვები დაახლოებით შემდეგნაირად ჟღერს: „ჩემს გულში სიმღერა ისმის, მე მაქვს ამბავი, რომელიც უნდა ვიმღეროთ“. სიმღერის შექმნის მიზანი ნაკლებად ცნობილი შემსრულებლებისადმი საზოგადოების ყურადღების მიპყრობა გახდა.

# სასტუმრო კატებისთვის



**ბრიტანეთის ჰარტფორდშირის საგრაფოში კატებისათვის ფეშენებელური სასტუმრო გაიხსნა. ერთი სტუმრისათვის ღამის გათევა იქ 18-დან 22 დოლარამდე ღირს, მაგრამ სპეციალური კვების თანხა ცალკეა გადასახდელი.**

სტუმრებისათვის მომსახურების ფართო სპექტრი და კომფორტული ნომრები უზრუნველყოფილია. კატების ოთახებში არის სპეციალური სათამაშო სახლები, ხალიჩები და საწოლები. საძინებლების ფანჯრები გადის ბაღში, სადაც ფრინველებით სავსე რამდენიმე გალია დგას იმისათვის, რომ კატები მათი ყურებით გაერთონ. ფისოებისთვის სპეციალურად შერჩეული მუსიკა — ძირითადად, კლასიკა და ჯაზი — ისმის.

სტუმრებისათვის გათვალისწინებულია მასაჟი, მანიკური, მზის აბაზანები და ვერცხლის ლანგრებზე გაწყობილი სუფრა. მენიუ კატის პატრონის გემოვნების მიხედვით ირჩევა. სასტუმროს მფლობელნი თვლიან, რომ კატები იმსახურებენ ისეთსავე მოპყრობას, როგორსაც მათი პატრონები. ცხოველებისათვის სასტუმროები თითქმის მთელ მსოფლიოში იხსნება და ისინი, ძირითადად, წარმოადგენენ საერთო საცხოვრებლებს, სადაც ოჯახები დასასვენებლად წასვლისას ტოვებენ თავიანთ შინაურ ცხოველებს. როგორც ცნობილი გახდა, სულ მალე ცხოველებიც რიგიანად დაისვენებენ — აშშ-ში მათთვის სპეციალური კურორტი იხსნება.

# უნივერსალური წყალი „ისიდა“



## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგეგნლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21.**
**890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**

# აქ ყველაზე დაბალი ფასებია!




## «ტექნო ბუმში» ნამდვილი ბუმი დაიწყო

დღეიდან ტექნიკის მაღაზიათა ქსელი **„ტექნო ბუმი“** ნამდვილ ბუმს იწყებს და პირველად საქართველოში ბუმის საბითუმო ცენტრს საზეიმოდ ხსნის, სადაც მსოფლიო ბრენდების უახლესი ტექნიკის შეძენას საბითუმო ფასად შეძლებთ.

მენეჯმენტის ინფორმაციით, **საბითუმო ცენტრი განსხვავებული სისტემით იმუშავებს და სრულიად განსხვავებული ფასწარმოქმნის პოლიტიკა ექნება.**

გარდა იმისა, რომ **ტექნო ბუმში** საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე: კონდიციონერებზე, ტელევიზორებზე, ფოტოაპარატებზე, კომპიუტერებზე, მობილურ ტელეფონებსა და ნებისმიერ ტექნიკაზე — **ყველაზე დაბალი ფასებია**, „ბუმის ცენტრში“ ნებისმიერ მომხმარებელს ტექნიკის შეძენა საბითუმო ფასად შეეძლება.

ამისთვის მომხმარებელი „ბუმის ცენტრში“ უნდა მობრძანდეს, გააკეთოს შენაძენი თავად ან მეგობრებთან ერთად. ნივთების რაოდენობა დაჯამდება და, ორი ან მეტი ნივთის შეძენის შემთხვევაში, მომხმარებელს მათი შეძენა საბითუმო ფასად შეეძლება.

**თბილისი, ვაჟა-ფშაველას №21, წერეთლის №1, აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ (საბითუმო ცენტრი)**

# მსოფლიოში პირველი რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი —

# ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი



## გთავაზობთ სამედიცინო დახმარებას

- უნაყოფო წყვილების სრულყოფილ გამოკვლევასა და მკურნალობას უახლესი, თანამედროვე მეთოდებით;
- ჰორმონულ, გენეტიკურ, იმუნოლოგიურ, ექოსკოპიურ, ენდოსკოპიურ გამოკვლევებს;
- სასქესო ინფექციების დადგენას, მათ შორის, დნმ-დიაგნოსტიკით;
- სპერმის კომპიუტერულ ანალიზს;
- ხელოვნურ ინვიტრო განაყოფიერებას; რეპროდუქციული მასალის გაყინულ მდგომარეობაში შენახვას;
- ქალებსა და მამაკაცებში სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების სქესობრივი და ენდოკრინული დარღვევების დადგენასა და მკურნალობას, მათ შორის, ენდოსკოპიური მეთოდებით;
- ორივე სქესის მოზარდებში ენდოკრინული და გინეკოლოგიური პათოლოგიების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას;
- სქესობრივი ანომალიების დიაგნოსტიკას, ქირურგიულ კორექციას;
- კლიმაქტერული დარღვევების მკურნალობასა და პროფილაქტიკას;
- ორსულობის თვითნებური შეწყვეტის მიზეზების დადგენას; შობადობის რეგულაციას — მედიკამენტურ კონტრაცეფციას;
- ულტრასონოგრაფიულ, ბიოქიმიურ, ჰორმონულ, ციტოგენეტიკურ გამოკვლევებს.

**მისამართი: კოსტავას ქ. 43. ტელ. 93-11-45; 99-61-97; 99-54-77**





# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



**ესტუმრეთ ჩვენს საიტს**

**http://www.geworld.net**

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail:info@geworld.net